საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№32 (170)
22 აგვისტო - 5 სექტემბერი, 2012

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

3 ორპარტიული მოდელი – ხაფანგი თუ გამოსავალი?

უჩა ნანუაშვილი:
7 ნულოვანი ტოლერანტობა გრძელდება, ციხეში შესული ადამიანი განწირულია!

12 რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქზე თავდასხმის ჭეშმარიტი მიზეზები

ეკა ბესელია:
ფოთელები ხუმრობენ, 15 როცა მოიღრუბლება – პრეზიდენტი მოფრინავს ღრუბლებს ამოფარებულიო

სამოქალაქო ომი 23 ამერიკაში

## ირაკლი ალასანია და ზუგდიდის სამკუთხედი

2






სად გადის აშშ-საქართველოს საზღვარი? 4



10

«ათჯერ და ოცჯერ მეტი პროვოკატორი რომ არბენინოს სააკაშვილმა ქუჩებში, ხალხის განაჩენს ვერ ასცდება»

ლუკა კურტანიძე:
კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ!



პროსტიტუციის 18 ზეობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ზუგდიდში მივიღეთ ალასანია-ახალაია-ჭითანავას სამკუთხედი, ვითარება, როდესაც ორმა ოპოზიციურმა კანდიდატმა ხმები ერთმანეთს უნდა წაართვან; ხოლო შექმნილ გაუგებრობაში ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ხელისუფლების კანდიდატი როლანდ ახალაია უმტკივნეულოდ მოიგებს.**

# ირაკლი ალასანია და ზუგდიდის სამკუთხედი

**პოლიტიკური ტემპერატურა სექტემბერში ზუგდიდში შესაძლოა ავადმოსაგონარ ჰომსის ტემპერატურას მიუახლოვდეს და რამდენიმე თვის წინ ირაკლი ალასანიას მიერ გაკეთებული განცხადება რეალობად იქცეს. ვითარებას ზუგდიდში არა იმდენად სახელდახელოდ მომზადებული ზონდერბრიგადები ძაბავენ, რამდენადაც რიგი გაუგებარი პოლიტიკური სვლების შედეგად შექმნილი ჩიხური ვითარება. დაძაბულობას ზრდის ის მომენტიც, რომ ზუგდიდში „ნაცმოძრაობის“ მიერ მაჟორიტარ კანდიდატად როლანდ ახალაიას დასახელებამ მოვლენები ისე განავითაროს, ჰომსი სანატრელი გაგვიხდეს.**



წინასაარჩევნო ფინიშის სწორზე ჩვენ უკვე მივიღეთ „ოცნების“ მიერ დაპირებული „შუაგაკრეფილი პოლიტიკური სპექტრი“. ბარიკადების ერთ მხარეს დარჩა „ქართული ოცნება“, შარშან ოქტომბრიდან შესრუტული ჭრელი პოლიტიკური სუბიექტებითურთ; ხოლო მეორე მხარეს — „ნაცმოძრაობა“, სატელიტი და ფსევდოპოზიციური ძალებითურთ.

ამ მეტად პოლარიზებულ და ერთი შეხედვით შუაგაკრეფილ ვითარებაში საგულისხმოა, რომ შიდაპარტიული დუღილის პროცესის შედეგად „ქართულ ოცნებაში“ ირაკლი ალასანიას ფიგურამ მნიშვნელოვანი როლი შეიძინა.

იმ განლაგებით თუ ვიმსჯელებთ, როგორიც დღეს ზუგდიდშია, შეიძლება ითქვას, რომ **ალასანიას ფიგურას „ქართული ოცნებისთვის“ გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს.**

საქმე ისაა, რომ **ალასანიასთვის** (ისევე როგორც ახალაიასთვის) **ზუგდიდში არჩევნების მოგება არის პრინციპული საკითხი, რადგან გამარჯვების შემთხვევაში ის მოიპოვებს უპირობო საგზურს დიდ პოლიტიკაში,** დამარცხების შემთხვევაში კი...

ეს ვითარება კარგად აქვთ გააზრებული როგორც „ნაცმოძრაობაში“, ასევე ალასანიას მოქიშპეებს — „ქართულ ოცნებაში“, მათ შორის იმ სუბიექტებს, რომელთაც ალასანიას გაძლიერება აშინებთ და შიგნიდან ცდილობენ მის შესუსტებას.

**კონსპიროლოგიის მოყვარულები, სწორედ ამ შიშსა და ალასანიას განეიტრალების მცდელობას მიაწერენ იმ გარემოებას, რომ წინასაარჩევნოდ „ქართული ოცნების“ ზოგიერთმა წარმომადგენელმა რატომღაც ზვიად გამსახურდიას ძაგება დაიწყო. მათი ეს ნაბიჯი, სავარაუდოდ, ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ, ვინაიდან თვითონ სამეგრელოში მაჟორიტარობის კანდიდატი არ ჰყავდათ, ყველანაირად გაეფუჭებინათ და დაეძაბათ ალასანიას ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომელთაც პირობითად „ზვიადისტებს“ ვეძახით და რომლებიც ზვიად გამსახურდიას გამქილიკებელ ამ რეპლიკებს სავსებით ლოგიკურად მიაწერენ არა კონკრეტულ პერსონას, არამედ ზოგადად „ქართულ ოცნებას“, მათ შორის ირაკლი ალასანიას.**

გულხელდაკრეფილები არც „ნაცმოძრაობაში“ მსხდარან, ზუგდიდში კენჭს საოლქო პროკურორი, ბაჩანა და დათა ახალაიების მამა — როლანდ ახალაია იყრის, იგი უკვე წარადგინა დავით ბაქრაძემ. ამდენად, გასაგებია, ვის მხარესაც იქნება სახელისუფლო რესურსი.

ახალაია-ალასანიას დუელის შემთხვევაში გასაგებია, რომ ორივე მხარისთვის („ქართული ოცნება“-„ნაცმოძრაობა“) პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ ოლქში მაჟორიტარი კანდიდატის გაყვანას. **ეს ის შემთხვევაა, როდესაც მნიშვნელობა აქვს მხოლოდ დადებით რეზულტატს, სათვალავში მხოლოდ გამარჯვებაა მისაღები და არანაირი, თუნდაც ღირსეული, მარცხი თავის გამართლებად არ გამოდგება.**

**ალასანიაც და ახალაიაც ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორშიც სპარტელები. ისინი ამ ორთაბრძოლიდან ან ფარით უნდა დაბრუნდნენ, ან ფარზე...**

ამ შემთხვევაში ფსონი განუზომლად დიდია. **თუკი ბაჩანა და დათა ახალაიების მამა, ანუ „ნაცმოძრაობაში“ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი და სააკაშვილთან ყველაზე დაახლოებული კლანის წარმომადგენელი საკუთარ ქალაქში არჩევნებს წააგებს, მას დიდი დღე არ უწერია. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ საჭირო შედეგის მისაღებად იგი გამოიყენებს მის ხელთ არსებულ ყველა რესურს, ყველა საშუალებას.**

ხოლო რა რესურსებსა და საშუალებებს ფლობს ხელისუფლება, რა მეთოდებს ანიჭებენ უპირატესობას სიხისტით სახელგანთქმული ახალაიები, ეს საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლოგიკური იქნებოდა, „ქართულ ოცნებას“ ეზრუნა და ზუგდიდში მაქსიმალურად მოეხდინა ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის მობილიზება, უარი ეთქვა ყოველგვარ კონიუქტურაზე და ალასანიას გარშემო დაერაზმა ის ადამიანები, რომლებიც რეალურად ფლობენ სიტუაციას, აქვთ ავტორიტეტი და შეუძლიათ ოპოზიციურად განწყობილი ელექტორატის მობილიზება. შუის გაკრეფის თუ სხვა გაუგებარი მიზეზების გამო ეს არ მოხდა. უამრავი ასეთი ადამიანი ქართული ოცნების ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. ამან ამომრჩევლიც დააბნია და ზუგდიდში „ოცნების“ რეიტინგიც მნიშვნელოვნად შეაფერხა.

**„ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილმა ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ აქტიური საარჩევნო კამპანია დაიწყო.** მისი თქმით, მან ყველა ზუგდიდელს პირადად უნდა გააცნოს ის ორი მთავარი საკითხი, რომელთა განხორციელებაც ზუგდიდში იგეგმება „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში.

**„პირველი მთავარი საკითხი, რაც უნდა გაკეთდეს, ისაა, რომ ზუგდიდში ჩაიდება 100 მილიონი ლარის ინვესტიცია. განსაკუთრებით ჩვენმა აფხაზმა ძმებმა უნდა ნახონ, თუ როგორ შენდება მათი მეზობელი რეგიონი; და მეორე, ზუგდიდში უნდა გაიხსნას რეგიონული სამედიცინო ცენტრი, რომელშიც იმუშავებენ სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე ცნობილი ზუგდიდელი ექიმები“,** — აღნიშნა ირაკლი ალასანიამ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ, გავრცელებული ვერსიით, **24 აგვისტოს „თავისუფალი საქართველო“ ზუგდიდში წარადგენს მაჟორიტარობის კანდიდატ ოთარ ჭითანავას, რომელიც გამორჩეული პიროვნებაა თავისი ცოდნით, პრინციპულობითა და ეროვნულობით, ამიტომაც ყოველივე ამან დამატებითი დაბრკოლებები შეუქმნა ირაკლი ალასანიასა და მის მომხრეებს.**

**ფაქტია, რომ ჭითანავას არც ის ადამიანები მისცემენ მხარს, რომლებიც, ასე ვთქვათ, „ნაცმოძრაობის“ სახელისუფლო რესურსს წარმოადგენს, და არც ისინი, ვინც სააკაშვილის მხარდამჭერებად მოიაზრებიან. ჭითანავას ამომრჩეველი ისევ და ისევ ოპოზიციურად განწყობილ ელექტორატში უნდა ვეძებოთ. ეს კი ერთ რამეს ნიშნავს – ჭითანავა და ალასანია ერთმანეთის (და არა როლანდ ახალაიას) კონკურენტები არიან, ანუ თითოეული ხმა, რომელსაც ჭითანავა მიიღებს, არის ხმა, რომელზეც „ქართულმა ოცნებამ“, გაუგებარ მიზეზთა გამო უარი თქვა.**

უარი თქვა, რადგანაც, როგორც ცნობილია, ოთარ ჭითანავა თავის დროზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ მოიაზრებოდა ზუგდიდში და საკითხი თითქმის გადაწყვეტილი იყო, მაგრამ მერე, ასევე გაურკვეველი მიზეზების გამო, ვითარება შეიცვალა.

კახა კუკავამაც ბევრჯერ განაცხადა, რომ მაჟორიტარებთან დაკავშირებით ყოფილიყო შეთანხმება, მაგრამ მას არ მოუსმინეს. **„საქმე მოითხოვს, ზუგდიდში ჩატარდეს პრაიმერი და, ვინც მეტ ხმას მოაგროვებს, იმან იყაროს კენჭი“,** — აღნიშნა „თავისუფალი საქართველოს“ ზუგდიდის შტაბის უფროსმა, ყოფილმა პარლამენტარმა გურამ (ცაცა) შელიამ, რომელიც თავდაპირველად „ქართულ ოცნებაში“ იყო და აქტიურად თანამშრომლობდა კოალიციასთან. **„მიზეზი მომიძებნეს, ციხეში იჯექი ორჯერ. არადა, ციხეში ორივეჯერ პოლიტიკური მოტივით ვიჯექი. მე დიდ პატივს ვცემ ირაკლი ალასანიას, ჩვენ ნათესავები ვართ. „თავისუფალ საქართველოს“ მთლიანად და მის შესაძლო მაჟორიტარობის კანდიდატ ოთარ ჭითანავას გამარჯვების დიდი შანსი გააჩნიათ. ბევრი ფიქრობს, რომ ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას მომხრეები „ქართულ ოცნებას“ მისცემენ ხმას, მაგრამ ეს როგორ მოხდება, როცა მათ რიგებში რესპუბლიკელები არიან?! ესენი, ყველანი, ჩვენი მხარდამჭერები არიან“,** — დასძინა გურამ შელიამ.

**სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ზურაბ კვარაცხელიამ** კი ჩვენთან საუბარში აღნიშნა:

„სამწუხაროა, რომ ზუგდიდში ოპოზიციურმა სპექტრმა ვერ მოახერხა ერთიანი ოპოზიციური კანდიდატის შერჩევა და წამოყენება. რა თქმა უნდა, ამაში დამნაშავეა მთლიანად ოპოზიცია, მაგრამ მოდით ვაღიაროთ ობიექტურად და გულწრფელად ისიც, რომ ამაში მეტი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება იმ პოლიტიკურ ძალას, რომელმაც თავის თავზე აიღო ვალდებულება, მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე დაემთავრებინა საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ხელისუფლების პარპაში, თუმცა ბევრი არაფერი გააკეთა, რათა ამისათვის შეესრულებინა უმთავრესი აუცილებელი პირობა — ერთიანობა. დიახ, ერთიანობა, რადგან მხოლოდ ჭეშმარიტ ობიექტურ ძალთა ერთიანობითაა შესაძლებელი სააკაშვილის ანტიეროვნული რეჟიმის დემონტაჟი. **არავისთვისაა დამალული, რომ სამეგრელო და კერძოდ, ზუგდიდი რეჟიმის მხრიდან განსაკუთრებული წნეხის ქვეშ იმყოფება. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ოპოზიციისთვის საშური უნდა ყოფილიყო, რამენაირად ზუგდიდში მაინც მოეხერხებინა მობილიზება და ერთიანი, ყველასთვის მისაღები კანდიდატის შერჩევა-წამოყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ სხვა რეალობის წინაშე აღმოვჩნდით: „ქართულმა ოცნებამ“ უკვე წამოაყენა თავისი კანდიდატი ირაკლი ალასანია, ისე რომ არც სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსთან“, არც პოლიტიკურ პარტია „თავისუფალ საქართველოსთან“ და არც სხვა ოპოზიციურ ძალასთან არანაირი შეთანხმება ან კონსულტაცია არ ჰქონია.**

რა თქმა უნდა, ეს იყო მათი მხრიდან, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული ნაბიჯი. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ამ დღეებში „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავაც აპირებს, ზუგდიდში დეპუტატობის კანდიდატად წარადგინოს ოთარ ჭითანავა. **ცხადია, ვერც ირაკლი ალასანია და ვერ ოთარ ჭიათანავა ხელისუფლების კანდიდატს, თუნდაც ის ოდიოზური როლანდ ახალაია იყოს, ხმებს ვერ წაართმევენ, მაგრამ ოპოზიციური ელექტორატის ხმებს ნამდვილად გაყოფენ. ეს კი, ბუნებრივია, ხელისუფლების წისქვილზე დაასხამს წყალს.**

მე რეცეპტს არავის ვთავაზობ და არც ჭკუას ვასწავლი ვინმეს, მაგრამ მოვუწოდებ ყველას, ვისაც ჯერ კიდევ ხელეწიფება სიტუაციის გამოსწორება, დროულად მოაგვარონ ეს პრობლემა. ნუ დააბნევენ მოსახლეობას და კარგად გაითავისონ თავიანთი პასუხისმგებლობის სიმძიმეც. ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის გამოსწორება. ყველამ კეთილი ინებოს და უკანა პლანზე გადასწიოს თავისი პარტიული თუ პიროვნული ამბიციები. ყველას უნდა გვახსოვდეს სამშობლო და მისი მარადიული ინტერესები“.

ასე რომ, ზუგდიდის მაჟორიტარობის მთავარ კანდიდატს, ირაკლი ალასანიას, ორ ფრონტზე მოუწევს ბრძოლა. ჯერჯერობით „ქართული ოცნება“, რომელსაც თავიდანვე შეეძლო ზუგდიდში მთელი ოპოზიციური ელექტორატის ერთ საარჩევნო ყულაბაში გაერთიანება ოთარ ჭითანავას, ცაცა შელიას, ზურაბ კვარაცხელიას და ბევრი სხვა ღირსეული ადამიანის გვერდით დაყენებით, რომელთაც რეგიონში წონა აქვთ და ვითარების გამოსწორება დღემდე შეუძლიათ. ამის ნაცვლად **ზუგდიდში მივიღეთ ალასანია-ახალაია-ჭითანავას სამკუთხედი, ვითარება, როდესაც ორმა ოპოზიციურმა კანდიდატმა ხმები ერთმანეთს უნდა წაართვან, ხოლო შექმნილ გაუგებრობაში ძალიან მაღალია ალბათობა, რომ ხელისუფლების კანდიდატი როლანდ ახალაია უმტკივნეულოდ მოიგებს.**

ძალაუნებურად ეს ვითარება სწორედ „ნაცმოძრაობის“ წისქვილზე ასხამს წყალს და აძლიერებს მხოლოდ ახალაიას პოზიციებს. **რაც შეეხება ალასანიას, რჩება შთაბეჭდილება, რომ ის დუღილის ეპიცენტრში შეაგდეს, სასწორზე დადეს ამ პერსპექტიული პოლიტიკოსის მომავალი, ვინაიდან ზუგდიდში მისი დამარცხება, სავარაუდოდ, მძიმე შედეგით დასრულდება, პოლიტიკური პერსპექტივის თვალსაზრისით.**

ფრიად დასანანი იქნება, თუკი ზუგდიდის სამკუთხედი ირაკლი ალასანიასთვის ბერმუდის სამკუთხედად გადაიქცევა, სადაც დიდი წყალწყვის გემებიც კი უგზო-უკვლოდ ქრებიან. არადა, ვითარების გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლება, „ქართულ ოცნებასა“ და ირაკლი ალასანიას ჯერ კიდევ აქვთ შანსი, მოახდინონ ზუგდიდში ოპოზიციური ელექტორატის კონსოლიდირება და მოიპოვონ გამარჯვება, რომელიც ალასანიას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აძლევს გარანტირებულ საგზურს დიდ პოლიტიკაში.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

მზა რეცეპტი საქართველოსთვის არ არსებობს, უცხო ქვეყნების გამოცდილების გაცნობა სასარგებლოა, თუმცა დამოუკიდებელ შემოქმედებას გვერდს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავუვლით. ორპარტიულობა ერთ-ერთი ვარიანტია, რომელსაც თავისი პლიუსები და მინუსები აქვს (ლათინურ ამერიკაში ეს ყოვლისმომცველი პოლარიზაციის საფრთხეა, რომელიც ხშირად სამოქალაქო დაპირისპირებით სრულდება), მსჯელობა მასზე ცალკე არ შეიძლება, არამედ მხოლოდ მთელ სისტემასთან ერთად, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას უზრუნველყოფს და, უხეშად რომ ვთქვათ, შექმნის წინაპირობებს, რომ „სააკაშვილი არ განმეორდეს“.



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ორპარტიული მოდელი — ხაფანგში თუ გამოსავალი?

**„ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმი განწირულია, ადრე თუ გვიან დაემხობა და ყველაზე მძიმე პრობლემები დადებითად გადაწყდება. კაცობრიობას თვითრეგულაციის მაშველი მექანიზმი აქვს — ცუდი დრო, შეუძლებელია, დიდხანს გაგრძელდეს. გწამდეთ და იმედი გქონდეთ!“. გასულ კვირას გარდაცვლილი, შესანიშნავი მწერლის ჰარი ჰარისონის ეს სიტყვები ჩვენთვის, ალბათ, განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან დღეს საქართველოში „ცუდი დროის“ მხუთავი ატმოსფერო განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა.**





ეჭვგარეშეა, რომ კოშმარი, რომელშიც დღეს ვცხოვრობთ, დასრულდება, მაგრამ შეშფოთებას სხვა საფრთხე იწვევს: **არ არსებობს გარანტია, რომ ქართული საზოგადოება კიდევ ერთხელ (მერამდენედ?) არ გაივლის იმავე გზას და თავისუფლების ხმაურიანი, თუმცა ხანმოკლე ზეიმის შემდეგ, ისევ არ გადაეშვება აღვირახსნილი ცეზარიზმის მორევში ან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ ბანაკებად არ გაიხლიჩება.** თუ საქართველოში არ შეიქმნება დამცავი სისტემა, რომელიც ავტორიტარული რეჟიმების ჩამოყალიბებას ხელს შეუშლის, „ცუდი დრო“, სავარაუდოდ, ძალიან მალე დაგვიბრუნდება.

მომავალ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, მოვლენათა განვითარების მრავალი სცენარი განიხილება. **ვარიანტი, რომლის ფარგლებში „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ პარლამენტში ადგილების დაახლოებით ერთნაირ რაოდენობას მიიღებენ, არ განიხილება, როგორც ძირითადი. საზოგადოებისა და ექსპერტების ყურადღებას უფრო ერთ-ერთი ძალის ტოტალური გამარჯვების სცენარები იზიდავს.** თუმცა, როდესაც საუბარი „საყაიმო ვარიანტზე“ მიდგება, როგორც წესი, იწყება მსჯელობა იმაზე, რომ ის დაეხმარება სააკაშვილის რეჟიმის ტრანსფორმაციას და ეტაპობრივ დემონტაჟს, გონივრულ კომპრომისებს, რომლებიც ძალადობას გამორიცხავს, ასევე, შესაძლებელს გახდის, ფაქტობრივად, ერთპარტიული სისტემის ორპარტიულად გარდაქმნას, რაც დემოკრატიის დამკვიდრებას წაადგება.

ამ მსჯელობის დროს, როგორც წესი, **სათვალავში არ მიიღება ის გარემოება, რომ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ არ არიან პასუხისმგებლობის მქონე მოთამაშეები,** რომ ისინი, საკუთარი წარსულიდან და ფსიქოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, ყოველთვის შეეცდებიან მიაღწიონ ყოვლისმომცველ დომინირებას და მყიფე ორპარტიული (პირობითად ასე ვუწოდოთ) ბალანსი დაანგრიონ. **ძალიან დიდი ალბათობით, სააკაშვილისა და მისი გარემოცვის ისტორია, სავარაუდოდ, დასრულდება ან მათი სრული ამოშანთვით პოლიტიკური სივრციდან, ან სისხლიანი და, სავარაუდოდ, დღემოკლე დიქტატურის დამყარებით.** მაგრამ ამ „ერთიან ნაციონალურ პრობლემაზე“ ჩაციკლვა ნამდვილად არ ღირს, ადრე თუ გვიან ისინი წავლენ, საქართველო კი დარჩება. აქ საინტერესო სხვა რამ არის: **აქვს თუ არა ორპარტიულობას რაიმე განსაკუთრებული პლიუსები, რომლებიც მდგრადი დემოკრატიის დამკვიდრებაში დაგვეხმარებიან? რამდენად გონივრულია, სისტემის ქვაკუთხედად გადავაქციოთ ძალთა ის ბალანსი, რომელიც გარემოებათა თანხვედრის გამო შეიძლება პარლამენტში მივიღოთ? რა სარგებელი მიიღეს ქვეყნებმა, რომლებშიც ორპარტიული სისტემა ბუნებრივი პოლიტიკური ევოლუციის (აშშ) და მეტნაკლებად ხელოვნური კონსტრუირების (ურუგვაი) გზით შეიქმნა?**

ფართოდ გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, აშშ-ის დამაარსებლებს არანაირი ორპარტიული სისტემა არ შეუქმნიათ; „პარტია“ და „ფრაქცია“ ჯორჯ ვაშინგტონის დროინდელ ამერიკაში ლამის სალანძღავი სიტყვა იყო. ჯეიმს მედისონი „ფედერალისტის“ ერთ-ერთ წერილში ახასიათებდა მათ, როგორც საზოგადოების ინტერესების წინააღმდეგ მოქმედ ეგოისტურ ჯგუფებს; პოლიტიკური პარტია აღიქმებოდა, როგორც დესტრუქციული ძალა, რომელიც შეუსაბამოა ახალგაზრდა რესპუბლიკის იდეალებთან.

აშშ-ის „მამები“ აანალიზებდნენ ინგლისის რევოლუციის გამოცდილებას, მათ თვალწინ კი სისხლიან ქაოსში რევოლუციური საფრანგეთი იძირებოდა. მათ აშინებდათ შედეგი, რომელიც შეიძლება მოიტანოს პოპულიზმმა და პოლიტიკური ჯგუფების ყოვლისმომცველმა ბრძოლამ, აგრეთვე, პრეზიდენტის დესპოტად გადაქცევის საფრთხემ და ერთგვარი დამცავი ზღუდის აშენებას შეუდგნენ, რომლის საკვანძო ელემენტები გახდა სენატი, მისი ფართო უფლებებით, უზენაესი სასამართლო და, გარკვეული თვალსაზრისით, ამომრჩეველთა კოლეგია; **მნიშვნელოვანი როლი იმ ეტაპზე საარჩევნო ცენზს ენიჭებოდა. „მამები“ არ ენდობოდნენ ღარიბ, განათლების არმქონე ფენებს და პოლიტიკაში მათი ჩართულობის შეზღუდვას ცდილობდნენ.**

რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, მათი იდეალი უპარტიო სისტემა იყო, თუმცა მისი პრაქტიკულად რეალიზება შეუძლებელი გახლდათ. ვერავინ გააუქმებდა განსხვავებულ შეხედულებებს და, თუ პარტიების ფორმირება საერთოდ აიკრძალებოდა, პოლემიკა პოლიტიკოსთა სხვადასხვა ჯგუფს შორის აუცილებლად გადაიზრდებოდა დაპირისპირებაში ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტს შორის, რაც ადრე თუ გვიან, სავარაუდოდ, პრეზიდენტის მიერ პარლამენტის დაშლით და მეტად არადემოკრატიული რეჟიმის დამყარებით დასრულდებოდა. **თუ განსხვავებული შეხედულებების მქონე მთავრობის წევრები, თომას ჯეფერსონი და ალექსანდრე ჰამილტონი, მოკლებულნი იქნებოდნენ შესაძლებლობას, საკუთარი „პროტო-პარტიები“ შეექმნათ, ხელისუფლება ორ მტრულ ბანაკად გაიყოფოდა და მათ დაპირისპირებას, სავარაუდოდ, აშშ-ის სახელმწიფოებრიობა შეეწირებოდა.**

საინტერესოა, რომ თავიდან საქმე ფაქტობრივი ერთპარტიულობისკენ, სხვადასხვა ფრაქციისგან შემდგარი „სახელისუფლო პარტიის“ ფორმირებისკენ წავიდა. XIX საუკუნის 20-იან წლებში „დემოკრატიულმა რესპუბლიკელებმა“ სრულ დომინირებას მიაღწიეს. 1824 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ოთხივე კანდიდატი ამ პარტიის წარმომადგენელი იყო, რომელიც სხვადასხვა შტატსა და პოლიტიკურ ჯგუფს ეყრდნობოდა. შემდგომ ეს პარტია დაიშალა, თუმცა მისგან შობილმა დემოკრატიულმა პარტიამ კვლავ უპირატეს მდგომარეობას მიაღწია. დაახლოებით ამ დროს **შტატებში, ისევე, როგორც ევროპაში, იწყება იმის გააზრება, რომ კონკურენციას პარტიებს შორის ბოროტებაზე გაცილებით მეტი სიკეთე მოაქვს.** პირველ თანმიმდევრულ მებრძოლად ორპარტიული სისტემის დამკვიდრებისთვის შეიძლება **აშშ-ის მერვე პრეზიდენტი მარტინ ვან ბურენი** ჩავთვალოთ. საქართველოსთვის დღეს ძალზე აქტუალურია ის, რასაც ვან ბურენი საუკუნე-ნახევრის წინ წერდა: **„ერთპარტიულ მმართველობას ეროვნული თანხმობის გამყარება არ შეუძლია, პრაქტიკულად მისი მთავარი შედეგი კორუფციისა და ხელისუფლების უზურპაციის გავრცელებაა“.** აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: რატომ ორ და არა მრავალპარტიული?

საქმე ისაა, რომ ამერიკულ, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარულ სისტემას, თამაშების მათემატიკური თეორიიდან ან სულაც უმარტივესი გათვლებიდან თუ ამოვალთ, ბუნებრივად მივყავართ პრინციპამდე „მესამე ზედმეტია“. საინტერესოა იმ მომენტის დაფიქსირებაც, რომელიც ორპარტიულ სისტემაში განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა: პარტიები ცდილობენ, ამომრჩეველთა მაქსიმალურ რაოდენობას „მისწვდნენ“, საკუთარ პროგრამებს უფრო ზომიერს, „ყველასთვის მისაღებს“ ხდიან და, შესაბამისად, მიიწევენ „ცენტრისკენ“ და არა „ფლანგებისკენ“. **დღეს ამერიკელები ჩივიან იმის გამო, რომ რესპუბლიკელები და დემოკრატები ერთმანეთს ისე დაემსგავსნენ, რომ მათი გარჩევა შეუძლებელი გახდა. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ამერიკული ორპარტიულობა, რომლის ურღვეობას არაერთი, ხანდახან ძნელად დასაფიქსირებელი, ზღუდე იცავს, პრაქტიკულად გამორიცხავს ხელისუფლებაში ექსტრემისტების, პოპულიზმზე ორიენტირებული პარტიების (პოლიტიკოსების) „გარღვევას“. მრავალპარტიულობის პირობებში ეს საფრთხე გაცილებით დიდია.**

ვან ბურენის ეპოქაში პარტიებს შორის სრულყოფილი ბალანსის მიღწევა ვერ მოხერხდა. ქვეყანამ გამოიარა ხანგძლივი პერიოდები, როდესაც ერთ-ერთი პარტია აშკარად დომინირებდა, თუმცა **სისტემური ალტერნატივის არსებობის, კონკურენციის აუცილებლობის გააზრებამ აშშ ერთპარტიულობას აარიდა.**

**ამერიკული გამოცდილების ბრმა კოპირებამ, იმ ისტორიულ-კულტურული სპეციფიკის გააზრების გარეშე (მაგალითად, შტატებისა და ფედერალური მთავრობის ურთიერთობის), რომელიც ამ ქვეყანას ახასიათებს, შეიძლება დიდ უბედურებამდე მიგვიყვანოს. თუმცა დაფიქრება იმაზე, როგორ შევქმნათ სისტემა, რომელიც ტირანიისგან დაგვიცავს, როგორც ეს აშშ-ის დამაარსებლებმა გააკეთეს, ნამდვილად ღირს. აშკარაა, რომ არ შეიძლება მისი დაფუძნება, პრაქტიკულად, შემთხვევით წარმოქმნილ ორპარტიულ ბალანსზე (თუ არჩევნები შესაბამისი შედეგით დასრულდება); მას უფრო მყარი ფუნდამენტი სჭირდება.**

XX საუკუნის დასაწყისში ურუგვაის პრეზიდენტმა ხოსე ბატლიე-ი-ორდონესმა შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმად (საკანონმდებლო შეზღუდვების გამოყენებით) არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ ორ, ტრადიციულად დაპირისპირებულ პოლიტიკურ დაჯგუფებას — „ბლანკოს“ და „კოლორადოს“ მიეცა. ფაქტობრივად, მოხდა პარტიების ბრძოლის ტრანსფორმაცია სხვადასხვა ფრაქციის ბრძოლად ამ ორი პარტიის შიგნით; ეს, ერთის მხრივ, უზრუნველყოფდა განვითარებისთვის აუცილებელ კონკურენციას და ამავე დროს სისტემას მეტ მდგრადობას სძენდა. ამასთანავე, პრეზიდენტის დაქვემდებარებაში დარჩნენ მხოლოდ თავდაცვის, შინაგან და საგარეო საქმეთა მინისტრები, დანარჩენები კოლეგიალური „ეროვნული აღმასრულებელი კომიტეტის“ დაქვემდებარებაში გადავიდნენ, რომელშიც ადგილების მესამედს არჩევნებში დამარცხებული პარტია იკავებდა. მთელი პროექტის აღწერას ამ ფორმატში, ცხადია, ვერ შევძლებთ, თუმცა მნიშვნელოვანია შემდეგი რამ: **ბატლიე-ი-ორდონესმა მოახდინა ძველი, აშშ-ისგან გადმოღებული, მოდელის ადაპტირება მისი ქვეყნის რეალიების მიმართ, მის იდეებზე დაფუძნებული რეფორმის შედეგი კი საკმაოდ შთამბეჭდავი გამოდგა.** XX საუკუნეში ოდესღაც მეტად ქაოტურ ურუგვაის გადატრიალებებთან და დიქტატურებთან გაცილებით ნაკლები პრობლემა ჰქონდა, ვიდრე მის ლათინოამერიკულ მეზობლებს. საბოლოოდ, 70-იანებში ეს სისტემა დაიმსხვრა, რადგან საკუთარ თავში ახალი მემარცხენე ელემენტების ინტეგრირება ვერ შეძლო, მაგრამ თავისი ისტორიული როლი მან უდავოდ შეასრულა.

**მზა რეცეპტი საქართველოსთვის არ არსებობს, უცხო ქვეყნების გამოცდილების გაცნობა სასარგებლოა, თუმცა დამოუკიდებელ შემოქმედებას გვერდს ვერც ერთ შემთხვევაში ვერ ავუვლით. ორპარტიულობა ერთ-ერთი ვარიანტია, რომელსაც თავისი პლიუსები და მინუსები აქვს (ლათინურ ამერიკაში ეს ყოვლისმომცველი პოლარიზაციის საფრთხეა, რომელიც ხშირად სამოქალაქო დაპირისპირებით სრულდება), მსჯელობა მასზე ცალკე არ შეიძლება, არამედ მხოლოდ მთელ სისტემასთან ერთად, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას უზრუნველყოფს და, უხეშად რომ ვთქვათ, შექმნის წინაპირობებს, რომ „სააკაშვილი არ განმეორდეს“.**

რაც შეეხება ორპარტიული სისტემის ფორმირებისთვის „ნაციონალური მოძრაობის“ ან მისი ნარჩენების გამოყენებას (თუ ამ მიმართულებით წავალთ), ეს წამოწყება ყოვლად უპერსპექტივო ჩანს. ეს ადამიანები საკუთარ თავში დიქტატურის სულისკვეთებას ატარებენ, დემოკრატიის მნიშვნელობა არ ესმით და ყოველთვის ორიენტირებულები იქნებიან ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებაზე. მათი წასვლა ქართული პოლიტიკიდან, სავარაუდოდ, „ცუდი დროის“ დასრულების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კისინჯერის წერილის ერთობ ნერვულმა ტონალობამ (შესაძლოა, მან პროცესების კონტროლიდან გასვლის რეალური საფრთხე იგრძნო), მასში აღწერილი პრობლემების სიმწვავემ და სხვა პუბლიკაციებმა ამავე თემაზე, შეიძლება დაგვაფიქროს, რომ ძია სემმა სავსებით გააცნობიერა, რომ მორიგ განსაცდელში შეტოპა. რაში მდგომარეობს მისი პრობლემა და რა შეხება აქვს მასთან საქართველოს?**

საქართველოსა და ეგვიპტის ხსენება ერთ კონტექსტში „არაბული გაზაფხულის“ პიკზე დაიწყო. იმ მომენტამდე პარალელების გავლება ამ ორ, აშკარად განსხვავებულ ქვეყანას შორის აზრად არავის მოსვლია. კომენტატორთა უმრავლესობა ზედაპირული მსგავსების დაფიქსირებით შემოიფარგლებოდა და ორი დრომოჭმული, საზოგადოებისგან იზოლირებული (მუბარაქისა და სააკაშვილის) რეჟიმის კვდომის პროცესის თავისებურებებს აღწერდა. ეს საინტერესო იყო, თუმცა ხშირად ყურადღების მიღმა რჩებოდა მეორე, ნაკლებად შესამჩნევი და, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი მსგავსება: ეგვიპტე და საქართველო, განსხვავებული გეოპოლიტიკური „წონის“ მიუხედავად, ის ქვეყნებია, რომლებთან დაკავშირებითაც ვაშინგტონი სერიოზული არჩევანის წინაშე დადგა, არა იმდენად მათდამი ლოიალურ დიქტატორსა და მის ოპონენტებს შორის, არამედ რამდენიმე ფუნდამენტურ პრინციპს შორის, რომელთა ურთიერთდაპირისპირება აშშ-ის მთელ ისტორიას და საგარეო პოლიტიკას გასდევს.




არტურ შლეზინგერი:

**აზრი იმის თაობაზე, რომ იარაღის მიმწოდებელი შეიძლება აკონტროლებდეს მის მიმღებს, რომ პატრონი იმპერია შეიძლება აკონტროლებდეს კლიენტს «მესამე სამყაროში», მუდმივი ამერიკული შეცდომაა**

# სად გადის აშშ-საქართველოს საზღვარი?

### რატომ ანერვიულდა კისინჯერი?

**„ბევრ მათგანს, ვინც „არაბულ გაზაფხულს“ ადიდებს, მისი მიღწევების ნიშნად, ჩამოგდებული ავტოკრატების სია მოჰყავს. თუმცა საბოლოოდ რევოლუციებს შეაფასებენ იმის მიხედვით, თუ რას ააშენებენ ისინი, და არა იმის მიხედვით, თუ რას დაანგრევენ“,** — ასე იწყებს ჰენრი კისინჯერი თავის ბოლო წერილს „ვაშინგტონ პოსტში“, რომელიც ეგვიპტის პრობლემებს ეძღვნება. ცხადია, **ამ ფორმულის მისადაგება „ვარდების რევოლუციის“ მიმართაც შეიძლება — ის, რაც მან დაანგრია, უდავოდ მანკიერი იყო, მაგრამ იმ მონსტრ რეჟიმს, რომელიც რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა, ჯანსაღს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ. ქართული და ეგვიპტური საზოგადოებისთვის გაცილებით ნაკლებს ნიშნავს ის, რაც დაინგრა და აღარ არსებობს, იმასთან შედარებით, რაც დღეს ურთულეს პრობლემებს უქმნის.**

კისინჯერი წერს, რომ მუბარაქის ჩამოგდების შემდეგ, რომელსაც აშშ მიესალმა, მოხდა „საერო დემოკრატიული ელემენტების“ მარგინალიზება, ხოლო პრეზიდენტის პოსტი სავსებით დემოკრატიული პროცედურის გამოყენებით ისლამისტების წარმომადგენელმა დაიკავა. მათ სამხედროები უპირისპირდებიან, რომლებიც ძველი რეჟიმის დასაყრდენს წარმოადგენდნენ. ამ ორი ძალიდან ამერიკელებს არც ერთი არ ესიმპათიურებათ და ვაშინგტონში გრძელდება დისკუსია, — ვის და როგორ დაუჭირონ მხარი,

**ეგვიპტე-ისრაელის სამშვიდობო შეთანხმებები რეგიონული უსაფრთხოების ქვაკუთხედია. ამასთანავე, სტაბილურობა ეგვიპტეში (სუეცის არხი) საზღვაო გადაზიდვების გლობალური სისტემის გამართული ფუნქციონირების აუცილებელი წინაპირობაა.** ის ადამიანები, რომელთაც კისინჯერი „რეალისტებს“ უწოდებს, უსაფრთხოების ფაქტორის პრიორიტეტულობიდან ამოდიან და აღნიშნავენ, რომ ეგვიპტელი სამხედროების შეხედულებები, ამ თვალსაზრისით, ამერიკულთან ძალიან ახლოს დგას. მაგრამ სამხედროების უნარი, მდგრადი რეჟიმი შექმნან, ეჭვს იწვევს. მათ მოწინააღმდეგეებს ზურგს ეგვიპტური „ქუჩა“ და საზოგადოების დიდი ნაწილი უმაგრებს. თუმცა, **თუ აშშ ბოლომდე დემოკრატიული პრინციპების ერთგული დარჩება, როგორც, კისინჯერის თქმით, „იდეალისტები“ ურჩევენ, ეს შეიძლება მალევე ანტიდემოკრატიული, ანტიდასავლური რეჟიმის ჩამოყალიბებით დასრულდეს.**

კისინჯერის აზრით, სიტუაცია სირიაში უფრო რთულია. **„კრიზისი სირიაში, როგორც წესი, აღიწერება, როგორც ბრძოლა დემოკრატიისთვის, რომლის კულმინაცია ბაშარ ასადის ჩამოშორება უნდა გახდეს. სინამდვილეში, საუბარი ეხება ბრძოლას გავლენისათვის ასადის ალავიტებსა, რომელთაც მხარს ბევრი სხვა უმცირესობის წარმომადგენლები უჭერენ, და სუნიტურ უმრავლესობას შორის“, „ასადის რეჟიმისთვის პოლიტიკური ალტერნატივის შექმნა უფრო რთული იქნება, ვიდრე კურსი ეგვიპტეში, რადგან იქ მეტი დაპირისპირებული ჯგუფია“,** — წერს კისინჯერი და დასძენს, რომ სირია შეიძლება დაიშალოს და რეგიონის ტოტალური დესტაბილიზაციის კერა გახდეს.

**ტაქტიკური თვალსაზრისით, ქართული ოპოზიცია მოწადინებული უნდა იყოს, ამერიკელ პარტნიორებს უჩვენოს, რომ მას აქვს საკმარისი ძალა, ქვეყანაზე ეფექტური კონტროლი დაამყაროს, ხოლო სააკაშვილს — არ აქვს**

კისინჯერი, ცუდად დაფარული ნოსტალგიით, იხსენებს პერიოდს „ნიქსონიდან კლინტონამდე“, როდესაც აშშ დიდად არ ერეოდა პარტნიორი ქვეყნების შიდა მოწყობის საქმეებში; მაშინ, ჰილარი კლინტონის თქმით, ვაშინგტონი „ეგვიპტის მთავრობასთან თანამშრომლობდა“. „ცივი ომის“ წლებში ასეთი ჩარევა შეიძლებოდა დასრულებულიყო ამა თუ იმ ქვეყნის გადასვლით მოწინააღმდეგის ბანაკში; თანაც აღმოჩნდა, რომ ვაშინგტონმა არ იცის, როგორ მოეპყროს ჯინს, უფრო სწორად კი ჯინების მთელ ლეგიონს, რომელიც რევოლუციის შემდეგ ბოთლიდან ამოძვრა. ეგვიპტის შემთხვევაში, ამ ავადსახსენებელი ბოთლისთვის ხელის პირველ მოკიდებად შეიძლება ჩაითვალოს ბუშის ადმინისტრაციის მოწოდება მუბარაქისადმი, მრავალპარტიული არჩევნები ჩაატაროს; ეს კურსი ბარაკ ობამამ გააგრძელა.

**„არაბულ სამყაროში აჯანყებების დაწყების შემდეგ ოთხი მთავრობა დაემხო, ხოლო კიდევ რამდენიმე სერიოზულ განსაცდელში ჩავარდა. შეერთებულმა შტატებმა იგრძნეს, რომ ვალდებულნი არიან, ამ დრამაზე რეაგირება მოახდინონ და პერიოდულად მასში მონაწილეობა მიიღონ, მაგრამ ჯერაც არ გაუციათ პასუხი კითხვებზე მის ფუნდამენტურ მიმართულებაზე: გვაქვს თუ არა წარმოდგენა იმ სტრატეგიულ განტოლებაზე, რომელიც ჩვენს და გლობალურ ინტერესებს შეესაბამება, ან მათი მიღწევის საშუალებებზე?“** — წერილის დასასრულს, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი დიპლომატი ამერიკელებს რეალისტური და იდეალისტური მიდგომის სინთეზის შედეგად მიღებული, მოქნილი პოლიტიკის გატარებისკენ მოუწოდებს, რადგან სიტუაციისადმი მიდგომა, იდეოლოგიზირებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, კისინჯერის აზრით, კარგს არაფერს მოიტანს.

**კისინჯერის წერილის ერთობ ნერვულმა ტონალობამ (შესაძლოა, მან პროცესების კონტროლიდან გასვლის რეალური საფრთხე იგრძნო), მასში აღწერილი პრობლემების სიმწვავემ და სხვა პუბლიკაციებმა ამავე თემაზე, შეიძლება დაგვაფიქროს, რომ ძია სემმა სავსებით გააცნობიერა, რომ მორიგ განსაცდელში შეტოპა. რაში მდგომარეობს მისი პრობლემა და რა შეხება აქვს მასთან საქართველოს?**

### ძალა აღმართს ვეღარ ხნავს

ერთი შეხედვით, „უსაფრთხოების ლოგიკა“ ვაშინგტონს უბიძგებს, ეგვიპტელ სამხედროებს დაუჭიროს მხარი, თუმცა ალიანსი მათთან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი სტაბილური რეჟიმის დამყარების მცდელობისას, სისხლის გუბეებს დააყენებენ, შეიყვანს შტატებს დაპირისპირებაში ეგვიპტური საზოგადოების უდიდეს ნაწილთან და, ზოგადად, „გლობალურ პოლიტიკურ გაღვიძებასთან“, რომელსაც ზბიგნევ ბჟეზინსკი აღწერს.

**ბჟეზინსკის აზრით, აშშ-ისთვის უპერსპექტივოა მცდელობა, მსოფლიო ძველი იმპერიული მეთოდებით გააკონტროლოს, პირდაპირ თუ ძნელად აღსაზრდელი დიქტატორების მეშვეობით; მისთვის გაცილებით მომგებიანია, თავგასულ რეჟიმებთან დაპირისპირებული საზოგადოებების მოკავშირე გახდეს, თუნდაც მათი განწყობა მნიშვნელოვან ანტიდასავლურ შემადგენელს შეიცავდეს. მისი მიდგომა, სავარაუდოდ, აშშ-ის საგარეო პოლიტიკის გამოცდილების გააზრებას ეფუძნება. შტატები წარმატებულები იყვნენ მაშინ, როდესაც „მესამე სამყაროს“ ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობებთან ერთად ევროპულ (და იაპონურ) იმპერიალიზმს უტევდნენ. მაგრამ, თუ ჩვენ კისინჯერის წერილის დასაწყისში განხილულ ფრაზას ოდნავ შევცვლით და შემდეგ სახეს მივცემთ: „ამერიკელებს შეაფასებენ არა იმის მიხედვით, თუ რა დაანგრიეს მათ მსოფლიოში, არამედ იმის მიხედვით — რა ააშენეს“, შეიძლება არასახარბიელო დასკვნამდე მივიდეთ, განსაკუთრებით, თუ სამხრეთ ვიეტნამის, მარკოსის ფილიპინების, ლათინოამერიკული დიქტატურების და ა.შ. გამოცდილებას გავითვალისწინებთ.**

ბჟეზინსკის მიერ შემოთავაზებული სტრატეგია, სხვა ყველაფერთან ერთად, შეიძლება წარმოადგენდეს მცდელობას, დაუბრუნოს ამერიკა იმ საქმეს, რომელიც კარგად გამოსდის, რათა მან „მესამე სამყაროს“ რევოლუციურ ძალებთან ერთად შეუტიოს, ოღონდ ამჯერად არა ბრიტანულ, ფრანგულ და ა. შ. კოლონიურ იმპერიას, არამედ (წინმსწრებად) ჩამოყალიბების ადრეულ სტადიაში მყოფ ჩინურ გლობალურ იმპერიას (თუ ტერმინი „იმპერია“ გვაფრთხობს, შეგვიძლია რამე ანალოგი მოვუძებნოთ, მაგალითად, იაპონური წარსულიდან ტერმინი „თანააყვავების სფერო“ ვისესხოთ). ბჟეზინსკის ამ ახალი სტრატეგიის გვირგვინად შეიძლება საინტერესო ფორმულა მოგვევლინოს, რომელიც, ალბათ, ასე გაიჟღერებს, „ვიდრე მყარი კონსტრუქციების აშენებას არ ვისწავლით, ჯობია, ისევ ნგრევას დავუბრუნდეთ“.

**ამერიკელებს ძალიან ბევრი რესურსი და შინაგანი ენერგია აქვთ, თუმცა პარადოქსულად, როგორც კი ხელს არა „ნგრევას“, არამედ „შენებას“ ჰკიდებენ, გლობალური წესრიგის ფორმირება იქნება თუ ცალკეული ქვეყნების ტრანსფორმირება, მსოფლიო თითქოსდა უნიჭო მო-**



**ბჟეზინსკის აზრით, აშშ-ისთვის უპერსპექტივოა მცდელობა, მსოფლიო ძველი იმპერიული მეთოდებით გააკონტროლოს, პირდაპირ თუ ძნელად აღსაზრდელი დიქტატორების მეშვეობით; მისთვის გაცილებით მომგებიანია, თავგასულ რეჟიმებთან დაპირისპირებული საზოგადოებების მოკავშირე გახდეს**

**არანაირი „ორი ამერიკა“ არ არსებობს; „ამერიკა, რომელიც უყვართ“ და „ამერიკა, რომელიც სძულთ“, ერთი და იგივე ქვეყანაა; კაცობრიობის ისტორიაში ასეთი მძაფრი და ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები, ალბათ, არავის გამოუწვევია. ყველაზე კარგად გამანადგურებელ დისონანსს ამ ორ დამოკიდებულებას შორის თავად ამერიკელები გრძნობენ და შეძლებისდაგვარად თავის გამართლებას ცდილობენ.**



**კისინჯერის წერილის ერთობ ნერვულმა ტონალობამ (შესაძლოა, მან პროცესების კონტროლიდან გასვლის რეალური საფრთხე იგრძნო), მასში აღწერილი პრობლემების სიმწვავემ და სხვა პუბლიკაციებმა ამავე თემაზე, შეიძლება დაგვაფიქროს, რომ ძია სემმა სავსებით გააცნობიერა, რომ მორიგ განსაცდელში შეტოპა**

**ამერიკელებს ძალიან ბევრი რესურსი და შინაგანი ენერგია აქვთ, თუმცა პარადოქსულად, როგორც კი ხელს არა «ნგრევას», არამედ «შენებას» ჰკიდებენ, გლობალური წესრიგის ფორმირება იქნება თუ ცალკეული ქვეყნების ტრანსფორმირება, მსოფლიო თითქოსდა უნიჭო მოქანდაკის სახელოსნოში ხვდება, სადაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ ძალიან უშნო ქანდაკებები დგას — ამაზრზენი ლათინოამერიკული და აზიური რეჟიმები; სულ ახლახან ამ «არაჩვეულებრივი გამოფენის» ექსპონატი სააკაშვილის რეჟიმი გახდა**

**◀ქანდაკის სახელოსნოში ხვდება, სადაც ერთმანეთის გვერდი-გვერდ ძალიან უშნო ქანდაკებები დგანან — ამაზრზენი ლათინოამერიკული და აზიური რეჟიმები; სულ ახლახან ამ „არაჩვეულებრივი გამოფენის“ ექსპონატი სააკაშვილის რეჟიმი გახდა.**

დღეს მსოფლიოში ორი ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება არსებობს — გულწრფელი მადლიერება „ამერიკელი მოკავშირეების“ მიმართ, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ ნორმანდიასა და გუადალკანალზე, აშენებდნენ გზებს ჯუნგლებში, მკურნალობდნენ ბავშვებს, იცავდნენ დისიდენტებს და ასეთივე გულწრფელი სიძულვილი „ამერიკელი იმპერიალისტების“ მიმართ, რომლებიც ხოცავდნენ მშვიდობიან მოსახლეობას ვიეტნამსა და ავღანეთში, წოვდნენ სისხლს „მესამე სამყაროს“ ეკონომიკებს, თვალს ხუჭავდნენ სატელიტი დიქტატორების წარმოუდგენელ არაკაცობაზე. ეს ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა აშშ-ის მიმართ, ხშირად შეიძლება არა მხოლოდ რომელიმე ერთი ერის, არამედ ერთი ადამიანის დამოკიდებულებაშიც კი დაფიქსირდეს. **ხანდახან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ყოველივე ამას აკეთებდა არა ერთი, არამედ ორი სხვადასხვა სახელმწიფო, თუმცა არანაირი „ორი ამერიკა“ არ არსებობს; „ამერიკა, რომელიც უყვართ“ და „ამერიკა, რომელიც სძულთ“, ერთი და იგივე ქვეყანაა; კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ასეთი მძაფრი და ურთიერთგამომრიცხავი გრძნობები, ალბათ, არავის გამოუწვევია.** ყველაზე კარგად გამანადგურებელ (ეფექტური საგარეო პოლიტიკის გატარებისთვის ხელისშემშლელ) დისონანსს ამ ორ დამოკიდებულებას შორის თავად ამერიკელები გრძნობენ და შეძლებისდაგვარად თავის გამართლებას ცდილობენ.

**„აზრი იმის თაობაზე, რომ იარაღის მიმწოდებელი შეიძლება აკონტროლებდეს მის მიმღებს, რომ პატრონი იმპერია შეიძლება აკონტროლებდეს კლიენტს „მესამე სამყაროში“ მუდმივი ამერიკული შეცდომაა,** — წერდა ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ამერიკელი ისტორიკოსი **არტურ შლეზინგერი. — ამ შეცდომამ, გაუგებარია როგორ, გაუძლო მწარე გამოცდილებას, რომელიც 40-იანებში ჩინეთში და 60-იანებში ვიეტნამში მივიღეთ. როგორც კი პატრონი პირობას დებს, რომ კლიენტს მისი მიზნების მიღწევაში დაეხმარება, მისი გავლენის საშუალებები სუსტდება. დღეს პატრონმა საკუთარ თავს უმაღლესი სანქციის უფლება, კლიენტისთვის დახმარების შეწყვეტა, წაართვა. მიიღებს რა ერთხელ ამერიკულ დახმარებას, კლიენტი ველარ ხედავს მიზეზს, რომლის გამო უნდა წავიდეს დათმობებზე ადგილობრივ ჯგუფებთან, რომლებიც დემოკრატიულ ცვლილებებსა და პოლიტიკურ პროცესში საკუთარი თავის ჩართვას მოითხოვენ. ამის ნაცვლად, მათ მარქსისტებს (ეს ტექსტი 1986-ში გამოქვეყნდა) უწოდებს და ამერიკელების მდუმარე თანხმობით თავს ესხმის“.**

**„კლიენტი აგდებით უყურებს პატრონს, რომელიც ასე იოლად გაასულელა“,** — აღნიშნავს შლეზინგერი და დასძენს, რომ **„80-ანი წლების ამერიკული „იმპერიის“ ყველაზე ცუდი გამოვლინებები, ამერიკელების გამოუსწორებელი მინდობისა და ამპარტავნების შედეგია, რომლითაც თაღლითები „მესამე სამყაროდან“ ასე მოხდენილად სარგებლობენ“.**

მიუხედავად იმისა, რომ შლეზინგერმა თავისი „ამერიკული ისტორიის ციკლები“ ჯერ კიდევ „ცივი ომის“ დროს დაწერა, ძალიან ძნელია ამერიკელი ავტორის ტექსტის პოვნა, რომელიც აშშ-ისა და სააკაშვილის ხელისუფლების ურთიერთობებს უკეთ მიესადაგება; თუმცა, შესაძლოა, პრობლემა კიდევ უფრო სერიოზულია და ამერიკული ხასიათის ცალკეულ თავისებურებებს სცდება.

ვიდრე საუბარს გავაგრძელებთ, ალბათ, აშშ-თან დაკავშირებით სიტყვა „იმპერიის“ გამოყენებაზე უნდა შევთანხმდეთ. ჯორჯ ვაშინგტონი და ჯეიმს მედისონი მას ზედმეტი ორჭოფობის გარეშე წარმოთქვამდნენ, მას, აგრეთვე, იყენებენ ბჟეზინსკი და სხვა ავტორები, როდესაც აღწერენ ნეგატიურ სცენარებს, აშშ-ისთვის, რომელიც ყოვლისმომცველი გლობალური დომინირების გზას დაადგება. შლეზინგერმა ის ერთობ ირონიულად ბრჭყალებში ჩასვა. ცსს-ს ვეტერანი და საკმაოდ საინტერესო ექსპერტი **პოლ პილარი** წერს, რომ **„აშშ იქცევა, როგორც იმპერია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას ნეოკონსერვატორები აკონტროლებენ“,** იქვე კითხულობს: **„რა ხდის იმპერიებს წარმატებულს?“** და გერმანელი მეცნიერის, **ჰერფრიდ მიუნკლერის,** მოსაზრება მოჰყავს იმის თაობაზე, რომ **წარმატებული ის იმპერიები გამოდგნენ, რომლებმაც დროულად გააცნობიერეს, რომ ექსპანსია უნდა შეაჩერონ და ყურადღება აღარ მიაქციონ „ბარბაროსობას“ იმპერიული სივრცის ფარგლებს გარეთ, იმ გამონაკლისების გარდა, როდესაც საქმე უსაფრთხოებას ეხება. „თანამედროვე სამყაროში ამის გაკეთება უფრო რთულია,** — წერს მიუნკლერი, — **ძნელია უარის თქმა იმპერიალისტური, ცივილიზებული, ჰუმანიტარული ღირებულებების გამავრცელებელ მისიაზე, რომელსაც იმპერიის იდენტურობა ეფუძნება, ისე, რომ მოსახლეობამ და მეზობლებმა ეს დაცემის ნიშნად არ ჩათვალონ. დღეს აშშ-ის წინაშე სწორედ ეს დილემა დგას“.**

## განუსაზღვრელობის ზღვარი

ჩვენ, სავარაუდოდ, მთავარ პრობლემას მივუახლოვდით, თუ ტერმინს რომაელებისგან ვისესხებთ, ეს „ლიმესის“ პრობლემაა, იმ გამყოფი, დამცავი ზღუდის, რომელიც იმპერიული კონტროლის სივრცეს დანარჩენი სამყაროსგან ყოფს. მისი წარმოდგენა, მხოლოდ გეოგრაფიულ სივრცეზე აგებული ბარიერის სახით, ალბათ, შეცდომაა. XXI საუკუნეში ეს უფრო „უხილავი ლიმესების“ მთელი სისტემაა — პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, კულტურულ და ა. შ. სფეროებში. თუ საფუძვლად მიუნკლერის იდეას ავიღებთ, შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ ლიმესის დროული მოძებნა „ამერიკული სივრცის“ ხანგრძლივი წარმატებული განვითარების საწინდარია, ხოლო მისი უგულვებელყოფა მის სწრაფ დაცემას მოასწავებს. დღეს ამერიკული ლიმესი აშკარად დაფიქსირებული პრაქტიკულად არსად არის, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე გააზრებულია, მეტიც: მას ამერიკელი ავტორების ნაშრომებში თავისებური შეგრძნება ან სულაც წინათგრძნობა უკავშირდება.

**მიუხედავად იმისა, რომ, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველო ეგვიპტეზე ნაკლებს „იწონის“, მისგან განსხვავებით, „ცივი ომის ზონაში“ იმყოფება. ეს ზონა, ხსენებული ომის დასრულების მიუხედავად, პარადოქსულად ჯერ კიდევ არსებობს რუსეთისა და ჩინეთის საზღვრების პერიმეტრზე; მასში კონტროლსა და სტაბილურობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, ცხადია, დემოკრატიისა და სამართლიანობის ხარჯზე. აქ იმის ალბათობა, რომ ვაშინგტონი სატელიტი რეჟიმის წინააღმდეგ წავა, შედარებით მცირეა, რაოდენ მახინჯიც არ უნდა იყოს ის, რადგან, ისევე როგორც ეგვიპტეში „ნიქსონიდან კლინტონამდე“, ქვეყანაზე კონტროლის დაკარგვას უფრთხის. თუმცა, მეორე მხრივ, სააკაშვილის რეჟიმი არა უსაფრთოხოებისა და სტაბილურობის, არამედ კრიზისების მუდმივ გენერაციას ახდენს. მისი დღევანდელი ტაქტიკა ამერიკელ პარტნიორებთან ურთიერთობაში, ფაქტობრივად, უარესი დესტაბილიზაციის საფრთხით შანტაჟს ეფუძნება.**

ტაქტიკური თვალსაზრისით, ქართული ოპოზიცია მოწადინებული უნდა იყოს, ამერიკელ პარტნიორებს უჩვენოს, რომ მას აქვს საკმარისი ძალა ქვეყანაზე ეფექტური კონტროლი დაამყაროს, ხოლო სააკაშვილს — არ აქვს (ამის გარეშე ამერიკელები ხელს არ შეუწყობენ ხელისუფლების შეცვლას, მეტიც, შეიძლება აქტიურად შეეწინააღმდეგონ მას). აგრეთვე, მან უნდა აჩვენოს, რომ შეუძლია უზრუნველყოს ეროვნული თანხმობა, როგორც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობა, თანაც ისეთი მეთოდებით, რომლებიც კისინჯერის მიერ აღწერილი „იდეალისტების“ (ალბათ, უფრო მიზანშეწონილია მათ „წინდახედული პრაგმატიკოსები“ ვუწოდოთ) აღშფოთებას არ გამოიწვევს.

**სტრატეგიული თვალსაზრისით, ოპოზიციურმა ძალებმა, თუ ხელისუფლებაში მოვლენ, ამერიკელ პარტნიორებთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობა უნდა შემოიტანონ, საქართველოში ლიმესი** (ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „კონტროლის ზღვარი“) **მოაძებნინონ, გაათავისუფლონ ისინი მუდმივი ჩარევისგან მიკრომენეჯმენტში და იმ პოლიტიკისგან, რომელიც სააკაშვილის მმართველობის წლებში ჭირვეული ბავშვის მოვლას მოაგონებდა.** ნუ დაგვავიწყდება, რომ, მთელი თავისი ძლიერების მიუხედავად, ისინი დღეს ძიების პროცესში, მსოფლმხედველობის კრიზისის მიჯნაზე იმყოფებიან და ქართველი პარტნიორების გონიერებას, ალბათ, დააფასებენ. **ორივე მხარე დაიღალა დღევანდელი პრაქტიკით, როდესაც ამერიკელები საქართველოში თითქოსდა ყველაფერს, მაგრამ ამავე დროს თითქმის არაფერს აკონტროლებენ, ის უსარგებლო და დესტრუქციულია — თავის ლოგიკურ განვითარებაში ის, დიდი ალბათობით, საქართველოს სამხრეთ ვიეტნამის ან, რაც უფრო სავარაუდოა, ნიკარაგუა-სალვადორის გამოცდილების გამეორებამდე მიიყვანს.**

**საქართველოში ამერიკული ლიმესის განსაზღვრა და დაფიქსირება, ალბათ, მთავარი წინაპირობაა იმისთვის, რომ ახალი ხელისუფლება უფრო ამბიციურ ამოცანას შეეჭიდოს — თანდათან გაიყვანოს ქვეყანა „ცივი ომის ზონიდან“ და ის, განსხვავებული გეოპოლიტიკური მისწრაფებების მქონე გლობალური ძალების თანამშრომლობის თუ არა, ურთიერთგაგების სფეროდ გადააქციოს.** თუ კვლავინდებურად კონფრონტაციის არენად დავრჩებით, მარტივად რომ ვთქვათ, უარესად გავიჭყლიტებით, ამერიკასა და რუსეთს შორის, რომელთაც ადრე თუ გვიან სამხრეთ კავკასიაში ჩინეთი შეუერთდება (არ უნდა დაგვავიწყდეს რეგიონული მოთამაშეების ამბიციებიც). ამის მიღწევა იოლი არ იქნება, თუმცა ქვეყნის მდგომარეობის პრინციპული გაუმჯობესების სხვა გზა, უბრალოდ, არ ჩანს. **ალბათ, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მომავალში ჩვენ განგვსჯიან არა იმის მიხედვით, თუ რას დავანგრევთ, არამედ იმის მიხედვით, თუ რას ავაშენებთ.** ცხადია, თქმული არ ნიშნავს, რომ დასანგრევი (საქართველოში იქნება, ეგვიპტეში თუ სადმე სხვაგან) არ უნდა დაინგრეს.

**დიმიტრი მონიავა**



**სააკაშვილის რეჟიმი არა უსაფრთოხოებისა და სტაბილურობის, არამედ კრიზისების მუდმივ გენერაციას ახდენს. მისი დღევანდელი ტაქტიკა ამერიკელ პარტნიორებთან ურთიერთობაში, ფაქტობრივად, უარესი დესტაბილიზაციის საფრთხით შანტაჟს ეფუძნება**

ჩელიგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ შეიძლება სასულიერო პირმა პოლიტიკურ აქციაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან შემდეგ გამოჩნდება სხვა სასულიერო პირი, რომელიც სხვა პოლიტიკურ ძალას დაუჭერს მხარს და დაპირისპირება უკვე სამღვდელოებას შორის დაიწყება, რომელსაც აუცილებლად აჰყვება მრევლი. ეს კი ეკლესიაში დიდ შფოთსა და განხეთქილებას გამოიწვევს. ვფიქრობ, რომ დღეს სწორედ ამ დაპირისპირების პროვოცირება ხდება.“**



## მამა დავითი (ისაკაძე):

# რამდენიმე ათეულ სასულიერო პირს საპყრობილეში შესვლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალეს

**ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის როლსა და ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ წმიდა მარინეს ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი დავითი (ისაკაძე) ესაუბრება.**

**— მამაო, მოგეხსენებათ, ქვეყანაში წინასაარჩევნო მღელვარებაა. ქვეყნისთვის ასეთ დაძაბულ ვითარებაში რა როლის შესრულება შეუძლია ეკლესიას?**

— უპირველეს ყოვლისა, მინდა აღვნიშნო, რომ ეკლესია აპოლიტიკურია, თუმცა ის მოვლენები, რომლებიც ქვეყანაში ვითარდება, ბუნებრივია, თითოეულ სასულიერო პირს ისევე აღელვებს, როგორც ნებისმიერ ადამიანს. ამიტომ ჩვენ შემდეგი თვალსაზრისით უნდა ვიხელმძღვანელოთ: **თითოეული ადამიანისთვის მთავარი უნდა იყოს მართალი სარწმუნოება და ეროვნული ცნობიერება. მართალ სარწმუნოებაში მოიაზრება როგორც აღმსარებლობა, ასევე ნებისმიერი ის ფასეულობა, რომელიც ძვირფასია მორწმუნე ადამიანისთვის, ნებისმიერი ქართველისთვის. სწორედ აქედან გამომდინარე, ვლინდება ჩვენი დამოკიდებულება ამა თუ იმ მოვლენისადმი.**

ჩვენ ვხედავთ, როგორ ირღვევა ქვეყანაში მართლმადიდებლების უფლებები, რასაც უკვე არაერთი ფაქტი ადასტურებს. მაგალითად, ფერიის მთაზე ეკლესიის ნგრევა, ბაგრატის ტაძართან დაკავშირებით გაჩაღებული კამპანია (რაც ბაგრატის ტაძრის შეურაცხყოფა იყო, სხვა სიტყვა რთულია მოძებნო), რვა მართლმადიდებელი ახალგაზრდის დაჭერა აღმსარებლობის გამო. **ეს ბიჭები მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ მათ საკუთარი სარწმუნოება, ოჯახური სიწმინდე, ტრადიციები დაიცვეს, გააპროტესტეს რა ღვთის გმობა, ღვთისმშობლის შეურაცხყოფა.** რადგან ის ავადსახსენებელი დეისაძის ე.წ. წიგნი ჩვენი რწმენის და ტრადიციების შეურაცხყოფას ნიშნავდა. ეს არის სახე იმ ადამიანებისა, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში გვევლინებიან. არადა, გვაჩვენებენ პირიქით, თითქოს რელიგიური უმცირესობების უფლებები ილახებოდეს.

ასე რომ, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებს აღვნიშნავთ და ვამხელთ, ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ რომელიმე პოლიტიკური პარტიის მხარდამჭერები ვართ?

**— უნდა ერეოდეს თუ არა სასულიერო პირი პოლიტიკაში, აქვს თუ არა ეკლესიის მსახურს საკუთარი პოლიტიკური სიმპათიისა და პოზიციის გამოხატვის უფლება?**

— ეს ძალიან ფაქიზი საკითხია. **სასულიერო პირმა, რომელიც აშკარად უჭერს მხარს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, მომავალში შეიძლება ხალხისგან მხილება მიიღოს. რადგან შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მან მხარი დაუჭირა ისეთ პოლიტიკურ პარტიას, რომელიც, გამარჯვების შემთხვევაში, ანტიეკლესიურ და ანტიეროვნულ საქმიანობას განახორციელებს. ამიტომ, თუნდაც ამ თვალსაზრისის გამო, სასულიერო პირი პოლიტიკური პარტიის მხარდაჭერას უნდა მოერიდოს. ამას გარდა, ყველა პარტიაში არსებობს ეკლესიის მრევლი და, როდესაც ადამიანი დაინახავს, რომ სასულიერო პირები დგებიან სხვა პოზიციაზე, ბუნებრივია, მას გაუჩნდება წუხილი და გულისტკენა და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ამის გამო მან ეკლესიაც კი დატოვოს.**

სასულიერო პირებმა უნდა ამხილონ ყოველგვარი ანტიეკლესიური და ანტიეროვნული გამოვლინება, ეს აუცილებელია. აქვე იმასაც გეტყვით, რომ მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლები არ სჩადიან ასეთ ქმედებებს, ოპოზიციის წარმომადგენლებსაც ბევრჯერ გამოუმჟღავნებიათ თავიანთი ქმედებებით ანტიეროვნული ან ანტიეკლესიური ცნობიერება, თუმცა ახლა არ დავკონკრეტდები, რათა არ ჩავერთო იმ დაპირისპირებაში, რომელიც ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მიმდინარეობს.

**არ შეიძლება სასულიერო პირმა პოლიტიკურ აქციაში მიიღოს მონაწილეობა, რადგან შემდეგ გამოჩნდება სხვა სასულიერო პირი, რომელიც სხვა პოლიტიკურ ძალას დაუჭერს მხარს და დაპირისპირება უკვე სამღვდელოებას შორის დაიწყება, რომელსაც აუცილებლად აჰყვება მრევლი.** ეს კი ეკლესიაში დიდ შფოთსა და განხეთქილებას გამოიწვევს. ვფიქრობ, რომ დღეს სწორედ ამ დაპირისპირების პროვოცირება ხდება.

**— მამაო, ვინ ცდილობს დაპირისპირების პროვოცირებას?**

— უპირველეს ყოვლისა, დემონი და მისი მიმდევარი ადამიანები. ეს არის ლეგიონი, როგორც წმინდა წერილი ამბობს. ძალიან ბევრნი არიან...

**— თქვენ ტელეკომპანია „კავკასიაში“ მომხდარი ინციდენტი ახსენეთ. რატომ ვერ მოხერხდა დაპატიმრებული რვა ბიჭის გათავისუფლება? თქვენ იმყოფებოდით ორი წლის წინ ტელეკომპანიის შენობაში და მოვლენების თვითმხილველი ხართ, რატომ დააპატიმრეს ისინი?**

— დაახლოებით 35 სასამართლო პროცესი ჩატარდა და მე ყველა სასამართლო პროცესს ვესწრებოდი. პროკურატურამ წარმოადგინა ვიდეოკადრები, რომლებიც დაახლოებით 12 საათს მოიცავდა და ერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა, გინებაც კი ამ ბიჭების მხრიდან არ ყოფილა.

**— ვინ იყო დაინტერესებული მათი დაპატიმრებით?**

— ვინც ეკლესიასა და ეროვნულ ცნობიერებას ებრძვის. ოთხი მღვდელმთავარი, ასევე საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები ითხოვდნენ მათ გათავისუფლებას. **პატრიარქმა მეორე დღესვე მოინახულა ისინი, არაერთგზის სთხოვა შესაბამის ორგანოებს და, ალბათ, პირველ პირსაც მათი გათავისუფლება, მაგრამ ამაოდ. ისინი რელიგიური პატიმრები, რწმენისთვის დაპატიმრებული ადამიანები არიან. როდესაც მოსამართლეს განაჩენი გამოჰქონდა, ბიჭები განაჩენს გალობით შეხვდნენ.**

**— მამაო, თქვენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ნახულობთ პატიმრებს. რაიმე დაბრკოლება ხომ არ გხვდებათ ციხეში შესვლისას და რა მდგომარეობაში იმყოფებიან პატიმრები?**

— ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე ათეულ სასულიერო პირს, საპყრობილეში შესვლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე აუკრძალეს. როდესაც მათ იკითხეს, თუ რატომ არ უშვებდნენ, უპასუხეს, შესაბამის უწყებაში გაარკვიეთო, მაგრამ სასჯელაღსრულების სამინისტროდან მათ პასუხი ვერ მიიღეს. უახლოეს მომავალში ეკლესია ამასთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს.

პატიმარს ისიც ეყოფა, რომ ის დაპატიმრებულია. არ შეიძლება მისი შეურაცხყოფა, ცემა. თუმცა უნდა აღვნიშნო, რომ ციხის ზედამხედველებს შორისაც არიან ღირსეული ადამიანები, მაგრამ თავად სისტემაა უსამართლო. სიმართლე გითხრათ, პატიმრები ვაჟკაცი ადამიანები არიან და ისინი არ წუწუნებენ ჩემთან. როგორც წესი, ჩვენ ამ თემებზე არ ვსაუბრობთ ხოლმე. ისინი აღსარებას მაბარებენ და ვაზიარებ, რაც მათთვის დიდი ნუგეშია.

**უამრავი პატიმარი გვყავს ქვეყანაში, რაც ერისთვის კატასტროფაა. საქართველო პატიმრების რაოდენობით — ევროპაში პირველ, მსოფლიოში კი მეოთხე ადგილზეა.** ეს იწვევს უამრავი ოჯახის დანგრევას. მე ვთხოვდი ხელისუფლებას, გაითვალისწინოს ეს ყველაფერი, რადგან შემდეგში ეს ბუმერანგივით დაუბრუნდება ჩვენს ქვეყანას და, **თუ ჩვენს ხელისუფალს მართლაც უყვარს და არ სძულს თავისი ხალხი, აუცილებლად უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები და ბევრი პატიმარი გაათავისუფლოს. ეს სულელური სასჯელის შეკრებითობის პრინციპი მოიხსნას და გათავისუფლდეს ამდენი პრობაციონერი, რომლებიც ხელისუფლების მძევლები არიან, სხვა სახელს ვერ დავარქმევ. თავად ვესწრებოდი სასამართლო პროცესებს და შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად უსამართლო სასამართლო გვაქვს. დღეს სასამართლო ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს.**

**— ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ზოგიერთები ხშირად სდებენ ბრალს ჰომოფობიასა და ქსენოფობიაში. თქვენი მისამართითაც არაერთხელ გვსმენია საყვედურები.**

— ეს ტერმინები მხოლოდ საქართველოში არ ისმის. ამ ტერმინებს იყენებენ საბერძნეთში, სერბეთში, რუსეთში, ანუ ყველა მართლმადიდებლურ ქვეყანაში მართლმადიდებლების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს არის მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული თავისებური ცილისმწამებლური კამპანია. როგორ შეიძლება ჩვენ ქსენოფობები ვიყოთ, როცა, თუნდაც მე, მრევლში თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენელი მყავს, რომელთაგან ზოგი საქართველოში, ზოგი კი საზღვარგარეთ ცხოვრობს და მათთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს?! თანაც ისინი ჩემი სულიერი შვილები არიან. **ვერც ერთი ეროვნების წარმომადგენელი ვერ იტყვის, რომ საქართველოში რომელიმე სასულიერო პირმა მათ რაიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. პირიქით, კი ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა.**

ბოლნისის რაიონის სოფელ ფახრალოში მეჩეთის უკანონოდ მშენებლობა მიმდინარეობდა. ჩვენ ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, გავაპროტესტეთ. იქ ერთ-ერთი აზერბაიჯანელი ჟურნალისტი მოვარდა და მეუბნება, შენ აქ რა გინდა, რისთვის ჩამოხვედიო. მე ვუთხარი, მე ქართველი ვარ, ეს საქართველოა და მე მეუბნები მაგას, აქ რისთვის ჩამოვედიმეთქი? აი, სანამდე მიდის ზოგიერთის თავხედობა.

**საქართველოში უამრავი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და ისინი თავს მშვენივრად გრძნობენ, მაგრამ, აბა, ნახეთ, რა ხდება საინგილოში, რა მდგომარეობაში არიან ინგილო ქართველები. ჩვენ კი ვართ ასეთი ტოლერანტულები, მაგრამ, სამწუხაროდ, სხვები არ არიან...**

**— ცოდვის წინააღმდეგ ბრძოლა გამორიცხავს თუ არა ძალადობას, თუნდაც ეს ბრძოლა სამართლიანი იყოს?**

— აგრესია არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული. ჩვენ ვგმობთ აგრესიას. პირიქით, ჩვენ მიმართ არიან აგრესიულები, როცა ლახავენ ჩვენს უფლებებს. რა ფაქტებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ, ფერიის მთაზე ეკლესიის ნგრევა თუ სარწმუნოებისთვის ბიჭების დაჭერა, ამის დასადასტურებლად ესეც საკმარისია. სწორედ ეს არის მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული აგრესია და მე არ ვიცი, რომელიმე სასულიერო პირს რაიმე აგრესიული ჩაედინოს. სოდომგომორის ცოდვის ქადაგებას კი ჩვენ, ბუნებრივია, ყოველთვის შევეწინააღმდეგებით.

**— კიდევ ერთი საკითხი, რომელიც საზოგადოებას აღელვებს, ID ბარათს უკავშირდება. მიუხედავად წმინდა სინოდის განჩინებისა, რომ ID ბარათი არ წარმოადგენს ანტიქრისტეს ბეჭედს, ზოგიერთმა სასულიერო პირმა მაინც დასაჯა მრევლი უზიარებლობით. რატომ გაჩნდა ეკლესიაში აზრთა სხვადასხვაობა ამ საკითხთან დაკავშირებით?**

— არსებობს ეკლესიის სწავლება, რომელსაც ყველა მღვდელმსახური და ერისკაცი უნდა დაემორჩილოს. ეკლესიის სწავლება კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: ანტიქრისტე პირდაპირ მოითხოვს თაყვანისცემას, ისევე, როგორც პირველ საუკუნეებში ზოგიერთი წარმართი იმპერატორი პირდაპირ ითხოვდა ქრისტიანებისგან, თაყვანი ეცათ წარმართული კერპებისთვის, ასევე იქნება ანტიქრისტეს შემთხვევაშიც. **ID ბარათი — ეს არის მოსამზადებელი ეტაპი ანტიქრისტეს მოსვლისთვის. ასევე, ეს არის საშუალება ადამიანის სრული გაკონტროლებისა.**

**— თუმცა, წმინდა სინოდის განცხადების შემდეგ, ბევრმა ჩათვალა, რომ როგორც ზოგიერთ შემთხვევაში, საპატრიარქო ამჯერადაც დათმობაზე წავიდა ხელისუფლებასთან და აღნიშნული გადაწყვეტილებაც სწორედ ამით აიხსნება.**

— თუ კონკრეტულად დავსვამთ საკითხს, **არის თუ არა ეს ID ბარათი ანტიქრისტეს ნიშანი, ეკლესია ამბობს, რომ ეს არ არის ანტიქრისტეს ნიშანი და ამ შემთხვევაში, სინოდმა ზუსტი და სწორი პასუხი გასცა კითხვას.** თუმცა, ასევე სინოდის სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ვითხოვთ, ალტერნატიული საშუალება დაუშვას სახელმწიფომ, როგორც ეს არის ბევრ ქვეყანაშიო. ზოგიერთმა ქვეყანამ საერთოდ არ მიიღო ეს ბარათები.

საფრთხე, რა თქმა უნდა, არსებობს. რატომ უნდა მაკონტროლონ? ვის რა უფლება აქვს? ჩიპზე არის მთელი ინფორმაცია ჩვენ შესახებ. სხვათა შორის, ამერიკელებს აქვთ დოკუმენტური ფილმი გადაღებული, რომელშიც არის ეპიზოდი, როცა პიროვნება, სპეციალური მოწყობილობის წყალობით, უბრალო შეხებით, პასპორტში არსებული ჩიპიდან მთელ ინფორმაციას იგებს. ასე რომ, ამ ყველაფერს შესაძლოა სერიოზული კრიმინალური გართულებებიც მოჰყვეს. სხვათა შორის, **თავად ამერიკელებიც აკრიტიკებენ და არ მოსწონთ ID ბარათები.**

**— საზოგადოებაში გაჩნდა კითხვა: რატომ არ ესწრებოდა პატრიარქი ბაგრატის ტაძარზე ჯვრის აღმართვის ცერემონიალს და დასრულდა თუ არა ყველა წესის დაცვით ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია?**

— აღნიშნული მიზეზების შესახებ ჩემთვის დანამდვილებით არ არის ცნობილი, მაგრამ ფაქტია, რომ მიმდინარეობდა ბაგრატის ტაძრის პროფანაცია. სურდათ ტაძრის იერსახის შეცვლა და ლიფტის მოწყობა და ა. შ. მე რამდენადაც ვიცი, ეს პროცესი შეჩერდა და დარჩა ის პირვანდელი ვარიანტი, რომელიც საქართველოს საპატრიარქოსთან იყო შეთანხმებული. რადგან **ბაგრატის ტაძარიც და სხვა ნებისმიერი ეკლესიაც არის საქართველოს ეკლესიის პატრონობის ქვეშ და ხელისუფლებას არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია, ჩაერიოს მის მშენებლობასა თუ მართვა-გამგეობაში.**

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

„თუ სტატისტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ქართულ ციხეებში პატიმრების სიკვდილიანობის შემთხვევები გახშირდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 600-ზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა: შარშან — 140, ხოლო 2010 წელს — 142 მსჯავრდებული. თუ 2012 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს გავითვალისწინებთ, წელსაც იგივე ტენდენცია შენარჩუნდა.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უჩა ნანუაშვილი:

# ნულოვანი ტოლერანტობა გრძელდება, ციხეში შესული ადამიანი განწირულია!

**სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრებისადმი არაჰუმანური მოპყრობისა თუ მსჯავრდებულთა გარდაცვალების გახშირებული შემთხვევების გამო „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ ობიექტურ გამოძიებასა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის, დასჯას ითხოვს. „საქართველო და მსოფლიოს“ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი უჩა ნანუაშვილი ესაუბრა.**





**— ბატონო უჩა, რატომ გახშირდა ბოლო დროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების გარდაცვალების შემთხვევები და რა არის ამის მიზეზი?**

— თუ სტატისტიკას გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ქართულ ციხეებში პატიმრების სიკვდილიანობის შემთხვევები გახშირდა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში 600-ზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა:შარშან — 140, ხოლო 2010 წელს — 142 მსჯავრდებული. თუ 2012 წლის პირველი ნახევრის მონაცემებს გავითვალისწინებთ, წელსაც იგივე ტენდენცია შენარჩუნდა. ეს ციფრი არ არის შემთხვევითი, რადგან ხშირ შემთხვევაში პატიმართა გარდაცვალების მიზეზი ციხის პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულება ხდება. **ავადმყოფ პატიმარს მხოლოდ მაშინ უწევენ სამედიცინო დახმარებას, როცა ის უკვე უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და სულს ღაფავს. მანამდე, ადვოკატის არაერთი შუამდგომლობის მიუხედავად, არანაირი რეაგირება არ ხდება.**

**— ცოტა ხნის წინათ №17 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებული ვალერი ჯაფარიძე გარდაიცვალა. მის უფლებებს „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იცავდა. რა გახდა ამჯერად პატიმრის გარდაცვალების მიზეზი?**

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალიან მძიმე იყო. ამის მიუხედავად, მას არანაირი სამედიცინო დახმარება არ გაუწიეს, რაც საბოლოოდ ვალერი ჯაფარიძის გარდაცვალების მიზეზი გახდა. ადვოკატმა არაერთხელ მიმართა და აცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულებას პატიმრის მდგომარეობა, მაგრამ ამას მათი მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. სამწუხაროდ, ეს ფაქტი არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი იქნება. ციხის ადმინისტრაციის უყურადღებობითა და გულგრილობით, ასეულობით ამგვარი მძიმე შემთხვევა ხდება.

**— რატომ არ უტარდებათ ავადმყოფ პატიმრებს შესაბამისი მკურნალობა, პატიმრების გარდაცვალების გახშირებული ფაქტები ხომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს იმიჯზეც უარყოფითად აისახება?**

— სამწუხაროდ, ეს ყველაფერი სახელმწიფო სისტემის პოლიტიკის შედეგია. ნულოვანი ტოლერანტობა კვლავ გრძელდება. ციხეში შესული ადამიანი, ფაქტობრივად, უკვე განწირულია. პატიმარი ერთგვარი მსხვერპლია და არავინ ფიქრობს მის გამოსწორებასა თუ შემდგომ რეაბილიტაციაზე, რადგან ეს საკითხი სახელმწიფოსთვის დღეს პრიორიტეტული არ არის.

უწყებაში არ არიან დაინტერესებულები, სრულფასოვნად გამოიკვლიონ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუმცა ფაქტია, რომ პრობლემა არსებობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანი ხომ არ გარდაიცვლებოდა? შესაბამისად, **მომხდარი ფაქტების გამო პასუხისმგებლობა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და უშუალოდ მინისტრს ეკისრება.** ხელისუფლება თითოეული პატიმრის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზეა პასუხისმგებელი, ვინაიდან პატიმარს, საკუთარი ჯანმრთელობის დაცვის უფლება კანონით აქვს გარანტირებული. მაგრამ, სამწუხაროდ, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, პატიმრებს არათუ მკურნალობა, შესაბამისი გამოკვლევაც კი არ უტარდებათ.

ზოგადად, **პენიტენციალური სისტემა საზოგადოებისთვის ჩაკეტილია. საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია, რა ხდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში. ციხეში შეღწევას ადვოკატებისა და სახალხო დამცველის გარდა ვერავინ ახერხებს. უფლებადამცველებსაც კი არ გვაქვს მონიტორინგის განხორციელების საშუალება.**

**— დღეს მხოლოდ სახალხო დამცველს აქვს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელების საშუალება. როგორც უფლებადამცველი, სახალხო დამცველის აპარატის მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

— ვფიქრობ, მეტიც შეიძლება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან სახალხო დამცველის ანგარიშიც რეაგირების გარეშე რჩება ხოლმე. სახალხო დამცველის ანგარიშს თუ გადავხედავთ, ანგარიშის დიდი ნაწილი, სწორედ ციხეებში ჯანმრთელობის დაცვის მხრივ არსებულ სავალალო მდგომარეობასა თუ პატიმრების სიკვდილიანობის ფაქტებს ეხება, მაგრამ შედეგი არ ჩანს, ვინაიდან ასეთია დღეს ხელისუფლების პოლიტიკა. **მთლიანად სახელმწიფოში და მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს შორის დაუსჯელობის სინდრომი მოქმედებს. არავინ ისჯება იმის გამო, რომ პატიმარს არ მიაქცია ყურადღება, არ გაუწია სამედიცინო დახმარება, არაჰუმანურად მოეპყრო ან აწამა პატიმარი.**

**— ამის მიუხედავად, თქვენ მაინც დააყენეთ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის, პასუხისმგებლობის საკითხი. ფიქრობთ, რომ შედეგს მიაღწევთ? უფლებადამცველების არაერთ პროტესტს შედეგი დღემდე არ მოჰყოლია, მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე ციხის თანამშრომლების კონკრეტული გვარებიც კი იყო ცნობილი.**

— ჩვენ ვიწყებთ კამპანიას სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის წინააღმდეგ. მან უნდა აგოს პასუხი ყველაფერზე. **ჩვენი ადრესატი არის არა საქართველოს ხელისუფლება, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციები და მე იმედი მაქვს, რომ, არსებული ფაქტებიდან გამომდინარე, ძალიან მალე დადგება ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს ერთი ადამიანი მაინც აგებს პასუხს იმის გამო, რომ სისტემა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა.** რა თქმა უნდა, მხოლოდ ხათუნა კალმახელიძე არ არის დამნაშავე, მაგრამ მისი წვლილი საკმაოდ დიდია და ის არის პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე, თუნდაც პატიმრების სიკვდილზე. მე იმედი მაქვს, მოვა დრო, ყველაფერი სათანადოდ იქნება გამოძიებული და დამნაშავეებიც დაისჯებიან. უახლოეს მომავალში ვაპირებთ, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართოთ.

## «ხშირ შემთხვევაში პატიმრების გარდაცვალების მიზეზი ციხის პერსონალის მხრიდან მსჯავრდებულთა მიმართ გამოჩენილი გულგრილი დამოკიდებულება ხდება»

**— მძიმედ დაავადებულ პატიმარს (მათ შორის ვალერი ჯაფარიძესაც) სასჯელის გადავადება-გათავისუფლების მუხლი ეხება. მოქმედებს თუ არა აღნიშნული მუხლი რეალურად?**

— აღნიშნული მუხლი ქაღალდზე არსებობს, მაგრამ ბოლო წლებში ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო არც ერთი პატიმარი არ გაუთავისუფლებიათ, რადგან ხელისუფლებას არ სურს, შექმნას ქვეყანაში მსგავსი პრეცედენტი, როცა პატიმარს თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ათავისუფლებენ.

**— ასევე პრობლემად რჩება ციხეების გადატვირთულობა. რატომ ვერ გადაიჭრა აღნიშნული პრობლემა თუნდაც 8 წლის განმავლობაში, ხელისუფლებამ ხომ პენიტენციარული სისტემის რეფორმა პრიორიტეტულად გამოაცხადა?**

— მართალია, ხელისუფლებამ ააშენა ახალი საპატიმროები, მაგრამ სანქციები გაიზარდა. გარდა ამისა, სასჯელის შეკრებითობის პრინციპი ამუშავდა, რამაც კიდევ უფრო გაზარდა პატიმრების რაოდენობა. ნებისმიერი მსუბუქი დანაშაულისთვის, პირდაპირ ხდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება და მაინც და მაინც საპატიმროებში თავისუფლების აღკვეთა და არა ალტერნატიული და რაიმე მსუბუქი ღონისძიების გატარება. საქართველოს ციხეებში 25 ათასამდე პატიმარია, მაგრამ გაცილებით მეტია პრობაციონერები. **ხელისუფლება ცდილობს ამ პრობლემის მიჩქმალვას, მაგრამ ჩვენ გვაქვს ფაქტები, რომლებიც მეტყველებს, რომ ხელისუფლება გარკვეული მანიპულაციების მეშვეობით ცდილობს, დაფაროს ეს პრობლემა და ამ მიზნით თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილ კვადრატულ მეტრსაც კი ამცირებს.** თუ, მაგალითად, საქართველოში სტანდარტის მიხედვით თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილი იყო 4 კვ. მეტრი ფართობი, დღეს ეს სტანდარტი ორ კვადრატამდე შემცირდა. შედეგად, თუ სტატისტიკას გადავხედავთ, ყველა საპატიმროში საკმარისი პატიმარია. გამოდის, რომ შემცირდა თითოეული პატიმრისთვის გამოყოფილი ფართობი და ამის ხარჯზე, რეალურად ციხეების გადატვირთულობა ისე საგანგაშო თითქოს აღარ ჩანს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის.

ესაუბრა **შორენა ციკქარაშვილი**

## გატაცებული ბავშვი ოჯახში დაბრუნდა

**ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან გატაცებული 9 წლის ბექა ჭაავა გათავისუფლებულია და საკუთარ ოჯახში იმყოფება.** ამის შესახებ „ლაივპრესს“ ზუგდიდში აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენელმა თორნიკე კილანავამ განუცხადა. მისი ინფორმაციით, უცნობია, ბავშვი გამტაცებლებმა გამოსასყიდის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს თუ მოლაპარაკებების შედეგად. თორნიკე კილანავას თქმით, ბექა ჭაავას ფსიქოლოგიური ტრამვა აქვს მიღებული. 9 წლის ბავშვი ოკუპირებული გალის რაიონის სოფელ ბარღებიდან 14 აგვისტოს შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის წარმომადგენლის ინფორმაციით, ეს კონფლიქტის ზონაში ბავშვის გატაცების პირველი შემთხვევაა.

## სოროსმა «მანჩესტერ იუნაიტედის» წილი შეისყიდა

**ამერიკელმა მილიარდერმა ჯორჯ სოროსმა ინგლისური საფეხბურთო კლუბის — „მანჩესტერ იუნაიტედის“ წილი შეისყიდა.**

**სოროსმა „ა კლასის“ 3,1 მილიონი აქცია იყიდა, რაც ამ ტიპის აქციების 7,85 პროცენტს, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედის“ მთელი კაპიტალის 1,9 პროცენტს შეადგენს.**

„ა კლასის“ აქციებს 10-ჯერ ნაკლები ხმის უფლება აქვს, ვიდრე „ბ კლასისას“, რომლებიც მთლიანად კლუბის მფლობელის – გლეიზერების ამერიკული ოჯახის ხელშია. გლეიზერებმა ამ ოპერაციით 230 მილიონი დოლარი მიიღეს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიძინა ივანიშვილს „რუსულ ფულს“ წამოაძახებენ ხოლმე, მაგრამ სწორედ ამ „რუსული ფულით“ იყო შეხიდებული ეს კეთილშობილი ადამიანი ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართულ სულიერებას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ა. შ.**

## ელჩიბეის მოწამვლის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

**ბაქოს პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ყოფილი პრეზიდენტის, აბულფაზ ალიევის (ელჩიბეის), მოწამვლის მცდელობის გამო.** საქმე პარტია „თანამედროვე მუსავატის“ ლიდერ ჰაფიზ გაჯიევის მიმართვის საფუძველზე აღიძრა, რომელმაც განაცხადა, რომ ელჩიბეი სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე მოწამლეს. ელჩიბეი ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2000 წელს გარდაიცვალა. აზერბაიჯანული მედიის ინფორმაციით, გაჯიევი ბრალს ელჩიბეის თანამებრძოლ ალი კერმილის დებს, რომელიც ამჟამად ოპოზიციური პარტია „სახალხო ფრონტის“ ლიდერია. გამოძიებამ ყოფილ პრეზიდენტთან დაახლოებული რამდენიმე პირი დაკითხა. ელჩიბეის ძმა ალმურად ალიევი აცხადებს, რომ მოწამვლის ვერსიის არ სჯერა, მაგრამ გამოძიების ჩატარების იდეას ემხრობა.



## ჩილეში სტუდენტური საპროტესტო აქციების 139 მონაწილე დააკავეს

**BBC News-ის ინფორმაციით, 17 აგვისტოს ჩილეს პოლიციამ სტუდენტური საპროტესტო გამოსვლების 139 მონაწილე დააკავა. მათ ქვეყნის დედაქალაქ სანტიაგოს სკოლები დაიკავეს, საიდანაც ისინი პოლიციამ ძალის გამოყენებით გაიყვანა. დაკავებას პოლიციასთან შეტაკებები მოჰყვა.** პოლიციამ სტუდენტების წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა, სტუდენტებმა კი, თავის მხრივ, მათ ქვები დაუშინეს. ჩილელი სტუდენტების პროტესტი მთავრობის საგანმანათლებლო პოლიტიკის წინააღმდეგ უკვე რამდენიმე თვე გრძელდება. დემონსტრანტები უფასო და ხარისხიან განათლებას მოითხოვენ.

# კონტრაბანდის ნაციონალური თავისებურებანი



> „ვინც რა არ უნდა ილაპარაკოს, ეს არის ოქროს ეპოქა საქართველოში... არ დავიხიოთ უკან, არ წამოვეგოთ ინტრიგანებს“.
>
> *მიხეილ სააკაშვილი, ახალციხის რაბათის ციხეში წარმოთქმული სიტყვიდან.*



**„წამოვეგეთ ინტრიგანებს“ და დღევანდელი პუბლიკაციით ვაგრძელებთ ელიტური კორუფციის შესახებ საუბარს „ოქროს ეპოქის საქართველოში“, სადაც ერის საკეთილდღეოდ მოღვაწეობენ ჩვენი თანამემამულე სუპერბობოლები.**
**„სუპერი“ ბენზინის უმაღლესი ხარისხის მარკაა, რომელიც საქართველოში არ შემოაქვთ, მაგრამ... იყიდება. ასეა და ამაზეც ვისაუბრებთ. გაკვრით. სუპერბობოლები სხვა განზომილებაა, სხვა სიდიდე, რომელიც საქართველოს ეკონომიკაში ამინდს ქმნის. ასეა მიჩნეული. მაგრამ ექსპერტები იმასაც ირწმუნებიან, კარგად რომ მოჩხრიკო, წვრილმანი ჯიბის ქურდები აღმოჩნდებიან, სახელმწიფოს ჯიბეში ხელის ფათურში დაოსტატებული, ყოფილი „იატაკქვეშა მილიონერების“ ახალი ფორმაცია, კორუფციულ მეცნიერებათა მსოფლიო რეკორდსმენები. კარგად რომ მოჩხრიკო, ბლერო შეგრჩება ხელში — ერთი, ცალკე აღებული, წვრილმანი კონტრაბანდისტი, იტალიური ნეორეალისტური კინოს ცნობილი კომედიური ფილმიდან „კანონი კანონია“.**

**ყბადაღებულ წარსულში სახელმწიფო მოხელეებიდან კორუფციულ საქმეში გასულები იყვნენ ის ბობოლები, რომლებიც დღეს ყველაზე ხმამაღლა გაყვირიან კორუფციის დამარცხებაზე და აშინებენ ხალხს ძველი დროის დაბრუნებით**

არც ბლერო, არც იტალია, არც კონტრაბანდა შემთხვევით არაა ნახსენები.

ელიტურ ბიზნესში — ნავთობპროდუქტების იმპორტის სფეროში შექმნილი ვითარება შეისწავლა და კიდევ ერთი, სენსაციური, მაშოკირებელი ანალიზი შესთავაზა საზოგადოებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“.

**ჩვენი ერთგული მკითხველი ინფორმირებულია, რომ ამ სფეროში, კერძოდ, აშშ-საქართველოს შორის ვაჭრობაში არსებული კოლოსალური დარღვევების შესახებ პირველად ალაპარაკდა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ეკონომიკის საკითხების ექსპერტი შალვა მექვაბიშვილი** (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ №31 „დემოკრატიის შუქურამ“ ამერიკას მილიარდ 900 მილიონი დოლარი „მოუტეხა“).

**ზემოთ მინიშნებულმა ნაშრომმა განავრცო საზღვრები და „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ თავის კვლევაში, რომლის სახელწოდებაა „კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში“, იტალია-საქართველოს და ბულგარეთ-საქართველოს საგარეო ვაჭრობაში შექმნილი ვითარება გამოიტანა სამზეოზე.**

**კვლევის ერთ-ერთი ავტორის, ნათია კუტივაძის, ცნობით, აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება, ერთის მხრივ, იტალიის საბაჟო სამსახურისა და, მეორე მხრივ, საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ დაფიქსირებულ, ჩვენს ქვეყანაში შემოტანილ საწვავის რაოდენობათა შორის.**

**ჯერ ციფრები:**

იტალიის საბაჟო სამსახურის ინფორმაციით, **2009 წელს** იტალიიდან საქართველოში განხორციელდა **40 მილიონი ლიტრი** ბენზინის იმპორტი, საქართველოს იმავე სამსახურმა დააფიქსირა **19,74 მილიონი ლიტრი** *(იხ. სქემა №1).*

**შალვა მექვაბიშვილის კომენტარი:**

— ეს ნიშნავს, რომ განხორციელდა ელემენტარული კონტრაბანდა. 20,3 მილიონი ლიტრის აღურიცხაობა ნიშნავს, რომ საბაჟო დეპარტამენტის კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტმა დღგ-სა და აქციზის სახით დაკარგა **9 მილიონი** ლარი. ბენზინის შემომტანმა კი პირიქით, — **20 მილიონ** ლარზე მეტი იხეირა.

**ისევ ციფრები:**

**2010 წელს** იტალიის მხარემ დააფიქსირა **37,85 მილიონი ლიტრი** ბენზინის იმპორტი, საქართველოს მხარემ — **20,13 მილიონი ლიტრი** *(იხ. სქემა №2).*

**შალვა მექვაბიშვილის კომენტარი:**

— ამ ოპერაციის შედეგად, კვლავ მარტო საბაჟო დეპარტამენტის კუთხით სახელმწიფო ბიუჯეტმა იმავე აქციზისა და დღგ-ს სახით **7,9 მილიონი** ლარი იზარალა. ვინ ჩაიჯიბა **17 მილიონ** ლარზე მეტი, ცხადზე უცხადესია.

**2011 წლის** მონაცემე-

**სქემა №1**

იტალიიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2009 წელს (მლნ ლიტრი)




**სქემა №2**

იტალიიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2010 წელს (მლნ ლიტრი)




**სქემა №3**

იტალიიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2011 წელს (მლნ ლიტრი)




მსოფლიო

## ახალ ორლეანში უცნობმა პოლიციელებს ესროლა

**Associated Press-ის ინფორმაციით, ლუიზიანას შტატის ქალაქ ახალ ორლეანში შერიფის ორი თანაშემწე დაიღუპა და ორი დაიჭრა 16 აგვისტოს ატეხილი სროლის შედეგად.** უცნობმა პირმა გაურკვეველი მიზეზით დაუწყო სროლა პოლიციელს, რომელიც გზაზე იდგა. პოლიციელები მანქანას დაედევნენ. მათ ფურგონიდან ეჭვმიტანილები გამოიყვანეს და დაკითხვა დაიწყეს. ამ დროს მესამეც გამოვიდა და პოლიციელებს ესროლა. ორივე პოლიციელი ადგილზე დაიღუპა. პოლიციამ საპასუხო ცეცხლი გახსნა და ხუთი პირი დააკავა. ლუიზიანის გუბერნატორმა 17 აგვისტო შტატში გლოვის დღედ გამოაცხადა.

## ბუნდესვერს ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების ნება დართეს

**სააგენტო France Press-ის ინფორმაციით, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ბუნდესვერს ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების ნება დართო. სააგენტოს შეფასებით, ეს „ისტორიული გადაწყვეტილება“ 17 აგვისტოს იქნა მიღებული.** ნებართვას უამრავი შეზღუდვა ახლავს: სამხედროებს ფრონტის გაშლა მხოლოდ კატასტროფული მასშტაბის საგანგებო ვითარებაში შეუძლიათ, ხოლო იარაღის გამოყენებას მთავრობის ნებართვა სჭირდება. გარდა ამისა, სამხედროებს არავითარ შემთხვევაში არა აქვთ უფლება, ძალა დემონსტრანტების წინააღმდეგ გამოიყენონ.

# აი, „ნაციონალური მოძრაობა“ კი დღესაც იმ წარსულშია ჩარჩენილი, ოღონდ ელიტური კორუფციის შეუდარებლად გაზრდილი მოცულობითა და მასშტაბით. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა კვლევებმა ეს ფაქტებით დაადასტურა.

ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ბის სხვაობა **12,5 მილიონი ლიტრია** *(იხ. სქემა №3).*

**შალვა მექვაბიშვილის კომენტარი:**

— ამ წელს საქართველოს ბიუჯეტმა იზარალა 5,6 მილიონი ლარი. მათ კი, ვინც ამ ბიზნესს მონოპოლიურად ფლობენ, 12 მილიონზე მეტი ლარის მოგება ნახეს.

**— ასე კეთდება საქართველოში მილიონები, ასე ფრცქვნიან სახელმწიფო ბიუჯეტს და აღატაკებენ ხალხს. არჩევნებიდან არჩევნებამდე ხელისუფლება გვპირდება, რომ იქნება „საქართველო სიღარიბის გარეშე“. მაგრამ არა და არ დადგა ეს დაპირებული შედეგი.**

— ვერც დადგება, — **ამბობს ბატონი შალვა,** — ქვეყანაში ყვავის ელიტური კორუფცია, რომელიც ბიუჯეტისთვის, მაშასადამე, ხალხისთვის გამიზნულ სახსრებს, პირდაპირ თუ ვიტყვით, ითვისებს.

ყველამ იცის, რომელი კომპანიები განახორციელებენ ბენზინის იმპორტს საქართველოში — **„ვისოლი“, „რომპეტროლი“, „ლუკოილი“, „გალფი“.** ყველა ამბობს, რომ სწორედ ამ სფეროშია თავმოყრილი ელიტური კორუფციონერების ბირთვი. მაგრამ ასევე ყველამ იცის, რომ ეს სფერო ხელშეუხებელია მაკონტროლებელი ორგანოებისთვის, დანაღმული ველია.

**— ბიძინა ივანიშვილს „რუსულ ფულს“ წამოაძახებენ ხოლმე, მაგრამ სწორედ ამ „რუსული ფულით“ იყო შეხიდებული ეს კეთილშობილი ადამიანი ქართულ სახელმწიფოებრიობას, ქართულ სულიერებას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ა. შ.**

— მისი კაპიტალი პატიოსანი, ლეგალური გზით იყო ნაშოვნი, რასაც ვერ იტყვი „ქართულ ფულზე“, რომელიც საქართველოში „კეთდება“. ვის ოჯახებს ხმარდება? ვის უცხოურ ანგარიშებზე ილექება?

რიტორიკული შეკითხვებია, რადგან დღეს პასუხის გამცემი არავინაა. თუმცა შორს არაა ის დრო, როცა პასუხს მოსთხოვენ.

ელიტური კორუფციის მასშტაბებზე წარმოდგენა რომ შეგვექმნას, — **ხაზგასმით ამბობს ბატონი შალვა,** — კარგად უნდა გავიაზროთ შემდეგი რეალობა ამ კონკრეტულ უბანზე, რომელიც ტიპიურია, საერთოა ზოგადი მასშტაბისათვისაც.

**იტალიიდან იმპორტირებულ საწვავს საქართველოში მოხმარებული საწვავის ბაზრის მხოლოდ 2 პროცენტი უკავია. აქ, საგარეო ვაჭრობის ამ ერთ სეგმენტში, ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტმა კონტრაბანდული ბენზინის განუბაჟებლობის შედეგად გადასახადების სახით დაკარგა 24-25 მილიონი ლარი.**

**სამაგიეროდ ბიზნესელიტამ, ანუ ელიტკორუფციონერებმა მოიგეს 49 მილიონ ლარზე მეტი.**

გაცილებით ნაკლები მასშტაბის, მაგრამ იგივე პროცესები ფიქსირდება დიზელის ექსპორტში.

არსებული მონაცემებით, **2009 წელს** იტალიის საბაჟო სამსახურის მიერ რეგისტრირებულია 4,37 მილიონი ლიტრი დიზელის ექსპორტი. საქართველოს შემოსავლების სამსახური აჩვენებს — **4,23 მილიონ ლიტრს. 2010 წელს** იტალიაში დარეგისტრირდა **9,49 მილიონი ლიტრი** დიზელი, საქართველოს შემოსავლების სამსახურში — **6,68 მილიონი; 2011 წელს** იტალიამ აჩვენა — **5,53,** ხოლო საქართველომ — **5,29 მილიონი ლიტრი** დიზელი.

ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტმა დიზელის განუბაჟებლობის შედეგად გადასახადების სახით დაკარგა **1,2 მილიონი ლარი**, ამავე პერიოდში იტალიიდან დიზელის შემომტანებმა ჯიბეში ჩაიდეს **3 მილიონ ლარზე მეტი.**

**— ბენზინის ბაზარზე იტალიის ორი პროცენტი და ასეთი დანაკარგები! იოლი წარმოსადგენია, დანარჩენ 98 პროცენტის კორუფციის მასშტაბები!**

— პირიქით, ძნელი წარმოსადგენია! წარმოსახვის ყოველგვარ ზღვარს სცილდება! დავიმოწმებ ბულგარეთთან საქართველოს ვაჭრობის (ამ სეგმენტში) არსებულ მონაცემებს და თქვენი გაზეთის მკითხველები დარწმუნდებიან, რომ, რასაც ვამბობ, სამწუხარო რეალობაა. ჩვენი და ბულგარეთის შესაბამისი სამსახურების მიერ ბენზინის იმპორტის დაფიქსირებული ციფრები საოცრად განსხვავდება ერთმანეთისგან. **ბულგარეთს საქართველოს საწვავი ბაზრის 20 პროცენტი უკავია.**

**2009 წელს** ბულგარეთის საბაჟო სამსახურის მიერ რეგისტრირებული, საქართველოში გამოგზავნილი ბენზინის რაოდენობა უდრიდა **210,08 მილიონ ლიტრს,** საქართველოს შემოსავლების სამსახური ამ რაოდენობის ერთ მესამედზე ცოტა მეტს აფიქსირებს, ანუ — **74,75 მილიონ ლიტრს** (*იხ. სქემა №4*).

**განუბაჟებლობის შედეგად გადასახადების სახით მხოლოდ 2009 წელს დავკარგეთ 60,4 მილიონი ლარი, შემომტანების სარგებელი კი 135 მილიონ ლარზე მეტია.**

მოდი და ამის შემდეგ ირწმუნე, — **ამბობს შალვა მექვაბიშვილი,** — ნაციონალების წინასაარჩევნო ლოზუნგი, რომელიც ვანო მერაბიშვილმა გააჟღერა: „მეტი სარგებელი ხალხს!“.

ვისზე მეტი, რამდენით მეტი?

გაცილებით მომგებიანი იქნებოდა სლოგანი: „ბობოლების მიტაცებული მილიონები — ხალხს!“. **ბულგარეთის შემთხვევაში, ეს იქნებოდა 425 მილიონზე მეტი ლარი — მხოლოდ ბენზინის ბიზნესიდან, მხოლოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში, რაც ნამდვილად არ აწყენდა ჩვენს ხალხს.**

ბოლო სამი წლის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტმა ბენზინის განუბაჟებლობის შედეგად გადასახადების სახით დაკარგა **200 მილიონი ლარი.**

ყურადღება მიაქციეთ: სამი წლის განმავლობაში საქართველოში ბულგარეთიდან შემოტანილი **747 მილიონი ლიტრი** ბენზინის რაოდენობიდან (ბულგარეთის მხარის მაჩვენებლის მიხედვით), საქართველოში მხოლოდ **42,6 პროცენტი დააფიქსირეს, აღურიცხავი დარჩა 429,4 მილიონი ლიტრი.** *(იხ. სქემები №5-6).*

ამ მასშტაბურ კონტრაბანდას საქართველოში ერთი პატარა ვირეშმაკობა დაუმატეს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ იტალიურ კომპანია „აპის“ ფალკონარა მარიტიმას ნავთობგადამმუშავებელი ქარხნიდან შემოაქვს საწვავი. „ვისოლის“ ბენზინგასამართ სადგურებში იყიდება „აპი სუპერის“ (ოქტანობა 98) მარკის ბენზინი, რომელიც 2009-2011 წლებში საქართველოში იმპორტირებული არ არის. ამას ადასტურებს ორივე მხარის შესაბამისი სამსახურები.

**— ეს როგორ გავიგოთ?**

— ძალიან მარტივად: „სუპერი“ ყველაზე ძვირია. დააწერეს შედარებით იაფიან ბენზინს — „პრემიუმს“ „სუპერი“ და რამდენიმე თეთრით გამოხატული სხვაობა მილიონობით ლარად იქცა. ეს, სხვა თუ არაფერი, ნიშნავს მომხმარებლის უფლებების უხეშ დარღვევას და უკანონოდ ნიშანდებული საქონლის სამოქალაქო ბრუნვაში შეტანას.

**მოკლედ რომ ვთქვა, — ასკვნის ბატონი შალვა, — მთელი თაიგულია დარღვევების, რასაც ვერ ხედავს მომხვეჭელობით დაბრმავებული საქართველოს ხელისუფლება.**

საარჩევნო მარათონში ჩაბმული მმართველი პარტია ოპოზიციას აბრალებს, — წარსულში სურს ქვეყნის დაბრუნებაო.

სრული აბსურდია! აი, „ნაციონალური მოძრაობა“ კი დღესაც იმ წარსულშია ჩარჩენილი, ოღონდ ელიტური კორუფციის შეუდარებლად გაზრდილი მოცულობითა და მასშტაბით. ბოლო პერიოდში განხორციელებულმა კვლევებმა ეს ფაქტებით დაადასტურა.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. იმ ყბადაღებულ წარსულში სახელმწიფო მოხელეებიდან კორუფციულ საქმეში გასულები იყვნენ ის ბობოლები, რომლებიც დღეს ყველაზე ხმამაღლა გაყვირიან კორუფციის დამარცხებაზე და აშინებენ ხალხს ძველი დროის დაბრუნებით.**

**ამას ადასტურებენ ძალოვანი სტრუქტურების ის პატიოსანი პროფესიონალები, რომლებიც კორუფციასთან ბრძოლის პროცესში ყრუ კედელს აწყდებოდნენ და იძულებულნი იყვნენ, უკან დაეხიათ, რადგან თავს ზემოთ ძალა არ იყო.**

**ერთ თავისებურებასაც ამხელენ: უწინ კონტრაბანდით წარმოქმნილ მოგებას ბევრი ედგა წილში: უწინარესად, კონტრაბანდის შემომტანები, შემდეგ — საბაჟოს მოხელეები, შემდეგ — ისინი, ვისაც კონტროლი ევალებოდა და ამათ ზემოთ — სახელმწიფო მოხელენი, დიდჩინოსანნი, რომლებიც, გარდა საკუთარი კეთილდღეობისა, დაინტერესებულნი იყვნენ სახელმწიფოს შემოსავლების შემცირების გზით საბიუჯეტო კრიზისის გამოწვევით, რაც მათ გზას გაუკვალავდა სახელმწიფო მმართველობის ყველა სადავის ხელში ჩასაგდებად: ბიუჯეტის სისტემატური სეკვესტრებით, სახელმწიფო ხაზინის გალატაკებით, პენსიების თვეობით დაურიგებლობით და ათასი სხვა რამით.**

**პლატფორმას იმზადებდნენ მოსასვლელად.**

**მოვიდნენ. ჩამოიცილეს ყველა შესაძლო კონკურენტი და, როგორც ერთხელ ბატონმა გიგა ბათიაშვილმა თქვა, თავის ხოშზე მართავენ ქვეყანას.**

**ამას უწოდეს რეფორმა.**

**ქვეყანაში, სადაც ვინმე, სახელად პრეზიდენტი, შეუსწორებს სტრიქონს „მაგარი ლექსის დამწერ კაცს“, სახელად „ვინმე მესხ მელექსეს“, გენიალურ პოეტსა და მოაზროვნე შოთა რუსთაველს, და ენის ბორძიკით წაიკითხავს „იყო არაბეთს როსტევან...“, რომელიც „მრავალ ლაშქრიანი“ და „დაბალი“ იყო, იმ ქვეყანაში ყველაფერია შესაძლებელი.**

**მაგრამ სადაა ის „ოქროს ეპოქა“ და რომელია ის ქვეყანა, სადაც ასეთი „სპარსული ამბები“ ხდება და ჩვენ მხოლოდ ქართულად ნათარგმანები გადმოგეცით? მომკალით და, არ ვიცი.**

**ა.ს.**

**სქემა №4**

ბულგარეთიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2009 წელს (მლნ ლიტრი)




**სქემა №5**

ბულგარეთიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2010 წელს (მლნ ლიტრი)




**სქემა №6**

ბულგარეთიდან ბენზინის იმპორტი საქართველოში 2011 წელს (მლნ ლიტრი)






## აჰმადინეჯადი: ებრაელთა სახელმწიფოს არსებობა «მთელი კაცობრიობისთვის შეურაცხმყოფელია»

**ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჯადის განცხადებით, ებრაელთა სახელმწიფოს არსებობა შეურაცხყოფაა მთელი კაცობრიობისთვის.** ირანის ლიდერის ასეთი განცხადება ამ ქვეყანაში იერუსალიმის დღის აღნიშვნას მოჰყვა.აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ „ეს გაერთიანების დღეა, რათა სიონიზმი, როგორ შავი ლაქა, საზოგადოებიდან წაიშალოს“. ირანის პრეზიდენტმა დასავლეთი ისრაელის მხარდაჭერაში დაადანაშაულა და ებრაელთა სახელმწიფოს „ახლო აღმოსავლეთისა და მთელი მსოფლიოს კონტროლის იარაღი“ უწოდა.

## ისრაელი ირანთან ომისთვის სრულ მზადყოფნაშია

**ისრაელის სახელმწიფო ირანთან 30-დღიანი ომისთვის სრულ მზადყოფნაშია. ამის შესახებ ისრაელის მინისტრთა კაბინეტის წევრმა მატან ვილნაიმ განაცხადა.** მინისტრმა აღნიშნა, რომ ომი იწარმოებს რამდენიმე მიმართულებით და, სავარაუდოდ, 30 დღე გაგრძელდება. „ქვეყანა, ისე, როგორც არასდროს, მზად არის საომარი მოქმედებისთვის“, — განაცხადა მინისტრმა. ვილნაი დარწმუნებულია, რომ კონფლიქტის დაწყებისთანავე ქვეყნის ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს აწონილი და ისრაელმა თავისი მოქმედებები აშშ-ს უნდა შეუთანხმოს. „ომის დაწყება ისეთი რამაა, რომელიც ჯობია, გადადო და კარგად აწონ-დაწონო. მთავარი საომარი მოქმედებების აუცილებლობაშია და, ვინაიდან აშშ არის ჩვენი საუკეთესო მეგობარი, მათთან ერთად უნდა გავუწიოთ კოორდინაცია ასეთ მოქმედებებს“, — განაცხადა მინისტრმა.

მოკლედ

## ისრაელის მოსახლეობა მფრინავებს სთხოვს, ირანის დაბომბვის შესახებ ბრძანებას არ დაემორჩილონ

**ისრაელის მოსახლეობამ ისრაელის საჰაერო ძალების უწყების სახელზე მიმართვა გააგზავნა, რომელშიც ისინი მფრინავებს სთხოვენ, არ დაემორჩილონ ბრძანებას ირანის ობიექტების დაბომბვის შესახებ, თუკი ასეთი ბრძანება გაიცემა.** მიმართვაში აღნიშნულია, რომ ირანზე შესაძლო თავდასხმა ძალიან სახიფათო და მცდარი თამაშია და კარგს არაფერს მოუტანს ისრაელს.

## დალასში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა

**ქალაქ დალასის მერმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა ცხელებასთან დაკავშირებით, რომელმაც 14 ადამიანის დაღუპვა გამოიწვია.** როგორც ოფიციალური პირები აცხადებენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით ამ დაავადებით გარდაიცვალა 26 ადამიანი, ხოლო საწყისი სიმპტომები ამ წლის განმავლობაში 241 ადამიანს აღმოაჩნდა. დაავადების სიმპტომები 42 შტატში დაფიქსირდა, მათგან 80 პროცენტი ტეხასის, მისისიპისა და ოკლაჰომას შტატებზე მოდის.ამ ეტაპზე არ არსებობს დაავადების სამკურნალო ვაქცინა, თუმცა სიმპტომების სუსტი გამოვლენის შემთხვევაში, გამოჯანმრთელება იოლად ხდება.ვირუსის გავრცელებას დაავადებული კოღო იწვევს და საწყის ეტაპზე ახასიათებს მაღალი ტემპერატურა, თავის ტკივილი, გულისრევა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„შევხედოთ ამჟამინდელ ვითარებას: ხელისუფლება არის სრულიად განძარცვული, გაშიშვლებული და მას უკვე არაფრის რესურსი არ გააჩნია. დღეს, როცა გვაქვს პრეტენზია, რომ ვიყოთ ევროკავშირის წევრი, მსოფლიო გაერთიანების ერთ-ერთი ცივილიზებული ქვეყანა, არა მგონია, დანარჩენ მსოფლიოს, საუბარი მაქვს ჭეშმარიტად დემოკრატიულ სამყაროზე, ხელს აძლევდეს მასხარა ხელისუფალი, რომელმაც უკვე საკუთარი თავი ბოლომდე ამოწურა და სჩადის სისულელეებს“.



## ლუკა კურტანიძე:

# სააკაშვილის რეჟიმს ბეჭებზე დავდებთ

**არჩევნების მოახლოებასთან ერთად ხელისუფლების მიერ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ დაწყებულ პიარკამპანიასა და ბოლო დროს განვითარებულ სხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი, მსოფლიოს ორგზისა და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ლუკა კურტანიძე.**

**— ბატონო ლუკა, რაც უფრო ახლოვდება არჩევნები, ხელისუფლება უფრო მკაცრი მეთოდებით მოქმედებს. დღე ისე არ გავა, რომ სააკაშვილის ზონდერრაზმებმა სადმე შეკრება არ დაარბიონ, ვინმე არ დააკავონ ან ვინმეს ქონება არ დაუყადაღონ. ამ ყველაფრის ფონზე ჩნდება საშიშროება, რომ პოლიტიკური ტემპერატურის აწევასთან ერთად, მომავალში მმართველი გუნდისგან ბევრად უფრო ფართომასშტაბიან რეპრესიებს უნდა ველოდოთ. პირადად თქვენ რა მოლოდინი გაქვთ და საერთოდ, როგორ აფასებთ ამ ყველაფერს?**

— უწინარესად, დიდი მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს, რომ ჩემი აზრი გაინტერესებთ, რაც შეეხება კითხვას, თუ როგორ ვაფასებ ხელისუფლების მოქმედებებს, გეტყვით, რომ შემოდგომა ახლოვდება და, მოგეხსენებათ, შემოდგომაზე ბუზები მწარედ იკბინებიან. ეს არის მათი, ასე ვთქვათ, დასასრულის დასაწყისი. ამას ძალიან კარგად ხედავს თვითონ ხელისუფლებაც, ამიტომ არიან ასეთი გამწარებულები...

**— ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ხელისუფლებამ უკვე აამოქმედა გაყალბების მთელი რიგი მექანიზმებისა. განიხილავთ თუ არა იმ შესაძლებლობას, რომ არჩევნების შემდეგ რამე ძალისმიერი გზით, თუნდაც ქუჩის აქციებით, მოგიხდებათ მიღებული ხმების დაცვა?**

— წინასწარ არ მინდა საუბარი იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში, მაგრამ თქვენი გაზეთის საშუალებით კიდევ ერთხელ მივმართავ სრულიად ქართველ ხალხს: თუ არ გვინდა, რომ ამ ე. წ. ვარდოსნების პარპაში უსასრულოდ გაგრძელდეს ქვეყნის სათავეში და იმის მინიმალური შანსიც კი, რაც დარჩენილი გვაქვს, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო, შენარჩუნდეს მსოფლიო რუკაზე, საბოლოოდ არ დავკარგოთ, მაშინ ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ამას თუ მივაღწევთ, მერწმუნეთ, ძალიან უმტკივნეულოდ მოხდება ამათი შეცვლა, იმიტომ, რომ სააკაშვილის რეჟიმმა უკვე ამოწურა ყველანაირი რესურსი და შესაძლებლობა. **ახლა ესენი არიან ერთი მუჭა ავადმყოფი, უკვე მასხარადქცეული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც ძალიან აშინებს დიდი ერთობა. ამიტომაც არბევენ ყველა შეკრებას, ჩვენ მიერ გამართულ ნებისმიერ ღონისძიებას, ვინაიდან მათ იციან, რომ, თუ ეს ნაკადულები შეერთდება, ვერაფერი უშველით.** წარმოუდგენელი შიშითაა დღეს ხელისუფლება შეპყრობილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნაკადული კი არა, უკვე მდინარეებია დაძრული. ამ მდინარეებს კი აქვთ ერთი შესართავი, რომელსაც ჰქვია ერთობა...

**— ე.ი. ერთიანობის შემთხვევაში თქვენ გამორიცხავთ ხელისუფლების მხრიდან რაიმე ძალის გამოყენების მცდელობას?**

— არა, მცდელობა, რა თქმა უნდა, იქნება, თუ ხალხი და პოლიტიკური სპექტრი დაიქსაქსება. ამიტომაც მოვუწოდებ ყველა ოპოზიციურ სუბიექტს, რომ გადადონ განზე თავიანთი ამბიციები და დავდგეთ ერთად. ვიმეორებ, ამას თუ შევძლებთ, ერთი ლაჩარი ადამიანი და მისი გუნდი ვერაფერს გახდება, ყველაფერი დამთავრდება ისე, როგორც ხალხის ნება-სურვილია.

თქვენ ძალის გამოყენების შესაძლებლობაზე მკითხეთ და ყველამ ვიცით, 2008 წლის აგვისტოში რას აკეთებდნენ ეს ლაჩრები, სად იყვნენ გასაძრომად მზად. აი, ზუსტად ასე მოუწევთ მათ ძალიან მალე აქედან გაძრომა.



**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, მეორე მხრივ, ვრცელდება ინფორმაციები, რომ ხელისუფლება ინტენსიურად ამზადებს ახალ-ახალ ე. წ. ზონდერ ჯგუფებს. იმის გათვალისწინებით, რომ მმართველმა გუნდმა კარგად იცის, ობიექტური არჩევნების პირობებში ოპოზიცია მას, დიდი ალბათობით, ბეჭებზე დადებს, დათმობს რეჟიმი ძალაუფლებას უმტკივნეულოდ, თუნდაც საზოგადოება ერთიანი იყოს, როგორ ფიქრობთ?**

— ბეჭებზე დადება თუ არის, ეს ნამდვილად კარგად ვიცი და საჭიროების შემთხვევაში ამას მთელი შემართებით, სიცოცხლის ფასად შევასრულებ. რაც შეეხება ზონდერრაზმების მზადებას, დამერწმუნეთ, კრიმინალსაც, ბანჯგვლიანსაც, კუნთმაგარსაც, გონებაჩლუნგსაც — ყველას ჰყავს ნათესავები. ამიტომ, საქმე საქმეზე რომ მიდგება, დარწმუნებული ვარ, ამ ადამიანების დიდი ნაწილი თავს შეიკავებს. რა თქმა უნდა, იქნებიან ისეთებიც, რომლებიც თვალს დახუჭავენ და, თუ უბრძანეს, საკუთარ დედასაც არ დაინდობენ, მაგრამ ასეთი ხალხი იმდენად ცოტაა, რომ მათი ძალა საზოგადოების ძალასთან შედარებით უმნიშვნელოა. გადაუვლის სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული მოსახლეობა ამ მცირერიცხოვან ზონდერჯგუფებს და მინდა, მივმართო მათ, რომ ნუ გაწირავენ თავს, ერთი ლაჩარი კაცის ამბიციებს ნუ გადაჰყვებიან.

**— დღემდე ქართულმა ოცნებამ ქვეყნის თითქმის ყველა დიდ ქალაქსა და რაიონულ ცენტრში გამართა შეხვედრები. სერიოზული მოლოდინია ზუგდიდში გასამართ აქციასთან დაკავშირებითაც; არის საუბარი იმაზეც, რომ სამეგრელოში ყველაზე მძლავრ წინააღმდეგობას წააწყდება კოალიცია...**

— ერთი რამ მინდა ვთქვა იმ ხალხის გასაგონად, ვინც რაღაც პროვოკაციისთვის ემზადება, ჩვენ გვერდით არიან ადამიანები, რომლებსაც მათი ბინძური ხრიკები და ჩანაფიქრი კარგად აქვთ შესწავლილი, ამიტომ არავის ეშინია ამ აღვირახსნილი, ზომბირებული მოქალაქეებისაგან შექმნილი რაღაც უსახური ჯგუფების. არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ყველაფერი რომ მორჩება, კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ იქნება იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სამშობლოს განვითარებას ხელს შეუშლიან. ხელს შეუშლიან იმ ავადმყოფი გონებით, რომლითაც ჰგონიათ, რომ ერთმა მათნაირმა ავადმყოფმა, ლაჩარმა პიროვნებამ უნდა მართოს ქვეყანა. საერთოდ, თევზი თავიდან ლპება და, როცა ხდება მისი დამზადება, პირველ რიგში, თავი უნდა მოაშორო. გახრწნილია დღეს ჩვენი ხელისუფლების თავიც და სასწრაფოდ მოსაშორებელი, რომ მთელი ორგანიზმი არ დალპეს. დარწმუნებული ვარ, ეს აუცილებლად მოხდება, უმტკივნეულოდ კი ამის გაკეთება შეუძლია სრულიად საქართველოს. ამიტომაც ვამბობ, რომ დღეს თითოეული ადამიანი წყვეტს, რამდენად მარტივად ან რთულად დასრულდება რეჟიმის არსებობა. აი, ესაა მთავარი, ხოლო როცა საუბარია იმაზე, რატომაა სამეგრელო ასე დაჩაჩანაკებული სულიერად, მე ვამბობ, ეს კუთხე ყოველთვის ძახილის ნიშანს უსვამდა საქართველოს მთიანობას და დღესაც მჯერა, რომ ამ ღირსეულ სიტყვას სამეგრელო იტყვის მაშინ, როცა მთელი საქართველო იქ ჩავა.

**— დაახლოებით ერთი თვის წინ „საქართველო და მსოფლიოსთან“ ინტერვიუში შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, „ქართულ ოცნებას“ 30%-ზე მეტს არ დაუწერენო. იგივე გვითხრა პეტრე მამრაძემაც. ფაქტია, რომ ეს ციფრი დომინირებს, რაც პირდაპირ მიგვანიშნებს ხელისუფლების განზრახვაზე.**

— საერთოდ ბევრი რამ აქვს განზრახული ამ ►

## კბილი კბილის წილ, თვალი თვალის წილ!

## სოროსი ოქროს ყიდულობს

**2-წლიანი პაუზის შემდეგ ცნობილი მილიარდერი ჯორჯ სოროსი ოქროს მსოფლიო ბაზარს აქტიურად უბრუნდება.** მეტიც: ამ ბაზარზე სოროსმა პოზიცია გაიმყარა და საკუთარი ოქროს მოცულობა თითქმის სამჯერ, ანუ 52 მილიონი დოლარიდან 137,3 მილიონ დოლარამდე გაზარდა. სოროსი აქტიურად ჩაერთო ფასიანი ქაღალდების ბაზარში და მონაგები ფულით ოქროს ყიდულობს.



## იტალიაში ტიმოშენკოს შარავანდედი დაადგეს

**ცნობილი იტალიელი მხატვარი ანტონიო მატრაგრანო, რომელმაც იულია ტიმოშენკო შარავანდედით შემოსილი დახატა, შეუერთდა იულია ტიმოშენკოს მხარდამჭერ სამოქალაქო აქციას სახელწოდებით „თავისუფლება იულიას“.** Twitter-ის გვერდზე მხატვარმა განათავსა უკრაინის ყოფილი პრემიერის ორი პიქტოგრამა: წმინდანად გამოსახული და პატიმარი.ანტონიო მატრაგრანო ცნობილია ხატწერით და პოპულარულ ქალებს ხატავს, მათ შორის არიან: მონიკა ბელუჩი, ანჯელინა ჯოლი, სკარლეტ იოჰანსონი და სხვანი.

## ავღანეთის სამხრეთით ნატოს ვეტმფრენი ჩამოვარდა

**ავღანეთის სამხრეთით ნატოს ვეტმფრენის ჩამოვარდნის შედეგად 11 სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.** ამის შესახებ ინფორმაციას ნატოს სარდლობა ავრცელებს.წინასწარი მონაცემებით, დაღუპულთა შორის 7 ნატოს სამხედრო მოსამსახურეა, სამი ავღანელი სამხედროა, ხოლო ერთი — თარჯიმანი. ვეტმფრენის კატასტროფის მიზეზებს შესაბამისი სამსახურები იკვლევენ.

## ამერიკას საპრეზიდენტო არჩევნები 150 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება

**აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური რეკლამების ხარჯმა მხოლოდ მიმდინარე წლის აგვისტომდე პერიოდში ნახევარ მილიარდ დოლარს გადააჭარბა.** რესპუბლიკელების საპრეზიდენტო კანდიდატის სარეკლამო ხარჯები განსაზღვრულია 273 მილიონი აშშ დოლარით, ხოლო მოქმედი პრეზიდენტის, ბარაკ ობამასი, — 239 მილიონი დოლარით.ობამას სარეკლამო ხარჯების მხოლოდ 14 პროცენტი გადახდილი აქვს საარჩევნო შტაბის დამფინანსებლებს, ხოლო მიტ რომნის ანალოგიური მაჩვენებელი 86 პროცენტს შეადგენს.ამერიკაში არჩევნების დროს პოლიტიკური რეკლამების მოცულობა, სავარაუდოდ, 150 მილიარდ დოლარს უახლოვდება. მაგრამ, თუ გათვალისწინებული იქნება მედიისა და ინტერნეტის ხარჯები, მაშინ დანახარჯი ბევრად მეტი აღმოჩნდება.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სამკურნალო დაწესებულება იმისთვის არსებობს, რომ ავადმყოფს უშველოს. ბევრს შეიძლება მთელი ცხოვრება მოუხდეს ამ დაწესებულებაში ყოფნა; ზოგი ნაპოლეონი გახდება, ზოგი — ფაშისტი და ასე გაგრძელდება მათი მკურნალობა იმ იმედით, რომ ოდესმე შეძლებენ საზოგადოებაში დაბრუნებას.

◀ ხელისუფლებას და მის სატელიტებს, რომელთაგან ზოგი ეროვნულ-დემოკრატიულობას იბრალებს, ზოგი — ქრისტიანობას და ზოგი კიდევ, კაცმა არ იცის, — რას, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარია ის, რომ მალე სრულიად საქართველოს მოსახლეობა დაუწერს რეჟიმს იმ ციფრს, იმ მაჩვენებელს, რომელიც იქნება ამათთვის დამანგრეველი. **რაც უნდა გააკეთოს მიხეილ სააკაშვილმა, ათჯერ და ოცჯერ უფრო მეტი პროვოკატორებიც რომ არბენინოს ქუჩებში, ამ განაჩენს ის ვერ ასცდება, იმიტომ, რომ ეს არის ხალხის განაჩენი, რომლის ოფიციალური გამოტანაც მოხდება სწორედ ოქტომბერში.**

**— განაჩენს რაც შეეხება, გასულ კვირას სოსო ჯაჭვლიანმა ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, მომავალი ხელისუფლება, უწინარესად, დამნაშავეთა დასჯით თუ არ დაიწყებს, პირველი მე გადავალ ოპოზიციაშიო. თქვენ როგორ უყურებთ ამ ყველაფერს — უნდა დადგეს თუ არა ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი?**

— ადამიანი, რომელიც დანაშაულზე პასუხს არ აგებს, თავისივე დანაშაულის ტყვე ხდება. ამიტომ, რა თქმა უნდა, კანონის ფარგლებში ყველა უნდა დაისაჯოს, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არსებობს მკურნალობის უამრავი ფორმა, მეთოდი და ამ ადამიანების მიმართ სწორედ ის მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული, რომლებიც მოცემულ ვითარებაში ყველაზე ოპტიმალურია. ლაპარაკია იმაზე, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ ეს ხალხი საზოგადოებას დაუბრუნდეს არა გამწარებული, არამედ სინანულითა და შინაგანი სირცხვილის, სინდისის ქენჯნის განცდით იმის გამო, რომ ერთ დროს ემსახურებოდნენ პირსისხლიან რეჟიმს. საზოგადოებისთვისაც და ქვეყნისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნება, ამ ფორმით მოხდეს მათი რეაბილიტაცია, თორემ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ აქ ყველა კუთხესა და ორღობეში ადამიანთა ჯგუფებს შორის ანგარიშსწორება თუ დაიწყო, უსასრულო ქაოსი გარდაუვალია.

**— რეაბილიტაციაში კონკრეტულად რას გულისხმობთ? თანამდებობის პირი, პოლიციელი თუ სპეცრაზმელი, რომელმაც უკანონო ქმედება განახორციელა, ფაქტობრივად, სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა, რა ფორმით უნდა მიეცეს პასუხისგებაში?**

— მკურნალობასა და რეაბილიტაციაზე როცა ვსაუბრობ, მძიმე დამნაშავეებს არ ვგულისხმობ. არავინ დავობს იმაზე, რომ მათ მიმართ სულ სხვა ღონისძიებები უნდა გატარდეს. 7 ნოემბერიც კარგად გვახსოვს და 26 მაისის უბედურებაც. ასე რომ, ყველა, ვის კისერზეცაა ეს საშინელი ტრაგედია, ცხადია, სასტიკად აგებს პასუხს კანონის წინაშე... ამის შემდეგ კი, ვინც სინამდვილეში ჩაბარდება და მიხვდება თავის დანაშაულს, ისინი იქნებიან რეაბილიტირებულნი სამკურნალო დაწესებულებებიდან.

**— ვისი „განკურნებაც“ ვერ მოხერხდება, მათ რა ბედი ელით?**

— ვინც ზომბირებიდან ვერ გამოვა და ისევ მრისხანებას გააგრძელებს, სამკურნალო დაწესებულება იმისთვის არსებობს, რომ ავადმყოფს უშველოს. ბევრს შეიძლება მთელი ცხოვრება მოუხდეს ამ დაწესებულებაში ყოფნა; ზოგი ნაპოლეონი გახდება, ზოგი — ფაშისტი და ასე გაგრძელდება მათი მკურნალობა იმ იმედით, რომ ოდესმე შეძლებენ საზოგადოებაში დაბრუნებას.

**— ექსპერტები ხშირად საუბრობენ ხოლმე დასავლეთის ფაქტორზე, ბევრი თვლის, რომ სააკაშვილი მათთვის იდეალური ვარიანტია და მის შეცვლას მხარს არ დაუჭერენ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს შეხედულება?**

— ეს რომ სამი-ოთხი წლის წინ ეთქვა ვინმეს, შეიძლება უფრო რეალური ყოფილიყო, მაგრამ **შევხედოთ ამჟამინდელ ვითარებას: ხელისუფლება არის სრულიად განძარცვული, გაშიშვლებული და მას უკვე არაფრის რესურსი არ გააჩნია. დღეს როცა გვაქვს პრეტენზია, რომ ვიყოთ ევროკავშირის წევრი, მსოფლიო გაერთიანების ერთ-ერთი ცივილიზებული ქვეყანა, არა მგონია, დანარჩენ მსოფლიოს, საუბარი მაქვს ჭეშმარიტად დემოკრატიულ სამყაროზე, ხელს აძლევდეს მასხარა ხელისუფალი, რომელმაც უკვე საკუთარი თავი ბოლომდე ამოწურა და სჩადის სისულელეებს.** მე თო**რმეტი წელიწადი ვიცხოვრე გერმანიაში და ვიცი ამ ქვეყნის ღირებულებები. უბრალოდ, არასერიოზული იქნება, ასეთი მასხარა ადამიანის მმართველობით ჩვენ ევროკავშირში გავწევრიანდეთ. ეს არის, მიხეილ სააკაშვილს ვგულისხმობ, სამარცხვინო პოლიტიკური ფიგურა და სამარცხვინო სუბიექტები კი დასავლეთში, განსაკუთრებით კი ევროპაში, დღესდღეობით ნამდვილად არავის სჭირდება.**



## «ეს გიჟი კი მთელ თავის კარიერას აწყობს იმაზე, რომ ჯერ მოწინააღმდეგეს დედა აგინოს, გამოიწვიოს, მოსპოს მასთან ცივილიზებულად საუბრის ყველა შანსი და შემდეგ სამარცხვინოდ დამარცხებულმა, მიწაზე მფორთხავმა თქვას, მე მაქვს უფლება, ვიყო ისევ ხელისუფლებაშიო»

**— ხელისუფლების მიერ საკუთარი ოპონენტების წინააღმდეგ დაწყებული პიარკამპანიის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს პრორუსულობის იარლიყი წარმოადგენს. შესაბამისად, ვინც იტყვის, რომ საქართველომ კრემლის მესვეურებთან საერთო ენა უნდა გამონახოს, მაშინვე რუსეთის აგენტად ირაცხება. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ეს პოლიტიკა და მიგაჩნიათ თუ არა, რომ მომავალმა ხელისუფლებამ მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარება პრიორიტეტად უნდა დაისახოს?**

— საქართველოს ღირსეული მეფეები, რომელთა სახელებითაც ჩვენ ვამაყობთ, რაც უნდა სასტიკი და მრისხანე მტერი ჰყოლოდათ, ყოველთვის ახერხებდნენ მათთან დიპლომატიურ ურთიერთობას. ეს იყო სპარსეთი, მონღოლეთი, ოსმალეთი თუ ბიზანტია, ქვეყნის გონიერი ხელმძღვანელობა მუდმივად ეძებდა მათთან დიალოგის გზას და ისინი ღირსეული მტრებიც იყვნენ ერთმანეთის. **გიორგი ბრწყინვალე იმიტომაა გიორგი ბრწყინვალე და დემეტრე თავდადებული იმიტომაა დემეტრე თავდადებული, რომ მათ თავიანთი მეფობისთვის კი არ უნაცვალებიათ საქართველო, არამედ საქართველოს ანაცვალეს საკუთარი თავები. ეს გიჟი კი მთელ თავის კარიერას აწყობს იმაზე, რომ ჯერ მოწინააღმდეგეს დედა აგინოს, გამოიწვიოს, მოსპოს მასთან ცივილიზებულად საუბრის ყველა შანსი და შემდეგ სამარცხვინოდ დამარცხებულმა, მიწაზე მფორთხავმა თქვას, მე მაქვს უფლება, ვიყო ისევ ხელისუფლებაშიო.** აი, ასეთ ლაჩარ ადამიანთან გვაქვს საქმე და ამ სილაჩრეს ხაზი უნდა გადავუსვათ, იმიტომ, რომ ეს არის ქვეყნისთვის დამღუპველი.

რაც შეეხება კითხვას, **უნდა აღვადგინოთ თუ არა ურთიერთობა ჩრდილოელ მეზობელთან,** თუ გნებავთ, ჩაატარეთ გამოკითხვა და დაინახავთ, რა სურს ხალხს. გადაჭარბების გარეშე ვამბობ, **ვერ გააჩერებთ ქუჩაში საღად მოაზროვნე ადამიანს, რომელიც იტყვის, რომ რუსეთი არ გვჭირდება,** რომ მას ძალიან მალე დედა ეტირება და ჩვენ ავშენდებით. დღეს საქართველოს წინაშე არსებობს ასეთი მოცემულობა: თუ აღვადგენთ ამ სახელმწიფოსთან ურთიერთობას და თუ გვექნება მასთან კეთილმეზობლობა, ვიხეირებთ; ამიტომაც გვაქვს იმედი, რომ ახლო მომავალში ჩვენ დავალაგებთ სიტუაციას რუსეთთან, აღსდგება ის სავაჭრო ურთიერთობები, რომლებიც ჩვენს ჭარბ საქონელს გახდის მომგებიანს და მნიშვნელოვნად წაწევს წინ ეკონომიკას. ამ ეტაპზე მთავარი ესაა და შემდეგ უკვე დიპლომატიურად როგორ გაგრძელდება ეს პროცესები, ცალკე საკითხია, ვინაიდან, როცა საუბარია სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაზე, მოგეხსენებათ, ყველაფერი ემყარება ინტერესებს...

## ათჯერ და ოცჯერ მეტი პროვოკატორი რომ არბენინოს სააკაშვილმა ქუჩებში, ხალხის განაჩენს ვერ ასცდება

## «ახლა ესენი არიან ერთი მუჭა მასხარადქცეული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც ძალიან აშინებს დიდი ერთობა»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

## ისრაელის პრემიერი: იერიში გამართლებულია!

**ირანის ბირთვულ ობიექტებზე პრევენციული დარტყმა „ამართლებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი ბოლომდე განადგურება ვერ მოხერხდება“, — ამის შესახებ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ თავის გარემოცვასთან შეხვედრისას განაცხადა.** ისრაელის პრემიერი მიიჩნევს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ირანის ბირთვული პროგრამის რეალიზაცია რამდენიმე წლით შეფერხდება. ნეთანიაჰუს განცხადებით, ერთი ან ორი წელი, რაც ირანს დასჭირდება ისრაელის შეტევის შემდეგ პროგრესის მისაღწევად ბირთვული იარაღის შექმნის საქმეში, შესაძლოა, გადამწყვეტი აღმოჩნდეს. ნეთანიაჰუმ არ გამორიცხა ირანის ისლამურ რესპუბლიკაში პოლიტიკური ცვლილებები და ისეთი ფაქტორების წარმოქმნა, რომელიც რეგიონში ვითარებას შეცვლის.

## ვინ აფერხებს უშიშროების საბჭოს

**ოფიციალურმა პეკინმა ევროკავშირის რიგი ქვეყნებისა და აშშ-ის ქმედებებში, რომლებიც სირიაში რეჟიმის შეცვლას უკავშირდება, გაეროს უშიშროების საბჭოს საქმიანობის შეფერხების მცდელობა დაინახა.** ამის შესახებ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ოფიციალური გაზეთი იუწყება. ჩინეთის კომპარტია მიიჩნევს, რომ დასავლეთის წინადადება, შეწყდეს ფრენები სირიის ტერიტორიის თავზე, ზიანს აყენებს როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს წევრების ერთიანობას, ასევე სირიაში კონსესუსის მიღწევის შესაძლებლობას. შეგახსენებთ, რომ ჩინეთმა და რუსეთმა არაერთხელ დაადეს ვეტო სირიის საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს.

## აშშ-ში მილიონერს ეძებენ

**აშშ-ში 337 მილიონი დოლარის მფლობელს ეძებენ.ამერიკაში ლატარეა Powerball-მა ყველაზე მსხვილი ჯეკპოტი გაათამაშა.** მოგებულმა თანხამ 337 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც ამ ლატარეის ისტორიაში უპრეცენდენტოა. დღემდე ყველაზე დიდ მოგებად ლატარიისთვის ითვლებოდა 60 მილიონიდოლარი, რომელიც კონექტუკის მცხოვრებმა მოიგო.

მოკლედ

## სირიაში გაეროს სადამკვირვებლო მისია შეწყვიტა

**გაეროს უშიშროების საბჭომ სირიაში სადამკვირვებლო მისიის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღო.** უცხოური მედიის ინფორმაციით, გაეროს უშიშროების საბჭოს ამჟამინდელმა ხელმძღვანელმა ჟერარ არომ ეს გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ მისიის გაგრძელებისთვის საჭირო პირობები არ იყო შექმნილი. „სადამკვირვებლო მისია დაიხურება და გაიხსნება საკოორდინაციო ბიურო დამასკოში“, — განაცხადა ჟერარ არომ.სადამკვირვებლო მისიის მანდატი მიმდინარე კვირაში იწურება. სამხედრო დამკვირვებლები დამასკოს რამდენიმე დღეში დატოვებენ. რა საქმიანობას განახორციელებს საკოორდინაციო ბიურო, ჯერ უცნობია.



## შიმონ პერესი აშშ-ის გარეშე ირანზე დარტყმის წინააღმდეგია

**ირანული საინფორმაციო სააგენტო „ფარსის“ ინფორმაციით, ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა განაცხადა, რომ მის ქვეყანას ირანზე თავდასხმის განხორციელება ამერიკის გარეშე არ შეუძლია.** „ნათელია, რომ ჩვენ ამერიკასთან ერთად უნდა ვიმუშაოთ. ჩვენ უნდა ვენდოთ აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას, რათაირანს ბომბის შექმნის საშუალება არ მივცეთ“, — განაცხადა პერესმა.

ანალიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკმარისია იუდეველთა თანამეგობრობის შესანიშნავად აწყობილი ურთიერთდახმარების სისტემის წინააღმდეგ ხმის ამოღება და სწორედ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა ამგვარ გაბედულ ნაბიჯს. სოლოვიოვმა იცის ეს საკუთარი გამოცდილებით და არა სხვათა მონათხრობით. აბა, ეცადა ვინმეს, მაგალითად, შევარდნილიყო მეჩეთში და მოსკოვის მუსლიმთა მთავარ სამლოცველოში მოეწყო RUSSY RIOT-ის კონცერტი.**

# რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და პატრიარქზე თავდასხმის ჭეშმარიტი მიზეზები


ვლადიმერ სოლოვიოვი

**ტელეწამყვანი ვლადიმერ სოლოვიოვი შეეცადა (და არცთუ უშედეგოდ), ფარდა აეხადა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სრულიად რუსეთის პატრიარქის წინააღმდეგ დროდადრო გააქტიურებულ მოხალისეთა ბინძური შეტევების ავტორთა ჭეშმარიტ განზრახულობათათვის, რასაც სიხარულით იმეორებენ აცუნდრუკებული ქართველი ვაიპატრიოტები, რომელთაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე რუსეთის აგენტები და რუსულ ფულზე გაყიდული ჯაშუშები ელანდებათ. სოლოვიოვი ებრაელია, იუდეველი, და უნდა ვირწმუნოთ მისი გულწრფელობა, როცა იგი ასეთი შეკითხვით მიმართავს საზოგადოებას: რატომ არავინ გვიტევს ჩვენ — ებრაელებს? არავინ აქვეყნებს მამხილებელ წერილებს რაბინების — ბერლ ლაზარისა და შაევიჩის ცხოვრების წესის შესახებ?**
**რატომ არ ილაშქრებს საზოგადოებრიობა ისეთი მონოათეისტური რელიგიის წინააღმდეგ, როგორიც ისლამია?**
**გაბედული კაცი ყოფილა ვლადიმერ სოლოვიოვი და მართალი. წაიკითხეთ მისი წერილი და დარწმუნდებით, რომ ასეა.**



პატრიარქისა და მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრდნენ პუტინის მხარდაჭერისა გამო. მაგრამ რაბინებმაც და მუფტიებმაც ხომ იგივე გააკეთეს იმ თათბირზე, რომელზეც პატრიარქმა კირილმა პუტინს მიანიჭა უპირატესობა. ყველა მათგანის კონსოლიდებული პოზიცია პატრიარქისას მიესადაგა სრულად.

რატომ ვდუმვართ ასე ინტელიგენტურად? — კითხულობს ვლადიმერ სოლოვიოვი და ცდილობს, თავადვე უპასუხოს, არგუმენტების თავისი პლაცდარმიდან.

**— იმიტომ, რომ,** — ამბობს იგი, — **გაბედავდნენ ადაგამოვი და რინსკა, გაბედავდნენ გელმანი და გოზმანი ხმის ამოღებას იუდეველებსა და მუსლიმებზე... გაბედავდნენ და მაშინვე გამოჩნდებოდა, რომ, როგორც იუდეველი, ასევე მუსლიმური საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა იმდენად ძლიერია, რომ დაიწრიტებოდა საზღვარგარეთიდან მომდინარე ფულის ნაკადი და მშვიდად და ზრდილობიანად აორთქლდებოდა პოლიტიკური კონტაქტები.**

**საკმარისია იუდეველთა თანამეგობრობის შესანიშნავად აწყობილი ურთიერთდახმარების სისტემის წინააღმდეგ ხმის ამოღება და სწორედ ასეთი რეაქცია მოჰყვებოდა ამგვარ გაბედულ ნაბიჯს. სოლოვიოვმა იცის ეს საკუთარი გამოცდილებით და არა სხვათა მონათხრობით.**

**აბა, ეცადა ვინმეს, მაგალითად, შევარდნილიყო მეჩეთში და მოსკოვის მუსლიმთა მთავარ სამლოცველოში მოეწყო PUSSY RIOT-ის კონცერტი.**

საშიშია!

თუმცა რა, განა რამეთი განსხვავდება რუსეთის სამოქალაქო ხელისუფლების დამოკიდებულება მაჰმადიანთა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა და იუდეველთა მიმართ? არა, ყველა მხარს უჭერს, ოპოზიციაში არავინ დგას, მაგრამ რატომ არავინ ლაპარაკობს ამის შესახებ?

ეგაა საქმე.

იმიტომ, რომ **აღმოჩნდა: რუსეთის მართლმადიდებლობა ყველაზე დაუცველი სტრუქტურაა, რომელსაც საზღვარგარეთ ისეთივე მძლავრი ლობისტური ქსელი არ აქვს, როგორიც ჩვენ, იუდეველებს, გაგვაჩნია ან ჩვენს ძმებს — მუსლიმებს. მუჰამედის კარიკატურებისა და სხვა ამბების შემდეგ, აბა, გაბედოს ვინმემ და რამე წამოაყრანტალოს!**

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას შეუტიეთ! შეიძლება! მიუხედავად ეთნიკური წარმომავლობისა, ყველაფრის მიუხედავად, შეუტიეთ რუსეთის მართლმადიდებლობას. შეიძლება. ჰკა მაგას! თავში არავინ ჩაარტყამს, მათ შორის, დამკვეთებიც. ეცადეთ მაინც „ბოლოტნელ“ მამუტიდან დაწყებული კაპკოკამდე, ვისაც გნებავთ, იმას, ეცადა ათასნაირი ჟურნალების გამომცემელთაგან ვინმეს, რამე მაინც ეცადა...

**ეცადა ვინმეს „ეხო მოსკვიდან“ — ალბაციდან სოროკინამდე რამე წამოეკნავლა იუდეველთა და იუდაიზმის წინააღმდეგ.**

**მე ებრაელი ვარ და კარგად ვიცი ბევრი რამ ბევრის საქმიანობის შესახებ, ძალიან კარგად ვიცი. მაგრამ არასოდეს მინახავს ჩვენს პროგრესულ საზოგადოებრიობას სადმე რამე რომ დაეწეროს. არც ერთხელ არ მინახავს, რამე დაეწეროს მუსლიმებზე, მუფთიებს ვგულისხმობ.**

რა ხდება, ბიჭებო?

გაგვაცნეს სტატისტიკა (ცოტასლა ახსოვს), რომ რუსეთში ერთ სულ მოსახლეზე

**აბა, ეცადა ვინმეს, მაგალითად, შევარდნილიყო მეჩეთში და მოსკოვის მუსლიმთა მთავარ სამლოცველოში მოეწყო Pussy Riot-ის კონცერტი**

რელიგიურ დაწესებულებათა ყველაზე ნაკლები რაოდენობა ქრისტიანებზე მოდის, არა იუდეველებზე. ჩვენ, ჩემი აზრით, სინაგოგები უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე ორთოდოქს ებრაელებს. მუსლიმებს კი არა — მართლმადიდებლებს.

მოსკოვი ოდესღაც ორმოცთა ორმოცის ქალაქი იყო, რომელსაც ეფინებოდა ტაძრების ზარების რეკვა... ამჟამად მიღებულია პროგრამა, ორასი ეკლესიის აგების შესახებ, რომელსაც, რაც ძალა შესწევთ, ეწინააღმდეგებიან. სახელმწიფოს კაპიკის დაუხარჯავად. ვერ წარმოიდგენთ, რა ველურ წინააღმდეგობას უწევენ, როგორი ველური სიძულვილით. ანუ ებრძვიან, როგორც შეუძლიათ.

**გოზმანი აცხადებს, რომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლის შედეგებით, უკიდურესად მცირედნი არიან, ვინც ეკლესიაში დადის და მარხვას ინახავს. ასეა, რა თქმა უნდა. ესაა ტრაგედია. არც ერთი რელიგია ისე საშინლად არ დაზარალებულა, როგორც რუსული მართლმადიდებლობა.**

რატომ?

თავიდან, 300 წლის წინ, მეფეები ანადგურებდნენ მართლმადიდებლობას. დავიწყებ იმ მომენტით, როცა პეტრე პირველმა პატრიარქის არჩევა და მართლმადიდებლობა დე ფაქტო ანგლიკანური ეკლესიის ისეთ ეშმაკურ ფორმად აქცია, როცა მმართველობა ებარა სინოდს და ობერპროკურორს, ეკლესიის სათავეში კი იმპერატორი იდგა. ეს, რა თქმა უნდა, რუსული მართლმადიდებლური ტრადიცია არ არის.

აღადგინეს. და კიდეც მოვიდნენ ბოლშევიკები, რომლებმაც გაანადგურეს ყველაფერი, შეეცადნენ, ამოეშანთათ რწმენა, დისკრედიტაცია მოეხდინათ მსახურთა, გაენადგურებინათ ისინი.

ბოლშევიკები ეშმაკურად მოქმედებდნენ: მაშინვე წარმოიქმნა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პარალელური სტრუქტურები, ბევრი რამ მოხდა. ანუ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის აქტიური მუშაობა — მღვდელმსახურთა მოსპობა, აწყვეტილი ანტირელიგიური პროპაგანდა, ტაძრების ნგრევა, ყველაფერი იყო. კვაზირწმენის შექმნაც, როგორადაც კომუნიზმი წარმოედგინათ. იყო ყველაფერი, რუს ადამიანში მისი სულის წარმოდგენაც რომ გაექროთ.

**სული რომ წაეწყმიდათ. იუდეველები, რომლებიც სასტიკად გააწამა საბჭოთა ხელისუფლებამ, თანაც იმ ებრაელების ხელით, რომლებმაც უარი თქვეს იუდაიზმზე და გაბოლშევიკდნენ. ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მოწყობილი პირველი დარბევების — „პოგრომების“ ინიციატორები იყვნენ ადამიანები, რომლებიც ჩამოსული იყვნენ დაბა-სოფლებიდან და ეზიზღებოდათ თავიანთი მოხუცები, ეზიზღებოდათ თავიანთი ტრადიციები. მაგრამ ებრაელებს ბედმა უფრო იმიტომ გაუღიმა, რომ იუდაიზმი ტერიტორიულად რუსეთზე მიბმული არ იყო. ამიტომ წავიდა იგი საზღვარგარეთ, საზღვარგარეთ გადარჩა, აყვავდა და შემდეგ დაბრუნდა რუსეთში.**

მაჰმადიანობაც — აგრეთვე, ცალკე თემაა. მაჰმადიანობა არ იყო და არ არის მაინც და მაინც რუსეთზე მიბმული.

მართლმადიდებლობასთან საქმე სხვაგვარადაა. **რუსული მართლმადიდებლობა იმით განსხვავდება იუდაიზმისგანაც და მაჰმადიანობისგანაც, რომ მას ფესვები სწორედ აქა აქვს გადგმული.** ამიტომ იყო, რომ მთელი 90-იანი წლების განმავლობაში ცდილობდნენ სხვა გზით გაენადგურებინათ რუსული მართლმადიდებლობა, უცხო სექტებისა და ფსევდოქრისტიანული ან რეალურად ქრისტიანული რელიგიების აქ ჩანერგვით.

აქტიური ჩართვით.

**ამჟამად ჩვენ დე ფაქტო მოწმენი ვართ „ჯვაროსნული ლაშქრობის“ რუსული სულის, რუსული რწმენის წინააღმდეგ... შეგახსენებთ, რომ ამ ლაშქრობის ნაწილი ალექსანდრე ნეველის წინააღმდეგ დაპირისპირება იყო. თუ ვინმეს დაავიწყდა, შევახსენებ, როცა რაინდი-ძაღლები, როცა ტევტონელები უტევდნენ ჩვენი წინაპრების მიწებს (ჩემს ებრაელობას კი არ ვგულისხმობ, არამედ — რუსეთს), მაშინ გამოიცა პაპის ბულა, რომელმაც ეს ლაშქრობა ჯვაროსნულად გამოაცხადა. მაშინ ალექსანდრე ნეველმა დაიცვა რუსეთი და დაიცვა რუსული რწმენა. დღეს იგივე ხდება: მიმდინარეობს უმძიმესი, მასირებული, უმძლავრესი ჯვაროსნული ლაშქრობა რუსი ადამიანის არსის, რუსული რწმენის წინააღმდეგ.**

ამასთან, რაგინდ უცნაურად გვეჩვენებოდეს ღმერთის რუსული გაგება, რწმენის გრძნობა რუსეთში, თუმცა სარკისებურად არეკლილი, იგი არსებობდა განათლებაში. ინტელიგენტ ადამიანებს მოჰქონდათ ეს სინათლე: ნათელი მაგალითია მამა ალექსანდრე მენი, რომელიც ეროვნებით ებრაელი იყო და რუსული ლიტერატურის წყალობით შეითვისა რელიგიურობის გრძნობა: დოსტოევსკისა და ღმერთთან მებრძოლ ტოლსტოის წყალობით, არაფერი რომ არა ვთქვათ ლესკოვზე.

მაგრამ აქ გამოჩნდებიან ფურსენკო და მასთან შეამხანაგებულნი და ანადგურებენ ამ ტრადიციას. ამიტომაც გაქრა განათლება, ჩამოინგრა რუსული მენტალობის ერთ-ერთი ბურჯი.

ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი შემთხვევითი არ არის. **რიგი ადამიანებისა სიხარულით ავრცელებენ ჭორს, ცილს სწამებენ და ცდილობენ თავიანთი, უკიდურესად გულუბრყვილო შეხედულებანი რწმენასა და ღმერთზე, მოძღვრების არსზე გაავრცელონ მსოფლიოში...**

ამიტომ, როცა მარატ გელმანი ტვიტერში მეკითხება: „გამოდის, რომ მათ აკრძალული აქვთ პატრიარქთან კამათი, დისკუსია?“ ვუპასუხებ: ვის „მათ“? მოცახცახე არსებებს?

დიახ, ცხოვრებაში ყველაფრამდე უნდა მიხვიდე, უნდა შეესაბამებოდე. **აღსარების თქმა, რა თქმა უნდა, შეიძლება, რჩევის კითხვა შეიძლება, აი დისკუსიის გამართვა კი გულისხმობს, რომ შენ თანასწორი ხარ. სხვაგვარად დისკუსია არ არის. შეიძლება ხუთი წლის ბავშვმა დისკუსია გამართოს აკადემიკოსთან?! არ გამოვა დისკუსია, პასუხებს ვერ გაიგებს. საუბარი შეიძლება, დისკუსია — არა.**

პატრიარქს კი არ ურტყამენ, არც საღმრთო კრავები წარუდგენენ მას პრეტენზიებს. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რა ზუსტად მოქმედებდნენ „პაბლიკ რილეიშენის“ პოზიციებიდან. ყველაფრის დაბრალებას ცდილობდნენ. ცდილობდნენ მისთვის თამბაქოს აქციზების მიკერებას, მაგრამ იგი ამით არ იყო დაკავებული, პირიქით, — ებრძოდა ამას. ცდილობდნენ, სიძვა დაებრალებინათ მისთვის, მაგრამ არ მრუშობს იგი, დებო... სხვა გვარისააო — გუნდიაევი! თქვენ ყველას ხომ კეთილხმოვანი მაღალი წრის შესაფერი გვარები გაქვთ, რისა გეშინიათ, მთავარი ისაა, რომ იპოვეთ დაბრალების საბაბი. მიდით, მიდით!

**ტალახი, ტალახი, ტალახი.**

**მითითება, მითითება, მითითება.**

**ყოველთვის შეიძლება განაცხადო „მე რა, აი, მიუთითებენ“... და — აქვე ფრაზა: „კვამლი ხომ უცეცხლოდ არ არის“.**

**არის და თანაც როგორი!**

**SIMVOL-VERI.RU-ს მიხედვით**

**ევროპა რომ ახლა საპენსიო ასაკის აწევაზე, პენსიებისა და ხელფასების შემცირებაზე არ მიდიოდეს, იგი უკვე ჰიპერინფლაციის უფსკრულში გადაეშვებოდა. ამიტომ, როცა მორიგი „ეკონომისტი“ სოციალური ხარჯების შემცირების გზით ეკონომიკის „გაჯანსაღების“ რეცეპტით გამოდის, უნდა იცოდეთ, რომ თავხედურად და უტიფრად გატყუებენ, იმიტომ, რომ სინამდვილეში იგი ბანკებისა და კორპორაციების მოგების შენარჩუნებისა და გაზრდისთვის ირჯება, თქვენს ხარჯზე.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპა: «სოციალიზმი» ბანკირებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის

**ამ დღეებში სოციალურ ქსელებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იური გავრილეჩკოს სტატიამ, რომელიც თანამედროვე ფინანსური კრიზისის ჩრდილოვან მხარეებზე ამახვილებს ყურადღებას. საბაზრო ეკონომიკის გალმერთებამ ევროპის ქვეყნებში ღრმა კრიზისი გამოიწვია, ხოლო მის გასანეიტრალებლად გაღებული თანხები არა უმუშევრების ან უმწეოთა დახმარებას, არამედ კვლავაც მათ ხმარდება, ვის გაუმაძღარ მადასაც შიმშილი და გაჭირვება მოაქვს. „საქართველო და მსოფლიო“ ამ სტატიას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.**



კრიზისმა, რომელიც უკვე ხუთი წელია, მსოფლიოს არყევს, ნათლად წარმოაჩინა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები. გაირკვა, რომ კაპიტალიზმი, მარქსის გაგებით და ადამ სმიტის ხედვით, კარგა ხანია, აღარ არსებობს. ამ თვალსაჩინო ფაქტს უკვე პრაქტიკულად ყველა ეკონომისტი აღიარებს, მაგრამ თითქმის არავინ საუბრობს იმაზე, რომ გლობალიზირებულმა მსოფლიომ ბანკირების, ოლიგარქებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის უნიკალური კვაზისოციალიზმის სისტემა შექმნა.

ეკონომიკურ კრიზისთან ბრძოლის პრაქტიკულად ყველა ზომა, რომელზეც ქვეყნებისა და სახელმწიფოთა კავშირების მთავრობები მიდიან, მკაფიოდ ახდენს საბაზო სოციალისტური მახასიათებლის, პატერნალიზმის, დემონსტრირებას.

**ბანკირების, ოლიგარქებისა და ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის სოციალიზმი უკვე დადგა. ისინი სწორედ სოციალისტური უპირატესობებით სარგებლობენ — ურთიერთდახმარების მსოფლიო სალაროთი (საერთაშორისო სავალუტო ფონდი), პირდაპირი სახელმწიფო დოტაციებით, გადასახადებისთვის თავის არიდებისა და სახელმწიფოს ხარჯზე არსებობის შესაძლებლობით; სახელმწიფოები კორპორაციების ვალებს ფარავენ, უპროცენტო და შეღავათიან სესხებს აძლევენ როგორც ბანკებს, ისე ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.**

ყოველივე ეს თითქოს იმისთვის კეთდება, რომ მათი მხარდაჭერით დასაქმება იქნას შენარჩუნებული, ანუ სწორედ ის, რაც სოციალისტური სახელმწიფოსთვის არის დამახასიათებელი. თუმცა ესეც არ არის ყველაფერი. რატომღაც ვერსად იპოვი ინფორმაციას, თუ რაზე იხარჯება სახელმწიფოებისა და კერძო კომპანიების დასახმარებლად გამოყოფილი თანხები. მედიაში იშვიათად გაჟონავს ხოლმე ინფორმაცია სკანდალებზე, როდესაც ფინანსური სტრუქტურებისთვის რეაბილიტაციისა და ბანკროტობის თავიდან ასაცილებელი თანხები ტოპ-მენეჯერების ანაზღაურებას ხმარდება. სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხების შესახებ ინფორმაცია კი საერთოდ არ ხმაურდება.

**იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისეთი სახელმწიფოების ვალზე საუბრისას, როგორებიცაა საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, შეგნებულად არის მიჩუმათებული ამ ვალის ბუნება. ამავე დროს, მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო ვალები თითქოს მთლიანად სოციალური ხარჯებით არის განპირობებული და ამიტომ მათი შემცირება აუცილებელია. ეს სრული სიცრუეა.**

კაპიტალისტური ქვეყნების სახელმწიფო ვალებში სოციალური ხარჯები პრაქტიკულად არ არის, რადგან ისინი აპრიორი არავის გაუთვალისწინებია. მათი უდიდესი ნაწილი ხელფასებზე, პენსიებსა და სოციალურ დახმარებებზე სულაც არ იხარჯება, მაგრამ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამასთან დაკავშირებით კითხვასაც კი არ სვამენ. მეტიც, ამის შესახებ არც პროფესიონალი ეკონომისტები და პოლიტიკოსები საუბრობენ. მიუხედავად ამისა, უამრავ განცხადებას მოისმენ, რომ აუცილებელია საპენსიო ასაკის აწევა და, თანხების დაზოგვის მიზნით, ბიუროკრატიული აპარატის შემცირება, თანაც ამ ორ საკითხს შორის ტოლობის ნიშანია დასმული.

**რატომღაც არავინ აქცევს ყურადღებას იმას, რომ არც საბერძნეთში, არც იტალიაში, არც ესპანეთსა და პორტუგალიაში სახელმწიფო ბოლო ათწლეულების განმავლობაში საპენსიო პროგრამების დოტაციას არ ახდენდა.** ისევე, როგორც აშშ არ ახორციელებდა კერძო საპენსიო ფონდების დოტაციას. მაშ, როგორ შეიძლება არარსებული ხარჯების შემცირება? უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფო ყოფილ მოხელეებს უხდიდა პენსიებს, რომელთა რაოდენობა ძალიან მცირეა ყველა დანარჩენ პენსიონერთან შედარებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს მასშტაბით პენსიების გაცემის გამო ბიუჯეტის გაზრდის არანაირი პრობლემა არ შეიძლებოდა ყოფილიყო.

სამაგიეროდ, პენსიების პრობლემა იმის გამო იქმნება, რომ კერძო საპენსიო ფონდები არა მარტო მომგებიან ბიზნესად იქცა მათი მფლობელებისთვის, არამედ ტოპ-მენეჯერების მიერ უკონტროლოდ გამოიყენება სპეკულაციურ ფინანსურ ოპერაციებში და საბირჟო თამაშებში. თუ ვინმეს ჰგონია, რომ საპენსიო ფონდები ეკონომიკის რეალურ სექტორს აკრედიტებენ, ამგვარი გულუბრყვილო წარმოდგენა რეალობის შეფასების კრიტერიუმად ვერ ჩაითვლება. საპენსიო ფონდები, უკვე კარგა ხანია, დერივატივების ბაზარზე თამაშობენ და, რაც აქვთ, ყველაფრით რისკავენ ფინანსურ ბაზარზე „ჰაერიდან“ მოგების მისაღებად.

**ვიდრე მკაფიოდ არ განისაზღვრება სახელმწიფო ვალების სტრუქტურა** (ვის, ვისი, როდის, რისთვის და რამდენი მართებს) **და არ გაიწერება მკაფიო გეგმა** (ვის, რატომ, რა რიგითობით, რამდენი და რა წყაროდან უნდა მიეცეს), **სიტუაციის გამოსწორების ყველა მცდელობა ეკონომიკაში ფულის ჩაყრის გზით მხოლოდ კრიზისის ესკალაციას და რეალური აქტივების კრედიტორებისკენ გადაქაჩვას გამოიწვევს.**

ბანკირებმა და ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა თავისთვის სოციალიზმი უკვე აიშენეს და მისი უპირატესობებით სრულად სარგებლობენ. მაგრამ ამ ბანკეტის საფასური ვიღაცამ უნდა გადაიხადოს და გადახდას მრავალტანჯულ საშუალო კლასს სთავაზობენ როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში.

რატომ სწორედ საშუალო კლასს? იმიტომ, რომ სახელმწიფოების მიერ ვალად აღებული თანხები არავის მიერ არ ყოფილა გამომუშავებული. ისინი საერთოდ არ არსებობდა იმ მომენტამდე, ვიდრე ვიღაცამ სესხად არ აიღო. ამის შემოწმება ადვილია: **გაცემული კრედიტები ბევრად აჭარბებს ბანკების ანგარიშებზე არსებულ დეპოზიტებს.**

**გამოდის, რომ დავალიანების მოცულობის უდიდესი ნაწილი „ჰაერიდან“** (საბეჭდი დაზგიდან) **გაკეთებულ ფიქტიურ ფულს წარმოადგენს და არავითარი კავშირი ეკონომიკასთან არ აქვს.** სწორედ ამიტომ მათი არა მარტო გადახდა არ არის საჭირო, არამედ ამას ვალიც არ უნდა ვუწოდოთ, რადგან მათ უკან არც აქტივები, არც შრომა და არც ყბადაღებული დამატებითი ღირებულება არ დგას. მათ უკან საერთოდ არაფერი დგას, ელექტრონული ნულებისა და ერთეულების გარდა.

განვიხილოთ იმ განცხადებების უსაფუძვლობა, რომელთა თანახმად საბერძნეთში დავალიანება სახელმწიფო აპარატის ხარჯებმა გამოიწვია. საბერძნეთში 11 მილიონზე ოდნავ მეტი ადამიანი ცხოვრობს. მოხელეთა რაოდენობა, თუ 3%-ს ვიანგარიშებთ, რაც ნაკლებ სავარაუდოა, 300 ათასი უნდა იყოს. ვალის დასაფარად 160 მილიარდი ევროა საჭირო. ეს თანხა რომ ხელფასებში გადავიყვანოთ, გამოვა, რომ ბერძენი მოხელე თვეში საშუალოდ 44,4 ათას ევროს იღებს. სინამდვილეში საბერძნეთში საშუალო თვიური ხელფასი 2012 წლის პირველ ნახევარში 2 ათას ევროს შეადგენს. შეუძლებელია, მოხელეები საშუალო ხელფასზე 20-ჯერ მეტ ანაზღაურებას იღებდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამხელა დავალიანების დასაგროვებლად ხელფასების ხარჯზე 20 წელი დასჭირდებოდა. ამდენად, **სოციალური ხარჯებითა და მოხელეთა ხელფასებით საბერძნეთის სახელმწიფო ვალის დასაბუთება შეუძლებელია.** თანაც, ჩვენ იმგვარი სიტუაცია განვიხილეთ, თითქოს საბერძნეთი გადასახადებს არ კრეფს და მხოლოდ ვალებით ცხოვრობს!

**თუ გავიხსენებთ, რეალურად რაზე იხარჯებოდა სახემწიფო თანხები კრიზისის 5 წლის განმავლობაში, აღმოჩნდება, რომ მათი დიდი ნაწილი იმ მსხვილი კომპანიების ჯიბეებში მიდიოდა, რომლებზეც ამბობენ: „მეტისმეტად დიდია იმისთვის, რომ გაკოტრდეს“. სწორედ მათმა პრობლემებმა და სახელმწიფოს მიერ მათთვის ბიუჯეტიდან თანხების მიცემამ დააგროვა ეს ვალები. სახელმწიფო ვალებს ამ შემთხვევაში სოციალურ პოლიტიკასთან არავითარი კავშირი არ აქვს.**

კრიზისი საუკეთესო დროა ფულის საშოვნელად. პირველ რიგში, ეს საფინანსო ინსტიტუტებს ეხება, რომლებიც, პრინციპში, არავითარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას არ ეწევიან. ფულის შოვნა კი მათ მხოლოდ იმათ ხარჯზე შეუძლიათ, ვინც შრომობს და რაღაცას აწარმოებს. სწორედ ამიტომ მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერის პოლიტიკა სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკრედიტო რესურსების მათ ჯიბეებში გადაქაჩვით შესაძლებელია მხოლოდ ერთი წყაროს ექსპლუატაციის გზით, საიდანაც ამ კრედიტების ამოღება არის შესაძლებელი. ეს წყარო კი მუშები და მოსამსახურეები არიან, რაკი ევროპაზე ვსაუბრობთ, ევროპელი მუშა-მოსამსახურეები.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ **ევროპის ცენტრალური ბანკის ფინანსური დახმარება მხოლოდ ფულის საბეჭდი დაზგის შესაძლებლობებს ემყარება. ეს ფიქტიური, არაფრით უზრუნველყოფილი ფულია.** ეს ფაქტი რომ დამალონ და მკვეთრი ინფლაციური ზრდა არ დაუშვან, ამიტომ იღებენ ზომებს მომუშავე მოსახლეობისა და პენსიონერებისგან ფულის ამოსაღებად. ეს კი ხელფასების, პენსიების შემცირებისა და საპენსიო ასაკის აწევის გზით კეთდება. სწორედ ეს არის ამგვარი „სოციალური“ ინოვაციების ერთადერთი მიზეზი.

**ევროპა რომ ახლა საპენსიო ასაკის აწევაზე, პენსიებისა და ხელფასების შემცირებაზე არ მიდიოდეს, იგი უკვე ჰიპერინფლაციის უფსკრულში გადაეშვებოდა. ამიტომ, როცა მორიგი „ეკონომისტი“ სოციალური ხარჯების შემცირების გზით ეკონომიკის „გაჯანსაღების“ რეცეპტით გამოდის, უნდა იცოდეთ, რომ თავხედურად და უტიფრად გატყუებენ, იმიტომ, რომ სინამდვილეში იგი ბანკებისა და კორპორაციების მოგების შენარჩუნებისა და გაზრდისთვის ირჯება, თქვენს ხარჯზე.**

**fondsk.ru-ს მიხედვით**

მოკლედ

## პარიზში პრეზიდენტის სასახლის ზუსტი გეგმა მოიპარეს

**საფრანგეთის მთავრობამ 21 აგვისტოს პრეზიდენტის სასახლის, გენერალური დაზვერვის (ქვეყნის მთავარი სპეცსამსახურის) და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პარიზის პოლიციის სამმართველოს ზუსტი გეგმების მოპარვის შესახებ განაცხადა.** ეს გეგმები ერთ–ერთი კონტრაქტორის მეხსიერების ბარათზე ინახებოდა, რომელიც სახელწიფო შენობებში კომუნიკაციების შეცვლაზე მუშაობდა. უცნობმა მძარცველებმა მეხსიერების ბარათი ბიზნესმენის ავტომობილიდან მოიპარეს. პოლიციის განცხადებით, ეს დოკუმენტები საიდუმლოს არ წარმოადგენს და მათი დაკარგვა ხიფათის შემცველი არ არის.

## ბერლინში მატარებელი რელსებიდან გადავარდა

**ბერლინში საქალაქო მატარებელი რელსებიდან გადავარდა. 6 ადამიანი, მათ შორის მემანქანე, დაშავდა.** სულ მატარებელში 55 მგზავრი იყო. 6-დან ორი ვაგონი გადაბრუნდა. მგზავრებს თავად გამოსვლა არ უცდიათ, მაშველებს ელოდნენ, რომლებმაც ევაკუაცია განახორციელეს. დაზიანებულ უბანზე სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა. მატარებლების ნაცვლად ავტობუსები დაინიშნა. შემთხვევის ადგილზე პოლიცია და სახანძრო სამსახური მივიდა. ავარიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

არჩევნები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს საქართველოს კარიბჭე შველას ითხოვს, დახმარება, მზრუნველი ხელი სჭირდება და უანგარო სიყვარული. ფოთი სააკაშვილმა მიატოვა, გაძარცვა და შემოსავლის წყაროდ აქცია, ოღონდ არა ფოთელებისთვის. გააკოტრა, გააღარიბა. წაართვა ფოთელებს ზღვაზე გასასვლელი — გაუყიდა საზღვაო პორტი, მეზღვაურები უმუშევრად დატოვა, დევნილები მძევლებად აქცია. ქალაქი უსამართლობისთვის გაიმეტა.“**

# ეკა ბესელია: ფოთელები ხუმრობენ, როცა მოიღრუბლება — პრეზიდენტი მოფრინავს ღრუბლებს ამოფარებულიო...

**დიდი ქართველი მამულიშვილის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის, ეროვნული სულიერებისა და მატერიალური კეთილდღეობისთვის მებრძოლი ინტელიგენტის, ნიკო ნიკოლაძის, დროიდან მოყოლებული ფოთს, უძველეს ფაზისს, საქართველოს საზღვაო და სახმელეთო კარიბჭის, ინდუსტრიული ცენტრის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. სააკაშვილმა, რომელიც საქართველოს გახლეჩა-დაპირისპირების ანტიეროვნული მოღვაწეობით არის გატაცებული, ბათუმის ჩრდილში ფოთის მოქცევა მოინდომა. იქით კიდევ — მიუნჰაუზენის ლაზიკა.**


2012 წლის 20 აგვისტო:
ეკა ბესელიას წარდგენა ფოთელებისთვის

**— როგორია დღეს ფოთი? კოლოები მომრავლდნენო მიტოვებულ ჭაობისპირა ქალაქში, ასეა?**

**კოლოები — წვრილ-წვრილი და მსხვილიცო. ერთის წუილი გასულ პარასკევსაც გავიგონეთ მეორე ტელეარხის ეკრანიდან — არჩევნებში ერთი პროცენტიც არ მოგცემთ ხმასო, რომ დაგემუქრათ.**

— კოლოები, მართლაც, ბევრია, მაგრამ მე არ მერჩიან. აბსოლუტურად. *(ღიმება).* ნეგატიურად განწყობილი ერთი კაცის რეაქციაზე რომ მკითხეთ, ეს მისი კერძო აზრია, აქვს უფლება.

**ასე უპასუხა ჩემს შეკითხვებს ცნობილმა იურისტმა და სამართალმცოდნემ ეკა ბესელიამ, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად წარადგინა ფოთის საარჩევნო ოლქში.**

ერთი ხანია, ფოთის მკვიდრიც გახდა და ისე ჩაერთო წინასაარჩევნო საქმიანობაში, 14-15 საათამდე ისე გაიხანგრძლივა უწყვეტი სამუშაო დღე, მოსახლეობასთან იმდენ შეხვედრას ატარებს, რომ ერთი დღით თბილისში ჩამოსული ძლივს მოვიხელთე ინტერვიუს ჩამოსართმევად.

ამ დროს და ასეთ გადატვირთულ სიტუაციაში ადამიანი ფეხზე ძლივს უნდა იდგეს. ეკა ბესელია ფორმაშია ყოველთვის. შეგშურდება.

— ფოთელებისგან ისეთი სითბო და სიყვარული მოდის, რომ მეტი და მეტი ძალა მეძლევა, — **ამიხსნის და მთავარ სათქმელს მიუბრუნდება:**

— **დღეს საქართველოს კარიბჭე შველას ითხოვს, დახმარება, მზრუნველი ხელი სჭირდება და უანგარო სიყვარული. ფოთი სააკაშვილმა მიატოვა, გაძარცვა და შემოსავლის წყაროდ აქცია, ოღონდ არა ფოთელებისთვის. გააკოტრა, გააღარიბა. წაართვა ფოთელებს ზღვაზე გასასვლელი — გაუყიდა საზღვაო პორტი, მეზღვაურები უმუშევრად დატოვა, დევნილები მძევლებად აქცია.**

**ქალაქი უსამართლობისთვის გაიმეტა.**

ფოთს არ აქვს გზები, წყალსადენი, ნორმალური კომუნიკაციები — მოშლილია ინფრასტრუქტურა. ხელისუფლებამ ფოთი დაივიწყა, მიტოვებულ ჩიხად აქცია. ეს შესანიშნავად აქვთ გაცნობიერებული ფოთელებს. მათი განწყობილებაც ხელისუფლების მიმართ აქედან იღებს სათავეს.

**— ქალბატონო ეკა, თქვენგან გავიგეთ ფოთელების „შიშების“ შესახებ: გასულ წვიმიან დღეებში სულ ზეცისკენ იყურებოდნენ, ღრუბლებს შესცქეროდნენ და ყოველ გაელვებაზე კრთებოდნენ — ემანდ პრეზიდენტი არ იმალებოდეს, არ ჩამოვარდეს და თავზე არ დაგვეცესო!**

— ფოთელები მწარედ ხუმრობენ, როცა მოიღრუბლება: პრეზიდენტი მოფრინავს ღრუბლებს ამოფარებულიო *(ღიმება).* უბედურებაა, როცა ისეთი ხელისუფალი გყავს, რომელიც სამასხარაო გახდა ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ. **ბოლო დღეები სულ მოღრუბლულია და სააკაშვილმაც მოუხშირა ფოთში ვიზიტს... მაგრამ ცდება, თუ ჰგონია, რომ მისი ჩამოსვლა ფოთელებს მისი და მისი პარტიის მხარდამჭერებად აქცევს.** ფოთი — ფოთელებს, ძლიერი თვითმმართველობა, ხალხის მსახური ხელისუფლება, კანონის ზეობისა და სამართლიანობის დაბრუნება — აი, რა სჭირდება ქალაქს, რომელიც სრულიად განსაკუთრებულია საქართველოსთვის.

**— გამოჩნდა თუ არა სააკაშვილი აგვისტოს ომის კვალზე 2008 წლის აგვისტოში ფოთში?**

— ომის დღეები ფოთმა მძიმედ გადაიტანა, დაგვეღუპა 12 ადამიანი. სააკაშვილი კი არა, არც ერთი დიდმოხელე არ გამოჩენილა ჩვენს ქალაქში. ყველა წითელი ხიდისკენ გარბოდა მონახვეჭი ძვირფასეულობით დატვირთული და საზღვართან დიდ რიგებში დგებოდა.

**— თავად არნახულად მშიშრები, დღეს ცდილობენ საკუთარი ხალხის დაშინებას და დატერორებას.**

— ვერ შეაშინებენ... იმ დღეების დავიწყება ჯერ ადრეა. ხალხს ყველაფერი ახსოვს და სააკაშვილის კონტროლირებადი ტელეარხებიდან წამოსული სიცრუის ნაკადი ვერ შეცვლის იმ დღეების რეალობას.

**მე შევხვდი რამდენიმე შვილმკვდარ დედას, რომლებიც ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალთან — მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვდნენ. სააკაშვილმა თავი აარიდა, სამაგიეროდ საკუთარი პერსონის გასაპიარებლად გამოიყენა ამ უბედურთა ტრაგედია.**

ეს დედები ისევე არიან მიტოვებულები, როგორც ომისა და შრომის ვეტერანები. შეღავათები, პენსიები გააუქმეს, დახმარებას აღარ აძლევენ. გული მტკივა, ამ ადამიანებს რომ ვუყურებ!

**— ფოთის საკრებულოს თავმჯდომარის საცხოვრისის ეზო და უბანი უპატრონობის ნიმუშიაო, თქვით თქვენ ტელევიზიით გამოსვლისას.**

— დიახ, მე ვიყავი ეზოში, სადაც ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ცხოვრობს, და იქ მქონდა შეხვედრა. მოსახლეობამ მითხრა, რომ საკუთარ ეზოს არ პატრონობს, წვიმის დროს ტბა დგასო, ადამიანებს ოთახებში სახურავიდან წვიმა ჩასდით, გარაჟები დაუნგრიეს და ბოლო კაპიკებით შეკოწიწებული საკუთრება წაართვეს.

**— ეგებ ამ კაცმა მთელი ძალისხმევა ქალაქის კეთილმოწყობაზე, კომუნიკაციების გამართვაზე, სასმელი წყლისა და სხვა პრობლემების მოგვარებაზე გადაიტანა და თავისი საკუთარი დაივიწყა?**

— ნეტა, კი იყოს ასე, ვინმე ნეტავი ზრუნავდეს ფოთზე! თუ ბიძინა ივანიშვილმა, ერთმა ადამიანმა, შეძლო და მთელი საჩხერე ფეხზე დააყენა, ოჯახები გადაარჩინა, სკოლები აუშენა ბავშვებს, უფასო ჯანდაცვითა და ყველა სიკეთით სარგებლობენ ადამიანები, რატომ ვერ გააკეთა ეს ჩვენმა ხელისუფლებამ ერთად? **ბიძინა ივანიშვილს მთელი საქართველოს შველა აქვს ჩაფიქრებული და შეძლებს კიდეც.**

**ფოთელებისთვის 6 აგვისტოს „ქართული ოცნების“ ლიდერის ჩამოსვლა დიდი სტიმული იყო. ძალიან კარგი სიტყვით გამოვიდა ბატონი ბიძინა ივანიშვილი ჩემი წარდგენის დროს, საოცრად კარგად შეხვდა ხალხი.**

**— ფოთის ერთ-ერთი უდიდესი პრობლემა ზღვასთან ჭიდილი იყო, მიწა მიჰქონდა ზღვას. დღეს რა ვითარებაა? ემუქრება ქალაქს ეკოლოგიური კატასტროფა: აქეთ — ზღვა, იქით — პალიასტომის ტბა?**

— ბევრი წუხილი და სატკივარი აქვს ფოთს — ქალაქის სანაპირო ზოლი დაუცველია, სტიქიას ყოველწლიურად მიაქვს ხმელეთი და არანაირი დამცავი ინფრასტრუქტურა არ არსებობს; პალიასტომი უკვდება ფოთს, დამლაშებულია, მეთევზეები ვერ შედიან, უკრძალავენ თევზის ჭერას, მდინარე კაპარჭინა დანაგვიანებულია, გასაწმენდია, კალაპოტი დაჭაობებულია... რომელი ერთი ჩამოვთვალო?

**— ფოთი დასავლეთ საქართველოს უმწეო გლეხობისთვის ის ქალაქი იყო, რომელშიც „ფულის შოვნა“ შეიძლებოდა. „— სო მეურქ? — ფუთიშა მეურქ, ეგება ჟირიოდე ფარა იბშუა“, ხომ გახსოვთ!**

**ფოთის ნავსადგური, საქართველოს პირველი ნავსადგური შავ ზღვაზე, ფოთის ჰიდრომექანიზაციის ქარხანა, რომლის პროდუქცია (მიწასაწოვი დანადგარები) ერთ დროს მსოფლიოს 23 ქვეყანაში იგზავნებოდა, დღეს რა მოცულობით ფუნქციონირებს?**

— თქვენმა სიტყვებმა გული ამიჩუყა, მართლაც ასე იყო. მახსოვს, ჩემს ბავშვობაში ფოთი დიდებული და ამაყი საზღვაო ქალაქი იყო, 17-ზე მეტი ქარხანა ფუნქციონირებდა... სად გაქრა ეს ქარხნები? სააკაშვილი 450 საწარმოს და 20 ათას სამუშაო ადგილს ჰპირდებოდა ფოთელებს. ყველაფერი ტყუილი აღმოჩდა, ისევე, როგორც დაპირებული ეკონომიკური ზონა...

**— როგორ წყდება დღეს ფოთში დასაქმების საკითხი და რას სთავაზობთ აქაურებს უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?**

— **ფოთი ფოთელებს უნდა დავუბრუნოთ, ქალაქს — საქართველოს კარიბჭის ფუნქცია. უნდა აღდგეს სანაოსნო ტრადიციები, ასევე გემთმშენებლობის, თევზის რეწვის, საწყლოსნო სპორტის სახეობები, განვითარდეს მცირე ბიზნესი, შემოვიდეს ფოთის ბიუჯეტში შემოსავლები პორტიდან და მოხდეს დეცენტრალიზაცია; გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობა — მერსაც ფოთი უნდა ირჩევდეს და თვითმართველობასაც, რომელიც ხალხს უნდა მოემსახუროს; საზღვარგარეთ წასული ბიზნესმენები, ჩვენი მოქალაქეები უნდა დაბრუნდნენ და ამ ქალაქში უნდა შეექმნათ მუშაობის პირობები.**

**— ქალბატონო ეკა, ფოთის სახელგანთქმულ დრამატულ თეატრში ქართული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, იდგმებოდა სპექტაკლები მსოფლიო და ქართული კლასიკიდან — შექსპირი, გუცკოვი, პოლიკარპე კაკაბაძე, ნოდარ დუმბაძე...**

**ქართული სულიერების საკითხი რამდენად მწვავედ დგას ფოთში?**

— მწვავედ დგას, მაგრამ ჩემთან ერთად არიან საქართველოს სახალხო არტისტი, სამეფო უბნის თეატრის ხელმძღვანელი, რეჟისორი მერაბ თავაძე, მწერალი და დრამატურგი მერაბ შათირიშვილი, ამ დღეებში ჩამოდის ფოთის უსაყვარლესი შვილი გურამ ფირცხალავა. ჩვენ ერთად უნდა მივხედოთ ფოთის კულტურას. ფოთს, კულტურის ამ ტრადიციულ კერას, არ აქვს კულტურული ცენტრები — კინო, თეატრი. ამ ყველაფერს ჩვენ გამოვასწორებთ. სპორტს სჭირდება განსაკუთრებული მხარდაჭერა, ფოთის ,,კოლხეთს“ აკლია მზრუნველი ხელი და ყურადღება. ბევრი რამ არის გასაკეთებელი. დამერწმუნეთ, რომ გავაკეთებთ.

**— 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა მოსახლეობაში რუსოფობიური განწყობილება თუ დატოვა?**

— დიდი ხანია, სააკაშვილი გაცვეთილ ლეგენდას იყენებს რუსეთის სახით. წლებია, რაც „რუსულ პროექტობას“ აბრალებს ყველას, ვისაც არ მოსწონს მისი მმართველობა. ახლა ბიძინა ივანიშვილზე გადავიდა და ვერ ხვდება, რომ არავის სჯერა მისი ამ სისულელეების.

**ბიძინა ივანიშვილმა იმდენი ქართული საქმე გააკეთა წლების განმავლობაში, რამდენიც, ალბათ, არავის გაუკეთებია. რუსეთმა ააგო სამება და 500-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი? რუსებმა ჩააცვეს ჯარს და დააფინანსეს პოლიცია? ააგეს თეატრები და ააშენეს სკოლები? დააგეს გზები და გადაარჩინეს ქართული ოჯახები? გასცეს ამ კითხვებს პასუხი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა...**

ბატონი ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ უნდა დავიწყოთ დიალოგი რუსეთთან, რადგან ის ვითარება, რომელიც დღეს ჩამოყალიბდა — არც მშვიდობა, არც ომი და არც არავითარი კონტაქტები — ორივე მხარისთვის წამგებიანია. უნდა დასრულდეს შიშსა და უსამართლობაში ცხოვრება, ჩვენ გვინდა თავისუფალი, ერთიანი და სამართლიანი საქართველო. მე მჯერა ჩემი ხალხის...

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებდა სააკაშვილი, თუკი ევროპასა და ამერიკას მისი მთავრობის მხარდაჭერის ოფიციალური ვალდებულება ექნებოდა. ნატოს წესდების მე-5 მუხლის იმედად, ის მეტ პროვოკაციებსა და გაცილებით დიდ რისკებზე წავიდოდა. მისი პრეზიდენტობის დროს საქართველოს ალიანსში გაწევრიანება გონებასუსტი ბავშვისთვის ტყვიამფრქვევის გადაცემის ტოლფასი იქნებოდა.**

სხვისი თვალით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## Forbes:

# სააკაშვილი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი გმირიდან უპასუხისმგებლო ავტოკრატად გადაიქცა!

## Forbes-მა მიხეილ სააკაშვილი ტყვიამფრქვევიან გონებასუსტ ბავშვს შეადარა

**საქართველომ, შავი ზღვის პირას მდებარე ამ პატარა ქვეყანამ, 8 აგვისტოს რუსეთთან მისი ხანმოკლე ომის მეოთხე წლისთავი აღნიშნა. საქართველომ ორი პროვინცია დაკარგა, რომლებიც დამოუკიდებლად არსებობას მოსკოვის მფარველობის ქვეშ განაგრძობენ.
მისი ქვეყნის მარცხის მიუხედავად, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, მოსკოვს არ გაუმარჯვია...**

პრეზიდენტი სააკაშვილი კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი გმირიდან უპასუხისმგებლო ავტოკრატად გადაიქცა, თუმცა მისი ქვეყანა დამოუკიდებლობას კვლავაც იმსახურებს... მაგრამ ეს ომი იმის დრამატული შეხსენებაცაა, თუ რატომ არის ნატოს გაფართოება ცუდი ამერიკისთვის. მაისში ნატოს ჩიკაგოს სამიტზე შეკრებილმა ლიდერებმა განაცხადეს: **„2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ჩვენ შევთანხმდით, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი და ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ვეთანხმებით ამ გადაწყვეტილების ყველა დეტალს, ისევე, როგორც შემდგომ გადაწყვეტილებებს“**. რიტორიკის მიღმა, ნატოს წევრი ქვეყნების მთავრობებს თბილისის ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით დიდი ენთუზიაზმი არ აქვთ. ისინი ფორმალურად უნდა გაემიჯნონ ამ სადავო ვალდებულებას.

აღარაფერს ვამბობთ, სააკაშვილის მთავრობის შიდა დარღვევებზე, რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ევროკავშირისთვის, რომელიც ქვეყნების თანამეგობრობის მშენებლობას ემსახურებიან. **თუკი თბილისის ნატოში გაწევრიანება შეერთებული შტატების უსაფრთხოებას განამტკიცებს, მაშინ შესაძლოა ღირდეს კიდეც თვალის დახუჭვა საქართველოს დემოკრატიის ხარვეზებზე. მაგრამ თბილისის ნატოში ყოფნა ამერიკისთვის სახიფათო სამხედრო ვალდებულება იქნებოდა.**

„ჩრდილოატლანტიკური“ ხელშეკრულების ორგანიზაცია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაფუძნდა და მისი ამოცანა ომის შედეგად დანგრეული და საბჭოთა კავშირის მიერ დანაწევრებული დასავლეთ ევროპის დაცვა და დასავლეთ ევროპაში დამარცხებული გერმანიის რეინტეგრაცია იყო. ამერიკელებს მიაჩნდათ, რომ ეს ამოცანა მათ ინტერესებშიც შედიოდა, რათა არ დაეშვათ ევრაზიაში სსრკ-ს დომინირება.

ცივი ომის დასრულებასთან ერთად ნატოს არსებობის საფუძველიც გაქრა. საბჭოთა კავშირი დაიშალა, ვარშავის პაქტი გაუქმდა, გლობალური კომუნისტური საფრთხეც გაქრა. იქ უკვე აღარაფერი ხდებოდა, როგორც ოკლანდზე გერტრუდა შტეინმა განაცხადა...

სამწუხაროდ, გაფართოებული ნატო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ერთ დროს არსებული სამხედრო ალიანსიდან საერთაშორისო სოციალურ კლუბად გადაიქცა. **პოლონეთს თუ არ ჩავთვლით, 1989 წლის შემდეგ ნატოში გაწევრიანებული ქვეყნები სამხედრო ქონდრისკაცებს და უსაფრთხოების შავ ხვრელებს წარმოადგენენ, რომლებიც აშშ-ისგან მათი არმიების გადაიარაღებისა და წვრთნის დაფინანსებას მოითხოვენ, მაშინ, როცა ეს იმდენად პატარა არმიებია, რომ რეალურ ომში მათ არანაირი სარგებლის მოტანა არ შეუძლიათ.** დიახ, ახალმა წევრებმა სხვა ამერიკულ კონფლიქტებში წვლილი მცირე კონტიგენტებით შეიტანეს; **პრეზიდენტმა სააკაშვილმაც გაგზავნა ქართული სამხედრო დანაყოფები ავღანეთსა და ერაყში ამერიკის მხარდასაჭერად, მაგრამ აშშ-ის მიერ გაწეულ ხარჯთან შედარებით ეს მინიმალური უკუგებაა.**

მიუხედავად ამისა, ალიანსის დამცველები ამტკიცებენ, რომ ნატოს, სულ ცოტა, ევროპის პერიფერიაზე მდებარე ქვეყნების დაცვა შეუძლია; ისინი ამტკიცებენ, მაგალითად, საქართველო რომ წევრი ყოფილიყო, მოსკოვი მას თავს არ დაესხმებოდა. მიუხედავად ამისა, ისტორია სავსეა მაგალითებით, როდესაც ალიანსებმა ვერ შეძლეს სახელმწიფოების შეკავება, როდესაც ისინი ფიქრობდნენ, რომ საქმე მათ სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდა. პირველი მსოფლიო ომის დროს კონტინენტის უდიდესი ნაწილი სისხლიანმა კონფლიქტებმა მოიცვა, მიუხედავად კონკურენტი სამხედრო ლიგების არსებობისა. მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიამ იგნორირება გაუკეთა პოლონეთისადმი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ვალდებულებებს.

**შესაძლოა, დღეს მოსკოვს არც კი სჯერა იმის, რომ ამერიკელები და ევროპელები ისეთი ბრიყვები აღმოჩნდებიან, რომ დაუპირისპირდებიან ბირთვულ სახელმწიფოს იმ ინტერესების ირგვლივ, რომელიც ამ უკანასკნელს სასიცოცხლოდ მიაჩნია.** მეტიც, როგორც ჩანს, მომავალში რუსები ნაკლებად განეწყობიან დათმობებისთვის, ვიდრე ამას მსგავს სიტუაციაში შეერთებული შტატები გააკეთებდა. **სინამდვილეში, დასავლეთის მხრიდან რუსეთის ინტერესების იგნორირების თანმიმდევრული პოლიტიკის გათვალისწინებით, მოსკოვი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო მტკიცედ განაცხადებს, რომ დათმობები არ იქნება და დამცირებას არ დაუშვებს.**

რუსეთის საზღვრების გასწვრივ მეგობრული, დემოკრატიული რეჟიმების ჩამოყალიბების მცდელობა და მათი გადაქცევა ანტისაბჭოთა ალიანსის მსგავს სამხედრო პლაცდარმებად, ამერიკის ხელმძღვანელობით, გეოპოლიტიკურად აგრესიული ნაბიჯია. მას შემდეგ, რაც ამერიკა განვითარდა, ის ნაკლებ მოთმინებას ავლენს ევროპული „ჩარევების“ მიმართ ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის საქმეებშიც კი, რომელთაც ის თავის გავლენის სფეროდ მიიჩნევს. შესაძლოა, აშშ-ის მოტივები უკეთესი იყო, თუმცა სამხრეთ ამერიკელები ამას შეიძლება არ დაეთანხმონ. თუმცა ამერიკის მეზობლებისთვის ევროპის მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების გაცემა ვაშინგტონს არა მეტად, არამედ ნაკლებად თვინიერს გახდიდა.

**უარესია ის, რომ ნატოს გაფართოება პოლიტიკურ და ტერიტორიულ დავებს იწვევს რუსეთთან და ალიანსის ახალ წევრებს შორის, რაც ორგანიზაციას იმის საფრთხეს უქმნის, რომ მას უფრო ღვედის როლის შესრულება უწევს, ვიდრე ომის პრევენციის.**

საკუთარ რესურსებში დარწმუნებული ქვეყნები კომპრომისებისკენ უფრო მიდრეკილები არიან. ის ქვეყნები კი, რომლებსაც გვერდით სუპერსახელმწიფოები ჰყავთ – უფრო შეურიგებლები. მართალია, ნატოს ახალი წევრების უმეტესობა, განსაკუთრებით კი ალბანეთი და ხორვატია, ამერიკული დახმარებისთვის ფინანსური ორმოებია, მაგრამ ისინი გეოპოლიტიკურად უმნიშვნელო ქვეყნებია. მოსკოვსაც მათზე ფიქრის არავითარი მოტივაცია არ აქვს.

**საქართველო კი, რომელიც რუსეთს უშუალოდ ესაზღვრება და დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახლია, მოსკოვისთვის გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია. მართალია, კონფლიქტის განახლება ნაკლებად მოსალოდნელია, თუმცა შესაძლებელი. თბილისი რომ ნატოს წევრი იყოს, მაშინ აშშ-ს საქართველოს დაცვა მოუწევდა. შედეგი კი რუსეთთან შესაძლო ბირთვული დაპირისპირება იქნებოდა ისეთი საკითხების ირგვლივ, რომლებიც ამერიკისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია. ასეთი პოლიტიკა სიგიჟე იქნებოდა.**

სააკაშვილის მთავრობამ დაამტკიცა, რომ მისი ნდობა არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ თბილისი კვლავაც ამტკიცებს, რომ რუსეთთან ომში უდანაშაულოა, საქართველომ პირველმა ისროლა, აანთო რა „ასანთი აირით სავსე ოთახში“, — აცხადებდა ყოფილი სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი.

სააკაშვილის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა განაცხადა, რომ თბილისი დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა მოსკოვის მხარდაჭერილ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას. გერმანული Spiegel online-ის ინფორმაციით, ნატოს ოფიცრები **„ფიქრობდნენ, რომ კონფლიქტი ქართველებმა დაიწყეს და რომ მათი ქმედებები გაცილებით გათვლილი იყო, ვიდრე უბრალოდ თავდაცვა ან კიდევ პასუხი რუსულ პროვოკაციაზე“.**

უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) დამკვირვებლებმა გვამცნეს, რომ მათ არ დაუფიქსირებიათ სამხრეთ ოსეთის მხრიდან თავდასხმა ქართულ სოფლებზე, რასაც პრეზიდენტი სააკაშვილი ამტკიცებდა და რასაც თითქოს მისი ქვეყნის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა. ეუთოს დამკვირვებელმა რაიან გრისტმა New York Times-ს განუცხადა: **„ჩემთვის აშკარა იყო, რომ შეტევა აბსოლუტურად უწესრიგო და არაპროპორციული იყო, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ადგილი ჰქონდა რაიმე პროვოკაციას“.** მართლაც, ქართულ ძალებს არ გამოუმჟღავნებიათ რუს სამხედროებზე მეტი ზრუნვა სამოქალაქო პირების მიმართ.

რუსეთმა საპასუხო დარტყმის შემდეგ, საქართველო, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრი ქვეყნის მანდატი არ გააჩნდა, მაინც ელოდებოდა აშშ-ის მხრიდან დახმარებას. ომამდე პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა: **„ბატონო პრეზიდენტო, მადლობა უნდა გადაგიხადოთ ჩვენი თავისუფლების, ჩვენი დემოკრატიის, ჩვენი ტერიტორიული სუვერენიტეტის, საქართველოს ნატოსკენ მისწრაფების მხარდაჭერისა და საქართველოს საზღვრების დაცვისთვის“.**

როდესაც ბრძოლები გამძაფრდა, ქართველების წამოძახილი ასეთი იყო: **„კი, მაგრამ სად არიან ამერიკელები?“.**

ასე გამოხატავდნენ მხარდაჭერის არარსებობის გამო იმედგაცრუებას გაქცეული ჯარისკაცები თუ დევნილები. პრეზიდენტი სააკაშვილი კი უფრო გულახდილი გახლდათ. ის **„ამერიკული ღირებულებების“** დაცვისკენ მოუწოდებდა და იხვეწებოდა: **„გთხოვთ, ყველამ გაიღვიძეთ“**. მან CNN-ს უთხრა: **„ეს უკვე საქართველოს აღარ ეხება, არამედ ამერიკას და მის ღირებულებებს. ჩვენ თავისუფლების მოყვარე ერი ვართ, რომელიც ახლა ცეცხლის ქვეშ იმყოფება“.** მას შემდეგ, რაც აშშ დათანხმდა ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნაზე, ქართველმა ლიდერმა განაცხადა: **„ჩვენ ვიხილავთ აშშ-ის სამხედრო ხომალდებს საქართველოს პორტებში, მიუხედავად რუსეთის მხრიდან მათი ბლოკირებისა“.** მოგვიანებით ის დაჟინებით ითხოვდა, რომ ამერიკასა და ევროპას **„აეძულებინათ რუსეთი, დაეტოვებინა საქართველოს ტერიტორია“.** მან ვაშინგტონს **„არმიის აღდგენა“** სთხოვა და უფრო მძაფრად გამოხატავდა საქართველოს ნატოში შესვლის სურვილს.

**სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ, რიჩარდ არმიტიჯმა ივარაუდა, რომ პრეზიდენტ სააკაშვილი შესაძლოა „გარკვეული მიზეზების გამო ფიქრობს, რომ მას ამ ადმინისტრაციისგან თანხმობა აქვს“.** ამ უკანასნელს ეს შეიძლება ეპატიოს კიდეც, ვაშინგტონის მიერ დაშვებული შეცდომის გამო. ის ხელისუფლებაში სწორედ ამერიკელების დახმარებით, ეგრეთ წოდებული ვარდების რევოლუციის შედეგად მოვიდა. **შეერთებული შტატები ისე ექცეოდა პატარა სახელმწიფოს, თითქოს ის მისთვის მნიშვნელოვანი მოკავშირე იყო – ამარაგებდა აღჭურვილობით, წვრთნიდა მის არმიას, აფინანსებდა. პრეზიდენტი უმცროსი ჯორჯ ბუში თბილისსაც ეწვია და მოითხოვდა მის ნატოში გაწევრიანებას, კონგრესმა კი ქვეყანა „ნატოს თავისუფლების კონსოლიდაციის აქტში“ ჩართო, რაც გზას უხსნიდა საქართველოს და წევრობის სხვა კანდიდატ ქვეყნებს.**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ომი არჩია, მიუხედავად იმისა, რომ ბუშის ადმინისტრაცია აფრთხილებდა თბილისს, რუსეთის პროვოცირება არ მოეხდინა. ევროპელებმაც განაცხადეს, რომ მათაც იგივე პოზიცია დააფიქსირეს. ქართველმა ლიდერმა მეგობრების გაფრთხილებები ყურად არ იღო და ივარაუდა, რომ ისინი მას მხარს მაინც დაუჭერდნენ.

თუკი ის მზად იყო, ყველაფერი სასწორზე დაედო იმ იმედით, რომ ვაშინგტონი მას მეგობრობის გამო არ მიატოვებდა, წარმოიდგინეთ, როგორ იმოქმედებდა სააკაშვილი, თუკი ევროპასა და ამერიკას მისი მთავრობის მხარდაჭერის ოფიციალური ვალდებულება ექნებოდა. ნატოს წესდების მე-5 მუხლის იმედად, ის მეტ პროვოკაციებსა და გაცილებით დიდ რისკებზე წავიდოდა. **მისი პრეზიდენტობის დროს საქართველოს ალიანსში გაწევრიანება გონებასუსტი ბავშვისთვის ტყვიამფრქვევის გადაცემის ტოლფასი იქნებოდა.**

საქართველომ და რუსეთმა, ისევე, როგორც საქართველომ, აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა, თავიანთი უთანხმოებები მშვიდობიანი გზით უნდა მოაგვარონ. არც ერთ შემთხვევაში, ამერიკა არ უნდა იყოს ჩაბმული ყოფილი საბჭოთა კავშირის ამ ორი სუბიექტის დავაში ყოფილი საბჭოთა კავშირის კიდევ უფრო პატარა სუბიექტების გარშემო. **ვაშინგტონმა მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს დამოუკიდებლობას და არა მის პრეტენზიებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ. არანაირი გამართლება არ აქვს საქართველოს დაცვის მიზნით ომში ჩაბმას.**

ცნობილია, რომ ამერიკელებს მუდმივად აქვთ ჩარევის სურვილი, რათა უცხოური პრობლემები „მოაგვარონ“, თუმცა **შეერთებულ შტატებს ამ რეგიონში მნიშვნელოვანი ინტერესები არ გააჩნია.**

რატომ უნდა დავდოთ სასწორზე ამერიკელთა სიცოცხლე, კეთილდღეობა, მომავალი და არსებობაც კი სხვა ქვეყნის უპასუხისმგებლო მთავრობის გამო, იმისგან დამოუკიდებლად, რა დონის ღირსეული ადამიანები ცხოვრობენ იქ? ვაშინგტონის უპირველესი პრიორიტეტი უნდა იყოს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის, თავისუფლებისა და ტერიტორიის დაცვა. ომი უკიდურესი აუცილებლობა უნდა იყოს და არა მორიგი პოლიტიკური არჩევანი.

**საქართველო იმსახურებს ამერიკელებთან მეგობრობას და არა ამერიკის მფარველობას. ცივი ომის დასრულებასთან ერთად აშშ-ს შეუძლია დაუბრუნდეს ნორმალური ქვეყნის თავდაცვით პოლიტიკას, რაც მართლაც მხოლოდ თავდაცვაზე იქნება ორინტირებული. ეს ნიშნავს შეზღუდულ სამხედრო ვალდებულებებს, შემცირებულ სამხედრო სტრუქტურას და დაბალ სამხედრო დანახარჯებს. ეს ნიშნავს NATO-ს არა გაფართოებას, არამედ შეზღუდვას. ვაშინგტონი ვალდებულია, ამერიკის მთავარ საგარეოპოლიტიკურ მიზნად კვლავ მშვიდობის უზრუნველყოფა დაისახოს.**

**დუგ ბანდოუ**
**FORBES.COM**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**მიხეილ სააკაშვილის „მართლმსაჯულება" ხელმძღვანელობს არა ქვეყნის კონსტიტუციით, უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ სააკაშვილის პაროლით — „ქვეყანაში მოვსპე კორუფცია", რაც ყოფით ყოველდღიურობაში ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების დასაყრდენი ინსტიტუციები, მილიონიც რომ მოპარონ ბიუჯეტს, ხელშეუხებელია, მას ყველაზე თავხედური და გამოჭენებული ბოროტმოქმედებაც ეპატიება.**

# ტყუით, ბატონო მიშა, ქვეყანაში ელიტური კორუფცია დაქარიშხლობს!..

**«...და ისიქვიდეს კუალსა ბაალამისსა და დაიდვეს თჳსისა ბალბერეთის თანა აღთქმაი, რათა იყოს იგი მათდა ღმერთად»**

*(მსაჯულთა - 8, 33).*

**ტექნოკრატიული დასავლეთის მიერ ოკუპირებულ და რიგით საეთნოდივერსიო რეზერვაციად დადგენილ უვინაო სივრცეში აჭენდა თავგამრთობი სანახობა, ხალხი ჩათრეულია საყოველთაო თოხარიკში და ის ერთი ვიღაც, მოშხუილე შოლტით ხელში, „იცინის, იცინის, კვდება სიცილით..." ასეთია ვითარება, როდესაც მიხეილ სააკაშვილი დილიდან საღამომდე, ორშაბათიდან ორშაბათამდე, ყველა გზაჯვარედინზე აცხადებს, რომ მან გაანადგურა და მოსპო კორუფცია.**



ე. წ. ნაციონალების მიერ კუდის რიკამდე გატყავებულ, პირწმინდად გასხვისებულ, სავაჭრო დახლად გახარაჩოებულ და საჯამბაზო ნაფთირად შემოხართულ გადასარბენზე ეს არის ერთადერთი სახმობი, რომელიც, ერთი შეხედვით, გარედან თუ შეათვალიერებ, ჰგავს სიმართლეს.

მაგრამ ეს — ერთი შეხედვით: **მე სოხუმელი მწერალი და უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ჩემი სამშობლოს მტრებისგან ძალით გამოძევებული კაცი, ასიათასობით ჩემს დღეში მყოფთა სახალხო ნების თანახმად, მზად ვარ, წარვსდგე ილორის წმინდა გიორგის ხატის მადლმოსილებისა თუ ეროვნულ-სახალხო მსჯავრის წინაშე და განვაცხადო, რომ დღეს აგრესიული გლობალიზმისგან ოკუპირებულ საქართველოში ძალადობა, ქვეყნის სადენაციონალიზაციო ინდუსტრიაა და ე. წ. მართლმსაჯულება არასოდეს ყოფილა ისეთი აღმგვევლი და უსამართლო, როგორიც ამჟამადაა. უფრო მეტიც, მისი უტიფრობა, ავადმყოფური ქვეშქვეშობა და თავხედობა აღმატებულია იმაზე, რისი წარმოდგენაც საღ გონებას შეუძლია.**

ვმუშაობდი რა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად, იმის გამო, რომ ამ ინსტიტუციის ხელმძღვანელობამ ფეხქვეშ გათელა დევნილი მოსახლეობის ის სახალხო განაწესი, რის შესაბამისადაც იქნა იგი არჩეული და შემდგომში ხელი შეუწყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დაბრუნების სტაგნაციურ მდგომარეობაში გაშეშებას, ამასთან ერთად, უიმედოდ ჩააგდო მან აფხაზეთის გათავისუფლების გზათა სახელმწიფო პოლიტიკად დაკონკრეტება, ასევე აფხაზეთის დეოკუპაციის საინფორმაციო უზრუნველყოფამ მიიღო მეოცეხარისხოვანი ხასიათი და ჩაეფლო უკიდეგანო კორუფციაში (ფულის მოტეხვა, გათეთრება, არამიზნობრივი ხარჯვა, საბუთების გაყალბება, დატაცება და ა. შ.), მე ყოველივე ამის წინააღმდეგ 2011 წლის 28 თებერვალს დავიწყე მშვიდობიანი საპროტესტო აქცია — ჩემსავე სამუშაო კაბინეტში გამოვაცხადე შიმშილობა.

იმავე საათებში პრეზიდენტის კანცელარიიდან, განგაშის წესით, საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის რანგით მეორე-მესამე თანამდებობის პირი მოვლინებული იქნა, რათა ყოველ მიზეზგარეშე აღკვეთილიყო ეს აქცია. ესოდენ მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირის მიერ დასაბუთება ასეთი გახლდათ: **„პრეზიდენტი ამბობს, კორუფცია სახელმწიფოში მოვსპე და ვინაა ეს კაცი, საწინააღმდეგოს რომ ამტკიცებსო?!".**

ყოველივე ამის შედეგად, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მატერიალურად პასუხისმგებელი ორი მაღალი თანამდებობის პირის (აპარატის უფროსისა და მომარაგების უფროსის) მიერ გასაჯაროებული ბოროტმოქმედებების ჩემ მიერ მხილება, პრეზიდენტის კანცელარიისა და კუდის მაშინდელი მესვეურების მითითებით, შესწავლის საგანი კი არ გახდა იქ, „სადაც ჯერ არს", არამედ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობას (გ. გვაზავა, ა. წოწონავა, რ. ცატავა, თ. ხუბუა და ა. შ.) შემოაშველეს ასეთ საქმეთა ჩაფარცხვაში ხელგაწაფული მოხელეები სათანადო სამსახურებიდან.

**ხმამაღლა ვამბობ, რომ მეორე წელია, რაც ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ორგანიზებული კორუფციის მტკიცებულებებს ვაქვეყნებ საინფორმაციო საშუალებებით, მიუხედავად ამისა, როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ასევე საქართველოს პარლამენტის სპიკერატი, ანტიკრიზისული საბჭო, საქართველოს მთავარი პროკურატურა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია, სინამდვილეში აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მძვინვარე ელიტარული კორუფციის „გამსამართლიანებელი" სამსახურები გახდნენ და არამარტო უსაფრთხოებად შემოეჯავშნენ ამ სულნაცდურ ბოროტმოქმედებს, რომლებშიც აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პოლიტიკური აზრის ქვეშ „ალეგიტიმურებენ" კორუფციას, არამედ მათ მიერ ჩადენილ დანაშაულობათა მისაჩქმალი ღონისძიებების დამზუსტებლებიც კი გახდნენ.**

საქმეში ჩაუხედავთათვის ძნელი დასაჯერებელია ის, რაც ასე სქემატურად მოგახსენეთ, მაგრამ ამ ზოგადი საუბრის მიღმა მე გამაჩნია ამაზრზენი მტკიცებულებები აფხაზეთის ა/რ-ის ხელმძღვანელობის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებების შესახებ; ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკური ხასიათის კრიმინალით, აქ არის ადამიანობისა და სამშობლოს წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობები, რაზეც, დიდი ხანია, ვთხოვ საქართველოს მთავარ პროკურატურას, დამკითხოს მოწმედ. დიახ, დაბეჯითებით ვევედრები, გამარკვიოს, არის თუ არა აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ჩემ მიერ დაწვრილებით, ასობით გვერდზე წიგნად გამოცემული და მხილებული ორგანიზებული კორუფცია ბოროტმოქმედება, ანუ კანონის შესაბამისად დასჯადი ქმედება, მაგრამ იგი ჯიუტად დუმს, რადგან **მიხეილ სააკაშვილის „მართლმსაჯულება" ხელმძღვანელობს არა ქვეყნის კონსტიტუციით, უფრო ზუსტად, ამ შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსით, არამედ სააკაშვილის პაროლით - „ქვეყანაში მოვსპე კორუფცია", რაც ყოფით ყოველდღიურობაში ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივი ხელისუფლების დასაყრდენი ინსტიტუციები, მილიონიც რომ მოპარონ ბიუჯეტს, ხელშეუხებელია, მას ყველაზე თავხედური და გამოჭენებული ბოროტმოქმედებაც ეპატიება.** სამაგიეროდ ნახევრად მშიერ უსახლკარო აკაკი მინაძეს, აფხაზეთიდან დევნილს, არ აპატიეს ხევიდან ამოთრეული რკინის ბადის ჯართად ჩაბარება და საფასურად 15 ლარის აღება მხოლოდ იმიტომ, რომ ნაცების წევრი არაა...

**აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში გ. გვაზავამ გულმოცემულმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის, საქართველოს პარლამენტის, მთავარი პროკურატურისა და ა. შ. საჭვო თანადგომითა თუ ხელდაფარვით, როგორც ხმა გამოვიდა, ვიწრო წრეში განაცხადა, რომ მან მთავარ პროკურატურაში საქმე ჩააწყო და საკითხი აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში კორუფციის შესახებ შემოდგომამდე არ განიხილება, შემოდგომის შემდეგ კი სააკაშვილის ხელისუფლება არ იქნებაო.**

როგორც იტყვიან, სააკაშვილთან დაკავშირებით მის პირს შაქარი, მაგრამ დამეთანხმეთ, რომ უმადურია ეს ხალხი, ასე გულშეუძვრელად იმეტებენ იმას, ვინც დაჟინებით ხელს აფარებს ზემოხსენებული კორუფციის თაოსნებს დღემდე და არ ამწესებს მათ ვირის აბანოში.

ერთი რამ ცხადია: **პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება „ქვეყანაში კორუფცია მოვსპეო", ტყუილია, სახელმწიფოში დაგრიგალობს შერჩევითი „მართლმსაჯულება", რომელიც ასამართლებს იმას, ვინც სააკაშვილის ზეპურობის (ელიტის) წევრი არაა.**

ვინაიდან, როგორც გ. გვაზავა ტრაბახობს, ქალბატონ სანდრასთან მისი მეუღლე მეგობრობს, მართლმსაჯულება შესასწავლ საკითხად არ ადგენს: 1. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში მიმდინარე ელიტურ კორუფციას და 2. შეთქმულებას იმ კორუფციის დასაფარავად, რომელშიც ჩათრეულნი არიან ამ ინსტიტუციის თანამშრომლები.

ჩემის მხრივ, მზად ვარ, მოწმის სტატუსით ჩვენება მივცე, რომ **პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება „არ არისო ქვეყანაში კორუფცია", რბილად რომ ვთქვა, არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან აფხაზეთის ხელმძღვანელობის მიერ ათარეშებული ელიტურ-კოლექტიური კორუფცია ამის საწინააღმდეგო მაგალითია.**

ნაცების „სამართალით" ერთმანეთს სამშობლოს ძირგამოთხრასა და ღალატს ხელაუკანკალებლად პატიობენ. **ის, რომ საქართველოში სააკაშვილმა კორუფცია მოსპო, ისეთივე სიმართლეა, როგორც მის მიერ 2012 წლის 17 აგვისტოს, ქუთაისში, ბაგრატის ტაძარზე ჯვრის აღმართვისას წამონაროში, თითქოს ამ ტაძრის გუმბათი რუსებმა ჩამოანგრიეს. რუსებს საქართველოს წინააღმდეგ ჩადენილი არაერთი ცოდვა უმძიმებთ კისერს, მაგრამ ბაგრატის ტაძარი თურქმა დამპყრობლებმა იავარქმნეს 1692 წელს.**

როდესაც ვსაუბრობ წინამდებარე კორუფციის შესახებ, მე (ხმამაღლა გიმეორებთ) გამაჩნია მტკიცებულებები, რომლებიც დაგარწმუნებთ იმაში, რომ **აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელობა და ზოგიერთი წევრი თავის დროზე მათ მიერ გამოვლენილი არაკომპეტენტურობის, პოლიტიკური მერყეობის, რუსიზმის მითითებისა და აგრესორ-სეპარატისტთა გეგმის შესაბამისად საომარ დაპირსპირებათა პროვოცირების, მოსახლეობის უმწეო მდგომარეობაში მიტოვების გარდა, არ თაკილობდა ისეთ დაცემას, როგორიცაა ომში დაცემულთა ცხედრების პატივმიუგებლობა** (თუ რას ვგულისხმობ ამაში, ამას ვერ დავწერ, ეს შემიძლია სათანადო რწმუნების პირს მოვახსენო).

**ბატონო მიშა, თქვენ ტყუით, ქვეყანა კორუფციის ჭაობში იხრჩობა და შერჩევითი „მართლმსაჯულება" დაგრიგალობს ჩვენს ცისქვეშეთში!**

**სერგი საჯაია**

მსოფლიო

## ქალაქ ბრისტოლს საკუთარი ფულის კუპიურა ექნება

**დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბრისტოლს საკუთარი ფულის კუპიურა ექნება. ახალ ვალუტას ბრისტოლის ფუნტი ერქმევა და ბრიტანული სტერლინგის მსგავსი იქნება.** ახალი ვალუტა მიმოქცევაში 2012 წლის სექტემბრიდან გამოვა.თავდაპირველად ბრისტოლის ფუნტი ბრიტანული ფუნტის ღირებულების იქნება.ბანკირებს აქვს უნიკალური დიზაინი და გაყალბებისგან დაცვის სისტემა.ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მხარს უჭერენ ამ ინიციატივას. მათი აზრით, საკუთარი ადგილობრივი ვალუტა მათ საშუალებას მისცემს საერთაშორისო კორპორაციებს კონკურენცია გაუწიონ.



## ავღანეთში პოლიციელმა ორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლა

**ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილშიორი ამერიკელი ჯარისკაცი მოკლეს.** განცხადებას ამის შესახებ ქვეყანაში საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის ძალების ოფიციალური პირები ავრცელებენ.სამხედროებს ცეცხლი ავღანელმა პოლიციელმა გაუხსნა, რომელიც საპასუხო სროლისას დაიღუპა.

პარლამენტის შენობის არ იყოს,
ბაგრატის ტაძარიც წინასაარჩევნოდ „მოასწრეს“,
როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო.
მერე რა, რომ თვითონ ბაგრატ III, იმ ტაძრის ერთადერთი
აღმშენებელი, დღეს დაშლილ-დანაწევრებული
საქართველოს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე,
ბედიის მონასტერში განისვენებს? მთავარი ხომ სიმბოლოებია?

ჩეჩლიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სახელდახელოდ გახსნილი ბაგრატის ტაძარი და «პრეზიდენტის სისულელეების გამომსწორებელი სამსახურები»

საჩხერეშიც, ისევე, როგორც დანარჩენი საქართველოს უმეტეს ნაწილში, სადაც „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“-ს ნაციდილიას მხოლოდ მიშავიზიების ტელეარხები თუ რადიოსადგურები არღვევენ ხმაშეწყობილად, პლურალიზმისა და ობიექტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მართლაც „მაგრად ბნელა“.
ერთი სიტყვით, მცირე ხნით მოვახერხე თბილისური ხვატისთვის თავის გარიდება და საჩხერის რაიონის ლამაზ სოფელ ბჟინევის გრილოში თავშეფარება; სოფელში, საიდანაც სულ რაღაც 2-3 კილომეტრია ბიძინა ივანიშვილის მშობლიურ ჭორვილამდე, ანუ მიშნაცების უეცარი თავისტკივილის, პოლიტიკური შაკიკის სათავემდე.



**მიუხედავად სრული ინფორმაციული ვაკუუმისა, გნებავთ, მიშავიზიების დეზინფორმაციული ბუმისა, ერთი რამ ცხადია: ნაცებს ბიძინას მშობლიურ რაიონში არანაირი შანსი არ აქვთ 1 ოქტომბერს!!!**

**თუმცა ადგილობრივები იმასაც მეჩურჩულებიან, რომ, თუ ღმერთი გაწყრა და ოქტომბრის არჩევნების შემდეგაც ნაცებმა მაინც მოახერხეს დომინანტობის შენარჩუნება, როგორც იტყვიან, „დედა აღარ გვეყოლებაო“ საჩხერლებს...**

გადაწყვეტილი კი მქონდა, რომ მართლაც დამესვენა ყოველგვარი ინფორმაციისგან და დეზინფორმაციისთვის არ მესმინა, მაგრამ მეზობელთან შიგადაშიგ გადასულს მაინც მწვდებოდა „რუსთავი 2“-ისა თუ „იმედის“ საამო ჰანგები:

„მაესტროს“ თბილისის სათაო ოფისის შეფმა ქუთაისში 17 აგვისტოს ბაგრატის ტაძრის გახსნის და მის გუმბათზე „ჯვართამაღლების“ მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში გაშუქება მიბრძანაო, — ბრძანა ქუთათურმა ჟურნალისტმა, რასაც ამ უკანასკნელის დემარში მოჰყვა სოლიდურანაზღაურებადი სამსახურის დატოვების სახით, რის პასუხადაც თბილისიდან გაისმა, — ეგ ქალბატონი ადრე არაერთხელ ყოფილა სიმთვრალეში შემჩნეული სამუშაო საათებშიო...

არ ვიცი. ნამდვილად არ ვაპირებ არც ერთის ადვოკატობას, მაგრამ, სულო ცოდვილო, სააკაშვილის მიერ საზოგადოებისათვის თვალებში ნაცრის შეყრას, მისი მორიგი პიარკამპანიის ნეგატიურ კონტექსტში გაშუქებას რა ზემოდან ბრძანება და მითითება უნდა, ნეგატიური მომენტები ზედაპირზევე არ იდო, რასაც მხოლოდ ჩამოთვლა უნდოდა?

ინებეთ, რამდენიც გნებავთ, ვინძლო სათვალავი არ აგვერიოს...

**ბაგრატის ტაძრის ერთი კაცის ახირებით დანაშაულებრივი „რესტავრაციის“ გამო რომ ეს ძეგლი პრაქტიკულად ამოვარდა იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიიდან და ამ სამწუხარო ფაქტის ფორმალიზებას ახლო მომავალში ვიხილავთ, ნეგატივი არ არის?**

თუ ის არის პოზიტივი, რომ განდიდების მანიით დაავადებული პრეზიდენტი დავით აღმაშენებლობას აღარ სჯერდება (ვისაც თავადაც ხშირად ედრება ხოლმე და რაზეც კვერს უკრავს მისი მამობილი, მეუფე კალისტრატე) და ბაგრატის ტაძრის გახსნაზე განაცხადა — საქართველოში ოქროს ხანა დაიწყოო!

ცნობილი ფაქტია, რომ ოქროს ხანა საქართველოში დავით აღმაშენებლის ეპოქას კი არ ეწოდა, მიუხედავად დავით მეოთხე აღმაშენებლის უდიდესი ღვაწლისა, არამედ თამარის ზეობის ჟამს, როდესაც შედგა ქართველი ერის მსოფლიო მნიშვნელობის კულტურული რენესანსი...

**რა თქმა უნდა, „ბაგრატობა“ ისე ვერ ჩაივლიდა, რომ მიშას რუსებისათვის არ ეკბინა — ბაგრატის ტაძარი რუსეთმა დაანგრია XIX საუკუნეშიო (!!!), *ისტორია ხელდახელ გადაწერა...***

რა ქნას, აბა! რუსების ბრალია ყველაფერი, რაც ავი გვჭირს. მერე რა, რომ ბაგრატის დიდებული ტაძარი ბალავრიანად დაანგრიეს დაახლოებით 350 წლის წინათ, როდესაც ერთმორწმუნე რუსეთის ჭაჭანებაც არ იყო კავკასიაში, და იცით, ვინ? დღეს ჩვენმა „სტრატეგიულმა პარტნიორმა“ და იმჟამად ჩვენმა დაუძინებელმა მტერმა, ქართველთა სისხლით გაუმაძღარმა, თურქეთმა!!!

ეს იმ დონის სიცრუე იყო, რომ შემდგომ საინფორმაციოებში აღარ გაუშვეს მიშავიზიებში არსებულმა „პრეზიდენტის სისულელეების გამომსწორებელმა სამსახურებმა“...

**იქნებ არც ის არის ნეგატივი, რომ ამ ყველაფერს იაფფასიანი წინასაარჩევნო პიარის მძაფრი სუნი ასდიოდა?!**

ბაგრატის ტაძრით ახირების სენი, დიდი ხანია, შეეყარა ჩვენს პრეზიდენტს, მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა ამ „პროექტმა“ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ შეიძინა — რით, თუ არა ბაგრატის ტაძრის აშენებით, უნდა „მოეჯოკრა“ სამების აღმშენებლი ბიძინასათვის!

**ამიტომაც არაფერს დაერიდნენ: არც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობა ილია მეორეს, არც სპეციალისტთა აზრი გაითვალისწინეს, საზოგადოებრივი აზრიც ფეხებზე დაიკიდეს და, პარლამენტის შენობის არ იყოს, ბაგრატის ტაძარიც წინასაარჩევნოდ "მოასწრეს", როგორც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო.**

მერე რა, რომ თავად ბაგრატ III, იმ ტაძრის ერთადერთი აღმშენებელი, დღეს დაშლილ-დანაწევრებული საქართველოს, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ბედიის მონასტერში განისვენებს? მთავარი ხომ სიმბოლოებია?

აბა, ბაგრატ მესამესა და სხვა ჩვენს დიდ გვირგვინოსნებს მიშნაცების ჭკუა ვინ მისცათ, თორემ ისინი გონებითა თუ მკლავით, პირველ რიგში, სახელმწიფოებრიობის განმაპირობებელ, შინაარსობრივ საფუძვლებზე კი არ იზრუნებდნენ, არამედ ნაცებივით ცარიელი, უძალო სიმბოლიკებით: დროშა, გერბი, ჰიმნი „დაგვაბოლებდნენ“...

**და ყველაზე მთავარი — ალბათ, შეატყვეთ, რომ ზემოთ ბაგრატის ტაძრის გახსნა ვახსენე და არა კურთხევა, რადგანაც მართლაც ისეთი შეგრძნება დამეუფლა, რომ ქუთაისში მორიგი ობიექტი იხსნებოდა და ჰა და ჰა, მეუფე კალისტრატეს და მისი შვილობილის საყვარელი წითელი ლენტისა და მაკრატლის გამოჩენასაც ველოდი. ამჯერად ამ სირცხვილს კი გადავრჩით, მაგრამ „სამაგიეროდ“ არსად ჩანდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და, აბა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის გარეშე ბაგრატის ტაძრის კურთხევა გაგონილა?**

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჩვენმა პრეზიდენტმა მორიგი კაპრიზი აისრულა. კაპრიზი, რის გამოც ვიმეორებ: **ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ნიმუში სამუდამოდ ამოიშალა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან...**

**დავით მხეიძე**

**P.S. რა სულელები არიან იტალიელები, ბერძნები ან ეგვიპტელები, არა? მართალია, ჩამოთვლილ ხალხებს ძველ რომაელ ლათინებთან, ელინებთან თუ ეგვიპტელ ფარაონებთან დღეს ცოტა რამ აკავშირებთ, მაგრამ ჩვენს მსგავსად მათაც ხომ შეეძლოთ, მაგალითად რომში, რკინა-ბეტონით კოლიზეუმი პირვანდელი სახით აღედგინათ ან პიზის დახრილი კოშკი „წელში გაესწორებინათ“?**

**ან რა პრობლემაა ბერძნებისთვის აკროპოლისის აღდგენა, უწესრიგოდ რომ მიუყრიათ ძველთაძველი მარმარილოს ჩუქურთმები?**

**ან, თუ ეგვიპტელები პირამიდების „შტუკატურკას“ ვერ ქაჩავენ, რა გახდა, რომ მდუმარე სფინქსს მომტვრეული ცხვირი ალებასტრით მაინც გაუსწორონ?**

# ილიას უნივერსიტეტი 25-მა ლექტორმა დატოვა

**სააგენტო „პირველის“ ინფორმაციით, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი 25-მა ლექტორმა პროტესტის ნიშნად დატოვა.**

ყოფილმა ლექტორმა გიორგი მიქანაძემ სააგენტოს განუცხადა: **„აკადემიური და ადმინისტრაციული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე მაია გონაშვილი და ამავე ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი აკაკი ცომაია. მაია გონაშვილი არის ადამიანი, რომელმაც ამ ფაკულტეტის შენება თავის გუნდთან ერთად დაიწყო, ფეხზე დააყენა, რეიტინგი მისცა. 8 თვის წინ მოსული დეკანი იბარებს და ეუბნება მას, რომ ორივე გათავისუფლებულია თანამდებობიდან. ასე არ შეიძლება.“**

მისივე თქმით, დღეს ილიას უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტის 25 ლექტორის წერილი გაიგზავნა რექტორთან, რომელშიც ისინი, პროტესტის ნიშნად, აღნიშნულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებენ.

**„ამასთან, ჩვენი გადაწყვეტილება ბოლო დროს ილიას უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე უსამართლოდ, ეთიკური ნორმების დარღვევით, ადამიანის უფლებისა და თავისუფლების შემლახველ ცვლილებებს უკავშირდება. მოგიწოდებთ! ყველგან, ყველა ინსტიტუციაში მოითხოვეთ სამართლიანობის აღდგენა და ყოველთვის იბრძოლეთ სიმართლისთვის. ჩვენ ამით ხელს ვუწყობთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და ვეხმარებით მომავალ თაობებს. სხვა არანაირი ინტერესი არ გვამოძრავებს, გარდა იმისა, რომ დაისაჯონ დამნაშავეები. თუ ჩვენ ვართ დამნაშავეები, ჩვენ დაგვსაჯონ!“** — დასძინა მიქანაძემ.

უნივერსიტეტის რექტორმა გიგი თევზაძემ 25 თანამშრომლის უნივერსიტეტიდან წასვლის ფაქტი დაადასტურა. მისი თქმით, **„ეს ნამდვილად უკავშირდება ერთ-ერთი თანამშრომლის გათავისუფლების ფაქტს, თუმცა უნივერსიტეტს კანონი ამით არ დაურღვევია“.**

მისივე თქმით, ლექტორების წასვლა სამწუხარო ფაქტია, თუმცა ამით უნივერსიტეტს რაიმე შეფერხება არ შეექმნება. **„უკვე მიმდინარეობს ძალიან გამოცდილ ლექტორებთან მოლაპარაკებები, რომლებიც სხვადასხვა უცხოურ უნივერსიტეტში გამოცდილებით გამოირჩევიან. ასე რომ, ახალ სასწავლო წელს რაიმე ზიანი არ მიადგება“,** — განაცხადა თევზაძემ.

# «თქვენ ხალხი გაგასამართლებთ!..»

# ღია წერილი ბატონ ვალერი გელბახიანს!

**ბატონო ვალერი, თქვენ ხალხის მტერი ხართ!**

თქვენ საკმაოდ გამოცდილი ადამიანი ბრძანდებით და ძნელი დასაჯერებელია, ვერ გრძნობდეთ იმ მძიმე რეალობას, რომელშიც ქართველი ხალხია ჩავარდნილი. ქვეყანა თავზე გვექცევა, ჩვენი მიწა-წყალი ერთიანად ნიავდება, სადაცაა, ჩვენი ხელისუფლება საქართველოს სახელის შეცვლაზე დაიწყებს მუშაობას, ხალხი დამათხოვრებულია, მშიერია, დაბეჩავებულია, ღირსებაშელახულია ისე, როგორც არასოდეს. **თითქოს აქ ბრწყინვალე რეფორმები ჩატარდა, რეალურად ქვეყანაც და ხალხიც გადასარჩენია, მხსნელად კი მოგვევლინა ბიძინა ივანიშვილი. რა უფლება გაქვთ თქვენ, ამ დაძაბულ ვითარებაში ხალხის წინაშე უსირცხვილოდ წარსდგეთ, ივანიშვილის მორალზე ილაპარაკოთ და მისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვოთ. მის ნერვებს თითოეული ჩვენგანი უნდა გაუფრთხილდეთ. ნეტა, ვის დავალებას ასრულებთ?**

ბიძინა ივანიშვილის კომპრომატების ძიება სინდისზე ხელის აღებაა, რადგან მეორე კაცს ვერ იპოვით საქართველოში, რომელსაც ამდენი სიკეთე ჰქონდეს გაკეთებული ხალხისთვის. **თქვენ ხალხი გაგასამართლებთ, თქვენი საქციელი ამჯერად ხალხისა და ქვეყნის მტრობას ნიშნავს!** თქვენ რა გაქვთ გაკეთებული საჩხერეში ხალხისთვის? თქვენ პატარკაციშვილის შტაბის უფროსი ბრძანდებოდით და მილიონებს ითვლიდით; თალითი და გაიძვერა ბერეზოვსკისგან დღესაც 3 მილიონს ითხოვთ, დაპირების თანახმად. ხალხს კი, რომელიც ამ შტაბში თვეობით მუშაობდა, ფული არ გადაუხადეთ. პატარკაციშვილის დედისა და დების სახლთან ათობით ადამიანები იკრიბებიან და გაწეული სამუშაოსთვის ანაზღაურებას ითხოვენ.

**ცხონებული არკადი პატარკაციშვილი შევარდნაძემ შეიფარა საქართველოში. როგორც თავად სატელევიზიო გამოსვლაში ისაუბრა, საქართველოს ქონება კაპიკებში გაყიდეს და ვიყიდეო. ის ქონება ჩვენ, საქართველოს ყოველ მოქალაქეს, გვეკუთვნოდა. ასე რომ, შეეშვით ავანტურას, გადახედეთ თქვენს წარსულს და თავი დაგვანებეთ ქართველ ხალხს!**

**ლამარა ხაბეიშვილი**

სოციოლოგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სპეციალისტები ორგანიზებულ პროსტიტუციას ორგანიზებული დამნაშავეობის, ამ ყველაზე საშიში კრიმინალური სოციალური ფენომენის, ჩარჩოებში ნარკობიზნესის, სათამაშო ბიზნესისა და სხვათა გვერდით და მათ თანაბრად განიხილავენ...**

# პროსტიტუციის ზეობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

**ჯერ წიგნის სათაურს შემოგთავაზებთ: „პროსტიტუციისა და ბოზობის „ზეობა" ქალთა ემანსიპაციის იდეის საფარქვეშ" (მშობლიურ პოსტსაბჭოთსაქართველოში)". ასეთ „ნაკრძალში" შესვლა, თუნდაც ძალიან სერიოზული ნაშრომით, რომელიც მასშტაბური და მრავალწლიანი მეცნიერული კვლევის შედეგია, მაინც სენსაციურობის მუხტის შემცველია.**
**თემაა უჩვეულო, ერთგვარად აკრძალულიც კი, რომელსაც სერიოზული მკვლევარები, თითქოს არ არსებობდესო, გვერდს უვლიან.**
**მაგრამ რა ვუყოთ ამ ვრცელი ნაშრომის ავტორს — ანზორ გაბიანს, რომლის სამეცნიერო ტიტულები და მოღვაწეობის გზა სწორედაც რომ სერიოზულობითაა გამორჩეული?!**






## ანზორ გაბიანი: დღეს ევროპასა და ამერიკაში პროსტიტუციის ექსპლუატაციას ეწევიან დიდი კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებმაც ქალთა სხეულით ვაჭრობა თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ მეტად შემოსავლიან საქმედ აქციეს

ბატონი ანზორ გაბიანი საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე გახლავთ, არის სოციოლოგიის დოქტორი, პროფესორი, წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრს, რომელიც 1974 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრასთან. როგორც გამორჩენილი მეცნიერი, სოციოლოგი არჩეული იყო საკავშირო სოციოლოგიური ასოციაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ; 40 წლის მანძილზე იყო ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგის მოადგილე, თსუ-ს სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის პროფესორი; მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალი მასშტაბური სოციოლოგიური და კრიმინოლოგიური გამოკვლევა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

ეს წიგნიც ამ გამოკვლევათა მასალებზეა აგებული.

**ნაშრომის სერიოზულობა და მეცნიერული დონეც აქედან გამომდინარეობს. მაგრამ მარტო ეს რომ იყოს, არც ავტორი იქნებოდა ანზორ გაბიანი, არც წიგნი — საინტერესო საკითხავი.**

**„მონოგრაფია კი არის აგებული მეცნიერულ ნიადაგზე,** — წერს თავად ავტორი, — **მაგრამ განკუთვნილია სპეციალისტების გარდა დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის, ანუ გარკვეული თვალსაზრისით პუბლიცისტურიცაა".** ხოლო კვლევის მეთოდები, შესასწავლ საგანთან მიახლოების თვალსაზრისით, — ზოგჯერ ერთგვარად ავანტიურისტული, რასაც უწინ გავრცელებული ჟურნალისტური ხერხის ანალოგიით შეიძლება ვუწოდოთ **„მეცნიერი იცვლის პროფესიას".**

### „კაბირიის ღამეები"

ამ გზით აღწევს იგი სანდოობას, — უშუალო კონტაქტით, თორემ თავად აღიარებული ემპირიკოსი რომ არის, ამის მტკიცებაზე დროის დახარჯვა არ ღირს.

როგორ ჰქმნიდა ბატონი ანზორი კვლევის ფარგლებში ფელინის ცნობილი კინოდრამის — „კაბირიის ღამეების" მსგავს სიტუაციებს, ავტორი თავად მოგვითხრობთ.

„ადრეულ შემოდგომაზე მეგობრისგან ერთი საღამოთი ვითხოვე მისი ძველი „ჟიგული". შეძლებისდაგვარად ძველ ტანსაცმელში გამოვეწყვე და საღამოს, დაახლოებით 8 საათზე, როდესაც უკვე შებინდებული იყო, ნელი სვლით მივუახლოვდი მეძავთა იმდროინდელ „ბირჟას", რომელიც მდებარეობდა მაშინდელი პავლოვისა და პეკინის ქუჩების შესაყართან ახლოს, სადაც, როგორც მოსალოდნელი იყო, სულ ორადორი ქალის სილუეტი შევნიშნე, რომელთაგან ერთი ახალგაზრდა და შედარებით სიმპათიური, ხოლო მეორე — დაახლოებით შუახნის, მოუსვენარი ცხოვრებით დაღლილი, მაგრამ პროფესიონალი მეძავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, და მათ სიახლოვეს გავჩერდი... არჩევანი გამოცდილი ქალბატონის სასარგებლოდ გავაკეთე და ხელით ვანიშნე, მანქანაში ჩამჯდარიყო.

როდესაც ქალბატონი X-ი ჩემს გვერდით დავიგულე, მაქსიმალურად შევეცადე, ამ ცხოვრებით დაჩაგრული, დაღლილი ადამიანის გამომეტყველება მიმეღო, „სტუმრის" რეაქციას დავლოდებოდი, რომელმაც, როგორც მოსალოდნელი იყო, მოუთმენლობა გამოამჟღავნა და გაღიზიანებულმა მკითხა, რას ველოდებით, რატომ არ მივდივართო, რაზეც დაბნეულმა ვუპასუხე, რომ არ ვიცოდი, სად წავსულიყავით...

მისი კარნახით გავიარეთ რამდენიმე სამშენებლო მოედნისკენ მიმავალი ლაბირინთები (ეტყობა, ქალბატონი X-ი ამ ადგილებს კარგად იცნობდა) და მის მიერ მითითებულ ადგილას გავაჩერე მანქანა...

ნელი მოძრაობით ამოვიღე ჯიბიდან 5 მანეთი და ქალბატონს მშვიდად გავუწოდე... მან ხმას აუწია და ისტერიული ტონით მითხრა, რომ შენნაირი კრეტინი დიდი ხანია არ შემხვედრიაო. მე კვლავ მოვისულელე თავი და ვკითხე, თუ რამ გამოიწვია მისი ასეთი რეაქცია. ამაზე მან, კიდევ უფრო გაღიზიანებულმა, უკვე სარკაზმით მკითხა, შე იდიოტო, სად გაგიგია, რომ 5 მანეთი ქალთან სექსისთვის საკმარისი იყოსო.

მოკლედ, ჩანდა, — ჩვენი ვაჭრობა ჩიხში იყო შესული, ამიტომ, როგორც მამაკაცმა (ჩემში თითქოს ამ ინსტინქტმა უკვე გაიღვიძა), დავიწყე თავის მართლება, რომ მე მართლაც ამ საქმის მოსაგვარებლად 5 მანეთი საკმარისი მეგონა, მაგრამ მთავარი ეს კი არ იყო, რამდენადაც ის, რომ მეტი ფული თან არ მქონდა და ა. შ. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვდი, რომ ამჯერად 5 მანეთს დასჯერებოდა და ხვალ დილასვე დანარჩენს ბირჟაზე მივუტანდი...

მაგრამ, მეძავი ქალბატონი იყო ურყევი და ამიტომ მტკიცედ მოითხოვა სასწრაფოდ დამებრუნებინა იმ ადგილას, საიდანაც წამოვიყვანე.

მკითხველს არ გადავღლი იმ უსიამოვნო ამბებით, რაც გზაში გადამხდა, რადგან ამ ქალბატონს ჩემი გაკიცხვა მთელი გზის განმავლობაში არ შეუწყვეტია. მივუახლოვდით იმ ადგილს, სადაც მეძავები იმ დროს „ბირჟაობდნენ"... როგორც კი გაკაპასებულმა ქალბატონმა ასფალტზე დადგა ფეხი, ვტაცე ხელი იდაყვში და ძლიერი მოძრაობით გავაჩერე, ჯიბიდან ათმანეთიანების საკმაოდ მოზრდილი დასტა ამოვიღე და უკვე ნორმალური ხმითა და გამომეტყველებით ბოდიში მოვუხადე გათამაშებული სპექტაკლისთვის და 20 მანეთი მივაწოდე...

პატიოსნად გამოვუტყდი ყველაფერში, ვაღიარე ჩემი ნამდვილი ვინაობა და განზრახვა, კერძოდ, ავუხსენი, რომ ვიყავი სოციოლოგი და ვაპირებდი პროსტიტუციის მეცნიერული კვლევის ჩატარებას, ამიტომ მჭირდებოდა ჭკვიანი მეძავი ქალბატონის გულწრფელი რჩევა-დარიგება საკვლევი ობიექტის რაობის სწორად გარკვევასთან დაკავშირებით და ა. შ.

მან, როგორც მოსალოდნელი იყო, სწრაფად „გადახარშა" ჩემი ნათქვამი და თანამშრომლობაზე დიდი სიხარულით დამთანხმდა...

ისეთი საინტერესო ამბები მომითხრო, რომ, როგორც ბოლოს აღნიშნა, თვითონაც არ მოელოდა, თუ ასეთი მჭერმეტყველების ნიჭით იყო დაჯილდოვებული".

**მსგავს შემთხვევებში რესპონდენტებთან მუშაობის ერთი პრინციპი უნდა იყოს ყოველთვის უპირობოდ დაცული, რაც მსგავსი საუბრის კონფიდენციალობაში მდგომარეობს.**

ავტორი ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნავს პროსტიტუციის პრობლემას სხვა მსგავსი სოციალური ანომალიებისგან და აღნიშნავს, რომ **თანამედროვე პროსტიტუცია დიდი ხანია არსებითად გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს, შეიძინა საერთაშორისო ხასიათი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის სწრაფ კრიმინალიზაციაში განივთდა.**

**სპეციალისტები ორგანიზებულ პროსტიტუციას ორგანიზებული დამნაშავეობის, ამ ყველაზე საშიში კრიმინალური სოციალური ფენომენის, ჩარჩოებში ნარკობიზნესის, სათამაშო ბიზნესისა და სხვათა გვერდით და მათ თანაბრად განიხილავენ,** ხოლო ტრეფიკინგი, როგორც ანზორ გაბიანი აღნიშნავს, თანამედროვე სახით ორგანიზებულ პროსტიტუციას მჭიდროდ უკავშირდება: **„კერძოდ, დღეს ევროპასა და ამერიკაში პროსტიტუციის ექსპლუატაციას ეწევიან დიდი კრიმინალური ორგანიზაციები, რომლებმაც ქალთა სხეულით ვაჭრობა თავიანთი დანაშაულებრივი საქმიანობის ერთ-ერთ მეტად შემოსავლიან საქმედ აქციეს".**

**ბოზობა რაღაა?**

**ბოზობას ავტორი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულ ეპითეტად მიიჩნევს, იგი ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და გარყვნილებას ნიშნავს.**

### „ტკბილი ცხოვრება"

წიგნში საფუძვლიანად არის განხილული მეძავი ქალების აღზრდისა და ცხოვრების პირობების პრობლემა. **„პროსტიტუტკებად არ იბადებიან,** — წერს ავტორი, — **არამედ ხდებიან არც თუ მთლად ტკბილი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე... იგი დაკავშირებულია ისეთ მატერიალურ სიდუხჭირესთან, საიდანაც ზნეობრივად მთლად მყარ ნიადაგზე თუ არ დგას გოგონა ან ქალი, არის პირდაპირი გზა ქუჩისკენ, სადაც მას მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილი ცხოვრება ელოდება".**

მაგრამ მწარედ ტყუვდება.

თბილისის სპეციფიკურ უბნებში, რომელთა განზოგადებული მაგალითია ცირკთან, ყოფილი ჩელუსკინელების ხიდის თავში პატარა სკვერი, სადაც ყოველდღე მორიგეობით მდგარ ქალებს, „ტკბილი ცხოვრების" ნიშანწყალი არ ეტყობა.

ასეთ ქუჩის ბორდელებში პრაქტიკულად ყველა ასაკის ქალებს შეხვდებით. ამ „შრომით ბირჟაზე" შემოსავლის საშოვნელად გამოდიან 18 წლის გოგონებიც და 40 წელს გადაცილებული ქალებიც.

ოციოდ წლის წინათ ჩატარებული კვლევის დროს მეძავის „მომსახურების საფასური" არც თუ მაღალი იყო და ძირითადად 10 მანეთს არ აღემატებოდა. საჭირო ფულის საშოვნელად ისინი იძულებულნი იყვნენ ყოველდღიურად, ძირითადად საღამოსა და ღამის საათებში რამდენიმე კლიენტიც კი გაესტუმრებინათ, ადრეული ფიზიკური დაძაბუნებისა და დაბერების „კანდიდატები" იყვნენ. ამას ემატებოდა სპირტიანი სასმელებისა და ნარკოტიკების მიღება, რაც, რიგ შემთხვევებში, ამგვარი სექსუალური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტი ხდებოდა. **გასაკვირი არ არის, რომ ისინი შედარებით ადრე კარგავდნენ სექსუალური ცხოვრებისთვის აუცილებელ ელემენტარულ მიმზიდველობას და თანდათან სოციალურ წუმპეში ეშვებოდნენ, ანუ მათხოვრებისა და მაწანწალების კატეგორიაში გადადიოდნენ, რასაც საბოლოო ანგარიშით სრული ფიზიკური და ფსიქოლოგიური დეგრადაცია და ნაადრევი ინვალიდობა ან სიკვდილი მოსდევდა.**

ყველაფერ ამას ემატებოდა კიდევ ერთი დიდი უბედურება — ვენერიული დაავადებები და იშვიათად — შიდსიც. ვენერიული დაავადებები მეძავთა შორის ბევრად უფრო ფართოდ იყო გავრცელებული უწინ, ვიდრე დღეს, რადგან ჯერ კიდევ არ იყო მათ შორის უსაფრთხო სექსის კულტურა.

**მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში „სექსის ფრონტის მუშაკების" მომსახურების ტარიფები გაიზარდა, მეძავთა მატერიალური მდგომარეობა მძიმე რჩება.** წიგნის ავტორი წერს, რომ უწინდელი 10 მანეთის ნაცვლად, „სეანსი" დღეს 25-30 ლარამდეა გაძვირებული. ხოლო თუ ე. წ. ქუჩის მეძავები კლიენტს აბანოში ან რომელიმე იაფფასიან სასტუმროში „კომფორტულ სექსს" სთავაზობენ, მათი ე. წ. სექსმომსახურების საერთო ღირებულება 50-დან 60 ლარამდე მერყეობს (უკანასკნელ დროს ქ. თბილისის პოლიციის მიერ ქუჩის მეძავობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შედეგად ქუჩაში მეძავებს ნაკლებად შეხვდებით. სამაგიეროდ გაიზარდა ნახევრადლეგალური ბორდელების რიცხვი, სადაც კლიენტს სახელდახელო სექსი კიდევ უფრო ძვირი — 70-დან 100 ლარამდე უჯდება). **რაც შეეხება „გასტროლიორ" თბილისელ მე-** ▶

**უბედურება ისაა, რომ საქართველოში ბოზობა დღეს სწრაფად ვითარდება, რადგან „პროგრესულად მოაზროვნეთა“ მცდელობითა და გაძლიერებული აქტივობით (პუბლიკაციები პრესაში, ტელეგადაცემები, აქციები), ემანსიპაციის დიდებული იდეის დროშით ცდილობენ, შეუქმნან მას ლეგიტიმური არსებობის კომფორტული პირობები, დაარწმუნონ საზოგადოებრიობა, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს თანამედროვე თავისუფალი საზოგადოება.**

## სოციოლოგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ძავებს, იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებიან „გასტროლებზე“, მათი „შრომის ანაზღაურება“ განსხვავებულია, თუმცა, როგორც წესი, თბილისურ ფასებზე უფრო, ზოგჯერ კი, გაცილებით მაღალია.**

### საიდან მოდის შევსება?

**საინტერესო დაკვირვებითა და დასკვნებით გამოირჩევა სოფლიდან ქალაქში ჩამოსული გოგოების მიერ მეძავთა რიგების შევსების საკითხი. შიდამიგრანტები არცთუ იშვიათად ადგებიან მეძავობისა თუ ბოზობის გზას. უწინდელ მასშტაბებთან შედარებით დღეს ეს პროცესი გაცილებით შემცირებულია, მაგრამ ფაქტია, რასაც ვერ გავექცევით.**

„ქალაქში ჩამოსვლამდე, — **ამბობს წიგნის ავტორი,** — მათი უმრავლესობა არა მარტო არ იყო გარყვნილი, არამედ მომეტებული თავდაჭერილობითაც კი გამოირჩეოდა.

მათი ხვედრითი წილი თბილისელ მეძავთა შორის შედარებით დაბალი იყო და 10 პროცენტს არ აღემატებოდა. ისინი თბილისში არა სექსუალური ფათერაკებისა თუ „ტკბილი ცხოვრების“ საძიებლად, არამედ, უმეტესწილად, სასწავლებლად ან, ყოველ შემთხვევაში, სამუშაოდ იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ თბილისში, ისევე, როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა დიდ ქალაქში, გამოუცდელ პროვინციელ გოგონებს თუ ქალებს სხვადასხვა ფათერაკი და, პირველ რიგში, მათივე ახლადგაცნობილი ქალებისა თუ გოგოების მიერ დაგებული, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სექსუალური ხაფანგიც“ ელოდა. მაგალითად, მათი ახლადდამეგობრებული, ქალაქური ცხოვრების ეშმაკობებში გათვითცნობიერებული გოგოები, ვთქვათ, დაბადების დღის გადახდის საბაბით მომეტებული რაოდენობის სპირტიან სასმელებს თხოვნით თუ დაძალებით დაალევინებდნენ, რის შემდეგაც სტუმარი ბიჭებიდან, რომელსაც მეტი სიმპათია ან, უბრალოდ, სექსუალური პრეტენზია ჰქონდა „მსხვერპლის“ მიმართ, უგონო მდგომარეობაში ჩავარდნილს ნამუსსაც ახდიდა, გამოფხიზლების შემდეგ კი მასთან ინდივიდუალურად თუ კოლექტიურად აღმზრდელობით მუშაობას ჩაატარებდნენ და ამგვარად გზა მოუწესრიგებელი სექსუალური ცხოვრებისკენ უკვე გახსნილი იყო. სხვათა შორის, ძველ თუ ახალ უბნებში დღესაც მოიძებნებიან გარეგნულად არც თუ მთლად უსიმპათიო ქუჩის ბიჭები, რომლებსაც ამგვარი პროვინციელი გოგონებისთვის ქალიშვილობის დაკარგვინების საქმეში, რომ იტყვიან, ჭიპი აქვთ მოჭრილი“.

**პროფესიონალი და ნახევრადპროფესიონალი მეძავების ეროვნული შემადგენლობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართლაც ინტერნაციონალურია, რაც ჩატარებულმა კვლევებმა დაადასტურა. გაბიანისეული გამოკვლევებით დადგინდა, რომ მათ შორის ქართველი იყო 28,6 პროცენტი, სომეხი — 8,1 პროცენტი, აზერბაიჯანელი — 0,6 პროცენტი, ოსი — 2,8 პროცენტი, ბერძენი — 2,3 პროცენტი, აფხაზი — 2,1 პროცენტი, ებრაელი — 1,9 პროცენტი, ქურთი — 0,9 პროცენტი, სხვა ეროვნების — 5,8 პროცენტი.**

ეს მონაცემები, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ჩატარებული კვლევის შედეგია, დღეის სურათს სრულად, რა თქმა უნდა, არ ემთხვევა, მაგრამ გარკვეული ტენდენციის დასადგენად შეიძლება გამოდგეს, მით უფრო, რომ გაბიანის კოლექტივის მიერ ჩატარებული კვლევების შემდეგ ამ საკითხის მეცნიერული შესწავლა არავის უცდია.

მას შემდეგ, რაც საკამათო აღარ არის განათლების „რეფორმის“ შედეგად ჩვენი სტუდენტების (სტუდენტებისაც კი!) განათლების დონის დაკნინება, უთუოდ არ უნდა გაგვიკვირდეს მეძავთა ისეთი სოციალურად მნიშვნელოვანი მახასიათებლის დაბალი დონე, როგორიცაა დამოკიდებულება პერიოდიკის პუბლიკაციების, მხატვრული ლიტერატურის, თეატრალური, კინოხელოვნების მიმართ და ა. შ.

ნაშრომში მოხმობილი მაჩვენებლების მიხედვით, **გაზეთებს სისტემატურად ეცნობოდა გამოკითხულთა 2,1 პროცენტი, ჟურნალებს — 1,9 პროცენტი, მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა — 3,8 პროცენტი, ორად ორმა ადამიანმა განაცხადა, რომ დადიოდა თეატრში (0,4 პროცენტი), კინოთეატრში — 2,6 პროცენტი დადიოდა.**

ამასთან ერთად, **გამოკვლევებმა ისიც დაადასტურა, რომ პროსტიტუტკებს შორისაც არიან განათლებული და ნიჭიერი ადამიანები.**

„ყოველ შემთხვევაში, — **წერს ანზორ გაბიანი,** — მე ჩემს პრაქტიკაში (რასაკვირველია, აქ იგულისხმება მოცემული პრობლემის კვლევის პრაქტიკა) შევხვედრივარ ისეთ მეძავებს, რომლებიც მნიშვნელოვნად ერკვეოდნენ იმაში, რაც ჩვენ გარშემო ხდებოდა, სერიოზულ ინტერესს იჩენდნენ ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის მიმართ და თვითონაც კი წერდნენ არც თუ უხეირო ლექსებს, მოთხრობებს და ა.შ. მაგრამ, ამასთან ერთად, ეს ცალკეული ფაქტები არ ცვლის მოვლენათა ძირითად არსს და გამონაკლისს წარმოადგენს, რომელიც, როგორც ცნობილია, ძირითად წესს, ანუ ჩვენს შემთხვევაში კანონზომიერებას არა მარტო არ ეწინააღმდეგება, არამედ მის დადასტურებად გვევლინება, თითქმის ყოველი მეძავის ცხოვრება ისეთია, რომ იგი შეუთავსებელია სულიერებასთან და ადრე თუ გვიან მივყავართ სოციალურ და სულიერ სიცრუემდე და ზნედაცემულობამდე. სწორედ ეს არის მთავარი ბოროტება, რომელიც თავიდანვე ჩადებულია პროსტიტუციაში“.

**საგანგაშო და დამაფიქრებელია სტატისტიკა, რომელიც მკვლევარებმა მიიღეს მათი რესპონდენტების პასუხების შედეგად კითხვაზე: რამდენი წლის იყავით, როდესაც გქონდათ პირველი სქესობრივი კავშირი მამაკაცთან?**

გამოკითხულთაგან 12 წლისა აღმოჩნდა 0,4 პროცენტი, 13 წლის — 1,2 პროცენტი, 14 წლის — 0,8 პროცენტი, 15 წლის — 8,3 პროცენტი, 16 წლის — 15,8 პროცენტი და ა.შ. რესპონდენტთა საერთო რაოდენობიდან (532 მეძავი) მხოლოდ 18, ანუ 3,3 პროცენტი მამაკაცთან კონტაქტში შევიდა 22 წლის შემდეგ.



**თანამედროვე პროსტიტუცია დიდი ხანია არსებითად გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს, შეიძინა საერთაშორისო ხასიათი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის სწრაფ კრიმინალიზაციაში გამოვლინდა**

### ვის უმართლებს?

**ახალგაზრდული ასაკი მეორეხარისხოვანი ფაქტორი არ არის მეძავთა ცხოვრებაში. ბევრ შემთხვევაში ასაკი განსაზღვრავს მათ „სტატუსს“, გასაყიდ ღირებულებას და, მაშასადამე, შემოსავლის ოდენობასაც.** ამის თაობაზე წიგნში ნათქვამია:

„კერძოდ, ახალგაზრდა მეძავენი, გარეგნულად უფრო მიმზიდველნი და დახვეწილნი, ცდილობენ, როგორმე თავი აარიდონ სექსუალურ კონტაქტს ბევრ პარტნიორთან, რათა არ გაიუბრალოონ თავი, შეინარჩუნონ გარეგნული ფორმა და საკუთარი ღირსების გრძნობა თუ არა, ილუზია მაინც. ისინი მას შემდეგ, რაც შეუდგებიან მეძავის როლის შესრულებას, გარკვეული დროის მანძილზე მამაკაცების ერთი ხელიდან მეორეში პირდაპირ გადადიან, ანუ კლიენტების ერთი ჯგუფი გადასცემს მეორეს, და რადგან „საქონელი“ ჯერ კიდევ ხარისხიანია, არ არის გაცვეთილი, მეტ ყურადღებასაც იჩენენ, გარკვეული თვალსაზრისით ზრუნავენ კიდეც მათზე. ამ ეტაპზე დამწყები მეძავები შეიძლება წყვილად ან პატარა ჯგუფად მოქმედებდნენ, რაც უფრო საინტერესოს ხდის მამაკაცებისთვის მათთან სქესობრივ და სხვა ურთიერთობას, მაგალითად, ერთობლივ ღრეობას, კოლექტიურ ან გაცვლით სექსს და ა. შ. ცხოვრების ამ ეტაპზე ისინი ცდილობენ, თავიანთი თავი დაარწმუნონ, რომ სექსუალური მრავალფეროვნებით ერთობიან. არიან ელიტური მსუბუქი ყოფაქცევის ქალები, რომელთაც კლიენტები პირში ბოზებსა და მით უმეტეს მეძავებს არ ეძახიან, შედარებით დელიკატურად ეპყრობიან და ა. შ. რაც შეეხება სექსისთვის გასამრჯელოს, ისინი ცდილობენ, რომ ფული მიიღონ საჩუქრის სახით უძილო ღამის შემდეგ გამთენიისას ნაქირავებ ან საკუთარ საცხოვრებელში, სექსუალური პარტნიორების ბინაში, სასტუმროს ნომერში და ა. შ. მათი სექსმომსახურება შედარებით მაღალანაზღაურებადია და გარკვეული, შესაძლებელია, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, მართლაც იყვნენ ამგვარი, როგორც იტყვიან მათი კლიენტი მამაკაცები, ბოზური თავდავიწყებისა და გარკვეული ყურადღების ცენტრში ერთი პირობით, თუ გარეგნულად ჯერ კიდევ ლამაზებად და მიმზიდველებად რჩებიან“.

### სახეშეცვლილი კომერციული სექსი

**როგორც ვრწმუნდებით, პროსტიტუციის უმთავრესი ნიშანი დღესაც, როგორც მთელი ისტორიის მანძილზე კომერციული ფაქტორია, პროსტიტუცია იყო და რჩება კომერციულ სექსად.**

მაგრამ, ამასთან, როგორც ყველაფერი ამ მზისქვეშეთში, იგიც იცვლება. ანზორ გაბიანი წერს, რომ რიგი მაჩვენებლების მიხედვით, თუნდაც **გასული მეოთხედი საუკუნის განმავლობაში, მან საკმაოდ იცვალა სახე.**

რა ცვლილებებზეა ლაპარაკი?

ერთ-ერთი მთავარი, ავტორის აზრით, არის ის, რომ განვლილი პერიოდის მანძილზე გამეფებულმა სოციალურმა დეზორგანიზაციამ, რომლის აღკვეთა თუ თავიდან აცილება მოქმედი ხელისუფლების საზრუნავად დღემდე რჩება, გამოიწვია ის, რომ **თუ მეოთხედი საუკუნის წინ საქართველო იყო პროსტიტუციის, გნებავთ პროსტიტუტკების იმპორტიორი, დღეს უკვე იგი ამ „ცოცხალი საქონლის“, როგორც მას ცინიკოსები უწოდებენ, საკმაოდ სერიოზულ ექსპორტიორად გადაიქცა. აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ეს ძირითადად დაკავშირებულია იმ რთულ პროცესებთან, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას დაიწყო და ნაწილობრივ დღესაც გრძელდება.**

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა, აგრეთვე, პროსტიტუციის „სისტემამ“ თბილისში, სადაც იგი განსაკუთრებით „ყვავის და იფურჩქნება“, თუ მას უწინ ძირითადად „კუსტარული“ ხასიათი ჰქონდა, დღეს უფრო ორგანიზებულ სახეს იძენს, თუნდაც ინტერნეტის მეშვეობით, რომელსაც სულ უფრო ფართოდ და ოსტატურად იყენებენ ე. წ. სექსბიზნესმენები, იგივე სექსმაფიოზები.

**სექსბიზნესის ახალი მიმართულებაა მეძავებით ან მეძავობას მოწყურებული ქალებით უცხო ქვეყნების სექსბაზრების უზრუნველყოფა.**

განსხვავება ისიცაა, რომ, კერძოდ, თუ მეოთხედი საუკუნის წინათ, თბილისელ მეძავთა უდიდეს უმრავლესობას პროფესიონალები შეადგენდნენ, ხოლო ნახევრადპროფესიონალები იყვნენ აშკარა უმცირესობაში, დღეს სურათი არსებითად შეიცვალა და მნიშვნელოვნად გაიზარდა ნახევრადპროფესიონალების ხვედრითი წილი (გავიხსენოთ, რომ ასე ეწოდება იმ თავიანთი სხეულით მოვაჭრე ქალებს, რომლებსაც აქვთ სამსახური, ან რაიმე სხვა შრომითი თუ უშრომელი შემოსავალი და მეძავობა მათთვის შემოსავლის დამატებითი წყაროა), თანაც, რაც ყველაზე ნიშანდობლივია, ეს ტენდენცია თანდათან უფრო ღრმავდება.

და კიდევ ერთი რამ, რაც ყველა დროის მასობრივ პროსტიტუტკებს აერთიანებს, როგორც „ყველა ქვეყნის პროლეტარებს“ — მწირი შემოსავალი. გამონაკლისების გარდა ასეა. აქ „ეკონომიკის კანონები“ შედის ძალაში:

მეძავი ქალების ბაზარზე იქმნება ისეთი ვითარება, — **წერს ანზორ გაბიანი,** — რომ მიწოდება მალე მნიშვნელოვნად გადააჭარბებს მოთხოვნილებას, რასაც აქვს მთელი რიგი მიზეზებისა, რომელთა განხილვას არ შევუდგები. საზოგადოდ კი, თუ მეძავობის შიდა ბაზარს, ანუ მათზე საქართველოში მოთხოვნილებას შევეხებით, მისი შემცირება შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ, ალბათ, სულ უფრო მეტი მატერიალურად შეჭირვებული სიმპათიური ქალი მოჰკიდებს ხელს იმას, რასაც ნახევრად პროსტიტუცია ჰქვია, ბუნებრივია, რომ მთლიანად ყველა ამ საქმით დაკავებული ქალების შემოსავალიც შესაბამისად შემცირდება და, შესაძლოა, საგრძნობლადაც.

ანზორ გაბიანის დაკვირვებით, **პროცესები, რომლებიც დღევანდელ საქართველოში ვითარდება, მათი საზოგადოებრივი გამოვლინება, რაც ხშირად იდეების პროფანაციის მიზეზი ხდება (მაგალითად, არასწორად გაგებული ქალისა და კაცის თანასწორობა). უბედურება ისაა, რომ საქართველოში ბოზობა დღეს სწრაფად ვითარდება, რადგან „პროგრესულად მოაზროვნეთა“ მცდელობითა და გაძლიერებული აქტივობით (პუბლიკაციები პრესაში, ტელეგადაცემები, აქციები), ემანსიპაციის დიდებული იდეის დროშით ცდილობენ, შეუქმნან მას ლეგიტიმური არსებობის კომფორტული პირობები, დაარწმუნონ საზოგადოებრიობა, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს თანამედროვე თავისუფალი საზოგადოება. ეს კი, ხაზს უსვამს ანალიტიკოსი, „ყოვლად შეუსაბამოა არა მარტო საზოგადოებრივ, არამედ ამ ბოზური ცხოვრების ფერხულში ჩაბმული ქალების ნამდვილი და არა მოჩვენებითი ინტერესებისა“.**

და შემდეგ:

**„საქართველოში რომ ბოლო 5-10 წლის განმავლობაში აქტიური ახალგაზრდა ქალები ხშირად პირდაპირ შეტევაზე გადადიან მამაკაცებთან ურთიერთობებში. ამას თუნდაც ის კრიმინალური ფაქტები მოწმობს, რომელთა შესახებაც ჩვენთვის ცნობილი ხდება ტელევიზიისა თუ ბეჭდური მედიის მეშვეობით, როდესაც ქალების მიერ ჩადენილ დანაშაულში დაზარალებულად მათი ქმრები, საყვარლები ან სულაც ნაცნობი მამაკაცები ხდებიან ხოლმე“.**

აი, ასეთ ემანსიპაციას ვიღებთ შედეგად.

წიგნის მოკლე მიმოხილვას ამით დავამთავრებ, მაგრამ მკითხველს უთუოდ დააინტერესებს ის პარაგრაფებიც, რომლებშიც ავტორი აანალიზებს აქტუალურ პრობლემებს, კერძოდ, რა მიმართებაშია საქართველოში სექსუალური რევოლუცია აქტიურ ქალთა შორის სქესობრივი თავისუფლების მიღწევის აუცილებლობის განცდასთან; სექსუალური ჰედონიზმი თუ შთამომავლობის გაგრძელების მოთხოვნილება; აქსელერაცია და მისი გავლენა არასრულწლოვანი გოგონების სექსუალურ ქცევაზე; მატრიარქატი საქართველოში და ლეგიტიმური ლიდერების გარეშე დარჩენილი ოჯახები; საქართველოში სქესთა შორის დაპირისპირების გამწვავების ძირითადი ტენდენციები და სხვ.

წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „ფავორიტ პრინტში“.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. პროსტიტუცია უძველეს პროფესიად არის მიჩნეული. ჟურნალისტიკას მეორე ადგილი უკავია. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ სიძვის ნაკრძალში შევედით და ამდენი ყურადღება დავუთმეთ ამ თემას.**

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**აშშ საერთოდ პოლიტიკურ ჩიხშია. საპრეზიდენტო არჩევნებამდე მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ქვეყანას ასი დღეც აღარ დარჩა. არადა, აშშ-ის ეკონომიკურ მიღწევებს ვერავინ უწოდებს წარმატებებს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის მაქსიმალური ვარდნა დაიძლია, ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი ძალიან ნელი ტემპით იზრდება, უმუშევრობის დონე კი ერთ ნიშნულზეა გაყინული. ახლანდელმა პრეზიდენტმა თავისი რეიტინგის ნაწილი შარშან გაანიავა — მაშინ ის ძლივს შეუთანხმდა კონგრესს სახელმწიფო ვალის პრობლემის დროებით გადაწყვეტაზე.**

# დემოკრატია ხელს უშლის მსოფლიოს კრიზისთან ბრძოლაში

**მაშინ, როდესაც მსოფლიოს კრიზისთან ბრძოლა სჭირდება, იგივე მსოფლიო პოლიტიკითაა დაკავებული. ხელისუფლებები იცვლება, ზოგან დემოკრატიული გზით, ზოგან — ცნობილი სცენარებით. ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებით უკმაყოფილებამ უკვე განაპირობა ხელისუფლებების შეცვლა ევროკავშირის შვიდ ქვეყანაში — დანიაში, საფრანგეთში, ირლანდიაში, პორტუგალიაში, სლოვაკეთში, სლოვენიასა და ესპანეთში.**




განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს საბერძნეთი, სადაც პოლიტიკოსთა უუნარობის გამო იძულებულნი გახდნენ, უმწვავესი ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხელახალი არჩევნები ჩაეტარებინათ. მომდევნო წელს პოლიტიკური ვნებათაღელვა არ ჩაცხრება. მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებები ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც შეიცვალოს. ამასთან, სავსებით შესაძლებელია, რომ ხელისუფლებაში პოპულისტები და პოლიტიკური ექსტრემისტები მოვიდნენ.

**კრიზისს პოლიტიკურ არენაზე ახალი, „ალტერნატიული“ პარტიები გამოჰყავს. ისინი ამომრჩეველს ჰპირდებიან, რომ შეწყვეტენ ეკონომიკური ასკეტიზმის პოლიტიკას. უკანასკნელი 18 თვის მანძილზე ამგვარმა პარტიებმა უკვე გაზარდეს საკუთარი გავლენა ევროპის არაერთ ქვეყანაში.** გერმანულ პარლამენტში გაჩნდა მეკობრეთა პარტია, ნიდერლანდებში — თავისუფლების პარტია, რომელიც იმიგრაციის შემცირების მომხრეა, ფინეთში — ნაციონალური პარტია „ნამდვილი ფინელები“. უკვე ხსენებულ საბერძნეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროპელ კრედიტორებთან შეთანხმებების გაწყვეტის პირობით მოსული უკიდურესად მემარცხენე პარტიების რეიტინგი.

ეს ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ პოლიტიკური რისკები კიდევ უფრო მეტად იმოქმედებს ეკონომიკასა და ინვესტორების ქცევაზე. ყოველ შემთხვევაში ასე ამბობენ ექსპერტები, რომლებმაც შეისწავლეს, თუ რა არასასიამოვნო პოლიტიკურ სიურპრიზებს უნდა ველოდოთ ახლო მომავალში.

საფრანგეთში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა ოპოზიციამ. ოლანდის გამარჯვებამ უკვე განაპირობა ის, რომ ეკონომიის განხორციელებასთან დაკავშირებით ევროპული ქვეყნების მყიფე კონსენსუსი დაიბზარა.

ფრანსუა ოლანდი შეუერთდა იტალიისა და ესპანეთის „ანტიგერმანულ“ კოალიციას, რომელსაც ეკონომიის ზომების შეჩერება სურს.

სხვათა შორის, სოციალისტ ოლანდს პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს და თავისუფლად შეუძლია ქვეყანა „ცენტრიდან“ მართოს, დროდადრო კი თავს „მემარცხენე“ ნაბიჯების უფლებაც მისცეს. თუმცა მისი წინასაარჩევნო სტრატეგია, რომელიც ბიუჯეტის შეუმცირებლობის პირობაზე იყო აგებული, შესაძლოა, ევროზონის დანარჩენი ლიდერებისათვის სიგნალად იქცეს.

**აქამდე ჩატარებულ არც ერთ არჩევნებს არ მიუპყრია იმდენი ყურადღება, რამდენიც საბერძნეთის არჩევნებმა. მაგრამ იმ ზომიერი კოალიციური მთავრობის შექმნამ, რომელზეც ევროპელი და მსოფლიო პოლიტიკოსების ამდენი ძალისხმევა დაიხარჯა, პრობლემა ვერ გადაჭრა. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ მომავალი 12-18 თვის განმავლობაში საბერძნეთის ევროზონიდან გასვლის ალბათობა 90%-ს უტოლდება.**

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ხუ ცზიანი 10-წლიანი მმართველობის შემდეგ ქვეყნის პირველი პირის თანამდებობიდან მიდის. მისი გეგმიური გადადგომა მთლიანი მოზაიკის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია. ჩინეთში იცვლება პარტიის მთელი ხელმძღვანელობა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი ხელმძღვანელობები ეყოლებათ პარტიის მიერ კონტროლირებად სხვა ინსტიტუტებსაც — მსხვილ კომპანიებს, ბანკებსა და ასე შემდეგ.

პირველი ნაბიჯი ოქტომბერში გადაიდგმება. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ყრილობაზე აირჩევენ პარტიის ახალ ლიდერს და ახალ პოლიტბიუროს. გაზაფხულზე ჩინეთის პარლამენტმა ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიოს. ასპროცენტიანი ალბათობით, ამ თანამდებობას პარტიის მეთაური დაიკავებს. ამის შემდეგ დასახელდება ცენტრალური სამხედრო საბჭოს ახალი მეთაურიც.

**ჩინეთის ახალი ხელისუფლება განაგრძობს ეკონომიკური ცხოვრების ყველა ასპექტის კონტროლს და განახორციელებს ეკონომიკის „მსუბუქ დაჯდომას“. თუმცა პოლიტბიუროს წევრ ბო სილაესთან დაკავშირებული ბოლოდროინდელი სკანდალი იმაზე მეტყველებს, რომ თვით ზე ცენტრალიზებული სისტემაც კი ვერ შეძლებს ყველაფრის გაკონტროლებასა და თვალთვალს.**

მაგრამ, ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩინეთს ხელისუფლებაში ექსტრემისტების მოსვლის საფრთხე არ ემუქრება. ჩინელების უმეტესობა კმაყოფილია, თუმცა უახლოეს მომავალში ქვეყან, შესაძლოა გარეშე საფრთხეების წინაშე დადგეს. აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი მიტ რომნი იმუქრება, რომ პრეზიდენტობის პირველივე დღეს ჩინეთს სავალუტო კურსის მანიპულირებაში დაადანაშაულებს. ურთიერთობები იძაბება მეზობელ ვიეტნამსა და ფილიპინებთანაც.

**აშშ საერთოდ პოლიტიკურ ჩიხშია. საპრეზიდენტო არჩევნებამდე მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის ქვეყანას ასი დღეც აღარ დარჩა. არადა, აშშ-ის ეკონომიკურ მიღწევებს ვერავინ უწოდებს წარმატებებს. მიუხედავად იმისა, რომ 2009 წლის მაქსიმალური ვარდნა დაიძლია, ქვეყნის საერთო შიდა პროდუქტი ძალიან ნელი ტემპით იზრდება, უმუშევრობის დონე კი ერთ ნიშნულზეა გაყინული. ახლანდელმა პრეზიდენტმა თავისი რეიტინგის ნაწილი შარშან გაანიავა — მაშინ ის ძლივს შეუთანხმდა კონგრესს სახელმწიფო ვალის პრობლემის დროებით გადაწყვეტაზე.**

**მას შემდეგ ობამას რეიტინგი აღარ გაზრდილა, თუმცა მრავალი ამერიკელი ძველებურად იწონებს მის პოლიტიკას საგარეო ურთიერთობებისა და ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით.** მისი ხელახალი არჩევისათვის სერიოზული რისკი იქნება, თუ მსოფლიოში ძლიერი შოკის მდგომარეობა შეიქმნება, ვთქვათ, ევროზონის სრულმასშტაბიანი კრიზისის, სპარსეთის ყურეში ომის ან ჩინეთის „უხეში დაშვების“ სახით.

პრეზიდენტის არჩევით ამერიკის ეკონომიკის პოლიტიკური გამოცდა არ დასრულდება. წინ სენატის არჩევნებია და მისი შემადგენლობა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მიმდინარე წლის დასასრულამდე ხელისუფლებას სენატთან მოლაპარაკება მოუწევს ახალი ფისკალური პოლიტიკის თემაზე. ეს აუცილებელია, რომ როგორმე თავიდან იქნეს აცილებული დანახარჯების კატასტროფულად შემცირება და გადასახადების გაზრდა.

**ექსპერტების აზრით, არჩევნებამდე აშშ პოლიტიკური ჩიხიდან ვერ გამოვა და სენატში მოკალათებული ორი პარტია ვერაფრით მოახერხებს რაიმე გადაწყვეტილების მიღებას. იმის ალბათობა, რომ არჩევნების შემდეგ რაიმე შეიცვლება, ძალზე მცირეა.**

რაც შეეხება ევროკავშირს, მისდამი ნდობა მინიმუმამდე დაეცა. ევროპის ერთიანობისა არავის სჯერა. კრიზისი ისე ვერ ჩაივლიდა, რომ ევროკავშირისადმი ევროპელების დამოკიდებულებას არ შეხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანია იძულებულია, მუდმივად გადაარჩინოს გაცილებით სუსტი ქვეყნები, **გერმანელების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ევროკავშირის წევრობა ამყარებს ადგილობრივ ეკონომიკას.**

სამაგიეროდ, **ვალებში ჩამხრჩვალი ქვეყნები ყველაფერში ევროკავშირს ადანაშაულებენ.** მოსახლეობის მესამედზე ნაკლებს სჯერა ერთიანი ევროპის ეფექტურობისა და ეს დიდად აბრკოლებს პოლიტიკოსებს ეკონომიკის საკითხებზე მოლაპარაკებებისას.

იტალიაში ევროს ბედი კომიკოსების ხელშია. იქ მთელი ევროზონისათვის კრიტიკული სიტუაციაა და, როგორც ექსპერტები აცხადებენ, რეცესია კიდევ უფრო ღრმა იქნება, ვიდრე ანალიტიკოსები პროგნოზირებდნენ. ახალი ხელისუფლებისადმი ნდობამ კლება დაიწყო. ახალი მომხრეების გადაბირებითაა დაკავებული ყოფილი კომიკოსი, მთავარი ანტისახელისუფლო პარტიის ლიდერი **ბეპე გრილო**. მონტისთვის დღითიდღე რთულდება არაპოპულარული რეფორმების განხორციელება.

**იზრდება დაძაბულობა ირანის ირგვლივ, თუმცა აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებამდე ომის დაწყების შანსები, ანალიტიკოსთა ვარაუდით, 25 პროცენტს არ აღემატება. ამერიკული არჩევნების შემდეგ კი სპარსეთის ყურეში ომის გაჩაღების ალბათობა მხოლოდ გაიზრდება.**

მსოფლიო ენერგიის სტატისტიკური მიმოხილვის ახალი ანგარიშის შესაბამისად, ვენესუელაში ნავთობის მარაგების შეფასება დრამატულად გადაჭარბებული იყო. ვენესუელაში უფრო მეტი ნავთობია, ვიდრე თვით საუდის არაბეთში. ახლა ნავთობის მოპოვება იქ მთლიანად სახელმწიფოს მიერ კონტროლდება და ეს პოლიტიკა უდავოდ გაგრძელდებოდა, რომ არა ერთი „მაგრამ“. მიუხედავად თავისი ექსცენტრიულობისა, ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტ უგო ჩავესს მაღალი რეიტინგი აქვს. ჩავესი 15%-ით უსწრებს ოპოზიციონერ კანდიდატ ერიკ კაპრილსას, მაგრამ არჩევნებამდე ჩავესმა შესაძლოა ვერც გასტანოს. ცნობილია, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ვენესუელის ლიდერს სიმსივნე აქვს. თავად ამბობს, რომ სრულად განიკურნა, მაგრამ ამის თითქმის არავის სჯერა. თუ ქვეყანას ახალი პრეზიდენტი ეყოლება, ამან შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ადგილობრივი პოლიტიკა.

სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფლებების შეცვლამ კრიზისთან ბრძოლას ვერ უშველა, პირიქით, ამან მხოლოდ გაზარდა ეკონომიკური რისკები. 2013 წლის დასასრულამდე მსოფლიოს კიდევ არაერთი საბედისწერო პოლიტიკური მოვლენა ელის.

finmarket.ru

## კანაფის პლანტაცია — მეტროს გვირაბში

**იტალიის ფინანსური გვარდიის თანამშრომლებმა ერთ-ერთი მეტროსადგურის გამოუყენებელ მონაკვეთში, მიწისქვეშ, კანაფის პლანტაცია აღმოაჩინეს.** კანაფი შვიდი ათასი კვადრატული მეტრის ფართობზე იყო გაშენებული, თანამედროვე სასათბურე მოწყობილობით, სარწყავი სისტემებითა და ხელოვნური განათებითაღჭურვილი. სამართალდამცველებმა იქვე აღმოაჩინეს ნარკოტიკების წარმოების დანადგარები. მიწისქვეშა ლაბორატორიიდან ამოღებულია 340 კილოგრამი მარიხუანა, რომლის საბაზრო ღირებულება დაახლოებით სამ მილიონ ევროს შეადგენს.



## ობამას ლუდსახარში — თეთრ სახლში

**ბარაკ ობამას ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაადასტურა ჭორები საპრეზიდენტო ლუდსახარშის არსებობის შესახებ.** როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ჯეი კარნი აცხადებს, თეთრ სახლში არათუ ლუდსახარში, არამედ ლუდის შესანახი საცავიც არის.პრეზიდენტის ლუდისადმი სიყვარული ჯერ კიდევ 2011 წლის აგვისტოში გახდა ცნობილი, აიოვას შტატში საარჩევნო კამპანიის დროს, ხოლომინილუდსახარის შესახებ სულ ცოტა ხნის წინ გახდა ცნობილი.White House Honey Ale-ს დასახელების ლუდი თაფლისგან მზადდება.

**დრონების მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ აშშ ოპონენტებს ხოცავს სასამართლო პროცესის გარეშე და ამ ოპერაციების დროს საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობას. და არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის: ამჟამად არსებული მონაცემებით, დრონების შეტევას უკვე ათასზე მეტი სამოქალაქო პირი ემსხვერპლა. სხვათა შორის, დრონების განვითარების თემა ამერიკისათვის ძალზე აქტუალურია და მას მრავალი მომხრე ჰყავს, რადგან ერაყისა და ავღანეთის გრძელვადიანმა ოკუპაციებმა მრავალი ამერიკელი სამხედრო იმსხვერპლა. ასე რომ, ამერიკაში დრონები დიდი პოპულარობით სარგებლობს.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის სამხედრო «ქოთნების» ქსელმა მთელი პლანეტა მოიცვა

**ინგლისური სიტყვა lilypad აღნიშნავს წყლის ლილიის ფოთოლს, ქოთანს. ასე უწოდებენ მომავლის ურბანულ პროექტებსაც — ეკოლოგიურ მცურავ ქალაქებს. მაგრამ ამერიკულ სამხედრო სლენგზე ლილიპადი არის მომცრო ზომის მობილური სამხედრო ბაზა, რომელიც ახლა უკვე მსოფლიოს ყველა კუთხეშია — დასავლეთ აფრიკის ჯიბუტიდან ჰონდურასის ჯუნგლებამდე.**



**ლილიპადებს ასევე ერთობლივი უსაფრთხოების პუნქტებსაც უწოდებენ. ისინი ძირითადად წარმოადგენენ მუდმივი ან დროებითი პერსონალით დაკომპლექტებულ გადასაგზავნ პუნქტებს ჯარების სწრაფად გადაგზავნისათვის და სხვა ისეთი ოპერაციების ჩატარებისათვის, რომელთაც მასშტაბური რესურსები არ სჭირდებათ. მიუხედავად იმისა, რომ ლილიპადების შესახებ ადრეც იყო ცნობილი, ობამას მმართველობის წლებში მათმა რაოდენობამ მნიშვნელოვნად მოიმატა. ამგვარი პოეტური სახელწოდების სამხედრო ბაზები ახლა მხოლოდ აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში დაახლოებით ორმოცდაათია.** ამასთან, აზიაში მათი რაოდენობის გაზრდა უკვე დაგეგმილია. საუბარია პატარა, მოქნილ ბაზებზე, რომელთა პერსონალიც 20-დან 200-მდე ადამიანს მოიცავს. იგულისხმებოდა, რომ ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების გაყვანა საზღვარგარეთ ამერიკის ბაზების რაოდენობის შემცირებას გამოიწვევდა, სინამდვილეში კი პირიქით ხდება. ამერიკელები საზღვარგარეთ სულ უფრო მეტ სამხედრო ბაზას ხსნიან და ამის შესახებ არ ლაპარაკობენ.

ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორის — დევიდ უაინის თანახმად, ლილიპედები ამერიკის სამხედრო სტრატეგიის ძირითადი ელემენტია მსოფლიო ლიდერობის შენარჩუნების საქმეში. ამგვარი ბაზების საშუალებით შესაძლებელია ცოტა დანახარჯებით ბევრი რამის გაკეთება. უაინი ერთ-ერთი პირველია, ვინც ყურადღება მიაქცია ამერიკულ ქოთნებს, რომელთა მოქმედებას სპეციალისტები მცურავი ლილიის ფოთლებიდან ბაყაყების ხტომას ადარებენ. „ლილიპედი არის პოტენციურად კატასტროფული განვითარება“, — ირწმუნება პროფესორი.

უაინის აზრით, ყველაზე მეტ რისკს ეს მინი-ბაზები ქმნიან რუსეთთან და ჩინეთთან ურთიერთობის დაძაბვით სპარსეთის ყურეში, ასევე აფრიკის ნავთობიან რაიონებში. სხვებს რომ ამერიკის ინტერესების ზონებში ამგვარი ლილიპედების განთავსება დაეწყოთ, ამერიკელები ამას „ცივი ომის“ პერიოდის ყველაზე სერიოზულ კონფლიქტად ჩათვლიდნენ.

ისტორიკოსი ნიკ ტერსი მიიჩნევს, რომ ლილიპედები აღჭურვილნი არიან დრონებით. „ამერიკის იმპერიის ამ ექსპანსიაში, მინიმუმ, 56 ბაზაზე დრონები აქვთ“, — აცხადებს იგი.

აშშ-ის კონგრესის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ მომავალ ათწლედში პენტაგონი 730-მდე დიდი და მცირე ზომის უპილოტო საფრენი აპარატის — დრონის შეძენას აპირებს. 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის არმიის სამიზნეშია ამოღებული, ძირითადად, სამხრეთ აზია (კონკრეტულად — ავღანეთი), ახლო აღმოსავლეთი (ძირითადად ერაყი) და აფრიკა. როგორც ტერსი აცხადებს, აშშ მიდის ერაყიდან და ავღანეთიდან, აფრიკა კი მას ექსპანსიისთვის ახალ შესაძლებლობებს ჰპირდება.

მკვლევარმა **ჩალმერს ჯონსონმა** 2000 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ბაზების ამერიკული იმპერია“, რომელშიც იწინასწარმეტყველა კიდეც ეს ექსპანსია. წიგნი ბესტსელერად იქცა აშშ-ში ერთი წლის შემდეგ მომხდარი ტერაქტის შემდგომ პერიოდში. „სახელმწიფო საიდუმლოს მიზეზით ამერიკელთა უმეტესობამ არაფერი იცის იმის შესახებ, რომ ამერიკულმა ჯარმა მთელი პლანეტა ბაზების ფართო ქსელში გახვია. ბაზები არის ყველა კონტინენტზე, გარდა ანტარქტიკისა. შეუძლებელია ექსპანსიისადმი ამერიკის მიდრეკილების გაგება, თუ მთელ მსოფლიოში ამ ბაზების შესახებ არაფერი იცი“, — წერს იგი. **ბაზების საერთო რაოდენობა უცნობია, რამეთუ პენტაგონმა აბსოლუტურ ბურუსში გახვია ლილიპედები. პენტაგონი ლილიპედებს ბაზებსაც კი არ უწოდებს.** მაგალითად, სატრანზიტო ცენტრი მანასში სინამდვილეში შუა აზიაში ამერიკის მთავარი ბაზაა და სწორედ ის იყო ავღანეთში ომის მთავარი საყრდენი.

„მსოფლიო მბრძანებლობა — ეს არის მთავარი მოტორი. პენტაგონი ბიუროკრატიული და ეკონომიკური ინტერესებით თამაშობს და დრონების გამოყენების მომხრეები დღითიდღე ზრდიან ხელისუფლებაში საკუთარ გავლენას“, — ამბობს დევიდ უაინი.

ამრიგად, ამერიკის ბაზების რაოდენობისა და კონფიგურაციის შესახებ მსოფლიო რუკის შედგენა ძნელია. ახლახან აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა „აზიის ღერძის“ სტრატეგიის შესახებ. ეს სტრატეგია, მკვლევარების აზრით, ადასტურებს, რომ **სწორედ აზია გახდება ლილიპედების მშენებლობის ახალი ცენტრი. ავსტრალიაში საზღვაო ქვეითებმა შექმნეს დარვინის ბაზა და ქოქოსის კუნძულების დრონების ბაზა. ფილიპინებზე, რომელიც 1990 წელს დაფარა მსხვილმა ამერიკულმა ბაზებმა, 2002 წელს გამოჩნდა 600 სპეცრაზმელი. გასულ წელს ამერიკელები დაბრუნდნენ ომის შემდგომ დაკეტილ ბაზებზე ვიეტნამში. 2011 წელს აშშ-მა ხელი მოაწერა ყოფილ მტერთან სამხედრო თანამშრომლობის შეთანხმებას და ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკებები ვიეტნამის პორტებში აშშ-ის გემების გაფართოებული დაშვების თაობაზე. სავარაუდოა ახალი ბაზების გაჩენა ინდონეზიაში, მალაიზიასა და ბრუნეაში, ამავე დროს მყარდება სამხედრო კავშირები ინდოეთთან. ახალი ბაზები იხსნება სამხრეთ კორეაშიც, ასე რომ, საერთო ჯამში ჩინეთს ირგვლივ 200-მდე ბაზა შემოევლება.**

აფრიკაში პენტაგონმა ყოველგვარი ხმაურის გარეშე შექმნა დუჟინი ბაზები დაკვირვებისა და დრონებისათვის. ბაზები შენდება ან უკვე აშენებულია აფრიკის, სულ მცირე, 16 სახელმწიფოში.

სპარსეთის ყურეში აშშ-მა შესაძლოა ახალი კონფლიქტი დაიწყოს, ფლობს რა მოწინავე ბაზებს, ლილიპედებს და ზრდის ძალებს ირანის წინააღმდეგ.

მას შემდეგ, რაც სამხრეთ ამერიკაში ამერიკელი სამხედროები პანამიდან და ეკვადორიდან გაყარეს, შეიქმნა ახალი ბაზები და განხორციელდა უკვე არსებულების მოდერნიზება, სულ მცირე, 10 ქვეყანაში. პენტაგონმა მიაღწია ეკვადორში დაბრუნებას, პირველად მიიღო ბაზები ჩილესა და არგენტინაში. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ **აშშ სულ უფრო მეტად ერთვება მიმდინარე კონფლიქტებში და ქმნის ახლებს.**

ლილიპედების კვალი უაინმა სატრანსპორტო თვითმფრინავ „ჯ-17“-შიც აღმოაჩინა. მან ახლახან გერმანიაში ამერიკის რამშტაინის ბაზაზე დაჭრილები ჩაიყვანა. მისი თქმით, დაჭრილები აფრიკიდან ჩაიყვანეს და ამაზე არავინ საუბრობს. 20 წლის წინ სომალიში „შავი შევარდენის ვარდნის“ შემდეგ მსოფლიოს არაფერი სმენია აფრიკაში დაჭრილი ამერიკელი ჯარისკაცების შესახებ. რამშტაინში ჩაყვანილი ამერიკელი ჯარისკაცების ამბავი კი ფარდას ხდის აშშ-ის ახალ სამხედრო სტრატეგიას.

მიუხედავად დემოკრატიის შესახებ რიტორიკისა, აშშ სულ უფრო მეტ ლილიპედებს ქმნის მსოფლიოს ყველაზე დესპოტ, კორუმპირებულ და დამნაშავეობრივ რეჟიმებთან თანამშრომლობით.

ჟურნალისტებმა პენტაგონთან 12-დღიანი საუბრის შემდეგ ერთი პასუხიც კი ვერ მიიღეს ლილიპედების თაობაზე დასმულ კითხვებზე.

ევროპაში მას შემდეგ აღშფოთდნენ დრონების შეტევების გამო, რაც გაირკვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ობამა მონაწილეა 261 შეტევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა. ამ შეტევებით პაკისტანში ვითომდა გაანადგურეს ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირები პაკისტანის ტერიტორიაზე. პრეზიდენტმა ბუშმა, არსებული მონაცემების თანახმად, თეთრ სახლში მოღვაწეობის რვა წლის მანძილზე მხოლოდ 45 ამგვარ შეტევას დაუჭირა მხარი.

**დრონების მოწინააღმდეგენი აცხადებენ, რომ აშშ ოპონენტებს ხოცავს სასამართლო პროცესის გარეშე და ამ ოპერაციების დროს საფრთხეს უქმნის სამოქალაქო მოსახლეობას. და არა მხოლოდ საფრთხეს უქმნის: ამჟამად არსებული მონაცემებით, დრონების შეტევას უკვე ათასზე მეტი სამოქალაქო პირი ემსხვერპლა.**

**სხვათა შორის, დრონების განვითარების თემა ამერიკისათვის ძალზე აქტუალურია და მას მრავალი მომხრე ჰყავს, რადგან ერაყისა და ავღანეთის გრძელვადიანმა ოკუპაციებმა მრავალი ამერიკელი სამხედრო იმსხვერპლა. ასე რომ, ამერიკაში დრონები დიდი პოპულარობით სარგებლობს.**

rodon.org

## მარკ ცუკერბერგმა ერთ დღეში 600 მილიონი დოლარი დაკარგა

**მარკ ცუკერბერგის ქონება ერთ დღეში 600 მილიონი დოლარით შემცირდა. Facebook-ის დამფუძნებლისა და გენერალური დირექტორის „გაღარიბების“ მიზეზი Nasdaq-ის ბირჟაზე კომპანიის აქციების მკვეთრი ვარდნა გახდა.** ვაჭრობის პირველი საათის განმავლობაში Facebook-ის აქციები 7%-ით გაუფასურდა და 19,69 დოლარი შეადგინა.სავაჭრო სესიის დასრულების პერიოდისთვის ფასიანმა ქაღალდებმა პოზიციები ნაწილობრივ დაიბრუნა და 19,87 დოლარის ნიშნულს მიაღწია. Facebook–მა აქციები NASDAQ–ის ბირჟაზე პირველად მიმდინარე წლის 18 მაისს განათავსა. აქციის ფასი 38 დოლარად განისაზღვრა. ტექნიკური პრობლემების გამო ვაჭრობა ნახევარსაათიანი დაგვიანებით დაიწყო.ვაჭრობის პირველ დღეს ფასიანი ქაღალდების ღირებულება 38 დოლარის ქვემოთ არ ჩამოსულა, მომდევნო დღეს კი მათ ღირებულების 10% დაკარგეს. IPO-ს შემდეგ Facebook-ის კაპიტალიზაცია თითქმის 50%-ით დაეცა.




## ავსტრალიამ ანტინიკოტინური კანონი მიიღო

**ავსტრალიამ ანტინიკოტინური კანონი მიიღო. ქვეყანაში თამბაქოს მწარმოებელ კომპანიებს თავიანთი ნაწარმის კოლოფებზე კომპანიის სიმბოლოების, ფერებისა და ლოგოების დატანა აეკრძალათ.** ქვეყნის ხელისუფლების ვარაუდით, თამბაქო მომხმარებლებისთვის ნაკლებადმიმზიდველი გახდება. კომპანიები ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევასა და სავაჭრო ნიშნების გაუფასურებაზე საუბრობენ.შეფუთვაზე ნიკოტინის მავნებლობის შესახებ ინფორმაციის დატანა აუცილებელი იქნება.თამბაქოს ნაწარმის შეფუთვა ერთი ფერის იქნება.კანონი ძალაში დეკემბრიდან შევა.

## აშშ-ის სამხედრო უწყებამ ახალი ზებგერითი თვითმფრინავი გამოსცადა

**აშშ-ის სამხედრო უწყებამ წყნარი ოკეანის თავზე ახალი თვითმფრინავის გამოცდა ჩაატარა. მისი სიჩქარე ბგერის სიჩქარეს ექვსჯერ უნდა აღემატებოდეს.** მფრინავი აპარატი, რომლის სამუშაო სახელწოდებაა Waverider, ბომბდამშენი B-52-დან გაუშვეს.ზებგერითი თვითმფრინავის სიჩქარე საათში 6900 კმ იქნება. ამ თვითმფრინავს ლონდონიდან ნიუიორკამდე მანძილის დაფარვა ერთ საათში შეეძლება. ამ გამოცდის მთავარი მიზანი ზესწრაფი საბრძოლო რაკეტების შემუშავებაა. აშშ-ის თავდაცვის უწყება გამოცდის შედეგებს ჯერჯერობით არ ახმაურებს. 2011 წელს ჩატარებული გამოცდისას თვითმფრინავმა ბგერის ხუთმაგი სიჩქარე განავითარა და დაგეგმილ პარამეტრებს ვერ მიუახლოვდა.



დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკვე არა მხოლოდ ეკონომისტები, არამედ პოლიტიკოსები და ოზივატელებიც კი აღიარებენ, რომ ესა თუ ის ქვეყანა, შესაძლოა, ევროკავშირიდან გავიდეს მხოლოდ იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ მას არ შესწევს უნარი, შეინარჩუნოს ის მაღალი ეკონომიკური სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირშია. არის მეორე მიზეზიც — შედარებით უზრუნველყოფილი ქვეყნების გადასახადების გადამხდელები იძულებულნი არიან, საკუთარ თავზე აიღონ ნაკლებად უზრუნველყოფილი ქვეყნების მოქალაქეთა შენახვისთვის საჭირო ხარჯების ნაწილი.**

# იდეების კრიზისი და მსოფლმხედველობის სივიწროვე: ევროკავშირის შეცდომები და გაკვეთილი ახალი ევროპული კავშირისთვის

**გლობალიზაციის პროცესებს, რომლებიც გამოიხატება კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს უნიფიცირებაში, აქვს მეორე, დრამატული მხარეც, რაც განაპირობებს საზოგადოების დიფერენცირების გაძლიერებას ტრადიციული პიროვნებათაშორისი კავშირების რღვევაზე, რაც ყველაზე კარგად ოჯახური ღირებულებების გაუფასურების მაგალითზე ჩანს. ყოველივე ამის შედეგი კი ადამიანის მზარდი იზოლაციაა გლობალურ მსოფლიოში...**

მიმდინარე ეკონომიკურმა კრიზისმა თვალნათლივ წარმოაჩინა არსებული მართვის მოდელების სიძველე და მრავალი სოციალური თუ სახელმწიფო სტრუქტურის რღვევის კატალიზატორადაც იქცა. ამავე დროს, ამ რღვევის პროცესმა აღმოაჩინა ადეკვატური რეალობის არარსებობა ადამიანების მსოფლმხედველურ მოდელში, რომელიც ასახავდა თანამედროვე საზოგადოების მდგომარეობას და მისი განვითარების ვარიანტებს წარმოადგენდა.

ამჟამად არსებული „იზმებიდან“ არც ერთი არ იძლევა წარმოდგენას იმ პროცესებზე, რომლებიც ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარეობს. ძველი ეკონომიკური მოდელები და მართვის სისტემები არა მხოლოდ არ იძლევა კრიზისულ მოვლენებთან გამკლავებისშესაძლებლობას, არამედ არ შეესაბამება შედარებით მშვიდ პერიოდებსაც კი.

ცხადია, რომ ეს დიდწილად განვითარებულ ქვეყნებს ეხება, განვითარებადი ქვეყნები კი ჯერ კიდევ მონუსხულნი არიან ნეოლიბერალური კაპიტალისტური მოდელების შედარებითი უპირატესობის ილუზიით.და მხოლოდ ისეთი ზეეროვნული წარმონაქმნის დაშლის ყოველდღიურად მზარდმა საფრთხემ, როგორიც ევროკავშირია, აიძულა ცალკეული მოქალაქეები, დაფიქრებულიყვნენ იმ მიზეზებზე, რომლებმაც ამგვარი სიტუაცია განაპირობა და ეძებნათ პასუხები მკაცრად ეკონომიკური მოდელების მიღმა. ამავე დროს, საზოგადოებრივი ურთიერთობების ადეკვატური თეორიის შექმნის გარეშე და მხოლოდ ადამიანის საბაზო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ჩარჩოებიდან გამავალი მიზნების დასახვის გარეშე ევროკავშირზე უფრო ინტეგრაციული მოდელის გაჩენისა და სტაბილური არსებობის შანსი თითქმის ნულის ტოლია.

**საკმაოდ მრავლისმეტყველია მსოფლმხედველური მრწამსის ცვლის ის პროცესი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას მოჰყვა. იმ მომენტში, როდესაც ეს ხდებოდა, ევროკავშირში გრძელდებოდა საინტეგრაციო პროცესები და სრულდებოდა მისი მოქალაქეების მიერ იმის გათვითცნობიერება, რომ რაღაც დიდის, ყველა ევროპული სახელმწიფოს ჯამის ნაწილნი არიან. სრულდებოდა „დიდი ევროპელის“ კონცეფციის ფორმირება და ეს იყო ერთიანი ევროპის მცხოვრები, დიადი და ძლევამოსილი ევროპული კულტურის წარმომადგენელი. გაერთიანებულ ევროპაში გაქრა საზღვრები სახელმწიფოებს შორის, შემოიღეს ერთიანი ვალუტა, მოახდინეს კანონების უნიფიცირება, წაშალეს კულტურული სხვაობები. შედეგად, საშუალო ევროპელმა მიიღო შესაძლებლობა, მსოფლიოსთვის ევროკავშირის მოქალაქის თვალით შეეხედა და არა მხოლოდ გერმანიის, საფრანგეთის, პოლონეთის, იტალიის...**

ამ დროს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აბსოლუტურად საპირისპირო ხასიათის პროცესები მიმდინარეობდა: ჩნდებოდა ახალი საზღვრები, ახალი ვალუტები, იღებდნენ ახალ კონსტიტუციებსა და კანონებს, ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების ყურადღების კონცენტრირებას ახდენდნენ სწორედ კულტურულ და ისტორიულ განმასხვავებლებზე, მიმდინარეობდა ისტორიის გადაწერა.ახალი სახელმწიფოების მოქალაქეებს თითქოს შთააგონებდნენ, რომ ისინი არიან ხმელეთის მხოლოდ იმ პატარა ნაწილის მცხოვრებნი, რომლითაც შემოიფარგლებოდა მათი ახლადგაჩენილი სახელმწიფოს ტერიტორია.



ევროპის ცენტრალური ბანკი ფრანკფურტში

## უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებში, ევროპის მოქალაქეებისგან განსხვავებით, მოხდა მსოფლმხედველური წარმოდგენების მნიშვნელოვანი დეგრადაცია

ეს პროცესები ახლაც გრძელდება, მაგრამ ახლა სხვაობა სულ უფრო და უფრო წვრილ ჯგუფებსაც ეხება. იზრდება რეგიონული, ეთნიკური და სხვა სახის სეპარატიზმი. ამავე დროს ევროკავშირისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე ერთნაირად გრძელდება გლობალიზაციის პროცესები: მიმდინარეობს ტექნიკის, ტანსაცმლის, საკვები პროდუქტებისა და საყოფაცხოვრებო დონეზე მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების უნიფიცირება. **სინამდვილეში, სიღარიბის დონის გარდა, ევროკავშირსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში ლამის ერთი და იგივე მდგომარეობაა.და ამ დროს აღმოჩნდა, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებში, ევროპის მოქალაქეებისგან განსხვავებით, მოხდა მსოფლმხედველური წარმოდგენების მნიშვნელოვანი დეგრადაცია. ვიდრე ევროპელები აფართოებდნენ თავიანთი ცნობიერების საზღვრებს საკუთარი სახლის კედლებიდან ევროკავშირის საზღვრებამდე, ხმელეთის მეექვსედის მკვიდრნი პირიქით — ავიწროებდნენ იმავე საზღვრებს.**

ძირითადად, ყოფილი საბჭოთა ადამიანები და მათი შვილები, ევროპელებისგან განსხვავებით, თავს ძალიან ადგილობრივებად გრძნობენ, და ახლა იმისათვის, რომ ამ ადგილიდან გარე სამყაროს მიაღწიონ, უამრავი საზღვრის გადალახვა მოუწევთ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ ცნობიერებაში.

ფსიქოლოგიური და მსოფლმხედველური წინაღობების გარდა მსოფლიო პროექტებისთვის მზადყოფნას ხელს უშლის ეკონომიკურ-ადმინისტრაციული დაბრკოლებებიც. თანამედროვე საშუალო ევროპელისთვის კრიზისის პირობებშიც კი დიდ პრობლემას არ წარმოადგენს ევროპის ერთი ბოლოდან მეორემდე გავლა. ინგლისურის, როგორც ევროპული კომუნიკაციის ენის, ცოდნა, სასაზღვრო კონტროლისა და ვიზების არარსებობა, თითქმის ერთნაირი კანონები, ერთგვარი ვალუტა ევროპელებს საშუალებას აძლევს, უპრობლემოდ იარონ ევროპის ერთი ქვეყნიდან მეორეში. უფრო მეტიც, ვინაიდან **ევროპაში უძრავ ქონებას მხოლოდ მდიდრები ყიდულობენ და დანარჩენებისთვის კი ქირით ცხოვრება ტრადიციული პრაქტიკაა, ნებისმიერ ევროპელს შეუძლია აირჩიოს, სად უნდა ცხოვრება და მუშაობა და ამაში არანაირად არ შეუშლის ხელს საკუთარი ქვეყნის საზღვრები.**

**საშუალო ევროპელებისაგან განსხვავებით, ყოფილი საბჭოთა მოქალაქეების უმეტესობა მობილურობის ამ დონეს პრაქტიკულად ვერ მიაღწევს. მათ დიდი სიამოვნებით ძარცვავენ საკუთარიც და სხვა ქვეყნების მესაზღვრეებიც თითქმის ყველა საზღვარზე. არამც თუ მომგებიანად, თუნდაც რამენაირადაც კი შეუძლებელია ვალუტის გადაცვლა იმ ქვეყნის კუპიურებზე, რომელშიც მოხვდებით. ენაზე, რომელზეც თქვენ მეტყველებთ, ხშირად დემონსტრაციულად არ დაგელაპარაკებიან, თუნდაც ეს ენა მშვენივრად იცოდნენ. თუ სხვა სახელმწიფოში მუშაობის დაწყებას მოინდომებთ, თქვენც და თქვენი დამქირავებელიც ახალი პრობლემების წინაშე აღმოჩნდებით. ამ დაუვიწყარი შეგრძნებების გამას არაფერი შეედრება.**

სწორედ ეს განაპირობებს მოსახლეობის დიდი ნაწილის გულუბრყვილო სურვილს, გახდნენ ევროკავშირის წევრები, ევროკავშირისა, რომლის მოქალაქეებისთვისაც მსგავსი პრობლემები არ არსებობს.ძირითადად სწორედ ეს საყოფაცხოვრებო პრობლემები და სირთულეებია ევროკავშირში გაწევრების მთავარი აგიტატორები და ამ აგიტაციასთან ყველა პოლიტიკოსი უსუსურია.

ეკონომიკური კრიზისის ხუთმა წელმა აჩვენა, რომ ეკონომიკური სირთულეების წარმოშობისთანავე იმ ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურის არსებობა, რომლის ლოზუნგიც საყოველთაო კეთილდღეობაა, უმალ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

**უკვე არა მხოლოდ ეკონომისტები, არამედ პოლიტიკოსები და ოზივატელებიც კი აღიარებენ, რომ ესა თუ ის ქვეყანა, შესაძლოა, ევროკავშირიდან გავიდეს მხოლოდ იმ ერთადერთი მიზეზის გამო, რომ მას არ შესწევს უნარი, შეინარჩუნოს ის მაღალი ეკონომიკური სტანდარტები, რომლებიც ევროკავშირშია. არის მეორე მიზეზიც — შედარებით უზრუნველყოფილი ქვეყნების გადასახადების გადამხდელები იძულებულნი არიან, საკუთარ თავზე აიღონ ნაკლებად უზრუნვ-** ▶

მოკლედ

## PUSSY RIOT-ის წევრებს ორწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს

**პანკ ჯგუფის Pussy Riot-ის წევრებს: ნადეჟდა ტოლოკონიკოვას, მარია ალეხინას და ეკატერინა სამუცევიჩას სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.** სასჯელს გოგონები საერთო რეჟიმის კოლონიაში მოიხდიან. სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო ხულიგნობაში, რომელიც მოტივირებული იყო რელიგიური სიძულვილით.სასამართლოზე გოგონებმა ბოდიში მოუხადეს ყველას, ვისაც ამ აქციით შეურაცხყოფა მიაყენეს, მაგრამ „დაზარალებულებმა“ ბოდიში არ მიიღეს.



## პაკისტანის ავიაბაზებზე განგაშია

**პაკისტანში,ქალაქ კამრაში,რომელიც ისლამაბადიდან 60 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, განთავსებულ სამხედრო ავიაბაზას თავს დაესხნენ.** პაკისტანის ყველა ბაზაზე განგაშიგამოცხადდა. დაღუპულია ერთი ადგილობრივი სამხედრო მოსამსახურე და რვა თავდამსხმელი. სროლა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.




**ივნისში გაერთიანებული ჯარების გენშტაბის აკადემიის პროფესორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს მის მიერ წარმოთქმული ერესის გამო. მან, არც მეტი არც ნაკლები, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისლამთან ომის მდგომარეობაშია. ობამას ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ პროფესორი სასწრაფოდ უნდა გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან, რამეთუ მისი სიტყვები არ შეესაბამებოდა აშშ-ის პოლიტიკურ კურსს.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ ელყოფილი ქვეყნების მოქალაქეთა შენახვისთვის საჭირო ხარჯების ნაწილი.**

ამ დრომდე, ვიდრე საუბარი იყო ისეთქვეყანაზე, როგორიც საბერძნეთია, ამგვარი განწყობა, შესაძლოა, გამონაკლისად ჩათვლილიყო და არა ნორმად. თუმცა, როდესაც ევროკავშირიდან გასვლის რისკის წინაშე დადგა ესპანეთი და, შესაძლოა, იტალიაც, **ცხადი გახდა, რომ გაერთიანება, რომელიც მხოლოდ ეკონომიკისა და პოლიტიკის ბაზაზე წარმოიშვა, დიდხანს ვერ გასტანს და სტაბილურობას მხოლოდ მოქალაქეთა საბაზო სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების წყალობით ინარჩუნებს.**

ერთის მხრივ, არსებული სირთულეები განაპირობა ნაციონალური ხელისუფლებების, პარლამენტების, ბიუჯეტების არსებობის გაგრძელებამ. მეორე მხრივ, ადმინისტრაციულ დონეზე ერთიან ევროპად გადაქცევა, ერთიანი ფისკალური პოლიტიკისა და საერთო სასამართლო სისტემის გაჩენა ამ დრომდე ყოველგვარი ადეკვატური თეორიული ბაზის გარეშეა. მიუხედავად ევროპელობის შეგრძნებისა, ევროკავშირის ობივატელისათვის გაუგებარია, რატომ და რისთვის უნდა ხდებოდეს ამგვარი ცვლილებები.

**გარდა ამ გაუგებარი მომენტისა, არსებობს შიდა დესტაბილიზირებადი ფაქტორი, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს ევროპელთა განწყობაზე. ეს არის ევროპულ სახელმწიფოებში ეთნიკური და კულტურული გეტოების არსებობა.** გეტოებისა, რომლებიც თავად ევროპელებმა შექმნეს. გეტოები, რომლებშიც ცხოვრობენ ადამიანები, რომელთაც ოდნავი შეხებაც კი არ აქვთ ევროპულ კულტურასთან, ხშირად არ იციან ევროპული ენები, არ მუშაობენ და არც სურთ, იმუშაონ და ინტეგრირებულნი იყვნენ ევროპულ კულტურულ და ეკონომიკურ გარემოში.ისინი ევროპელი გადასახადების გადამხდელების ხარჯზე ცხოვრობენ და ამავე დროს მთელი ძალით ცდილობენ, გააფართოონ თავიანთი გეტოების საზღვრები, სადაც თავს სავსებით კომფორტულად გრძნობენ.

ეს პარაზიტები, რომლებიც თავის მხრივ ზრდიან ევროკავშირის დაშლის ალბათობას, ვერც კი ხვდებიან, რომ საკუთარი ხელით ითხრიან სამარეს. ევროკავშირის დაშლის შემდეგ ისე ცხოვრებას, როგორც დაჩვეულნი არიან, ველარ შეძლებენ. **ევროკავშირში გაბატონებულ იდეად თუ ფაშიზმი იქცევა, რაც სავსებით მოსალოდნელია, გეტოების მოსახლეობას, უბრალოდ, გაწყვეტენ.**

ევროპის პარლამენტის დარბაზი



## ევროკავშირში გაბატონებულ იდეად თუ ფაშიზმი იქცევა, რაც სავსებით მოსალოდნელია, გეტოების მოსახლეობას, უბრალოდ, გაწყვეტენ

სამომხმარებლო სამოთხე მაშინ ნადგურდება, როდესაც კრედიტებს აღარ იძლევიან. ევროპული ქვეყნების უმეტესობა კი საკუთარი არსებობისთვის საჭირო თანხას თავად აღარ გამოიმუშავებს.

ევროკავშირის ნებისმიერ ალტერნატივას, რომელთაგან ერთ-ერთი, შესაძლოა, ევროპული კავშირი გახდეს, უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ მექანიზმები თავისი მოქალაქეების კომფორტული ცხოვრების უზრუნველსაყოფად და არა მხოლოდ ეკონომიკური მოდელი, რომელიც საკმაოდ ავტონომიური არსებობის საშუალებას მისცემს შიდა რესურსების გამოყენების საფუძველზე (ყოველგვარი პოსტმოდერნული კონცეფციების გარეშე, რომლებიც ახლა მხოლოდ ჩინელების შრომისმოყვარეობასა და მათ მზაობაზე დგას, მიიღონ შრომის ანაზღაურების სახით არაფრით უზრუნველყოფილი ქაღალდი). **ევროკავშირის საძიებო ზენაციონალური ალტერნატივა, პირველ რიგში, უნდა ხედავდეს მიზანს, რომლის გამოც ეს ზენაციონალური მოდელი გაახანგრძლივებს დროში თავის არსებობას. ევროკავშირს ამგვარი მიზანი არ გააჩნია.** მისი მოქალაქეების კომფორტული ცხოვრებისთვის ადრე ასეთი მიზანი საჭირო არ იყო, ახლა კი მისი ძებნის დაწყება უკვე გვიანია.

საჭიროა მზადყოფნა იმისათვის, რომ ახალი იდეის მიღებასა და გააზრებას ყველა ვერ შეძლებს. ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგ იმუშავებს, სულ მცირე, 1990-იანებისა და 2000-იანების თაობები ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ისინი უკუაგდებენ ნებისმიერ ზემიზანს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათი სოციალიზაცია იკეტებოდა „ადგილობრივ" ფარგლებში. ამ მსოფლმხედველური ჩიხიდან თავის დაღწევა მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. უფროსი თაობები თუ არ მიიღებენ ახალ იდეას, მისი აქტიური მოწინააღმდეგენი მაინც არ იქნებიან. უფრო მეტიც, ისინი შესაძლოა თავიანთი შვილიშვილებისთვის ახალი იდეებისკენ გამცილებლებად იქცნენ, რადგან საჭირო გახდება გაცილებით უფრო ხარისხიანი განათლების გამოყენება, ისეთის, როგორიც უფროს თაობას აქვს, მისი ფართო მსოფლმხედველობა.

მიზანი მხოლოდ მაშინ აერთიანებს ადამიანებს, როდესაც ის კულტურული ტრადიციის ნაწილია და უზრუნველყოფს მომავლის იმ მოდელის არსებობას, რომლის მიღწევაც ადამიანებს სურთ და რომლის მისაღწევადაც მზად არიან, დახარჯონ ძალები, დრო და ხანდახან თავიც კი გასწირონ. თუ მიზანი არ არსებობს ან არსებობს, მაგრამ არ იმსახურებს ადამიანთაგან ამგვარ დამოკიდებულებას,ნებისმიერი გაერთიანება ამ მიზნის ირგვლივმალე დაიშლება. ნებისმიერი კრიზისი განაპირობებს დეზინტეგრაციულ პროცესებს, რომლებიც გამოიწვევს წვრილმანი სეპარატიზმების დაუსრულებელ რიგს.

**რაც უფრო ძლიერი იქნება კრიზისი, მით უფრო გაღრმავდება სეპარატიზმი. ნელ-ნელა ის მოიცავს სულ უფრო უბრალო სტრუქტურულ ელემენტებს და დაეშვება ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი დონიდან სულ უფრო დაბალ საფეხურზე.**

ის, ვინც მსოფლიოს ახალ იდეას შესთავაზებს და მის ორგანიზაციულ თანმდევებს უზრუნველყოფს, გახდება კიდეც ამ მსოფლიოს მმართველი.

fondsk.ru

# 2016 წლის სამოქალაქო ომი — ამერიკაში

**წარმოიდგინეთ ჩაის პარტიის ექსტრემისტები, რომლებიც სამხრეთ კაროლინის ქალაქზე კონტროლს ჩაიგდებენ ხელში. ქალაქში გაიგზავნება ჯარები, რათა ჩაახშონ ამბოხი. ეს ნამდვილი ფარსია, რომელსაც სამხედროები პროფესიონალურ წრეებში განიხილავენ.**

საუბარია პატივცემულ ჟურნალ „Small Wars Journal"-შიდაბეჭდილ სტატიაზე „მშობლიურ მიწაზე ოპერაციის სრული სპექტრი: მომავლის „ხედვა". სტატია დაწერილია გადამდგარი პოლკოვნიკის, **კევინ ბენსონის,** მიერ სამხედრო უნივერსიტეტიდან და კანზასის უნივერსიტეტის სამოქალაქო ომის ექსპერტის — **ჯენიფერ ვებერის** მიერ. სტატიაში განიხილება ექსტრემისტული შეიარაღებული ფორმირებები. სცენარის მიხედვით, ამ ფორმირებებმა 2016 წელს ხელში ჩაიგდეს კონტროლი სამხრეთ კაროლინის დარლინგტონი, დაიკავეს მერია, დაითხოვეს საქალაქო საბჭო და მერი შინაპატიმრობაში აიყვანეს. ამბოხებულებმა მოაწყვეს საკონტროლო-გამშვები საგუშაგოები ავტომაგისტრალებზე, რომლებიც შტატებს ერთმანეთთან აკავშირებს, რათა დაიჭირონ არალეგალური იმიგრანტები. კარიკატურული და უსარგებლო-პროვოკაციული სცენარია.

ავტორები ქმნიან კვაზისამართლებრივ შემთხვევას სამხედრო მოქმედებებისგან და შემდეგ იყენებენ არმიის მართვის 2016-2028 წლების კონცეფციას. ისინი წერენ, რომ „როდესაც ეს მოქმედებაში მოვა, ამერიკელები სამხედროებისგან უნდა ელოდონ იმ ქმედებების პროფესიონალურ შესრულებას, რომლებსაც მანამდე სხვა ქვეყნებში ახორციელებდნენ. ისინი ირწმუნებიან, რომ „არმიამ არ შეიძლება გული დასწყვიტოს ხალხს, მით უფრო ასეთ მომენტში" და იქვე აღნიშნავენ, რომ ესოდენ ეფექტური, მომაკვდინებელი ძალის გამოყენება აშშ-ის მოქალაქეების წინააღმდეგ განაპირობებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ რეაქციას და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს სახელმწიფოს ქმედებების შესაბამისობას კანონებსა და პრინციპებთან.

ამ ყველაფრის სერიოზულად აღქმა ძნელია. გადამდგარი გენერალი, ვესტ-პოინტში ყოფილი პროფესორი **რასელ დ. ჰოვარდი** თავის დროზე წერდა: „მე პოლკოვნიკი ვარ, პოლკოვნიკები წერენ უამრავ უაზრო რამეს, მაგრამ მათ არავინ უსმენს, ამიტომაც პრობლემას ვერ ვხედავ".

ოცი წლის წინ სამხედრო საჰაერო ძალების პოდპოლკოვნიკმა **ჩარლზ ჯ. დანლეპ უმცროსმა** დიდი ხმაური გამოიწვია „Parameters"-ში გამოქვეყნებული

თავისი სტატიით სათაურით **„2012 წლის ამერიკული სამხედრო გადატრიალების შედეგები".** სტატიაში აღნიშნული იყო, რომ გადატრიალების სცენარი სხვა არაფერია, თუ არა სუფთად ლიტერატურული ილეთი სამხედრო ძალებზე გავლენის მქონე ზოგიერთი თანამედროვე მოვლენის გამო შეშფოთების გამოხატვის მიზნით და არამც და არამც არ შეიცავს რაიმე წინასწარმეტყველებას.

„Small Wars Journal"-ში გამოქვეყნებული სცენარი სულაც არაა ლიტერატურული ილეთი.ეს არის სამუშაო გეგმა, რომლის მიზანია, წარმოადგინოს ლოგიკური საფუძვლები და მექანიზმები ამერიკელების ამერიკელებთან ომისთვის. ბატონი ბენსონი და ქალბატონი ვებერი ირწმუნებიან: „ამერიკელი ოფიცრები პროფესიულად ვალდებულნი არიან, განიხილონ ამერიკულ მიწაზე ოპერაციის ჩატარება".

**ივნისში გაერთიანებული ჯარების გენშტაბის აკადემიის პროფესორი თანამდებობიდან გაათავისუფლეს მის მიერ წარმოთქმული ერესის გამო. მან, არც მეტი არც ნაკლები, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ისლამთან ომის მდგომარეობაშია. ობამას ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ პროფესორი სასწრაფოდ უნდა გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან, რამეთუ მისი სიტყვები არ შეესაბამებოდა აშშ-ის პოლიტიკურ კურსს.** ვინაიდან „Small Wars"-ში გამოქვეყნებულ სტატიას არ ახლავს რაიმე გადახვევა ტექსტიდან, აბსოლუტურად მიზანშეწონილია, თუნდაც პოლკოვნიკ ბენსონს მაინც ვკითხოთ, წარმოადგენს თუ არა ამერიკის მოქალაქეების წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენების თაობაზე მისი მოსაზრება ოფიციალური თვალსაზრისის ასახვას.

Washington Times




ამბები

## ლონდონი ჯულიან ასანჟს არ უშვებს

**Wikileaks-ის დამფუძნებლისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ ეკვადორის საელჩოს გადაწყვეტილების მიუხედავად, ლონდონი არ აპირებს ჯულიან ასანჟიზე დოკუმენტების გაცემას და არ აძლევს ბრიტანეთის ტერიტორიის დატოვების უფლებას,** — განაცხადა რუსეთში ეკვადორის ელჩმა პატრიციო ალბერტო ჩავეს სავალამ. „ჯულიან ასანჟი არ იმალება, ყველამ იცის, რომ ის ეკვადორის საელჩოშია", — განაცხადა დიპლომატმა და დაამატა, რომ Wikileaks-ის დამფუძნებლის მიერ პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნამდე ლონდონმა ეკვადორს „არადელიკატური საფრთხის შესახებ" ნოტა გაუგზავნა.

## ტაილანდში 3D-მუზეუმი გაიხსნა

**ტაილანდის ქალაქ პატაიაში ინტერაქტიული სამხატვრო მუზეუმი Art in Paradise-ი გაიხსნა.** მის მუდმივ ექსპოზიციაში შევიდა ათობით 3D-სურათი, რომლებიც მომხმარებელს ხელოვნებაში „ჩაძირვის" საშუალებას აძლევს.ბრტყელი სურათები გარკვეული კუთხიდან შეხედვისას სიღრმესა და პერსპექტივას იძენენ, ტილოების პერსონაჟები გამოდიან ჩარჩოებიდან, წყალი კი პირდაპირ სამუზეუმო დარბაზში იღვრება.დამთვალიერებლებს ძალიან მოსწონთ სურათების გვერდით ფოტოების გადაღება, ასეთ დროს ადამიანი ტილოს ნაწილი ხდება: მაგალითად, შესაძლებელია მარტორქის ჩარჩოში დაბრუნება, დათვისთვის ქოქოსის რძის დალევინება ან კლდის ნაპირზე ვიწრო დაფაზე გავლა.

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



იგორ კვესელავა

**ამერიკელები მსოფლიო მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, მაშინ, როდესაც მსოფლიო რესურსების 40 პროცენტზე მეტს მოიხმარენ. ცხადია, ვაშინგტონი ცდილობს, დოლარი მსოფლიო ვალუტად გადააქციოს. როგორც ირკვევა, მთლიანობაში დაბეჭდილია უზარმაზარი თანხა – 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი, რაც ბევრად მეტია, ვიდრე თვითონ მსოფლიოს შიდა პროდუქტი. თითოეული ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით.**

# XXI საუკუნე — თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრული?

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31 (169)

**აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ტელბოტმა 1992 წელს ჟურნალ „თაიმსში“ ასეთი მოსაზრება გამოთქვა: „მე ვაცხადებ, რომ შემდეგი ასწლეულის (XXI საუკუნე. – ი. კ.) მანძილზე ეროვნულობა, თავისი ახლანდელი გაგებით, მოძველდება: ყველა სახელმწიფო ცნობს ერთადერთ გლობალურ ხელისუფლებას. XX საუკუნის მეორე ნახევრის მოდური სიტყვები – „მსოფლიო მოქალაქე“ — XXI საუკუნეში შეიძენს ჭეშმარიტ მნიშვნელობას“.**

სწორედ ამ პრობლემისადმი „დასავლეთური“ აზროვნების არსებობა შესაძლებლობას აძლევს საქართველოს პოლიტიკური კლასის გარკვეულ ნაწილს, იფიქროს, რატომ არ გამოდის დასავლეთი კატეგორიულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით და მხარს უჭერს საქართველოს კონფედერაციულ მოწყობას, ან მიანიშნებს საქართველოს ხელისუფლებას, ცნოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.

ახლა ვერავინ ხუჭავს თვალს ამ მძიმე რეალობებზე, თუმცა ისმება კითხვა: **სად არის გამოსავალი?** თუ ვირწმუნებთ გერმანიის ყოფილი ფინანსთა მინისტრის — ტ. ვაიგელის 2011 წელს გაზეთ Die Welt-ში გამოქვეყნებულ აზრს ევროკავშირის მომავლის შესახებ, იკვეთება, რომ **ევროპაში არსებობენ ევროკავშირის მთავარი ქვეყნები, სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის უბრალო წევრები არიან და შეუძლიათ ყოველ წუთს შევიდნენ სავალუტო კავშირში. არიან ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ევროკავშირის ცენტრალიზაციის დაშლის დაწყება და მოძრაობის გაშლა დეცენტრალიზაციის გონივრული მიმართულებით, მრავალწყობიან, სხვადასხვა დონის ფუნქციონირებად, უპირატესობის მქონე, ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე მოქმედ სისტემასთან.**

ეს პროცესი ევროპაში დაწყებულია. საქმე ეხება პრინციპულად ახალი ინტეგრაციული მოდელის რეალიზაციას და პერსპექტივას, როდესაც პროცესის მონაწილე თითოეული ქვეყანა შეძლებს შეინარჩუნოს სუვერენული უფლება, დარჩეს საკუთარ თავთან.

ვაიგელი გვარწმუნებს, რომ ეს გზა არ არის ევროკავშირის დასუსტება. **პირიქით, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მსხვილმასშტაბუროების და დომინანტობის დრო წარსულს ბარდება.**

ახლა უმჯობესია, იყო პატარა და უფრო მეტად მოძრავი, შედარებით ანგარიშგასაწევი და პროგრესულობის ნიშნის მატარებელი.

ფიქრობენ, რომ ასეთ მსგავს პრინციპებზე გადაეწყობიან თანამედროვე მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები. მსგავსი პერსპექტივა ჩანს ევროკავშირთან მიმართებაშიც. მითუმეტეს, ინტეგრაციის ასეთი მოდელი ბევრი ქვეყნისათვის მიმზიდველია.

**ვაიგელი** ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ **„ევროპული კავშირი იმ ათასწლოვანი ომის დასასრულია, რომელსაც ყველა ყველას წინააღმდეგ აწარმოებდა. ევროკავშირი არის დაუმსახურებელი სამოთხე მთელი კონტინენტის მცხოვრებთათვის. ევროკავშირი ევროპული ისტორიის ოქროს საუკუნის აღმნიშვნელია“**.

მაგრამ ასე არ ფიქრობენ სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა მტკიცებით, ამ სიტყვებს თითქმის არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. მათ მოაქვთ მონაცემები იმის შესახებ, რომ პორტუგალიელები ყოფილ კოლონიაში, ანგოლაში, გარბიან სამუშაოს საშოვნელად. პორტუგალიის, საბერძნეთის, ესპანეთისა და იტალიის 25 წლამდე ახალგაზრდების ნახევარი უმუშევარია და ა.შ.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი **მარიო დრაგი** აცხადებს, რომ **„ევროპული სახელმწიფოს ნაქებმა სოციალურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა“.**

საბერძნეთი უკვე გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ, როგორც დრაგი ირწმუნება, ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობს.

როდესაც ევროპა თავის წარმატებებს ზედმეტად აზვიადებდა, ამ დროს საბერძნეთის ბანკებში ფალსიფიკაცია ინერგებოდა. ევროკავშირი მილიონობით თანხებს გამოყოფდა არარსებული სასოფლო-სამეურნეო პროექტებისთვის. პორტუგალია ჩქაროსნულ გზატკეცილებს აშენებდა, მაგრამ ამავე დროს არ შენდებოდა დიდი თუ პატარა სამრეწველო ობიექტები. ესპანეთში ვერ გაიცნობიერეს, თუ რა სახსრებით იცხოვრებდნენ ესპანელები სამშენებლო ბუმის დასრულების შემდეგ.



**საბერძნეთი უკვე გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ, როგორც დრაგი ირწმუნება, ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობს**

**ევროპის კრიზისის გამწვავებაში უარყოფითი როლი შეასრულა ამერიკის ძალისხმევამ — ღატაკი აღმოსავლეთ ევროპა რუსეთისაგან ჩამოეცილებინა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში შეეყვანა.** ევროკავშირს ასუსტებს ევროპული ერების თვითშეგნების გაძლიერება და სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის გაფართოებაც, შიდა სეპარატისტული ტენდენციებით.

ევროკავშირის და, შესაბამისად, ევროს პრობლემა მიბმულია ამერიკული დოლარის პარადიგმასთან. პოლიტიკის ექსპერტებს უყურადღებოდ არ რჩებათ ფაქტი, რომ **ამერიკელები მსოფლიო მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, მაშინ, როდესაც მსოფლიო რესურსების 40 პროცენტზე მეტს მოიხმარენ. ცხადია, ვაშინგტონი ცდილობს დოლარი მსოფლიო ვალუტად გადააქციოს. როგორც ირკვევა, მთლიანობაში დაბეჭდილია უზარმაზარი თანხა — 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი, რაც ბევრად მეტია, ვიდრე თვითონ მსოფლიოს შიდა პროდუქტი. თითოეული ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით.** ცნობილია ისიც, რომ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. საყურადღებოა, რომ ამერიკელებმა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ცნობილი ქმედების სანაცვლოდ, თავის დროზე, მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა. ამდენად, **ამერიკელები დოლარის განმტკიცებას სხვა ქვეყნებში სამხედრო ძალით ან ეკონომიკური საშუალებებით ცდილობენ, თუმცა მსოფლიო „დოლარიზაციის“ წინააღმდეგ ამჟამად დაწყებულია სერიოზული მოძრაობა ჩინური ოქროს იუანის, არაბული ოქროს დინარის და რუსული რუბლის გაძლიერების მიზნით.**

ვითარებაში, როდესაც ამერიკელები მხარს უჭერენ „ოქროს მილიარდის“ ფორმულას, ბუნებრივია, ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონის შესანარჩუნებლად, დანარჩენი კაცობრიობა სიღარიბეში უნდა ცხოვრობდეს. **არ არის გამორიცხული, დოლარიზაცია მსოფლიოს ექცეს ისეთ დილემად, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი მსოფლიო ომი და მოხდეს გამარჯვებულთა მიერ მსოფლიოს ახალი გადანაწილება.**

საფრანგეთის გაზეთმა „ლე მონდმა“ 2012 წლის 26 იანვარს გამოაქვეყნა სტატია **„წმინდა კაპიტალიზმის კრიტიკა“.** მას საფუძვლად დაედო ბრიტანული გაზეთის The Financial Times-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული ექსპერტების მოსაზრებები საბაზრო ეკონომიკის პრობლემებზე. პაექრობაში მონაწილე მსოფლიოს ყველა რეგიონის მიმომხილველები, ეკონომისტები, მეწარმეები და პოლიტიკური მოღვაწეები ჩაებნენ დისკუსიაში, რომელიც ასე იყო დასაბუთებული — **„კაპიტალიზმი კრიზისში“.**

ექსპერტთა მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ **1980-იანი წლების შემდეგ ფორმულა ულტრალიბერალური და არარეგულირებადი კაპიტალიზმი მეტს არ მუშაობს. განსაკუთრებით ეს ეხება 2008 წლის მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც შეარყიეს მსოფლიოს ეკონომიკური ერთობა.**

ჩანს, მსოფლიოს დაუდგა ღრმა ცვლილებების დრო. რეიგანისა და ტეტჩერის გარდაქმნების ეპოქამ კისერი მოუგრიხა ომის შემდგომ ზომიერ კაპიტალიზმს. 1970-იან წლებში კონსერვატორების მხრიდან განხორციელდა ხანგრძლივი **სახელმწიფო დემონიზაცია**, ყოველივე ამან კი კაცობრიობა მიიყვანა კაპიტალიზმის თანამედროვე ფორმის დაბადებამდე.

ექსპერტების ვარაუდით, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ვერსია მიუღებელია, რადგანაც ის გახდა არა მარტო არასტაბილური, არამედ არასამართლიანიც. ამას გვიდასტურებს ამერიკის ხაზინის მმართველი ლოურენს სამერსი, რომელიც ფიქრობს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას პოზიტიურად არ მიიჩნევს ამერიკის გამოკითხული მოსახლეობის 50 პროცენტი. ამერიკელები აკრიტიკებენ ფინანსისტების მაღალ ხელფასებს, არ მოსწონთ უსიცოცხლო ეკონომიკური ზრდა და მაღალი სტრუქტურული უმუშევრობა.

საბაზრო ეკონომიკის საბრალდებო დასკვნა შემდეგნაირად გამოიყურება:

**1. კაპიტალიზმი აღმოჩნდა კრიზისში და იქცა უთანასწორობის მთავარ წყაროდ;**

**2. კაპიტალიზმი არ იცავს მორალურ ფასეულობებს და წარმოადგენს მდიდართა ინტერესების გამომხატველ სისტემას. კაპიტალისტური სისტემა მისაღები სახით არ ახდენს ქონების განაწილებას;**

**3. არ ხდება რესურსების გონივრულად განაწილება. ბოლო 30 წელია ამერიკაში და ევროპაში ბატონობს უთანასწორობა. ეს კი ემუქრება დემოკრატიის და საზოგადოების განვითარებას, რომელიც საშუალო კლასს ეყრდნობა;**

**4. ამერიკის შემოსავლების სტრუქტურა მესამე სამყაროს ქვეყნების დონეზეა. იზრდება მდიდარი ამერიკელების საშუალო შემოსავლები.**

ყოველივე ამას ადასტურებს ამერიკელი პოლიტოლოგი ნორმან ორნშტეინი, რომლის შეფასებით, **1980 წლიდან, მდიდარი ამერიკელების ქონება გაიზარდა 300 პროცენტით. ხოლო აშშ-ის შრომის სამინისტროს სტატისტიკით საშუალო შემოსავალი გადიდდა მხოლოდ 40 პროცენტით.** ფიქსირდება ისიც, რომ ეს გაზრდა მოხდა ქალების ნაწილის გამოსვლით შრომის ბაზარზე. თუ გამოვრიცხავთ ქალების მიერ მოპოვებულ ამ წყაროს, მაშინ ▶

**კეინსი ამბობდა: „იმისათვის, რომ დარტყმის ქვეშ დავაყენოთ კაპიტალიზმის მთელი სისტემა, საკმარისია, ჩვეულებრივი ბიზნესმენი გადაიქცეს სპეკულანტად. მითუმეტეს, სახელდობრ, ამ გზით ინგრევა ფსიქოლოგიური თანასწორობა, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უთანასწორობისკენ. ბიზნესმენი იქნება მიღებული მხოლოდ იქამდე, სანამ მისი შემოსავალი შესაბამისი და აგებული იქნება ადამიანების მიერ სოციალურ კეთილდღეობაზე, რომელიც მან მიიღო თავისი შემოსავლებისგან“.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ აღმოჩნდება, რომ 30 წლის მანძილზე მამაკაცების საშუალო შემოსავალი სრულიადაც არ გაზრდილა.

**ჯონ პლენდერის** მტკიცებით, თანამედროვე ეკონომიკაში არსებობს **ორი ხაზი – სწრაფი უმაღლესი მდიდრებისათვის და (შეზღუდული) ყველა სხვისთვის. უცხოელი ექსპერტები გამოყოფენ მსხვილი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ხელფასებს, რომელიც არნახულად იზრდება. მათი აზრით, გენერალურმა დირექტორმა შეიძლება მიიღოს 400-ჯერ მეტი, ვიდრე ქვედა დონის თანამშრომელმა, მაშინ, როდესაც 1980 წლამდე ეს თანაფარდობა იყო 40-ის ფარგლებში.**

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველა სხვა სისტემაზე მაღლა დგას, რადგანაც მზად არის მუდმივად შეიცვალოს. მის წარმატებას უკავშირებენ არა იმას, რომ ის ყოველთვის რჩება ძველ გზაზე, არამედ იმას, რომ მუდმივად იცვლება – წერდა უცხოური გამოცემა The Financial Times სარედაქციო სტატიაში 2011 წლის 27 დეკემბერს.

გაზეთი ყურადღებას ამახვილებს სამ პრიორიტეტულ რეფორმაზე, რომელსაც შეუძლია საბაზრო ეკონომიკა გამოიყვანოს იმ საზღვრებიდან, რომელიც მას მემკვიდრეობით დარჩა 1980-იანი წლების მოდელიდან:

**1. საჭიროა რეგლამენტირება გაუკეთდეს და შევიწროვდეს ზედმეტად გაზრდილი და, შესაბამისად, უკონტროლო ფინანსური სექტორი;**

**2. აუცილებელია საწარმოთა მართვის სისტემის რეფორმირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიან სტრატეგიებს, ასევე მნიშვნელოვანია კაპიტალის სასწრაფო და უფრო მაღალი მონეტარიზაცია, რომელიც ზრდის კომპანიის აქციონერულ ღირებულებას;**

**3. საჭიროა საგადასახადო შეღავათების სისტემის გადახედვა, რომელიც შესაძლებლობებს უქმნის მდიდრებს, რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადონ.**

ცხადია, ზემოაღნიშნული მიდგომები ემსახურება საბაზრო ეკონომიკის სისტემის გაძლიერებას, თუმცა, ზედმეტად უკონტროლო ფინანსური სექტორის რეგლამენტირებამ და შევიწროებამ იგი შეიძლება ავტორიტარიზმისაკენაც გადახაროს. ასევე, მართვის სისტემების რეფორმირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიან სტრატეგიებს, შესაძლოა არ აღმოჩნდეს პერსპექტიული, რადგანაც, სტრატეგია უნდა იყოს პერსპექტიული და გრძელვადიანი.

**საერთოდ, საგადასახადო შეღავათების სისტემა გამკაცრებას უნდა დაექვემდებაროს და მდიდარმა შედარებით მეტი უნდა გადაიხადოს და არა პირიქით.**

2012 წლის 24 იანვარს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა **ჯონ არლოდჟის** წერილი **„ჯორჯ სოროსი გვაფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ“.**

სოროსმა, მსოფლიოში აღიარებულმა უმსხვილესმა ეკონომიკურმა სპეკულიანტმა, როგორც მას ხშირად უწოდებენ, დავოსში შეკრების წინ განაცხადა, რომ მსოფლიოში არსებული დროება დღის წესრიგში აყენებს ყველაზე მთავარს — გადარჩენას. მისი აზრით, **მსოფლიო შეეჯახა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პერიოდს — ბოროტებას. ევროპაში მოსალოდნელია ქაოსი და კონფლიქტები, ამერიკაში — ქუჩის გამოსვლები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის ნგრევა.**

ცხადია, სოროსის გაფრთხილება ეფუძნება მის განვლილ ბიოგრაფიასა და ინტუიციას და, შესაბამისად, საბაზრო ტრიუმფებს და დაცემებსაც. მას კარგად ახსოვს ნაცისტური რეჟიმის საშინელება. უნგრეთში მცხოვრები ათასობით ებრაელის დეპორტაცია, შემდეგ ფაშისტების რუსებით ჩანაცვლება და ტოტალიტარული იდეოლოგიის – კომუნიზმის დამკვიდრების მცდელობა და სხვ.

სოროსს წარსულის გახსენება იმისთვის სჭირდება, რომ წარმოაჩინოს მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის არანაკლები სიმძიმე, ვიდრე კომუნიზმის დასასრული იყო. **„საბჭოთა სისტემის კოლაფსი იყო განსაკუთრებული მოვლენა და დღეს ჩვენ განვითარებულ მსოფლიოში ვგრძნობთ მსგავს პროცესს, თუმცა, ვერ ვიცნობიერებთ, რა ხდება“,** — გვარწმუნებს სოროსი და გვაფრთხილებს, რომ იდეა იმის შესახებ, რომ ბაზარი რაციონალურია და შეუძლია თვითრეგულირება კატასტროფის ასაცილებლად, — **„მსგავსია მარქსიზმის კოლაფსთან — როგორც პოლიტიკურ სისტემასთან. ჩვენ გვჭირდება გადასვლა რაციონალიზმის საუკუნიდან ისეთ საუკუნეში, რომელიც მიდრეკილი იქნება აღიარონ დაშვებული შეცდომები, რათა სწორად აღვიქვათ არსებული პრობლემები“.**

როგორც ჩანს, განუსაზღვრელ თუ შეუზღუდავ კონკურენციას შეუძლია აიძულოს ხალხი დაიწყოს მოქმედება, ამიტომ საჭიროა მიმდინარე სიტუაციის სალი გონებით შეფასება და შედეგების გაანალიზება.

მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური ბოროტება, პოლიტიკის მიერ წარმოშობილი ბოროტების ტოლფასია. ისევე, როგორც პოლიტიკოსები, ფინანსური „მამები“ ხელს უწყობენ ეკონომიკური კოლაფსის გაძლიერებას. მაგალითად, ინგლისური, ერთ-ერთი დიდი ბანკის მეთაურმა **ლოიდ ბლანკფეინმა** სიამაყით განაცხადა, რომ **„ისინი უფლის საქმეს აკეთებენ“.**

ამასობაში ევროპასა და ამერიკაში ჩნდება იმედგაცრუება კაპიტალიზმის თანამედროვე სისტემის მიმართ. 2011 წლის ამერიკული ანალიტიკური მიმოხილვა გვამცნობს, რომ მხოლოდ ერთ, ივლისის კვირაში, ამერიკის ტელეარხებმა ახალი ამბების გადაცემაში სიტყვა „ვალი“ 7000-ჯერ ახსენეს, სიტყვა „ოკუპაცია“ — 1278-ჯერ, „უოლ-სტრიტი“ — 237-ჯერ, სიტყვა სამუშაო ადგილი — 2738-ჯერ და ა.შ.

**უდავოა, დაძაბულობა, უმუშევრობა და უწესრიგობა აიძულებს შეერთებული შტატების ხელისუფლებას, მიმართოს მკაცრ ზომებს და გამოიყენოს ძალადობრივი გზაც, რომლის ამოქმედებამ შეიძლება ამერიკა მიიყვანოს რეპრესიული სისტემის შექმნამდე, სადაც შეიზღუდება პიროვნული თავისუფლება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შეერთებული შტატების ტრადიციებიდან გადახვევა.**



**სენატორები და წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები მუდმივად იყენებენ «ნაცნობთა წრეს» და ახალ კავშირებს საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად. უდავოა, ისინი სერიოზულ საინფორმაციო უპირატესობას ფლობენ თანამდებობების წყალობით და წარმატებას აღწევენ «ბირჟების ბაზარზე»**

ბრიტანულ გამოცემაში დაბეჭდილ სტატიაში **ჯონი პლენდერი** გვამცნობს, რომ **ადამიანებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის ნდობა. სისტემა დაინგრა. ნახევარზე ცოტა ამერიკელს და ინგლისელს სჯერა, რომ ბიზნეს-სტრუქტურები აკეთებენ იმას, რასაც ისინი უნდა აკეთებდნენ და აკეთებენ ამას სწორად. ამდენად, კითხვის ქვეშ დგება მთელი ბიზნესის ლეგიტიმურობა და „ლიცენზია“ მის საქმიანობაზე, ყოველ შემთხვევაში მის მორალურ თვალსაზრისზე.**

მსოფლიო ორგანიზაციების გამოკვლევებით მტკიცდება, რომ კაპიტალისტური სისტემის არსებობის ბოლო 30 წლის განმავლობაში ძირითადი შემოსავლები ნაწილდება მხოლოდ მდიდარ ამერიკელებზე. ასევეა ეს დიდ ბრიტანეთშიც. სხვადასხვა წიგნების და სტატიების უცხოელი ავტორი სტიუარტ ლენსლი გვიხსნის, რომ **თანამედროვე ეკონომიკა შედგება ორი ე.წ. რელსისაგან. ერთი, ეს არის ჩქაროსნული — სუპერმდიდრებისთვის და მეორე, შენელებული — ყველა დანარჩენისთვის.** ცხადია, ისიც, რომ ვინც შენელებულ რელსებზე დგას, მათთვის კრედიტები არ გაიცემა მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ყოველთვის გამოინახება ფულის ტომრები სუპერმდიდრებისთვის.

რეაქტიული პოლიტიკის ცენტრის მიერ, უკანასკნელ ხანებში ჩატარებული და გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ მიერ გამოქვეყნებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ამერიკის კონგრესის 535 წევრიდან 250 მილიონერია. შესამჩნევია სხვაობა დეპუტატებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის, მაგ., კონგრესმენის სუფთა შემოსავალი წელიწადში ერთი მილიონი დოლარია, შეძლებული ამერიკელი კი მხოლოდ 100 ათასი აშშ დოლარის მფლობელია. ცხადია, საგრძნობლად ნაკლებია რიგითი ამერიკელის წლიური შემოსავალი. კონგრესმენთა შემოსავალი 7 წლის განმავლობაში 15%-ით გაიზარდა, როდესაც საშუალო კლასის უცვლელი დარჩა.

**სენატორები და წარმომადგენელთა პალატის დეპუტატები მუდმივად იყენებენ „ნაცნობთა წრეს“ და ახალ კავშირებს საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად. უდავოა, ისინი სერიოზულ საინფორმაციო უპირატესობას ფლობენ თანამდებობების წყალობით და წარმატებას აღწევენ „ბირჟების ბაზარზე“.**

საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალური ეფექტურობა წარმოუდგენლად ზრდის იმათ გავლენას, ვინც ამ ტექნოლოგიებს იყენებს. დღევანდელ მსოფლიოში, სწორედ ასეთი ადამიანების ხელში ხდება ფინანსური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაცია.

პარალელურად, ექსპერტების ყურადღების მიღმა არ რჩება ევროპის დილემაც. ეს არის ევროკავშირის ურთიერთობა ერთმანეთთან. **ჩრდილოეთ ევროპელები და სამხრეთ ევროპელები ერთმანეთს ექიშპებიან. მაგალითად, გერმანული პოლიტიკური ელიტა ცდილობს მხარი დაუჭიროს „დიდი ევროპის იდეას“, მაშინ, როდესაც ბევრი ქვეყანა ევროპის კავშირის ინსტიტუტების არადემოკრატიული ფორმირების და ფუნქციონირების წინააღმდეგია.**

**თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისი სიღარიბესა და უთანასწორობას უკავშირდება. 1930-იანი წლების დეპრესიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კაპიტალიზმის პრინციპები – მოგების განაწილების პრინციპი, მითუმეტეს, მაშინ ალტერნატივად გამოჩნდა სსრ კავშირი და კორპორატიული მიდგომები გერმანიაში და იტალიაში.**

შესაძლოა ბევრს გაუჩნდეს კითხვა — რა განსხვავებაა მაშინდელ და დღევანდელ ეპოქებს შორის. ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ თანამედროვე დემონსტრანტები ქუჩაში არ დგანან უმძიმესი სიღარიბის გამო, როგორც ეს იყო დიდი დეპრესიის დროს და პროტესტი უცხადდებოდა პრეზიდენტ ჰუვერის მმართველობას. შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ კაპიტალიზმმა თავისი არსებობის პერიოდში მიიღო მეტ-ნაკლებად ადამიანური სახე, რაც გამოიხატა სოციალური დემოკრატიის ელემენტების დანერგვაში. უდავოა ისიც, რომ დღევანდელ დემონსტრანტებს არა აქვთ ზუსტი და კოორდინირებული პროგრამები, თუმცა, გასაგებია ისიც, რომ ისინი ქუჩებში გამოიყვანა არა სიღარიბემ, არამედ არასამართლიანობის გრძნობამ.

თანამედროვე ვითარებაში კაპიტალიზმის სისტემას დაემუქრა საფრთხე იმ მხრივ, რომ გაჩნდნენ ეკონომიკური სპეკულიანტები, რომლის შესახებ ჯერ კიდევ **კეინსი** ამბობდა: **„იმისათვის, რომ დარტყმის ქვეშ დავაყენოთ კაპიტალიზმის მთელი სისტემა, საკმარისია, ჩვეულებრივი ბიზნესმენი გადაიქცეს სპეკულანტად. მითუმეტეს, სახელდობრ, ამ გზით ინგრევა ფსიქოლოგიური თანასწორობა, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უთანასწორობისკენ. ბიზნესმენი იქნება მიღებული მხოლოდ იქამდე, სანამ მისი შემოსავალი შესაბამისი და აგებული იქნება ადამიანების მიერ სოციალურ კეთილდღეობაზე, რომელიც მან მიიღო თავისი შემოსავლებისგან“.**

ცხადია, არსებული რეალობები და მონაცემები კაპიტალიზმის ლეგიტიმურობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ყველაზე საინტერესოა, რომ საქმე ეხება კაპიტალიზმის არა მხოლოდ ფორმას, როდესაც „გამარჯვებულებს მიაქვთ ყველაფერი“, არამედ — „წაგებულებიც“ საკმარისად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ბუნებრივია, ჩვენ წინაშე დგას დილემა, მითუმეტეს მოდელების ალტერნატივა არც ისე რეალურია. **მართალია, აზიური სამყარო თანდათანობით ხდება ანგლოსაქსური ერთობის სერიოზული კონკურენტი, მაგრამ ბევრი არ ფიქრობს, გაჰყვეს ჩინურ მოდელს. აქ შეიძლება მეტი უთანასწორობა დავლანდოთ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.** უდავოა, სინგაპურში, ავტორიტარული მმართველობის მიუხედავად, ძლიერ ეკონომიკურ ზრდასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ელექტორატი უფრო და უფრო ნაკლებად ენდობა მის დღევანდელ ხელისუფლებას. არც ჰონკონგის მოდელია პოლიტიკური და ეკონომიკური მარგალიტი.

მაშ, რა უნდა ვქნათ? არის შესაძლებლობა, ავირჩიოთ ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მარქსისტული გზა – სოციალიზმის მოდელი ან დავუბრუნდეთ კეინსის ფორმულირებას და გავაუმჯობესოთ კაპიტალიზმის არსებული ფორმა. თუმცა მაკროეკონომიკურ ქვეყანაში, კერძოდ **აშშ-ში, სადაც ცენტრისტული პოლიტიკის შემცვლელად გვევლინება პოლარიზაციის მოდელი, რომელიც გზას უკეტავს ყოველგვარ დიალოგს და შესაძლო ცვლილებებს, ადამიანები უხალისოდ ღებულობენ „დიდი ხელისუფლების იდეას“ და ფიქრობენ, რომ ყოველგვარი საბანკო სისტემის რეგულაციას მივყავართ კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისამდე.**

საბაზრო ეკონომიკის სიმყიფე სახეზეა და ამას ვერ შველის მეცნიერთა თეორიები კრიზისის მართვის შესახებ. ვერც კეინსი, ჰიუმან მინსკი, მანკი ოლსონი და სხვები ვერ იძლევიან მზა რეცეპტებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთლიანად განსაკურნავად. **ვერც ერთი ლობისტური საქმიანობა ვერ დაძლევს ეკონომიკის არაეფექტურობას და უთანასწორობას. ეს პრობლემა აწუხებთ უოლ სტრიტის და ლონდონის პროფესიონალ ფინანსურ ლიდერებსაც. ცხადია, მათ წინაშე პრობლემად დგას სოციალური პასუხისმგებლობის მიღწევა, რომელიც მოხსნის კაპიტალიზმის ძირითად დილემას, მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს და რამდენად ეფექტური იქნება, არავინ იცის, შესაბამისად, კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თანამედროვე კაპიტალზმის ლეგიტიმურობის დაბრუნების საკითხიც.**

**იგორ კვესელავა,**
პროფესორი

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქვაკუთხედი და უცილობელი პირობა იქნება ის, რომ საქართველოს სახელმწიფო გაეროს, ევროსაბჭოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ სხვა ქვეყნის საზიანოდ და რომ თვით საქართველოს სახელმწიფო არ შეუქმნის რაიმე საფრთხეს სხვას და ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან განახორციელებს თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ, მშვიდობიან, ყოვლისმომცველ ურთიერთობას.**

# ქვეყნის გადარჩენის ერთადერთი გზა სახელმწიფო მმართველობის ყველა მექანიზმის ხალხისთვის გადაცემაა

**საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და მნიშვნელობის გამო ოდითგანვე იყო მეზობელი თუ შორეული, დიდი თუ პატარა სახელმწიფოების ინტერესების ცენტრში, რომლებიც მუდმივი შემოსევებით ცდილობდნენ ქართველი ერის განადგურებას და ჩვენი მიწა-წყლის ხელში ჩაგდებას. ოთხი ათასი წლის განმავლობაში ჩვენს გმირულ ბრძოლასა და თავდადებას სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად მუდმივ შავ ზოლად გასდევს პირველობისთვის ბრძოლის დაუოკებელი ჟინი (მენტალიტეტი), რომლის გამოც თავის გზაზე არავის ინდობს, თავის სისხლ-ხორცსაც კი. ამიტომ ოდითგანვე არამარტო თავგასული ფეოდალები, არამედ თვით სამეფო გვარის წარმომადგენლები არც თუ იშვიათად ებმებოდნენ გარეშე მტრის მიერ დაგებულ მახეში და, როცა თავიანთი ძალები არ ჰყოფნიდათ პირველობის მოსაპოვებლად, მის შესანარჩუნებლად თუ სამფლობელოების გასაფართოებლად, დასახმარებლად მტრულ ძალებს მოუხმობდნენ და ისე ანადგურებდნენ ერთმანეთს მტრის გულის გასახარად. ნიშანდობლივია, რომ ამ დროს ქართველები უფრო მეტი ძალისხმევით ჩეხდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ვიდრე გარეშე მტერს.**



პირველობისთვის ბრძოლის ეს ჟინი არ ჩამქრალა და კვლავ ღვივის ქართველი კაცის ბუნებაში, რისი ნათელი დადასტურებაცაა ექსპრეზიდენტის ყოვლად გაუმართლებელი მოქმედება გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან და უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არამარტო ოპოზიციური ძალების ლიდერებს შორის, არამედ ინტელიგენციის სხვა წარმომადგენელთა ურთიერთდაპირისპირება და შეუთანხმებლობა.

დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და საერთო გლობალიზაციის პირობებში, როგორი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და პრემიერ-მინისტრი არ უნდა ჰყავდეს ისეთ მცირერიცხოვან და მცირე ტერიტორიის მქონე ქვეყანას, როგორიც საქართველოა, რომელსაც ასეთი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნია, მასზედ ძლიერი მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოები ყოველთვის შეეცდებიან ასეთი ქვეყნის პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის თუ პრემიერის ან სამივეს ერთად თავიანთი ზეგავლენის ქვეშ მოქცევას, უკეთეს შემთხვევაში, მათ შეცვლას მათთვის სასურველი კადრით (შევარდნაძის ჩანაცვლება სააკაშვილით), ხოლო უარეს შემთხვევაში მისი ფიზიკური განადგურებით (გამსახურდიას შევარდნაძით ჩანაცვლებით); მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანას წინა და დღევანდელი ხელისუფლების ბოროტი განზრახვით არ გააჩნია საკუთარი სახელმწიფოებრიობის განვითარების არავითარი გეგმა, რის გამო ხალხი მიზანდასახულად ბრბოდ არის ქცეული და საუბარი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის შესახებ, იდეასა და იდეოლოგიაზე მხოლოდ თავის მოტყუება და მეტი არაფერი.

**საქართველოს წინა და დღევანდელმა ხელისუფლებამ ხალხის იოლი მართვის მიზნით მატერიალურად და სულიერად გაძარცვა, გაალატაკა ისინი და არსებობის შესანარჩუნებლად დაუტოვა, უკეთეს შემთხვევაში, პირუტყვის ინსტიქტი — სადაც უკეთეს საძოვარს დაიგულებს, იქით მიდის, რის შედეგადაც ქვეყნიდან გადაიხვეწა საზოგადოების არა მარტო ფიზიკურად შრომისუნარიანი, არამედ ინტელექტუალური ნაწილი. უარეს შემთხვევაში — შევარდნაძისა და სააკაშვილის ჩინოვნიკებმა ხელში ჩაიგდეს საქართველოს მთელი ქონება და ამ გზაზე მტაცებელი მხეცის ინსტიქტით არ ზოგავენ ერთმანეთს.** ვინც ქვეყნიდან გასვლა ვერ მოახერხა (ავადმყოფები, მოხუცები და ბავშვები) განწირულნი არიან გაუსაძლისი ცხოვრებისთვის — შიმშილის, სიცივისა და სამედიცინო მომსახურების გარეშე დარჩენილნი. ამასთან ერთად, **ყოფილმა და დღევანდელმა ხელისუფლებებმა, გარეშე მტრის მითითებით, გაყიდეს და გაასხვისეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის არა მარტო დარგები, არამედ მიწა და წიაღისეული, ტყე-ველი, სახნავ-სათესი, საძოვრები, დაანგრიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, კულტურული მემკვიდრეობა, სარწმუნოება და ყოველივე ქართული.**

დღეს ქვეყნის მოსახლეობა გათითოკაცებული, ურთიერთნდობა და იმედდაკარგულია, სამუშაო ადგილების უკმარისობის გამო გაზარმაცებული, გასპეკულიანტებული, სხვისი ხელის შემყურე, თავმიცემული ან სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყველაფრის მკადრებელი და ყველაფერზე წამსვლელია, ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნილი და წონასწორობადაკარგულია.

წონასწორობადაკარგული ქვეყანა კი (როგორც ამას ჟამთააღმწერელნი გვამცნობენ) ამოტრიალებულ ზღვას ემსგავსება, ჭუჭყი და ლექი ზედაპირზე მოექცევა, არ ახანებს ღვთის რისხვა. გარეშე და შინაური მტრები დროს იხელთებენ, არ აყოვნებს არც სტიქიური უბედურებები" და ასეთ ვითარებაში **ღვთისმშობლის წილხვდომილი საქართველოს სახელმწიფო ჯვარზეა გაკრული და სასიკვდილო სარეცელზე უკანასკნელ წლებს და თვეებს ითვლის. ამ დროს მის საზღვრებთან კბილებდალესილი მგლებივით ჩასაფრებულან მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოები და მომენტს ელოდებიან, მთავარია, სულის ამოსვლა არ აცალონ, ისე დაგლიჯონ და ერთმანეთში გაინაწილონ.** აქ გასაკვირიც არაფერია, რომელი ჭკუათმყოფელი იტყვის უარს მის წინ უპატრონოდ მიტოვებული უგემრიელესი ღვეზელიდან მისთვის საოცნებო ნაჭრის დათრევაზე?

გავაანალიზე რა საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიული წარსული, უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში შექმნილი სავალალო მდგომარეობა და კიდევ უფრო უარესის მოლოდინი, რაც აშკარად ემუქრება საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებას, 2008 წლის ყოვლად უგუნური და ქვეყნის აშკარა ღალატით წარმოებული სამდღიანი ომის შეწყვეტიდან, მესამე-მეოთხე დღეს ჩემი ნაღვაწ-ნაფიქრალი ქაღალდზე გადმოვიტანე. **შექმნილი სიტუაციიდან ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ გზად მივიჩნიე სახელმწიფო მმართველობის ყველა მექანიზმის ხალხისთვის გადაცემის გზა, „სრულიად საქართველოს დიდი სახალხო კრების" მეშვეობით, რომლის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა რეგიონის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების ყველა ქალაქის, რაიონისა და სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლები, განურჩევლად ეროვნებისა, სქესისა და ასაკისა და ალმსარებლობისა.**

„სრულიად საქართველოს დიდი სახალხო კრების" მოსაწვევად აუცილებლად უნდა შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი ხუთი-შვიდი წევრის შემადგენლობით. ისინი უნდა იყვნენ ჭეშმარიტად მამულიშვილური გრძნობითა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის სულისკვეთებით გამსჭვალულნი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნენი, ჭკვიანნი, შორსმჭვრეტელნი, დარგის აღიარებული სპეციალისტები, პრაქტიკული და ცხოვრებისეული გამოცდილების, სანიმუშო ზნეობისა და ოჯახის მქონენი:

1. **ისტორიკოსი,** რომელიც მეცნიერულ დონეზე განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის არეალს;
2. **ეკონომისტი,** რომელიც მეცნიერულად განსაზღვრავს საქართველოს გეოპოლიტიკურ ჭრილში ქვეყნის მთლიანი ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსებისა და სხვა შესაძლებლობების გეგმაზომიერ გამოყენებას;
3. **საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელი,** რამეთუ საქართველოს სახელმწიფოებრიობას არ აქვს მომავალი მართლმადიდებლური სარწმუნოების გარეშე;
4. **იურისტი,** რომელიც უზრუნველყოფს ყველა მოქმედების სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევას;
5. **ფილოსოფოსი,** ყველა წამოწყებას და მსჯელობას მოჰფენს ბრძნული აზროვნების ელფერს.

დანარჩენ ორ წევრს გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე ეს ხუთეული აირჩევს.

თუ ჩვენ შევძლებთ ასეთი თვისებების მქონე საინიციატივო ჯგუფის შექმნას, ის გახდება ის ყოვლისშემძლე „ატომგულა", რომლის გარშემო უყოყმანოდ შეიკრიბება სრულიად საქართველოს მოსახლეობა. ამ ჯგუფზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი.

საინიციატივო ჯგუფის საქმიანობაში ჩარევის, რევიზიის, კარნახის, ზეწოლის ან სხვა სახის ზემოქმედების უფლება არავის აქვს. საინიციატივო ჯგუფი დამოუკიდებულია თავის საქმიანობაში და იგი ემორჩილება ერისა და ქვეყნის ინტერესებსა და „დიდ სახალხო კრებას."

**ქვეყნის ყოფილი ოპოზიციური ძალების ლიდერებმა, რომლებსაც გულწრფელად სურთ ქვეყნის უფსკრულიდან ამოყვანა და მისი გადარჩენა, ალბათ, უნდა მოახდინონ პარტიების თვითლიკვიდაცია, რადგან მათ ოცი წლის მანძილზე მთლიანად ამოწურეს თა-** ▶

**ქვეყნის ყოფილი ოპოზიციური ძალების ლიდერებმა, რომლებსაც გულწრფელად სურთ ქვეყნის უფსკრულიდან ამოყვანა და მისი გადარჩენა, ალბათ, უნდა მოახდინონ პარტიების თვითლიკვიდაცია**

## ისრაელში თავშესაფრები მზადაა, მოქალაქეებს კი ინსტრუქციები დაურიგდათ

**ისრაელში დასრულდა რამდენიმედღიანი სწავლება, რომელიც მიზნად ისახავს მასობრივი სარაკეტო თავდასხმების შემთხვევაში მოსახლეობის თავდაცვას მთელი ქვეყნის მასშტაბით. სწავლების ფორმატში ასევე მოხდა ათასობით თავშესაფრის შემოწმებაც. „მხოლოდ თელ-ავივში 240 თავშესაფარია, რომლებიც თავდასხმების შემთხვევაში მოქალაქეების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, თუმცა ეს საკმარისი არ იქნება და უახლოეს დღეებში 60 მიწისქვეშა ავტოსადგომის თავშესაფრად გადაკეთება მოხდება. ამის შემდეგ კი ისრაელი უკვე მზად იქნება ომისთვის",** — აცხადებს თელ-ავივის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მოშე ტენკინი. იმ ინსტრუქციის თანახმად, რომელიც მოქალაქეებს უკვე დაურიგდათ, განგაშის გამოცხადების შემთხვევაში ყველა მოქალაქე ვალდებულია, უახლოეს თავშესაფარს შეაფაროს თავი და თან მხოლოდ აუცილებელი ნივთები: დოკუმენტები, პირადი ნივთები და გაზისგან დამცავი ნიღბები იქონიონ.



# ჩვენი ორმოცსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, კულტურის, დამწერლობის, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ზნეობის, მორალის, უნიკალური ქართული ადათ-წესების, ოცსაუკუნოვანი მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე, ინტერნაციონალური, სხვა რელიგიებისადმი შემწყნარებლური, სტუმართმოყვარე, ღვთისმშობლის წილხვდომილი ერთი ციცქნა ქვეყანა — საქართველო ნუთუ არ იმსახურებს დაცვას ნებისმიერი აგრესიული მოქმედებისგან?

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**◀ვიანთი შესაძლებლობა და ახლა გზა უნდა დაუთმონ ახალ მიმართულებას.** ოპოზიციური პარტიის ლიდერებს, ყოფილ თუ მოქმედ ჩინოვნიკებსა და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს, ისე, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, უფლება აქვთ, თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები წერილობით მიაწოდონ საინიციატივო ჯგუფს, რომელიც თავის სხდომაზე განიხილავს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. ყველა ზემოთ აღნიშნული კატეგორიის ადამიანებს შეუძლიათ ნებაყოფლობით ჩაერთონ საინიციატივო ჯგუფისგან მიღებული კონკრეტული დავალების შესრულებაში ყოველგვარი თვითშემოქმედების გარეშე, საინიციატივო ჯგუფი, ალბათ, „დიდი სახალხო კრების" პირველსავე შეკრებაზე გარდაიქმნება „სრულიად საქართველოს დიდი სახალხო კრების" უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ.

**საინიციატივო ჯგუფი წინასწარ განსაზღვრავს კრების ძირითად ამოცანას, მისი მოწვევის თარიღს ისე, რომ მანამდე მოამზადებენ საინიციატივო ჯგუფისთვის შესაბამის 50-100 კაციან სიას, საიდანაც „დიდ სახალხო კრებას" შესაძლებლობა ექნება პირველსავე შეკრებაზე ნებაყოფლობით შერჩევის საფუძველზე შექმნას „საქართველოს სახელმწიფოებრიობის ხსნისა და განვითარების მუდმივმოქმედი კომიტეტი" 9-11 წევრის შემადგენლობით. ხსნის კომიტეტის წევრები მოვალეობების გაცნობის შემდეგ ინდივიდუალურად დადებენ ფიცს დიდი სახალხო კრებისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წინაშე, რომ მათ არასდროს გაუჩნდებათ ლტოლვა საერო თუ სასულიერო ნებისმიერი თანამდებობისადმი და ამას ხელმოწერით დაადასტურებენ. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერება აღორძინებული საქართველოს ისტორიაში.**

ფიცის დადების შემდეგ მუდმივმოქმედი კომიტეტი „დიდი სახალხო კრების" მიერ განსაზღვრულ დროში შეიმუშავებს და კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს: საქართველოს სახელმწიფოს საგარეო, საშინაო პოლიტიკისა და სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების აღორძინება-განვითარების ძირითად მიმართულებათა ისეთი კომპლექსური, მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების პროექტებს, რომლებიც საქართველოს სუვერენიტეტის გათვალისწინებით ერთნაირად ხელსაყრელი, მიმზიდველი და მისაღები იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მეზობელი თუ შორეული სახელმწიფოსთვისაც კი, რომლის **ქვაკუთხედი და უცილობელი პირობა იქნება ის, რომ**

## უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გამოინახოს ძირითადი რგოლი, რომელზეც დავაშენებთ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს. არ შეიძლება ასეთი გეგმის უთავბოლოდ, დაულაგებლად, ბუნდოვნად შემუშავება

**საქართველოს სახელმწიფო გაეროს, ევროსაბჭოსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო ძალებს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული სხვა ქვეყნის სამხედრო ძალების მიერ სხვა ქვეყნის საზიანოდ და, რომ თვით საქართველოს სახელმწიფო არ შეუქმნის რაიმე საფრთხეს სხვას და ყველა დაინტერესებულ ქვეყანასთან განახორციელებს თანასწორუფლებიან, ურთიერთხელსაყრელ, მშვიდობიან, ყოვლისმომცველ ურთიერთობას.**

თუ ასეთ პროექტს შევიმუშავებთ, იგი განხილული, დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებული იქნება, საფუძვლად დაედება ნებისმიერი ხელისუფლების სახელმწიფო საქმიანობას, რომლის თითოეული პუნქტიდან ოდნავი გადახრაც კი საკმარისი იქნება ნებისმიერი დამრღვევის, თვით სახელმწიფოს პირველი პირის ჩათვლით თანამდებობიდან გადაყენებისა და მის მიმართ კანონიერი მკაცრი და არალიბერალური პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად, რაც ერთხელ და სამუდამოდ ჩააყენებს ხელისუფლებას ქვეყნისა და ხალხის სამსახურში; ძირფესვიანად შეცვლის მმართველობის დღევანდელ მანკიერ სისტემას, მათ შორის ხელმძღვანელი პირების საზღვარგარეთის კოლეგებთან დახურულ კარს მიღმა ერთიერთზე შეხვედრის მავნე პრაქტიკას.

მუდმივმოქმედი კომიტეტი ბინას დაიდებს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, რათა მუდმივი კონტროლი განახორციელოს გეგმის თითოეული პუნქტის დროულად, ხარისხიანად შესრულებაზე და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად შეიტანოს მასში ცვლილებები.

თუ ჩვენ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს შევძლებთ და ამაში შეუძლებელი არაფერია, მიზანი ნათელია, ჩიტი ნამდვილად ღირს ბრდღვნად და მას შემოვიღებთ სამოქმედოდ, გავაცნობთ გაეროს, იუნესკოს, ევროსაბჭოს, ევროკავშირს, ფხენიანის ჯგუფს და საქართველოს მეგობარ სხვა სახელმწიფოებს და გადაჭრით დავსვამთ საკითხს: **მაშინ, როცა გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დღეს მთელი ძალისხმევით იღვწიან მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისთვის, იცავენ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანთა შრომის, ჯანდაცვის, კულტურისა და სხვა უფლებებს; იცავენ უძველეს კულტურულ ძეგლებს და გადაშენების გზაზე მყოფ ცხოველებსა და ფრინველებსაც კი, ჩვენი ორმოცსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის, კულტურის, დამწერლობის, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ზნეობის, მორალის, უნიკალური ქართული ადათ-წესების, ოცსაუკუნოვანი მართლმადიდებლური სარწმუნოების მქონე ინტერნაციონალური, სხვა რელიგიებისადმი შემწყნარებლური, სტუმართმოყვარე, ღვთისმშობლის წილხვდომილი ერთი ციცქნა ქვეყანა — საქართველო ნუთუ არ იმსახურებს დაცვას ნებისმიერი აგრესიული მოქმედებისგან?**

ჩვენ ამ საკითხის დაყენება მოგვიწევს და იგი მთელი სიგრძე-სიგანით უნდა დავსვათ, რადგან ჩვენ არავისთან არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის; ორმოცი საუკუნის განმავლობაში ვიცავდით ჩვენს თავს და მეზობელ მცირე ერებს, მათ შორის მორიელის ბუნების მქონე სომხეთსაც კი — ასურეთის, ურარტუს, ბაბილონის ეგვიპტის, რომაელების, საბერძნეთის, არაბების, თურქსელჩუკების, სპარსელების, ქიმირიელების და სხვა მრავალი გარეშე მტრის შემოსევებისგან. ჩვენ არასდროს არავის მიწა-წყალი არ დაგვიპყრია და დღესაც საფრთხეს არავის ვუქმნით. **ჩვენი სურვილია, მოგვეცეს საშუალება, მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროში ხალხთა შორის თანასწორუფლებიანი, მშვიდობიანი, ურთიერთხელსაყრელი ცხოვრებისა, როცა ჩვენს ქვეყანას ასეთი საფრთხე ემუქრება, საჭიროა განგაშის ზარებს შემოვკრათ, ზნეობრივი და მორალური მხარდაჭერა მოვითხოვოთ მსოფლიოსგან. საქართველო ამას ნამდვილად იმსახურებს.**

და ბოლოს, მე ვგულისხმობ არა უბრალო, არამედ გრანდიოზული პროექტის შემუშავებას და მისი განხორციელების დაწყებას ახალგაზრდების მიერ, რა თქმა უნდა, ცხოვრებისეული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ერთად. ამისათვის, **უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გამოინახოს ძირითადი რგოლი, რომელზეც დავაშენებთ ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს. არ შეიძლება ასეთი გეგმის უთავბოლოდ, დაულაგებლად, ბუნდოვნად შემუშავება.**

ძირითადი რგოლის არსი, ჩემი გაგებით, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ უნდა შევძლოთ საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებისა და ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრების ხალხთა ერთი მიზნისთვის დარაზმვა. ამას მაშინ შევძლებთ, თუ მივაღწევთ მათში ნდობის, რწმენის, იმედისა და ერთსულოვნების აღდგენას, საქართველოს ყველა მოქალაქის გულში საყოველთაო სახალხო ენთუზიაზმისა და შინაგანი ენერგიის მძლავრი ცეცხლის ანთებას. და ამას მაშინ შევძლებთ, თუ ამ იდეას გავაღრმავებთ ჭეშმარიტ სწავლულ მამულიშვილთა საქმიანი მსჯელობით და არა მარტო თავის წარმოსაჩენი კრიტიკით, როგორც გვჩვევია. **ამას მაშინ შევძლებთ, თუ ხალხს დავარწმუნებთ ჩვენს გულწრფელობაში, რომ ერისა და ქვეყნის გადარჩენა გვსურს და მივცემთ მათ ერისა და ქვეყნისადმი უანგაროდ სამსახურის მაგალითს; მაშინ საქართველოს ყველა მოქალაქე იგრძნობს, რომ ის საქართველოს ღირსეული წევრია, და აღარ გაექცევა თვალი, სომეხს — სომხეთისკენ, ოსს — ოსეთისკენ, აზერბაიჯანელს — აზერბაიჯანისკენ და ა.შ.**

გეგმის პროექტი უნდა იყოს რეალური, მოკლებული ყოველგვარ ფანტაზიორობას და სხვისი ხელისშემყურეობას. იგი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ საქართველოს ბუნებრივ ეკონომიკურ რესურსებს, მიწის ზედას და წიაღისეულს, დიდებულ ზღვას, უნიკალურ მთა-ბარს, ფლორასა და ფაუნას, ტყეებს, მდინარეებს, ტბებს, ზამთრისა და საზაფხულო საძოვრებს, ორგანული სასუქით გაძლიერებულ ნაყოფიერ ნიადაგს, სახნავ-სათესს, ბაღ-ვენახებს, ციტრუსოვანთა და ჩაის პლანტაციებს, საკურორტო და ტურისტულ ზონებს, მინერალურ-სამკურნალო და სასმელ წყალს, ჰაერს, კლიმატურ პირობებსა და ტალახსაც კი, საკუთარ სამეცნიერო-ტექნიკურ პოტენციალს, საერო-სასულიერო ფილოსოფიურ აზროვნების უნარს, საკუთარ საწარმოო ძალებს და ყოველივეს, რაც ზემოთ აღვნიშნეთ გაჯერებულს ჩვენს უკვდავ გმირ წინაპართა გამოცდილებით — საკუთარ გეოპოლიტიკურ სივრცეში შერწყმით. ამასთან ერთად, გეგმის პროექტი დაწერილი უნდა იყოს მარტივი, ყველასთვის გასაგები ენით, ყოველგვარი ზედმეტი განმარტებების გარეშე. **ყოველივე ზემოთ აღნიშნული მოგვცემს საშუალებას, რომ სულ რაღაც სამ-ოთხ წელიწადში ავაშენოთ თანასწორუფლებიანი, ყველასთვის ხელმისაწვდომი მატერიალური, კულტურული და სულიერი კეთილდღეობის ძლიერი, ერთიანი, ყველასთვის მისაბაძი საქართველოს სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და მაშინ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის აღდგენასაც წინ ვერავითარი ძალა ვერ აღუდგება.** თუ ასეთი გეგმის გარეშე ჩვენ შევეცდებით ხელისუფლების შეცვლას, ადვილი შესაძლებელია, „ვაის" მდგომარეობიდან „უის" მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ, ისევ იმ ქართული მენტალიტეტის გამო, რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

**რევაზ კიბორძალიძე,**
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, გადამდგარი პოლკოვნიკი, იურისტი

**P.S. თუ ჩვენ ზემოხსენებული იდეის განხორციელებას შევძლებთ, იგი დაგვიდასტურებს ჩვენს ეროვნულ თავისთავადობას, ეროვნულ სიმტკიცეს და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის უნარს. ამ შემთხვევაში ჩვენ ახალი ოპოზიციური პარტიები და ორგანიზაციები კი არ უნდა შევქმნათ, პირიქით, ყველამ უნდა გამოაცხადოს თვითლიკვიდაცია, ყველა მათგანი, როგორც რიგითი მებრძოლი, უნდა ჩადგეს ერისა და ქვეყნის კეთილდღეობისთვის ბრძოლის სამსახურში და კონკრეტულ დავალებათა შესრულებით გამოავლინონ მთელი თავიანთი შესაძლებლობები.**

**თვითლიკვიდაციას გამოაცხადებს ყველა ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის ის ლიდერები, ვისაც ჯერ კიდევ ბოლომდე არ აქვთ გაწყვეტილი შუბლის ძარღვი, შერჩენილი აქვთ ერისა და ქვეყნის სიყვარული, შეუძლიათ მოთოკონ ოცი წლის განმავლობაში გამოხუნებული პირადი ამბიციები და შესწევთ ძალა, უარი თქვან ლიდერობითა და ზედაპირზე მუდმივი ტივტივით მიღებულ „სიამტკბილობაზე".**

## ღია წერილი

# მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება «ქართული ოცნების» დამფუძნებელს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ბატონო ბიძინა, წლების განმავლობაში ოცნებად მქონდა გადაქცეული, რომ თქვენ ქართულ პოლიტიკაში ჩართულიყავით და ბოლოს და ბოლოს გასული წლის 7 ოქტომბრის საღამოს ლეჩხუმის მაღალმთიან სოფელში მოაღწია ნანატრმა ცნობამ. ის ღამე ფიქრებსა და ოცნებებში გავატარე. მიუხედავად იმისა, რომ იმ ღამით ერთი მეტრი თოვლი მოვიდა, ფსიქოტროპული აბებით აღჭურვილმა, 75 წლის ომის ინვალიდმა 7 კმ თოვლიანი გზა ფეხით გამოვიარე და 9 ოქტომბრიდან 9 დეკემბრამდე ყოველდღე, ნებისმიერ ამინდში დილიდან საღამომდე სოლოლაკში ვიდექი და ვცდილობდი თქვენთან შეხვედრას, 11 დეკემბრიდან დღემდე სოლოლაკიდან ცენტრალურ ოფისში, იქედან „ქართუ ბანკში" მიმოვდივარ. ვინ არ შევაწუხე, რომ დამხმარებოდა თქვენთან შეხვედრაში, მაგრამ ამაოდ. დაპირება დაპირებად რჩება.**

**ბატონო ბიძინა, მთელ საქართველოს სჯერა თქვენი ნიჭიერების და მჯერა, თქვენ ყოველმხრივ მომზადებული ჩაებით ერისა და ქვეყნის გადარჩენისთვის უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ, რაც დრო გადის, უფრო აქტუალური მეჩვენება, გაგაცნოთ ჩემი სუბიექტური მოსაზრება არსებული ხელისუფლებისა და მისი რეჟიმის ყოველგვარი ქუჩის აქციების, ბუნტის, აჯანყების, ხელკეტების, ძალისმიერი მეთოდებისა და სისხლისღვრის გარეშე შეცვლის თაობაზე. მრავალი წერილი შემოვგზავნე. დრო ბევრი დაიკარგა, მაგრამ თუ ეს საგაზეთო წერილი მაინც მოაღწევს თქვენამდე, ვფიქრობ, ზოგი რამ მაინც მისაღები იქნება თქვენთვის.**

**რევაზ კიბორძალიძე,**
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, პოლკოვნიკი
19 აგვისტო, 2012 წ.

მოკლედ

## სამხრეთ აფრიკაში უწესრიგობების დროს 30 მაღაროელი დაიღუპა

**სამხრეთ აფრიკის მაღაროელთა ქალაქ მარიკანაში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკების შედეგად 30-ზე მეტი მაღაროელი დაიღუპა.** არეულობა 16 აგვისტოს დაიწყო, როცა მაღაროელები სტიქიურ გაფიცვაზე გამოვიდნენ ხელფასების გაზრდის მოთხოვნით. შინაგან საქმეთა მინისტრ ნატი მტეტვას განცხადებით, დემონსტრანტები ცეცხლსასროლი იარაღით და მაჩეტეებით იყვნენ შეიარაღებული და პოლიცია იძულებული გახდა, თავი დაეცვა. რამდენი პოლიციელი დაზარალდა, უცნობია.



## კასპაროვმა პოლიციელს უკბინა

**17 აგვისტოს ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი და პუტინის დაუძინებელი ოპონენტი გარი კასპაროვი Pussy Riot-ის მხარდამჭერ აქციაზე დააკავეს.** სასამართლოს შენობასთან დაკავების შემდეგ იგი ავტობუსში მოათავსეს. კასპაროვმა თავის დაღწევა სცადა და პოლიციელს უკბინა. თავად კასპაროვი კბენის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს, ხოლო ორგანიზაცია „რუსეთის ოფიცრები" მომხდარს ადასტურებს. გარი კასპაროვი უკანონო დაკავების, ცემისა და ცილისწამების გამო სარჩელის შეტანას აპირებს.

კომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ომში გამარჯვებამ უაღრესად გაზარდა და განამტკიცა სსრ კავშირის მორალური ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში, მაგრამ უდიდესი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოგება შეერთებულ შტატებს დარჩა. ეს სრულად ჰქონდა შეგნებული რუზველტს და ითვალისწინებდა კიდეც თავის საგარეო პოლიტიკაში. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ იმ დროს იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო.



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-30 (139-168)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### „სტალინთან ფრთხილად უნდა ვიყოთ“

**1945 წლის თებერვლის დასაწყისში, მაშინ, როცა ყირიმის კონფერენცია მუშაობდა, ჰიტლერი თავის პოლიტიკურ ანდერძს ადგენდა.**

1945 წლის 7 თებერვალს „მან გადაწყვიტა ელაპარაკა იმ ურჩხულზე, რომელიც თავის თავს შეერთებულ შტატებს უწოდებს. სხვა სახელი, გარდა ურჩხულისა, მათ არ აქვს! **მაშინ, როცა მთელი ევროპა, მათი დედა, თავგანწირვით იბრძვის, რათა შეაჩეროს ბოლშევიკური საფრთხე, შეერთებულმა შტატებმა, რუზველტის ხელმძღვანელობით, უკეთესი ვერაფერი იპოვა, გარდა იმისა, რომ თავისი ზღაპრული რესურსები ამ აზიელი ბარბაროსების სამსახურში ჩაეყენებინა, რომლებიც მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, როგორ მოაშთონ ისინი“.**

მაგრამ ჰიტლერი გადაჭარბებით აფასებდა სტალინისა და რუზველტის სოლიდარობის ხარისხს. ერთი მხრიდანაც და მეორე მხრიდანაც პრევალირებდა სახელმწიფო ინტერესები, რომლებიც ფრიად წინააღმდეგობრივი იყო, ზოგჯერ — დაპირისპირებულიც კი.

დროდადრო ფრანკლინ რუზველტი შენიშნავდა: „ყველა ჩვენს საქმეში, რაც სტალინთან არის დაკავშირებული, ფრთხილად უნდა ვიყოთ“ ან: „სტალინი? მე გავუსწორდები ამ ბებერ ჩიტს“.

თავის მრჩევლებს, რომლებიც ეფოლორცებოდნენ რუზველტს და ეუბნებოდნენ, თუ რა ძნელია ევროპელებთან ურთიერთობა, რუზველტმა დაცინვით უპასუხა: **„ყველას ვეცოდები იმის გამო, რომ საქმე მაქვს ჩერჩილთან და სტალინთან, მაგრამ წამით მაინც შეიცოდეთ ჩერჩილი და სტალინი იმის გამო, რომ ჩემთან აქვთ საქმე“.**

მართლაც, მისი საგარეო პოლიტიკა გამოირჩეოდა მოქნილობით, პრინციპულ საკითხებში კი არაფრის დამთმობი არ იყო. მისი მდგომარეობა „დიდ სამეულში“ მომგებიანი იყო თუნდაც იმიტომ, რომ იგი სათავეში ედგა ინდუსტრიული ძლიერებითა და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალით გამორჩეულ ზესახელმწიფოს. ამასთან, მისი ქვეყანა არა მარტო გაცილებით ნაკლებად დაზარალდა ორ მსოფლიო ომში, არამედ პირიქით, — გამდიდრდა მათი წყალობით. მას უპირატესი შესაძლებლობა ჰქონდა პოლიტიკური მანევრირებისთვის, რადგან აშშ საომარ მოქმედებას საკუთარი ტერიტორიიდან შორს აწარმოებდა და აგრესორის მხრიდან პრაქტიკულად არავითარ საფრთხეს არ განიცდიდა, მტრისთვის მიუწვდომელი იყო.

მისი ვაჟი ელიოტ რუზველტი იხსენებდა, როგორ აუხსნა მამამ მსოფლიო ასპარეზზე იმ პერიოდში ძალთა განლაგება:

**„— წარმოიდგინე, რომ ფეხბურთის მატჩია. ჩვენ კი, ვთქვათ, სათადარიგო მოთამაშეები ვართ და სკამზე ვზივართ. მოცემულ მომენტში ძირითადი მოთამაშეები არიან რუსები, ჩინელები და, ნაკლები ხარისხით — ინგლისელები. ჩვენთვის წინასწარ განკუთვნილია იმ მოთამაშეების როლი, რომლებიც თამაშში გადამწყვეტ მომენტში ჩაერთვებიან... ვფიქრობ, რომ მომენტს სწორად შევარჩევთ“.**

ყველა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ მას, როგორც მსხვილ ბურჟუაზიულ პოლიტიკოსს, არავითარი მეგობრული გრძნობა არ გააჩნდა საბჭოთა კავშირის მიმართ. ეს სრულად უპასუხებდა მისი სახელმწიფოს საერთო იდეოლოგიურ პოლიტიკას. მისმა ცოლმა ელეონორამ ერთხელ შენიშნა, რომ იგი განაცვიფრა მსოფლიო რუკამ, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ სკოლაში იყო გამოკრული და რომელზეც საბჭოთა კავშირის ადგილზე თეთრი ლაქა იყო დატანილი. მას განუმარტეს: იქ იგულისხმებოდა ქვეყანა, რომლის ხსენებაც აკრძალულია.



რუზველტი ოჯახთან ერთად

**პრეზიდენტი რუზველტი, რა თქმა უნდა, ცხოველურ სიძულვილს არ გრძნობდა სოციალისტური ქვეყნის მიმართ, მაგრამ სრული შეგნებით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, ამუხრუჭებდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ამერიკელ და საბჭოთა ხალხებს შორის. ეს ხდებოდა მაშინ, როცა სტალინმა უარი თქვა მსოფლიო რევოლუციაზე, აქცენტი გადაიტანა ერთ, ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაზე და განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნების მშვიდობიან შეჯიბრზე.**

როცა საბჭოთა კავშირის გამარჯვება ფაშისტურ გერმანიაზე ეჭვს არ იწვევდა, რუზველტი მაქსიმალურად შეეცადა, რომ სტალინის ავტორიტეტს რაც შეიძლება ნაკლები გავლენა ჰქონოდა შეერთებული შტატების საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. 1944 წლის შემოდგომაზე მან განახორციელა ცვლილებები სახელმწიფო დეპარტამენტში, რითაც მის ადმინისტრაციაში გააძლიერა ანტისაბჭოთა შეხედულებებით ცნობილი მოღვაწეების როლი.

საინტერესოა, რომ მისმა ცოლმა სწორედ ამაზე მიუთითა ფლანკლინ დელანოს — თუ არჩევნების შედეგად ხელისუფლების სათავეში მისი მოწინააღმდეგე რესპუბლიკელი დიური მოვიდოდა, იგი ზუსტად ასეთსავე გადაადგილებებს განახორციელებდა სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობაში.

რუზველტისა და ჩერჩილის საიდუმლო მიმოწერის 1995 წელს რუსეთში გამოქვეყნების შემდეგ, ამ უცნაური გადაადგილებების მიზეზი სრულად გამჟღავნდა.

1945 წლის 6 აპრილს რუზველტი ჩერჩილს წერდა: „სრულად ვეთანხმები თქვენს აზრს, რომელიც გამოთქვით №934 დეპეშაში“.

იგულისხმებოდა დეპეშა, რომელიც ჩერჩილმა რუზველტს 1945 წლის 5 აპრილს გაუგზავნა და რომელშიც ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი კერძოდ წერდა: **„უაღრესად მნიშვნელოვნად ვთვლი, რომ მოცემულ სიტუაციაში ჩვენმა ქვეყნებმა დაიკავონ მტკიცე და მყარი პოზიცია იმისთვის... რათა რუსებმა გაიგონ, რომ ჩვენს მოთმინებას აქვს ზღვარი. თუ ისინი ოდესმე დაასკვნიან, რომ მათი გვეშინია და რომ დაშინებით შეუძლიათ ჩვენი დამორჩილება, მე დამეკარგება მათთან ჩვენი მომავალი ურთიერთობისა და ბევრი სხვა რამის ყოველგვარი იმედი“.**

აი, ამ მოსაზრებას სრულად დაეთანხმა რუზველტი და დასძინა: **„და მე მომეწონა თქვენი ფრიად ძლიერი წერილი სტალინისადმი“** (ლაპარაკია წერილზე, რომელშიც ჩერჩილმა უსირცხვილოდ უარყო ინგლისელების და ამერიკელების მონაწილეობა ბერნში ფაშისტების ემისართან გამართულ სეპარატულ მოლაპარაკებაში. ეს საკითხი ჩვენ წინა პუბლიკაციაში განვიხილეთ და სტალინის უმკაცრესი წერილიც გამოვაქვეყნეთ. ჩვენს მკითხველს უთუოდ ახსოვს, რომ სტალინის ამ წერილს რუზველტმა შემრიგებლური დეპეშით უპასუხა. რამდენიმე საათის შემდეგ — გარდაიცვალა).

დაბოლოს, რუზველტი გულახდილად წერდა: **„ბუკვალურად რამდენიმე დღეში ჩვენი არმიები დაიკავებენ ისეთ პოზიციებს, რაც საშუალებას მოგვცემს გავხდეთ იმაზე „უფრო მკაცრნი“, რასაც აქამდე უფრო მომგებიანად მივიჩნევდით ომში წარმატების მისაღწევად“.**

უეჭველია, რომ პრეზიდენტი რუზველტი არ აპირებდა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობიდან მისდამი კონფრონტაციის პოზიციაზე გადასვლას. მაგრამ აშშ-ში ყოველთვის იყო გავლენიანი ძალები, რომლებიც კურსის სწორედ ასეთ შეცვლას უჭერდნენ მხარს.

ომის დამაგვირგვინებელ ფაზაში დასავლე- ▶

**რუზველტის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირს მძიმე დროება დაუდგა. რუზველტის მოულოდნელი გარდაცვალება სტალინისთვის მძიმე განსაცდელი იყო იმის გამოც, რომ მას ესიმპათიურებოდა შეერთებული შტატების ეს გონიერი და გამგები ლიდერი. ასეთი განწყობილება აისახა დადებით პუბლიკაციებში, რომლებიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. სტალინისთვის ყველაზე მძიმე დარტყმა იყო ის, რომ ამაოდ დახარჯული გამოდგა მისი ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის პარტნიორული ურთიერთობის დასამყარებლად.**

უკომენტაროდ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ თელმა მოკავშირეებმა ვერ შეძლეს დაეკავებინათ ის სტრატეგიული პოზიციები, რომლებზეც რუზველტი ლაპარაკობდა. უფრო მეტიც, საბჭოთა არმიას გარკვეული პერიოდით რომ შეეჩერებინა აქტიური საომარი მოქმედება, გერმანელებს შესაძლებლობა მიეცემოდათ დასავლეთ ფრონტზე გადაესროლათ თავისი ჯარების ნაწილი, რაც ინგლის-ამერიკის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას კატასტროფულს გახდიდა.

არადა, ისინი ბერლინის აღებას აპირებდნენ!

არაერთხელ აღნიშნულა, რომ **რუზველტი აშშ-ის მსოფლიო ჰეგემონობისკენ ისწრაფოდა. ვერც გერმანია, ვერც იაპონია, ინგლისიც კი ვერ შეუშლიდა ხელს ამ განზრახულობის განხორციელებას.**

**მხოლოდ სსრკ-ს შეეძლო ამის გაკეთება. მაგრამ ამერიკას ჰქონდა ატომური ბომბი და ეს ზეირაღი ამ საქმეში გადამწყვეტ ძალად მიაჩნდა.**

ამერიკელი მკვლევარი დალაკი წერდა: „რუზველტი უწინდებურად არაფერს აცნობებდა რუსებს ატომური ბომბის შესახებ. 1945 წლის მარტის შუა რიცხვებში ის და სტიმსონი შეთანხმდნენ, რომ აგვისტოში ბომბის გამოყენებამდე მას (რუზველტს) უნდა გადაეწყვიტა, უნდა შეინარჩუნონ ამ იარაღზე ინგლის-აშშ-ის მონოპოლია, თუ უნდა შემოიღონ საერთაშორისო კონტროლის სისტემა. **იმის გამო, რომ აპრილის მეორე კვირაშიც არ განახორციელა არავითარი ღონისძიება საერთაშორისო კონტროლის სისტემის სასარგებლოდ, გონივრული იქნებოდა დაესკვნათ, რომ იგი თავს იკავებდა რუსებთან ერთობლივ კონტროლზე, სანამ არ დარწმუნდებოდა მათ მზადყოფნაში, ეთანამშრომლათ სხვა საერთაშორისო საკითხებში.** ატომური ბომბს, როგორც ჩანს, მიიჩნევდნენ ამის უზრუნველყოფის გადამწყვეტ საშუალებად“.

ყურადღებით განვიხილოთ ამ ავტორის ზოგიერთი გამონათქვამი. იგი ლაპარაკობს ინგლის-ამერიკის მონოპოლიაზე მაშინ, როცა ჩერჩილი ამაოდ ცდილობდა, ხელში ჩაეგდო ატომური იარაღი. საქმე რომელიღაც „საერთაშორისო საკითხებში“ სტალინთან თანამშრომლობა კი არ იყო, არამედ — მასთან ძალის პოზიციიდან დიალოგის წარმოება. სურდა თუ არა ეს რუზველტს, მაინც და მაინც მნიშვნელოვანი არ არის. იგი გადაწყვეტილებებს თავისუფლად ვერ იღებდა. ასეთი იყო აშშ-ის მმართველი წრეების საგარეოპოლიტიკური სტრატეგია, რომელიც მიმართული იყო მსოფლიო ჰეგემონობისკენ.

სერიოზულ წინააღმდეგობას ამერიკა ინგლისის მხრიდან ვერ წააწყდებოდა, ბრიტანეთის იმპერიის გავლენის კატასტროფული ვარდნის გამო. საბჭოთა კავშირს კი, როგორც ამერიკელი ანალიტიკოსები მიიჩნევდნენ, კიდევ დიდხანს არ ექნებოდა ბირთვული იარაღი. თანაც მას დიდი დრო დასჭირდებოდა ომისგან მიყენებული ჭრილობების მოსაშუშებლად. ამიტომ აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთსა და იაპონიაში შეერთებული შტატების ჰეგემონიის დამყარება პრობლემა არ უნდა ყოფილიყო.

**„ჩვენი პოლიტიკა, — განაცხადა 1945 წლის მარტში რუზველტმა, — ემყარება რწმენას, რომ დროებითი სისუსტის, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის შესაძლებლობის მიუხედავად, დროთა განმავლობაში 450 მილიონი ჩინელი გაერთიანდებიან, მოახდენენ ქვეყნის მოდერნიზაციას და ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად იქცევიან მთელს შორეულ აღმოსავლეთში“.**

1945 წლის თებერვალში ამერიკის საელჩო ჩინეთში მოითხოვდა დახმარების გაწევას არა მარტო ჩან კაიშისთვის, არამედ მაო ძედუნისთვისაც, „რათა კომუნისტები ჩვენს მხარდამჭერებად შევინარჩუნოთ და ისინი ხელში არ ჩავუგდოთ რუსებს“. 1945 წლის მარტში რუზველტი გამოწვლილვით დაჰკითხავდა ჩინეთის საკითხებში გარკვეულ ჟურნალისტს თ. უაიტს, ჩინელი კომუნისტები — „მარგარინისა“ თუ „ნამდვილები“ — იმართებიან თუ არა რუსების მიერ.

რუზველტს სჯეროდა, რომ ჩინეთი აუცილებლად მოექცეოდა აშშ გავლენის სფეროში. ომის შემდეგ სსრკ-ს აღარ უნდა დარჩენოდა არც ძალა, არც არავითარი საშუალება ჩინეთში კომუნისტური წყობილების დასამყარებლად.

ასეთი თავდაჯერებულობის საფუძველი მართლაც არსებობდა. ომის დამთავრებისთვის საბჭოთა კავშირის მდგომარეობა აშკარად პრესტიჟული და მომგებიანი იყო იდეოლოგიური თვალსაზრისით. მაგრამ გამარჯვების მოპოვებას უზარმაზარი მსხვერპლი დასჭირდა, კოლოსალური დანაკარგები ცოცხალი ძალის და სამეურნეო კუთხით — ეკონომიკური დაცემა არნახულად კოლოსალური იყო. ამასთან პრაქტიკულად მთელი ეკონომიკა აწყობილი იყო შეიარაღების შესაქმნელად, რესურსები ადამიანების კეთილდღეობისთვის მეურნეობის გადასახალისებლად პრაქტიკულად არ არსებობდა.

**ანტისტალინისტები ასეთ მდგომარეობას მთლიანად სტალინს აბრალებენ, კერძოდ, მის მიერ ხალხის ბედის სრულ იგნორირებას.**

**მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ მოკავშირეები ძალას არ იშურებდნენ „ომისწინა სიტუაციის“ შესანარჩუნებლად, რითაც აიძულებდნენ საბჭოთა კავშირს, უდიდესი ხარჯი გაეწია ატომური იარაღისა და ბალისტიკური რაკეტების შესაქმნელად.**

ომისშემდგომი შიმშილი და ხალხის სილატაკე იძულებულს ხდიდა საბჭოთა მთავრობას, უწინარეს ყოვლისა, შიდა პრობლემების გადაჭრაზე ეზრუნა და არც ეფიქრა გავლენის ზონის გაფართოებაზე აღმოსავლეთ ევროპის საზღვრებს მიღმა. ამერიკას შესანიშნავი პერსპექტივა გაეხსნა აღმოსავლეთ აზიაში თავისი ჰეგემონობის დასამყარებლად.

მოკლედ რომ ვთქვათ, **ომში გამარჯვებამ უაღრესად გაზარდა და განამტკიცა სსრ კავშირის მორალური ავტორიტეტი მთელ მსოფლიოში, მაგრამ უდიდესი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მოგება შეერთებულ შტატებს დარჩა. ეს სრულად ჰქონდა შეგნებული რუზველტს და ითვალისწინებდა კიდეც თავის საგარეო პოლიტიკაში. მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ იმ დროს იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო.**

## მოულოდნელი გარდაცვალება

**...1945 წლის 13 აპრილის გვიან ღამით საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვიაჩესლავ მოლოტოვი თავის კაბინეტში განაგრძობდა მუშაობას. მოულოდნელად მდივანმა აცნობა, რომ სასწრაფოდ რეკავდნენ აშშ-ის საელჩოდან. ტელეფონის ყურმილში მოლოტოვმა ამერიკის ელჩის, ჰარიმანის, აღელვებული ხმა გაიგონა, რომელიც სთხოვდა, სასწრაფოდ მისულიყო საელჩოში. სახალხო კომისარმა უპასუხა, რომ მზად იყო, დაუყოვნებლივ სწვეოდა. ასე შეიტყვეს მოსკოვში რუზველტის გარდაცვალების შესახებ.**

მოლოტოვის რეაქციის შესახებ ჰარიმანის ვაშინგტონში გაგზავნილი ინფორმაციიდან: „იგი ძლიერ აღელდა და შეშფოთდა. ერთხანს ლაპარაკობდა იმ პატივისცემის შესახებ, რასაც რუზველტისადმი გრძნობდა მარშალი სტალინი და მთელი რუსი ხალხი, იმაზეც, თუ რა დიდი შეფასება მისცა სტალინმა მის ვიზიტს იალტაში... მე ვთხოვე, მოეწყო მარშალ სტალინთან ჩემი შეხვედრა დღესვე“.

საბჭოთა კავშირში გლოვა გამოცხადდა. 1945 წლის 15 აპრილს, რუზველტის დასაფლავების დღეს მოსკოვში ამერიკის საელჩოში გაიმართა პანაშვიდი, რომელზეც 400 კაცამდე მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ საბჭოთა კავშირის უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები. პანაშვიდი გადაიხადა ამერიკის სამხედრო მისიის სერჟანტმა თომასმა, რომელსაც მღვდლის წოდება ჰქონდა. გუნდი პრეზიდენტის საყვარელ ფსალმუნებს ასრულებდა. ელჩმა ცერემონია დაამთავრა იმით, რომ პრეზიდენტის ხელით დაწერილი ლოცვა წაიკითხა, რომელიც მან აღავლინა მოკავშირეთა ნორმანდიაში გადასხმის წარმატებისთვის 1944 წლის 6 ივნისს.

**ამ დროს კი გებელსი ჰიტლერს სიხარულით მოახსენებდა, რომ მოხდა სასწაული და რომ რუზველტის სიკვდილი გადამწყვეტი ცვლილებების მომასწავებელი იქნება აპრილის მეორე ნახევარში.**

მოჩვენებითი იმედის რაღაც საფუძველი მართლაც არსებობდა: ფრანკლინ დელანო რუზველტი ცდილობდა დაეოკებინა შეერთებული შტატების რიგი გავლენიანი მოღვაწეების, ასევე ჩერჩილის ანტისაბჭოთა მისწრაფებანი. შესაძლებელია აქ თავის როლს თამაშობდა მისი პირადი სიმპათია სტალინისადმი, მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ამას კარნახობდა მისი სიბრძნე და გაგება იმ ეკონომიკური სარგებლისა, რასაც ძალიან მდიდარ ამერიკას მოუტანდა მშვიდობიანი თანაარსებობა მატერიალური თვალსაზრისით ძალიან გაღატაკებულ საბჭოთა კავშირთან.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ბოლომდე გარკვეული არ არის, იყო თუ არა ბუნებრივი რუზველტის სიკვდილი. სამედიცინო დასკვნაში გარდაცვალების მიზეზად ჩაწერილი იყო ინსულტი, თუმცა ექიმების ზრუნვის საგანი მისი გულის უკმარისობა იყო. დაირხა ჭორი რუზველტის მოწამვლის შესახებ.

1948 წელს აშშ-ში გამოვიდა წიგნი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ პრეზიდენტი კეფაში ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა. ისტორიკოსი და პუბლიცისტი გ.ვ. სმირნოვი აცხადებს, რომ ამ ვერსიის ხელაღებით უგულებელყოფა არ შეიძლება. ეჭვებს აძლიერებს ისიც, რომ სხეულის გაკვეთა არ მოუხდენიათ, ხოლო მისი სხეული დახურულ კუბოში იყო ჩასვენებული გარდაცვლილთან გამომშვიდობების მთელი ცერემონიის განმავლობაში.

ეს სიტუაცია პრეზიდენტის ქვრივმა ელეონორამ ახსნა მისი ქმრის ოჯახში დამკვიდრებული ტრადიციით. მაგრამ ამგვარი ვერსია ნაკლებ დამაჯერებელია, რადგან რუზველტის დედა ღია კუბოთი გაასვენეს. არსებობდა თუ არა ასეთი ტრადიცია, ესეც საეჭვოა.

**...ჰარიმანი სტალინმა მიიღო. და როგორც ელჩი იხსენებს, სტალინს მისი ხელი ნახევარი წუთის განმავლობაში ხელში ეჭირა და ძალიან შეწუხებული ჩანდა.**

რუზველტის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირს მძიმე დროება დაუდგა. **პრეზიდენტის მოულოდნელი გარდაცვალება სტალინისთვის მძიმე განსაცდელი იყო იმის გამოც, რომ მას ესიმპათიურებოდა შეერთებული შტატების ეს გონიერი და გამგები ლიდერი.** ასეთი განწყობილება აისახა დადებით პუბლიკაციებში, რომლებიც საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა. სტალინისთვის ყველაზე მძიმე დარტყმა იყო ის, რომ ამაოდ დახარჯული გამოდგა მისი ძალისხმევა, რომელიც მიმართული იყო ამერიკა-საბჭოთა კავშირის პარტნიორული ურთიერთობის დასამყარებლად.

ბევრი რამ თავიდან უნდა დაწყებულიყო, მაინც და მაინც დიდი იმედის გარეშე.

რაც მთავარია: ასრულება არ ეწერა მის იმედს ომისშემდგომი საბჭოთა კავშირის აღდგენის საქმეში ამერიკული დახმარების აქტიურად ჩართვის თაობაზე, რასაც რუზველტის სიცოცხლეში სერიოზული პერსპექტივა ჰქონდა.

ჰორიზონტზე რეალურად გამოჩნდა „ცივი ომის“ საშიშროება. რომელიც ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარის აზრით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან მესამე დღეს დაიწყო.

საბჭოთა ლიდერს წინ დიდი და დაძაბული მუშაობა ელოდა, რომელიც მისგან ძალების უდიდეს დაძაბვას მოითხოვდა, რომლებიც იმის წლებში კოლოსალური ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინტელექტუალური გადატვირთვის გამო ისედაც შესუსტებული იყო.

**გაგრძელება იქნება**

დანგრეული ბერლინის გულში



საბჭოთა კავშირში დანგრეული ქალაქების აღდგენა დაიწყო






ვაშინგტონში პრეზიდენტ რუზველტის დაკრძალვის ცერემონია

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ბრაზილიაში ფრჩხილების მოდის კვირეული გაიხსნა

**ბრაზილიის ქალაქ სან-პაულუში ფრჩხილების მოდის რიგით მეორე კვირეული გაიხსნა. მინი პოდიუმზე სხვადასხვა ფერითა და მოსართავით შემკული თითები „გამოდიოდნენ“.** მოდელებმა ფრჩხილის მოხატვისა და ფრჩხილის ლაქების უკანასკნელი ტრენდები წარმოადგინეს. ორგანიზატორები მინი პოდიუმს სპეციალურად ფრჩხილებისთვის ქმნიან. ჩვენება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობს.ღონისძიებას ლაქის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები, მხატვრები, მანიკურ-პედიკურის სპეციალისტები, სელებრითები და ტურისტები ესწრებიან. ბრაზილიელი ქალები მსოფლიოში პირველ ადგილზე არიან ფრჩხილის ლაქის მოხმარების სიხშირის მიხედვით.






# შხამიანი ბაღი

**შხამიანი მცენარეების ბაღი, რომელსაც ალნვიკის ბაღს უწოდებენ, ამავე სახელის მქონე ციხესიმაგრის ნაწილს წარმოადგენს და ინგლისში, ნორტამბერლენდში, მდებარეობს. ის დიდი ბრიტანეთის ბაღებს შორის ზომით მეორეა.**



იქ ხარობს მსოფლიოში ყველაზე მომწავლავი მცენარეები, რომელთაც ნებისმიერი ცოცხალი არსების მოკვლა ძალუძთ. ბაღის შავი კარის მიღმა 100-მდე აკრძალული ნარკოტიკული მცენარეა. აქ შეხვდებით ატროპა ბელადონას, რომელიც უფრო მეტად მომაკვდინებელი ძაღლყურძენას სახელით არის ცნობილი, კონიოს, ჰაშიშს, სტრიქნინსა და სხვა სახეობებს.

**ბაღი მუდმივად ტურისტების ყურადღების ცენტრშია. ის 2005 წელს გააშენეს პადუას მახლობლად მდებარე იმ ცნობილი ბაღის მიხედვით, სადაც მედიჩების ოჯახს შხამიანი მცენარეები გამოჰყავდა.**

თავიდან აქ სამკურნალო მცენარეებიც იყო დათესილი, მაგრამ მოგვიანებით ბაღი ექსკლუზიურად შხამიანი მცენარეებისთვის გადააკეთეს.

ტურისტები ბაღს გიდის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ათვალიერებენ, რათა ვინმე მცენარეს არ შეეხოს. ყველგან შეხვდებით წარწერებს, რომლებიც საშიში მცენარეების შესახებ გვაფრთხილებენ.

# პარიზში შიშვლად გარუჯვა აკრძალეს

**პარიზის პლაჟებზე დრესკოდი შემოიღეს. სენის ნაპირებთან შეუფერებლად ჩაცმის გამო, შესაძლოა, რამდენიმე ათასი ევროთი დაგაჯარიმონ ან საერთოდაც ციხეში გიკრან თავი.**

საფრანგეთის დედაქალაქის მთავრობამ სპეციალური სანქციები მათთვის შემოიღო, ვინც პარკებში ან მდინარე სენის ნაპირებთან ნახევრადშიშველი ან სრულიად შიშველი გამოჩნდება. ჯარიმის ოდენობა 38 ევროდან 3 750 ევრომდე მერყეობს. ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა კი მას ემუქრება, ვინც საცურაო კოსტიუმით ინტიმურ ადგილებს საერთოდ არ დაიფარავს. ქალაქის პარკებსა და სკვერებში საცურაო კოსტიუმით გამოჩენა იკრძალება — სამოსი უნდა შეეფერებოდეს საზოგადოებრივ-მორალურ ნორმებს.



# ინტერნეტი ევერესტზე

**ამიერიდან პროფესიონალ მთამსვლელებსაც და მოყვარულებსაც შეეძლებათ სოციალურ ქსელში საკუთარი სტატუსები პირდაპირ ევერესტის მწვერვალზე ყოფნის მომენტში განაახლონ.**



შვედურ სატელეფონო გიგანტ TeliaSonera-ს შვილობილმა კომპანია Ncell-მა მაღალსიჩქარიანი 3G სატელეფონო ბაზა განათავსა ევერესტის რეგიონში, 5 200 მეტრის სიმაღლეზე, გორაკშეპის სოფლის მახლობლად. Ncell-ის დირექტორმა პასი კოისტინენმა განაცხადა, რომ დაფარვის ზონა ევერესტის უმაღლეს წერტილსაც მოიცავს და დასძინა, რომ ტესტირება წარმატებით დასრულდა.

**„დღეს ჩვენ მსოფლიოში ყველაზე მაღალი ვიდეო ზარი განვახორციელეთ წარმატებულად“,** — თქვა მან.

აქამდე ადამიანებს უწევდათ ძვირფასი და არცთუ სანდო სატელიტურ კავშირებს დაყრდნობოდნენ, რომლებიც ზოგჯერ დღეების განმავლობაში ითიშებოდა.

**„ეს ძალიან მნიშვნელოვანი საფეხურია მობილური კომუნიკაციების ისტორიაში, ვინაიდან 3G მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი იაფი ტელეკომუნიკაციის საშუალებას მოგვცემს მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალიდან“,** — თქვა **ლარს ნიბერგმა,** TeliaSonera-ს მთავარმა აღმასრულებელმა დირექტორმა.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ მწვერვალი მხოლოდ 3000 ადამიანმა დალაშქრა მას შემდეგ, რაც ის 1953 წელს ედმუნდ ჰილარიმ და 1953 წლის 29 მაისს ნორგი ტენცინგმა პირველად დაიპყრეს, მიმდებარე რეგიონი ყოველწლიურად ათასობით ტურისტს იზიდავს.

# ზღვის გოჭები ოლიმპიადაზე

ლონდონის ოლიმპიურმა თამაშებმა ხალხში საკმაოდ დიდ აჟიოტაჟი გამოიწვია. ამ ფაქტმა კი გამომცემლობა „Maverick Arts“-ში ახალი იდეა დაბადა: გამოეშვათ იუმორისტული კალენდარი „Guinea Pig Games 2013“, ანუ „ზღვის გოჭის თამაშობანი 2013“. კალენდრის მთავარი პერსონაჟები სწორედ ეს პატარა და საყვარელი არსებები გახდნენ, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობაში ასპარეზობენ. კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით და ცხოველთა გადარჩენის ფონდის მხარდაჭერით, პროექტი შედგა, თან საკმაოდ წარმატებულადაც.












# უპოვარი მილიონერი

**46 წლის ედვარდ პუტმენი, რომელმაც 2009 წელს ლატარეაში 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო, სახელმწიფოსგან სოციალური დახმარების მიღებას დღემდე განაგრძობდა.**



პუტმენმა, რომელიც კინგსლენგში ცხოვრობს, ლატარიის ორგანიზატორებს სთხოვა, მისი სახელი არ გაეხმაურებინათ. შედეგად, სახელმწიფო, რომლისთვისაც ედვარდი უსახლკაროთა ნუსხაში რჩებოდა, ღატაკ მილიონერს ყოველთვიურად 13 000 ფუნტ სტერლინგს უხდიდა.

ედვარდი ამ დროის მანძილზე ფუფუნებაში ცხოვრობდა, არ იკლებდა გართობას, ჰქონდა ძვირფასი სახლი და სპორტული მანქანების მთელი კოლექცია. მისი თაღლითობა მაშინ გამოვლინდა, როდესაც პუტმენმა კიდევ ერთი სახლის ყიდვა მოისურვა და საქალაქო საბჭოში 84 000 ფუნტი სტერლინგი ნაღდი ფულით მიიტანა. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ მამაკაცს საბანკო ანგარიშზე 2.4 მილიონი, ხოლო სახლში — 2 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჰქონდა.

სასამართლომ პუტმენს სოციალური სამსახურების მოტყუებისთვის 9-თვიანი პატიმრობა შეუფარდა.

# ბიონსემ მეუღლის პორტრეტი ფრჩხილზე დაიხატა

**პოპ-ვარსკვლავმა ბიონსე ნოულზმა მეუღლის მიმართ სიყვარული ორიგინალური ფორმით გამოხატა — მომღერალმა ფრჩხილებზე საკუთარი და ჯეიზის ფოტოები დაიტანა, დანარჩენ ფრჩხილებზე კი სახელების ინიციალები დაიწერა.**

ბიონსემ ფოტო სოციალურ ქსელ Tumblr-ზე განათავსა. ბიონსე და რეპერი ჯეიზი ამერიკული მუსიკალური შოუ-ბიზნესის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წყვილად მიიჩნევა. წყვილი ქორწინების ხანგრძლივობითაც გამორჩეულია, რაც სელებრითების სამყაროსთვის საკმაოდ იშვიათი მოვლენაა. როგორც ჩანს, შვილის შეძენის შემდეგ ცოლ-ქმარს გრძნობები ერთმანეთის მიმართ კიდევ უფრო გაუღრმავდა.



## ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ოჯახის სრულფასოვანი წევრი — ღორი

**ინგლისის ქალაქ სკარბოროში გიგანტური ღორი ოჯახში ცხოვრობს. ყოფილი ინჟინრის — კოლინ ვებისა და მისი მეუღლის — სუსის სახლში ცხოველი ისე დააბიჯებს, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.**

გიგანტური ღორი სახელად „პატარა" სასტუმრო ოთახში ნებივრობს, რადგან სამზარეულოში წონის გამო შემოტრიალება უჭირს. იმისთვის, რომ ღორმა მშვიდად დაიძინოს, მას საკუთარი დივანი აქვს. ღორი წონაში სწრაფად იმატებს, ამიტომ სპეციალურად შერჩეულ დიეტაზეა.

როგორც სუსი ამბობს, ღორს ქუჩაში სეირნობა არ მოსწონს, რადგან მისი წონით გაოცებული ადამიანების ყურადღებით წუხდება და ამიტომ დიდ დროს სახლში ატარებს. წყვილმა ლიცენზიაც კი მოიპოვა, რათა ცხოველთან ერთად პარკში ისეირნოს.

„ღორი კაცზე ადვილი მოსავლელია. კაცისგან განსხვავებით, ის საჭმლის გამო არასდროს წუწუნებს და არ ხვრინავს", — ამბობს დიასახლისი.



# ყველაზე გრძელი საპატარძლო კაბა

**კაბის სიგრძე 1,85 მილია. დიზაინერები ამ კაბას 100 დღის განმავლობაში კერავდნენ. ნაჭერი ამ კაბისათვის სპეციალურად იტალიიდან და საფრანგეთიდან ჩამოიტანეს, მისმა საერთო ღირებულებამ 5000 ფუნტი სტერლინგი შეადგინა. კაბა პირველად 17 წლის ახალგაზრდა მოდელმა ჩაიცვა.**





# ფერადი კიბე

**სან-ფრანცისკოში ფერადი მოზაიკური კიბე პროექტის — „The 16th Avenue Tiled Steps"-ის ფარგლებში შეიქმნა.** კიბის 163 საფეხური მოზაიკით მხატვრებმა — აილენ ბარმა და კოლეტე კრატჩერმა მორთეს. მოზაიკაში ცხოველები, ფრინველები, თევზები და სხვა ფერადოვანი ფიგურებია წარმოდგენილი. პროექტის მიზანია, ფერადოვანმა მოზაიკამ ადამიანებს პოზიტიური განწყობა შეუქმნას. პროექტის ორგანიზატორების ჩანაფიქრმა გაამართლა, როგორც ადგილობრივები და ტურისტები ამბობენ, კიბე მათ განწყობაზე დადებითად აისახება და აქ მოსვლა ყოველთვის უხარიათ.







# ორიგინალური სატელეფონო ჯიხურები

**ბრაზილიური სატელეკომუნიკაციო კომპანია VIVO-ს მხარდაჭერით, სან-პაულუში მოეწყო ყოველწლიური აქცია, რომლის ფარგლებში ქალაქის სატელეფონო ჯიხურები მოიხატა და ორიგინალური აქსესუარებით მოირთო.** იმისთვის, რომ ქუჩის სატელეფონო ჯიხურები უფრო თვალსაჩინო გახდეს, ყოველწლიურად 100 მხატვარს იწვევენ, რომლებიც აქციის ორგანიზატორებს სატელეფონო ჯიხურების თავიანთ ორიგინალურ დიზაინს სთავაზობენ. წელს მხატვრებისთვის არავითარი შემოქმედებითი შეზღუდვა არ ყოფილა დაწესებული.









# 82 წლის მოდელი

**82 წლის ნიუიორკელი ჟაკლინ მარდოკი („ტაია") ფრანგული მოდის სახლ Lanvin-ის სარეკლამო კამპანიაში ჩაერთო. მარდოკს ყოველთვის სურდა, რომ ცნობილი და მაღალანაზღაურებადი მოდელი გამხდარიყო და ოცნება 82 წლის ასაკში აიხდინა. Lanvin-ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ახალი კოლექციის რეკლამისთვის რიგითი ადამიანის გარეგნობა სჭირდებოდათ, რომელსაც მოდელის სტანდარტული ტანი არ ექნებოდა.** ჟაკლინი 10 შვილიშვილის ბებიაა. როგორც თავად ამბობს, ფოტოსესიის დროს საკუთარი ასაკი დაავიწყდა და თავს 20 წლის გოგონასავით გრძნობდა.

„დამავიწყდა, რომ მოხუცი ვარ. ფოტოსესია არაჩვეულებრივი იყო, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ახალგაზრდობის ოცნება ახდა. დარწმუნებული ვარ, როდესაც ადამიანები ჩემს ფოტოებს ნახავენ, იტყვიან, რომ გლამურული ცხოვრებით ვცხოვრობ, მაგრამ დამიჯერეთ, ძალიან რთული წლები და ცხოვრება გამოვიარე. როდესაც მივხვდი, რომ მოდელი ვერ გავხდებოდი, ცეკვა დავიწყე და „აპოლოს" თეატრში ვმუშაობდი", — განაცხადა მან.







ყოველკვირეული გამოცემა
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894